

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტი

Niko Berdzenishvili Institute
of Batumi Shota Rustaveli State University

ბათუმის მერიის კულტურის ცენტრი
Culture Center of Batumi City Hall

კონსტანცას ოვიდიუსის უნივერსიტეტი
Constanta Ovidius University

ჩვენის სულიერების ბალავარი

საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის
მასალები

XII

The Fundamentals of Our Spirituality

Proceedings of the International Scientific
conference

მაისი 11-12 May
ბათუმი 2023 Batumi

სარედაქციო კოლეგია: როინ მალაყმაძე (მთავარი რედაქტორი), ოლეგ ჯიბაშვილი, ასმათ დიასამიძე, ნოდარ მაკარაძე, ავთანდილ ნიკოლეიშვილი, შუშანა ფუტკარაძე, ნოდარ კახიძე, ლელა სარალიძე, თამილა ლომთათიძე, ელზა ფუტკარაძე, ნაილე მიქელაძე, უჩა ოქროპირიძე, ნაილა ჩელებაძე

EDITORIAL BOARD: Roin Malakmadze (Editor-In-Chief), Oleg Jibashvili, Asmat Diasamidze, Nodar Makaradze, Avtandil Nikoleishvili, Shushana Phutkaradze, Nodar Kakhidze, Lela Saralidze, Tamila Lomtadidze, Elza Phutkaradze, Naile Mikeladze, Ucha Okropiridze, Naila Chelebadze

დიზაინი: გივი ნახუცრიშვილი
Design: Givi Nakhutsrishvili

ISSN 1987–5916

© ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის
გამომცემლობა, 2023

კონფერენცია მიეძღვნა
ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის
წილხვდომილობისა
და წმიდა ანდრია პირველწოდებულის
საქართველოში შემოსვლის
ეროვნულ დღესასწაულს

The Conference Dedicated to the Georgia's presence
under auspices of Virgin Mary
and National Holiday of Arrival of
Saint Andrew the First-Called in Georgia

სარჩევი

შესავალი	9
----------------	---

მოხსენებები

რომან აბაშიძე / Roman Abashidze	11
---------------------------------------	----

სულის აღზრდის ზოგიერთი ასპექტი პედაგოგიკაში /
Some Aspects of Spiritual Upbringing in Pedagogy

ანა ბაგრატიონი /Ana Bagrationi	21
--------------------------------------	----

ეთნოლოგიური კვლევების ისტორიიდან აჭარაში /
From the History of Ethnological Studies in Ajara

დალი ბეთხოშვილი / Dali Betkhoshvili.....	34
--	----

ღვთისმშობლის ხატ-სახე თეიმურაზ პირველის პოემაში
„წამება ქეთევან დედოფლისა“ / The Image of the Mother
of God in Teimuraz the First's Poem "Martyrdom
of Queen Ketevan"

თალიკო ბერიძე / Taliko Beridze	54
--------------------------------------	----

ქრისტიანული ტერმინოლოგია ნიკო ლორთქიფანიძის
შემოქმედებაში /Christian Terminology in the Works of
Niko Lortkipanidze

ოთარ გოგოლიშვილი / Otar Gogolishvili.....	66
---	----

რუსეთის რელიგიური პოლიტიკა XVIII საუკუნეში /
Russian Religious Policy in the 18th Century



მაყვალა დავითაძე / Makvala Davitadze	73
--	----

ქრისტიან ქალთა სახეები ადრეული ხანის სასულიერო
მწერლობაში / Christian Women in Early Religious
Writings

ეთერ დიასამიძე / Eter Diasamidze 82

სამშობლოს საგალობელი ნოდარ დუმბაძის ამონარიდების
მიხედვით / Hymn of Motherland in Accordance to Novels
of Nodar Dumbadze

სერგო ვარდოსანიძე / Sergo Vardosanidze 91

კათალიკოზ-პატრიარქი მელქისედეკ III (1952-1960) /
Catholicos-Patriarch Melchizedek III (1952-1960)



ნათია თავდგირიძე / Natia Tavdgiridze 98

ქორწინების ტრადიცია მერისის ხეობაში / Marriage
Traditions in Merisi

შორენა მახაჭაძე / Shorena Makhatchadze 111

ბიბლიური კონცეპტები გენრიეტა ქუთათელაძის
პოეზიაში / Biblical Concepts in the Poetry of
Genrietta Kutateladze

მერაბ მეგრელიშვილი / Merab Megrelishvili 119

რელიგიური სკოლები აჯარაში XIX-XX სს /
Religious Schools in Ajara in the XIX-XX Centuries

ნაილე მიქელაძე / Naile Mikeladze 145

რამდენიმე ტოპონიმის გააზრებისათვის აჯარის
ფოლკლორში (ხულოს რაიონში 1953 წელს
განხორციელებული ექსპედიციის მასალების მიხედვით) /
To Considering Some Toponyms in the Folklore of Ajara
(According to Materials Obtained during the Expedition
in Khulo in 1953)

ავთანდილ ნიკოლეიშვილი / Avtandil Nikoleishvili 156

ტიმოთე გაბაშვილი ოსმალეთის იმპერიაში ქრისტიანული
ღვთისმსახურების შესახებ / Timothe Gabashvili about
Christian Worship in the Ottoman Empire

ნანული ნოღაიდელი / Nanuli Nogaideli 180

რამდენიმე ტერმინი ხითხურობის ლექსიკიდან / A Few
Terms from the Vocabulary of Carpentry

უჩა ოქროპირიძე / Ucha Okropiridze 188

ქართული ასომთავრული, საკრალური პოეზია, ანუ
სამყაროს ხუთი კვირეული / Georgian Asomatvruli, Sacred
Poetry, Five Weeks of the Universe

მედეა რიჟვაძე / Medea Rizhvadze 199

უფალ/ღმერთ..... ლექსემათა ველი ძველ ქართულში
/ The LordGod..... Field of lexemes in old Georgian

ინგა სანიკიძე / Inga Sanikidze 218

XII საუკუნის საქართველო და ლექსიკური ერთეულის – „
ვაზირის“ – მხატვრული კონტექსტი „ვეფხისტყაოსანში“ /
Georgia in XII Century and the context of the lexical unit -
"Vaziri" in "Vepkhistaosani"

სოსლან სურმანიძე / Soslan Surmanidze 236

გიული ბერიძე / Giuli Beridze

სხალთის თემის, სოფელ კვატიის რამდენიმე
ტოპონიმის გააზრებისთვის / To Understand Some
Toponyms of the Skhalta Community, Kvatia Village

ელზა ფუტკარაძე / Elza Putkaradze 244

მამია ვარშანიძის „პოეტური აღმოთქმა“ /
Mamia Varshanidze's "Poetic Utterance"

ანნა ყურშუბაძე / Anna Kurshubadze..... 254

ალექსანდრე კარცივაძე / Aleksandre Kartsivadze

საკმევლის სამკურნალო თვისებებთან დაკავშირებული
საკითხის გააზრებისათვის / Relating to the Issue
Linked to the Healing Properties of Incense

თამარ შარაბიძე / Tamar Sharabidze	264
ვახტანგ ორბელიანის რელიგიური ლირიკა / Vakhtang Orbelian's Religious Lyrics	
თინა შიოშვილი / Tina Shioshvili.....	281
ყოვლადწმინდა ღვთისმშობელი ქართულ ხალხურ სასულიერო-რელიგიურ პოეზიაში / The Holy Mother of God in Georgian Folk and Religious Poetry	
ნაილა ჩელეაძე / Naila Chelebadze.....	291
დიდაქარის ტრადიციული კულტურის შესწავლის ზოგიერთი ასპექტისათვის / For Some Aspects of the Study of Traditional Culture of Didachara	
ნანა ცეცხლაძე / Nana Tsetskhladze.....	301
კონცეპტი "სინდისი" ქართულ ანდაზებში / The Concept of Conscience' in Georgian Proverbs	
ლევან ხალვაში / Levan Khalvashi.....	314
სესილი ხალვაში / Sesili Khalvashi	
მიზამდა როგორც შემოქმედების ხერხი პლატონისა და არისტოტელეს მიხედვით / Imitation as a method of creation by Plato and According to Aristotle	
რამაზ ხალვაში / Ramaz Khalvashi.....	322
XIII საუკუნის გელათური ჰიმნოგრაფიული კრებულების (K-22, A-85) შედგენილობა / Compilation of Collections (K-22, A-85) of the 13th Century Gelatian Hymnography	

შესავალი

ქართული ეროვნული იდეოლოგიის ყველაზე მნიშვნელოვანი ქვაკუთხედია ის, რომ ივერია არის ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყანა. მაცხოვრის ზეცად ამალღების შემდეგ, უფლის მოციქულებმა წილი ყარეს, თუ ვის სად უნდა ექადაგა ქრისტეს მოძღვრება. საქართველო ღვთისმშობელს ხვდა წილად. სულიწმინდის მოფენის შემდეგ, ქრისტეს მოწაფეებმა საქადაგოდ მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში იწყეს გამგზავრება. ღვთისმშობლის საპატიო ასაკის გამო, ქრისტეს მოძღვრების საქართველოში გავრცელება, წერილობითი წყაროების მიხედვით, იესო ქრისტეს თორმეტ მოციქულთაგან ერთ-ერთს – ანდრია პირველწოდებულს დაევალა, რომელმაც ამ დიდი მისიის შესრულება აჭარიდან დაიწყო. წყაროს ცნობით, წმინდა ანდრია პირველწოდებული პირველად ქალაქ ტრაპეზუნდში მოვიდა, სადაც მცირე ჟამი დაჰყო და აქედან შევიდა ქართლის ქვეყანაში, რომელსაც დიდაჭარა ეწოდება და დაიწყო სახარების ქადაგება: „მოვიდა... ანდრია ქალაქად ტრაპიზონად, რომელ არს სოფელი მეგრელთა, სადა-იგი დაჰყო ჟამი მცირედი, და იხილა უგუნურება პირუტყუებრივი მკვიდრთა შორის მის ქალაქისათა, განვიდა მიერ და შევიდა ქუეყანასა ქართლისასა, რომელსა დიდ-აჭარა ეწოდების, დაიწყო ქადაგებად სახარებისა“. როგორც სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსი, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტი, უწმინდესი და უნეტარესი ილია II ბრძანებს – „კურთხეულ არს აჭარა, სადაც პირველად დაინთო ლამპარი ქრისტეს სიყვარულისა და იქცა განმანათლებლად სრულიად საქართველოსი“.

ანდრია მოციქული დიდაჭარას 30-35 წლებში მოსულა, რომელსაც, ღვთისმშობლის კურთხევით, ხელთუქმნელი ხატი ყოვლადწმინდა ღვთისმშობლისა, „აწყურისად“ წოდებული, ჩამოუბრძანებია საქართველოში. „...და შევიდა ქუეყანასა ქართლისასა, რომელსა დიდ-აჭარა ეწოდების, დაიწყო ქადაგებად სახარებისა“. მოციქული ანდრია არის ქრისტეს ეკლესიის დამაარსებელი საქართველოში, რომელმაც ერთ-ერთი პირველი ტაძარი მსოფლიოში – ღვთისმშობლის ტაძარი ააგო დიდაჭარაში, საიდანაც მოეფინა ქრისტეს ნათელი სრულიად საქართველოს და დაიწყო განსაკუთრებული ეტაპი ქვეყნის სულიერი განვითარებისა. არ დაივიწყა უფალმა საზეპურო ერი და სხვადასხვა დროს, წმინდა ანდრიასთან ერთად, სვიმონ კანანელი და მატათა მოციქულნი გამოგზავნა საქადაგებლად.

2018 წელს, 12 მაისი საქართველოს ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის წილხვდომილობის დღედ დადგინდა. ამავდროულად, იგი ანდრია პირველწოდებულის ხსენების დღედ არის. 2021 წლის 12 მაისიდან დაწყებული, ბსუ-ს ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტმა, ბათუმისა და ლაზეთის მიტროპოლიტის, მეუფე დიმიტრის ლოცვა-კურთხევით, ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის წილხვდომილობის დღესასწაულს სამი საერთაშორისო კონფერენცია მიუღვნა. ღვთისმადლითა და დედაღვთისმშობლის მეოხებით, ისტორიული ქართველების მიუხედავად, თითქმის ორი ათასი წლის შემდეგ, როგორც დღევანდელი, ისე ისტორიული საქართველოს მოსახლეობის ცნობიერებაში ნათლად იკვეთება პატივი და თაყვანისცემა მარიამ ღვთისმშობლის, ანდრია პირველწოდებულისა და სხვა წმინდანთა მიმართ. წინამდებარე კრებულიც ამის თვალსაჩინო დასტურია.

სულის აღზრდის ზოგიერთი ასპექტი პედაგოგიკაში

აბსტრაქტი: ნაშრომში წარმოჩენილია მსოფლიო მასშტაბით მეცნიერულ-ტექნიკური განვითარების ფონზე ადამიანის სულიერი აღზრდის მნიშვნელობა, მისი როლი სოციალური მისიის ღირსეულად შესასრულებლად; ამ მიმართულებით მოკლედ არის მოცემული ის გზები და საშუალებები, რომლითაც უნდა გამოიკვეთოს მეთოდური ორიენტირები, ეფექტურად წარიმართოს სულიერი აღზრდის პროცესი. ნაშრომში ასევე მოცემულია თვითშემეცნების არსი და მნიშვნელობა პიროვნების სულიერი აღზრდის გზაზე, ასაკობრივი განვითარების გზაზე გაკეთებულია კონკრეტული აქცენტები თვითშემეცნების სულიერი აღზრდის ინსტრუმენტად გამოყენებისას.

საკვანძო სიტყვები: სულის აღზრდა; პედაგოგიკა; თვითშემეცნება.

Some Aspects of Spiritual Upbringing in Pedagogy

Abstract: The work presents the importance of spiritual upbringing of a person against the background of worldwide scientific and technical development, its role to fulfill the social mission with dignity; In this direction are briefly given the ways and methods

¹ განათლების აკადემიური დოქტორი, საქართველოს საპატრიარქოს ზიჰაურის წმინდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი / PhD in Education, Associate Professor at Tbel Abuserisdze Teaching University of Georgian Patriarchate.

which methodical orientations are highlighted and the process of spiritual upbringing should be effectively conducted. The work also provides the essence and importance of self-awareness in the way of spiritual upbringing of a person, in the way of age development, specific emphasis is made on using self-awareness as a tool of spiritual upbringing.

Key words: Spiritual upbringing; pedagogy; self-consciousness.



მსოფლიო მასშტაბით არსებულმა გლობალურმა მეცნიერულ-ტექნიკურმა პროგრესმა ცხოვრების ნებისმიერ სფეროში შეაღწია. იმდენად სწრაფია და დიდი მისი ზეგავლენის მასშტაბები საზოგადოების განვითარებაზე, რომ არსებული ტემპის შენელება ფაქტობრივად შეუძლებელია. ტექნიკურ პროგრესს დიდი სარგებლობა მოაქვს კაცობრიობისათვის, ადამიანს უმსუბუქებს ყოველდღიურ ცხოვრებას, მატერიალურად უკეთ უზრუნველყოფს, მაგრამ მნიშვნელოვნადაც ამორებს სულიერების სფეროს, ნაკლებად უტოვებს დროს ადამიანურ დანიშნულებაზე ფიქრისთვის: საიდან გაჩნდა, რა არის ადამიანის უპირველესი დანიშნულება, რისთვის არსებობს და რა არის მისი უპირველესი მისია?

საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი ილია II აღნიშნული პრობლემის გარშემო თავის ერთ-ერთ ეპისტოლეში სრულიად სამართლიანად აღნიშნავს: „მეცნიერულ-ტექნიკური მიღწევებით გათამამებულმა ადამიანმა დაივიწყა ღმერთი და თავისი შესაძლებლობების უსაზღვრობა დაიჯერა. წარმოიშვა უკიდურესი ამპარტავნება, თავდაჯერებულობა და ქედმაღლობა, რის საფუძველზეც მოხდა ცნობიერების განშორება რწმენასა და სულიერ ფასეულობებთან. სამწუ-

ხაროდ, ბოლო პერიოდში მხოლოდ მეცნიერულ-ტექნიკური წინსვლის ხარისხი იქცა ერისა და სახელმწიფოს კულტურული დონის განმსაზღვრელად; ამასთან, სულიერებისა და ზნეობრიობის უგულვებელყოფის ხარჯზე ადამიანის ეგოისტური მომხმარებლური შესაძლებლობები უკონტროლოდ გაიზარდა.“ (ილია II, 2012:45)

ადამიანი სოციაუმის ნაწილია და ამ გარემოში მუდმივად აკვირდება მის გარშემო არსებულ ფაქტებსა და მოვლენებს, განიცდის, ადაპტირდება ან კიდევ ცდილობს შეცვალოს გარემო. არის შემთხვევა, როცა პიროვნებას თეორიულ დონეზე, განათლების მიღების პარალელურად ფორმირებული მსოფლმხედველობა რაღაც ნაწილში ერყევა, საკუთარ ღირებულებებში ეჭვი ეპარება. ყოველივე ამის საფუძველს კი ყოველდღიური ცხოვრება უქმნის: სიმართლე იჩაგრება, თვალთმაქცები და ფილისტერები უკეთ ახერხებენ ცხოვრებაში საკუთარი ადგილის დამკვიდრებას, რელიგიურობა არა თუ ხელს უწყობს წარმატებაში, პირიქით, ხელს „უშლის კიდევ“...ის ყოველდღიურობისგან სრულიად განსხვავებულ რეალობას აწყდება და ამ ფონზე სრულიად ბუნებრივად ებადება კითხვა: „თუ ეს რელიგიურობა, ზნეობრივი ღირებულებები საზოგადოებისთვის ნაკლებად საჭიროა, წარმატებისთვის „ხელისშემშლელია“, მაშინ რისთვის უნდა ეზიაროს ამ ზნეობრივ კულტურას?“ ადამიანის ამ გაორებულ, წინააღმდეგობრივ ფსიქოლოგიურ მდგომარეობაზე ძალიან კარგად მიუთითებს გიორგი კვანტალიანი. მართალია, ის კონკრეტულ ნაშრომში ქრისტიანობაზე აკეთებს აქცენტს, თუმცა თამამად შეიძლება ითქვას, რომ ამ პრობლემის გამოწვევის წინაშე ნებისმიერი რელიგია დგას და სწორედ მათ უნდა იკისრონ საკუთარ თავზე ამ საკითხის გადაჭრა.

„ამ შემთხვევაში არის საშიშროება ადამიანის სულის შესაძლო გაორებისა, იმ შეგნებული გაორებისა, რომელსაც იწვევს, ერთი მხრივ, ქრისტიანული წესების შესრულება და, მეორე მხრივ, ცხოვრების სრულიად არაქრისტიანული პრინციპები. სწორედ ამ გაორებას უნდა აღუდგეს წინ ჭეშმარიტი ქრისტიანული აღზრდა, რომელიც მდგომარეობს გონებრივ და ზნეობრივ განათლებაში, გამსჭვალულია ქრისტიანული სულითა და მტერია ყოველგვარი ფარისევლობის, ურწმუნოების, ცრუმორწმუნეობისა და კერპთაყვანისმცემლობისა (კვანტალიანი, 1990:31).“

როცა ჩვენ ვსაუბრობთ სულის აღზრდაზე, ძალიან მნიშვნელოვანია ადამიანის ცნების სწორი დეფინიცია. რა არის ადამიანი? ის ხომ სხეულებრივი და სულიერი ორგანიზაციის სინთეზია, შესაბამისად, პიროვნების ფორმირება, მისი ზნეობრივი სრულყოფა რელიგიური აღზრდის გარეშე შეუძლებელია. ამიტომაცაა, რომ უძველესი დროიდან დღემდე, აღზრდა-განათლების სისტემის უმთავრეს ამოცანად რჩებოდა რელიგიური აღზრდა; ეტაპობრივად, ის საერო განათლების გვერდით დომინანტურ ადგილს იჭერდა. ისტორიულადაც, თუ კლასიკურ პედაგოგიკის ისტორიას გავაანალიზებთ, მარტივად შევნიშნავთ, რომ კლასიკურ პედაგოგიკურ აზროვნებაში რელიგიური აღზრდა ზნეობრივ აღზრდასთან იყო დაკავშირებული; ამის შემჩნევა ადვილად შესაძლებელია: კომენსკის, ჯონ ლოკის, პესტალოცის, უშინსკის, ტოლსტოის, გოგებაშვილის პედაგოგიკურ მემკვიდრეობაში. მაგრამ ამ მიმართულებით განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს იან-ამოს კომენსკის პედაგოგიური მოძღვრება, რომელშიც პირდაპირ არის მითითებული, რომ „ადამიანი ღვთიურ ქმნილებათა შესაძლებლობის ზღვარია, ღვთის წარმომადგენელია ცოცხალ არსებათა შორის“. კო-

მენსკი დიდი მოაზროვნე და ღვთისმეტყველი იყო და მეთოდოლოგიურად სწორად აქვს წარმოდგენილი სულის აღზრდის პედაგოგიური ასპექტები. მისი აზრით, სულის აღზრდის პროცესი მარადიული ცხოვრებისთვის მზადების შეგნების ფორმირებისკენ უნდა იყოს მიმართული და შემდეგი მოთხოვნების შესრულებას მოიცავს: 1. ყველა საგნის ცოდნას 2. საგნებისა და საკუთარი თავის ფლობას 3. საკუთარი არსებისა და ყველაფრის ღმრთისადმი მიკუთვნებულობას. თუ ჩვენ კარგად გავიაზრებთ ამ მოთხოვნებს, აშკარად დავინახავთ, რომ კომენსკისთან აღზრდის სამი ძირითადი ამოცანაა დომინანტური: გონებრივი, ზნეობრივი და რელიგიური. სწორედ მათი ჰარმონიზებითაა შესაძლებელი ადამიანმა გააზრებულად აღიქვას მის გარშემო არსებული სამყარო, ყველა საგანს მიუჩინოს თავისი ადგილი, გამოიყენოს ისინი საზოგადოების სამსახურში და თავი იგრძნოს ღვთის ხატად: „იყო გონიერი ქმნილება-ნიშნავს, „იყო ყველაფრის მკვლევარი, სახელმძღვანელო და აღმრიცხველი, ე. ი. შეგებლოს, როგორც დასახელება, ისე გაგება ყველაფრისა, რასაც მსოფლიო შეიცავს.“ იყო ქმნილებათა მეუფე-ნიშნავს, „დაალაგო ყველა საგანი დანიშნულების მიხედვით და გამოიყენო ისინი ყოველი საჭიროებისათვის“. ბოლოს, იყო განსახიერება ღვთისა, ნიშნავს, რომ „ცოცხლად განახორციელო სრულყოფა შენი პირველხატისა, როგორც თვითონ ამბობს: „წმინდა იყავით, რადგან მე წმინდა ვარ, ღმერთი თქვენი.“ (ბიბლიეიშვილი, 2011: 227)

როგორც კლასიკურ, ასევე თანამედროვე პედაგოგიურ მეცნიერებაში მიიჩნევა, რომ სულიერი აღზრდა, ადამიანის ზნეობრივი ფორმირება მშობლიური ურთიერთობიდან იწყება. რამდენად ხდება მისთვის მოთხოვნილებების დაკმაყოფილებისათვის ადექვატური ატმოსფეროს შექმნა, პირ-

დაპირ უკავშირდება დედის მხრიდან ნდობის, სითბოსა და სიყვარულის ატმოსფეროს შექმნას. მართალია, დედობრივი მზრუნველობა ინსტინქტურ გამოხატულებას წარმოადგენს, მაგრამ არანაკლებ მნიშვნელოვანია დედის მენტალური მზაობა, რამდენად ახერხებს ბავშვთან მიმართებით გონებისა და გრძნობის ჰარმონიზებას; თუ ეს პროცესი ორგანულია, ადვილად ხდება ბავშვის სულიერი აღზრდა. აქვე გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება დედის რელიგიურობის, სულიერების ხარისხს, შვილთან იმ აზრის მიტანას, რომ ადამიანი უფლის შვილია, რომ ადამიანის ამქვეყნიური წარმატება და წინსვლა, უპირველესად, ღმერთის საჩუქარია.

ბავშვის ასაკობრივი განვითარების პარალელურად ფორმირდება აბსტრაქტული აზროვნება, რაც სრულიად კანონზომიერად მას უჩენს მოთხოვნილებას მის ირგვლივ არსებულ საგნებსა და მოვლენებს უფრო კრიტიკული თვალით შეხედოს, მიიღოს არგუმენტირებული პასუხები საკუთარი ცნობისმოყვარეობის დასაკმაყოფილებლად. შეიძლება ცხოვრებისეულმა დეტალებმა ეჭვიც კი აღძრას მასში, რომ უფალი ნაკლებად კეთილია, რომ მის მიერ შექმნილი ადამიანები უბედურები არიან, რომ სიკეთე იჩაგრება... მსგავსი კითხვების აღმოცენების შემთხვევაში უპირანი იქნება, თეოლოგიურ ლიტერატურაზე დაყრდნობით, პრაქტიკული მაგალითებით თუ მივაწვდით ბავშვს, რაში მდგომარეობს უფლის ყოვლისშემძლეობა და ადამიანის თავისუფალი ნება, სად იკვეთებიან ისინი და სად შორდებიან ერთმანეთს. სასურველია, მოზარდის ცნობისმოყვარეობა დავაკმაყოფილოთ იმაზე ყურადღების გადატანით, რომ სულის აღზრდის მიზანი უფრო მეტად რწმენის ჩამოყალიბებაა, ვიდრე რელიგიური ცოდნის შეძენა. რელიგიურმა ცოდნამ უნდა მისცეს მოზარდს არგუმენტირებული პასუხები კითხვებზე, რომელიც შეეხე-

ბა მატერიალურ და სულიერი სამყაროს ურთიერთკავშირის გააზრების, საკუთარი დანიშნულების პრობლემას და გაადიეროს რწმენა.

სულის აღზრდის თვალსაზრისით უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება პიროვნების თვითშემეცნების პროცესს. თვითშემეცნება ადამიანის ფსიქოლოგიური უსაფრთხოების მიღწევის ეფექტური საშუალებაა, საკუთარი თავის შეცნობა უმნიშვნელოვანესი ბერკეტი პიროვნული განვითარების გზაზე. საიდან უნდა დავიწყოთ საკუთარი თავის შეცნობა და კონკრეტულ ასპექტში რაზე უნდა გაკეთდეს აქცენტი? ჯერ კიდევ მოზარდობის ასაკში აღმზრდელობითი მუშაობა ისე უნდა წარიმართოს, რომ ბავშვში ჩამოვაყალიბოთ რწმენა, რომ ადამიანი უფლის მიწიერი გამოვლინებაა, რომ მისი ცხოვრება სწორედ ამ ღვთაებრიობის წვდომაა, რომ საკუთარი წარმომავლობის გააზრება და განცდა მას ავალდებულებს საკუთარი ღვთიური და სოციალური მისია ღირსეულად შეასრულოს.

სულიერ აღზრდას თავისი პრინციპები, კანონზომიერებები და მიზნები აქვს, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიზანი, საკუთარი თავის შეცნობაზე – გააზრებაზე გადის. სწორედ ეს მისცემს მას ბიძგს იყოს ემპათიური, უყვარდეს მოყვასი, საჭიროების დროს გვერდში ედგას და ეხმარებოდეს პრობლემების დაძლევაში. ღვთის ხატს-ადამიანს, თუ იგი ზნეობრივ საფუძვლებზე ფორმირდება, ძალაუნებურად უჩნდება კითხვები, რისთვის სჭირდება საკუთარი თავის შეცნობა და როგორ უნდა შეძლოს ის? სულიერი აღზრდა ხომ საკუთარ სულში ჩაღრმავებას ასწავლის ადამიანს და ამ მიზნის მისაღწევად ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საშუალება, ლოცვა-ვედრებაა, გულწრფელი და არა მოჩვენებითი. გულწრფელობის გარეშე ხომ წარმოუდგენელია ადამიანსა

და უფალს შორის კავშირი დამყარდეს, უბიძგოს ადამიანს საკუთარი არსების უკეთ შესაცნობად. ზურაბ ცუცქერიძე სამართლიანად აღნიშნავს გულწრფელი ლოცვა-ვედრების მნიშვნელობის შესახებ: „ლოცვის პროცესში, როდესაც პიროვნება უხილავთან ამყარებს ურთიერთობას, იგი მხოლოდ საკუთარ თავთან რჩება, ნებით თუ უნებლიედ თავისთავს უმხელს ამას, რაზეც სხვა დროს არ ფიქრობდა. ამ პროცესში ბევრი საკუთარი პიროვნული თვისება მისთვისაც პირველად ხდება საცნაური, მის მიერ ჩადენილი ცოდვა-მადლი მთელი სისრულით წარმოჩინდება ადამიანის ცნობიერებაში. ამიტომ, ხშირი ლოცვა-ვედრება საკუთარი თავის შეცნობის ერთ-ერთი უმთავრესი საშუალებაა.“ (ცუცქერიძე, 1997:276)

რა თქმა უნდა, ლოცვა მაშინ არის ეფექტური ინსტრუმენტი, როცა ის არ არის მოჩვენებითი, და ღვთისადმი მადლობის გამოხატულებაა. გულწრფელობა აქ უმნიშვნელოვანესი ფაქტორია საკუთარი თავის შეცნობის, უზენაესთან დამოკიდებულების მნიშვნელობის გააზრებისთვის.

საკუთარი თავის შეცნობა ორგანულად უკავშირდება სინანულის განცდასაც. მონანიების გზა სულიერი განწმენდის ერთ-ერთი წინაპირობაა და სათნოებასთან მიახლების საუკეთესო გზაა, ცხოვრების აზრისა და მისიის სიღრმისეულად გააზრების საშუალება: „სხვათა ბედნიერების ძიებაში უნდა იპოვო საკუთარი ბედნიერება“ (პლატონი). მართალია, ნებისმიერ სახელმწიფოში მოქალაქეთა შორის ურთიერთობას იურიდიული კანონები განსაზღვრავს, მაგრამ იმ საზოგადოებას, რომელსაც აკლია თანააღმობის გრძნობა და საკუთარი თავის შეცნობის დეფიციტს განიცდის, ნათელი მომავალი არა აქვს. ეს ბუნებრივი კანონზომიერი პროცესია იმდენად, რამდენადაც, რაც უფრო მეტად მართავს

პიროვნებას შინაგანი სტიმულები, მით უფრო საინტერესო და შედეგზეა ორიენტირებული მისი ქცევა.

სულის აღზრდის თვალსაზრისით საქართველოს უძველესი ტრადიციები აქვს და სრულიად ბუნებრივია, რომ დღეს ქვეყნის მასშტაბით არაერთი სასწავლებელი ფუნქციონირებს. მაგრამ მათი არსებობა ვერ იქნება საკმარისი მომავალი თაობის სულიერი აღზრდის კუთხით არსებული ამოცანების გადასაჭრელად. აუცილებელია, საერო განათლებამ მეტი სიმძიმე იტვირთოს პიროვნების ზნეობრივი განვითარების გზაზე. ამიტომაც სრულიად გამართლებულია, ყოველ საგანში მოსწავლეთა მსოფლმხედველობის ფორმირება, განმტკიცება სულიერების გაღრმავებით იყოს შესაძლებელი. მსოფლმხედველობის სწორად ფორმირება მოსწავლის პიროვნებას ავტომატურად უზიძგებს რელიგიის მნიშვნელობის აღიარებასა და გათავისებამდე, ამიტომაც რეკომენდირებულად მიგვაჩნია, რომ „სწორედ ახალგაზრდის მსოფლმხედველობის სწორმა ფორმირებამ თავად უნდა მიიყვანოს იგი რელიგიამდე“ (ვასაძე, 2000: 77)

ამრიგად, მსოფლიო მასშტაბით მეცნიერულ-ტექნიკურმა პროგრესმა კიდევ უფრო მეტად წინა პლანზე წამოწია სულის აღზრდის საჭიროება, რომელიც უძველესი დროიდანვე აღზრდის საერთო სისტემაში დომინანტური როლით გამოირჩეოდა.

კლასიკური გაგებით, პიროვნების სულიერი აღზრდა ბავშვობიდან, მშობლიური ურთიერთობიდან იწყება და ასაკობრივი განვითარების კვალდაკვალ განსხვავებულ მეთოდურ მიდგომებს მოითხოვს, რათა აღმზრდელობითმა პროცესმა შეძლოს აღსაზრდელში შინაგანი ძალების გააქტიურება და მაქსიმალურად გააზრებული, შინაარსობრივად მრავალფეროვანი გახადოს პიროვნების ქცევა. ამ

მიმართულებით მნიშვნელოვანია აღსაზრდელის თვით-შემეცნებაზე ზრუნვაც, რომელიც პიროვნებას სულიერი აღზრდის კუთხით ემოციურ დონეზე გაათავისებინებს საკუთარ ადამიანურ მისიას და პოზიტიურად განაწყობს მას საზოგადოებრივი სასარგებლო საქმიანობისადმი.

გამოყენებული ლიტერატურა:

- **ბიბილეიშვილი ი.**, პედაგოგიკის თეორიისა და ისტორიის საკითხები, ბათუმი, 2011
- **ვასაძე ნ.**, პედაგოგიკა, თბილისი, 2000
- **ილია II**, ეპისტოლენი, თბილისი, 2012
- **კვანტალიანი გ.**, რელიგიური აღზრდის პრობლემა კლასიკურ პედაგოგიკურ მემკვიდრეობაში, თბილისი, 1990
- **კომენსკი ი.**, დიდი დიდაქტიკა, თბილისი, 1975
- **ცუცქირიძე ზ.**, ლექციების კურსი პედაგოგიკაში, პირველი ნაწილი, თბილისი 1997

.....

ეთნოლოგიური კვლევების ისტორიიდან აჭარაში

აბსტრაქტი: წინამდებარე ნაშრომი ეძღვნება ეთნოლოგიური კვლევების ისტორიის შესწავლას აჭარაში, სხვადასხვა სამეცნიერო დაწესებულებების ეთნოლოგიურ სამეცნიერო-კვლევით მუშაობას, ქართველი და უცხოელი მოგზაურ-მკვლევარების ღვაწლს აჭარის ტრადიციული ყოფის შესწავლაში, სხვადასხვა თაობის მეცნიერთა გამოკვლევებს აჭარის ეთნოგრაფიული წარსულის შესახებ. აჭარაში ჩატარებულ მრავალრიცხოვან ეთნოლოგიურ ექსპედიციებს და ამ მუშაობის შედეგად დაგროვილ ფასდაუდებელ საველე-ეთნოგრაფიულ მასალას.

ეთნოლოგიური კვლევების ისტორია აჭარაში ისტორიისა და ეთნოლოგიის ერთ-ერთი აქტუალური და ნაკლებად შესწავლილი პრობლემათაგანია, ვინაიდან ამ მხრივ ერთად შეკრებილი ცნობები და ნაშრომი აჭარაში ეთნოლოგიური კვლევების ისტორიაზე არ არის გამოცემული.

აჭარა თავისი გეოგრაფიული მდებარეობის გამო მნიშვნელოვან როლს ასრულებდა საქართველოს პოლიტიკურ, ეკონომიკურ თუ კულტურულ ურთიერთობაში. ოსმალთა სამასწლიანმა ბატონობამ ვერ შეძლო ამოეძირკვა აჭარაში ქართული ტრადიციები, ყოფა და მემკვიდრეობა, რასაც ადასტურებს ამ პერიოდში არსებული ეთნოგრაფიული მონაცემები, რომლის შეგროვებაც, მიუხედავად დიდი დაბრკოლებისა,

¹ დოქტორანტი, ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომელი / PhD student, Researcher at Niko Berdzenishvili Institute of Batumi Shota Rustaveli State University

მაინც მოახერხეს ქართველმა და უცხოელმა მოგზაურებმა.

წლების განმავლობაში ჩატარებული ეთნოლოგიური კვლევითი სამუშაოებით აჭარაში შეიქმნა მდიდარი სამეცნიერო მემკვიდრეობა, თუმცა მთელი რიგი საკითხები, ჯერ კიდევ ნაწილობრივად დამუშავებული ან შეუსწავლელია. ამიტომ, აჭარაში მიმდინარე ეთნოლოგიური სამეცნიერო კვლევა-ძიების პარალელურად, ვფიქრობთ, აუცილებელია შეიკრიბოს და გაანალიზდეს წარსულის გამოცდილება და ამაზე დაყრდნობით დაისახოს და წარიმართოს შემდგომი ეთნოლოგიური კვლევები. სწორედ ამ მიმართულებით მუშაობაში გვინდა შევიტანოთ ჩვენი წვლილი წინამდებარე სამაგისტრო ნაშრომით.

საკვანძო სიტყვები: აჭარა; 1933 წლის ეთნოლოგიური ექსპედიცია; მოგზაურები აჭარიდან.

From the History of Ethnological Studies in Ajara

Abstract: The Presented work deals with the study of the history of ethnological research in Ajara, the ethnological scientific-research work of various scientific institutions, the achievements of Georgian and foreign travelers-researchers in the study of the traditional presence of Ajara, the research of different generations of scientists about the ethnographic past of Ajara. Numerous ethnographic expeditions were carried out in Ajara, and valuable ethnographic data was gathered as a result of this work.

The History of Ethnological studies in Ajara is one of the actual and less studied problems of history and ethnology, the collected reports and work on the history of ethnological studies in Ajara have not been published.

Due to its geographical location, Ajara played a significant

role in the political, economic, and cultural relations of Georgia. The three-hundred-year rule of the Ottomans was not able to uproot the Georgian traditions, presence, and heritage in Ajara, which is confirmed by the ethnographic data available in this period, which Georgian and foreign travelers managed to collect, despite great obstacles.

A rich scientific heritage has been created in Ajara through the years of ethnological research work, although several subjects are still partially worked out or unexplored. Therefore, in parallel with the ongoing ethnological scientific research in Ajara, we think it is necessary to gather and analyze the experience, and based on this, plan and conduct further ethnological research. We want to make our contribution to work in this direction with the presented master's thesis.

Key words: Ajara; Ethnological expedition in 1933; Researchers from Ajara.



საერთო ქართულ ეთნოკულტურულ ღირებულებათა შექმნაში თავისი განსაკუთრებული და გამორჩეული წვლილი შეიტანა საქართველოს თითოეულმა კუთხემ, ამის კონკრეტულ და თვალსაჩინო მაგალითს იძლევა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ყოველმხრივ დაწინაურებული რეგიონი აჭარა. იგი ამ როლს ყველა ეპოქაში ინარჩუნებდა.

აჭარის მდიდარი ეთნოგრაფიული მემკვიდრეობა ოდითგან იქცევა მკვლევართა ყურადღებას და ეთნოლოგიურ კვლევებს აჭარაში ხანგრძლივი ისტორია აქვს.

აჭარის სხვადასხვა ხეობებსა და სოფლებში წლების მანძილზე იკრიბებოდა ტრადიციული და თანამედროვე ყოფის ამსახველი მასალები, შედეგად აჭარის ეთნოგრაფიული

კვლევა-ძიების დარგში საკმაოდ მდიდარი გამოცდილება დაგროვდა. მიუხედავად იმისა, რომ პირველი ცნობები აჭარის ეთნოგრაფიული ყოფის შესახებ ჯერ კიდევ მე-19 საუკუნის მოგზაურ-მკვლევართა ჩანაწერებმა შემოგვინახა, სისტემატიზებული კვლევა ამ მიმართულებით ინტენსიურად დაიწყო ბათუმის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში ეთნოგრაფიის განყოფილების დაარსების დღიდან (1958 წელი).

გამოცემულია მონოგრაფიები ცალკეულ საკითხებზე, არაერთი სამეცნიერო სტატია დაიბეჭდა, მაგრამ თავად ეთნოლოგიური კვლევების ისტორია ნაკლებადაა შესწავლილი.

სტატიაში შევეცდებით აჭარის შესახებ ქართველ და უცხოელ მოგზაურთა ნაშრომებში შემონახული ცნობების, ეთნოგრაფიული ექსპედიციების შედეგად შეკრებილი მდიდარი ეთნოგრაფიული მასალების, სამეცნიერო კრებულებისა თუ ცალკეულ ავტორთა ნაშრომების ანალიზის გზით თვალი გავადევნოთ აჭარის ეთნოლოგიური კვლევის უწყვეტ ჯაჭვს, წარმოვაჩინოთ მდიდარი მეცნიერული მემკვიდრეობა.

ქართული ეთნოგრაფიის ჩამოყალიბების ფესვები ჯერ კიდევ V საუკუნეში უნდა ვეძიოთ, იაკობ ხუცესის "შუშანიკის წამება" - რომელიც გამოირჩევა ეთნოლოგიური ცნობების სიუხვით. XVIII საუკუნეში ვახუშტი ბატონიშვილმა პირველად მეცნიერულად აღწერა ქართველი ხალხის ზნე-ჩვეულებები, ისტორიულ-ეთნოლოგიური მხარეები, ტრადიციები და ა. შ.

XIX საუკუნეში გააქტიურდა ეთნოლოგიური კვლევა-ძიებანი, განსაკუთრებით ილია ჭავჭავაძის მოღვაწეობის დროს.

ილია იყო პირველი, რომელმაც გამოვიდა ინიციატივით, რომ შედგენილიყო ადამიანთა გარკვეული ჯგუფი, რომლებიც გაემგზავრებოდნენ საქართველოს ცალკეულ კუთხე-

ებში და შეაგროვებდნენ ეთნოლოგიურ ცნობებს, შეიძლება ითქვას რომ მისი ინიციატივით განხორციელდა პირველი ეთნოლოგიური ექსპედიცია, რომლის შემადგენლობაში იყვნენ: ალექსანდრე ყაზბეგი, ნიკო ხიზანიშვილი, ვაჟა-ფშაველა, ნიკოლოზ აბაზაძე დ ა. შ. (თოფჩიშვილი, 2018)

ერთ-ერთი განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ივანე ჯავახიშვილს. ივანე ჯავახიშვილი ეთნოლოგიური მასალების შეკრებისას იყენებდა მის მიერ შემუშავებულ მეთოდოლოგიას. მისი კვლევის ერთ-ერთ საგანს ქართველი ხალხის სამეურნეო ყოფა წარმოადგენდა, ასევე გამოჰყო მდიდარი ტერმინოლოგია ამ სფეროში. (თოფჩიშვილი, 2018)

საქართველოში ეთნოგრაფიული მეცნიერების საბოლოოდ ჩამოყალიბებისათვის ივანე ჯავახიშვილი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა საველე კვლევა-ძიების ფართოდ გაშლას საქართველოს ყველა კუთხეში და ამ საქმიანობაში ახალგაზრდა კადრების ჩაბმას.

საქართველოში ეთნოლოგიის განვითარების საქმეში უდიდესი როლი შეასრულა გიორგი ჩიტაიამ, გიორგი ჩიტაია ხშირად აღნიშნავდა რომ მისი პროფესია მას საშუალებას აძლევდა რომ მთელი საქართველო შემოეცლო, ეთნოლოგიური ექსპედიციის დაწყებამდე ჩიტაია განსაკუთრებულად ემზადებოდა, 1 წლით ადრე ჰქონდა დაგეგმილი ეთნოლოგიური ექსპედიციის ჩატარების გეგმა-გრაფიკი.

აჭარის საფუძვლიანი ეთნოლოგიური პორტრეტის წარმოჩენა შეუძლებელი იქნებოდა თუ გვერდს ავუვლიდით უცხოელ მოგზაურებს, რომლებმაც შემოგვინახეს მნიშვნელოვანი ცნობები აჭარის ყოფისა და კულტურის შესახებ, ფრანგი მოგზაურის ჟან შარდენის "მოგზაურობა საქართველოში", ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წყაროა საქართველოს ისტორიის მკვლევარებისთვის, მოგზაური საქართველოში 1672

წელს შემოდის, იგი გვაწვდის მცირე, მაგრამ საინტერესო ცნობებებს აჭარაზე, უპირატესად გონიოში მოგზაურობის შესახებ. (კახიძე, 2010).

ევგენი ვეიდენბაუმი, იმ რუს მოგზაურთა რიგს ეკუთვნის, რომლებმაც აჭარაში მისი გათავისუფლების პირველივე წელს იმოგზაურეს, მისი ჩანაწერები "ბათუმიდან ართვინამდე" მნიშვნელოვანი წყაროა აჭარის შესასწავლად, იგი იკვლევდა ბათუმსა და მის შემოგარენს, მნიშვნელოვანი ცნობები დაგვიტოვა ბათუმის ნავსადგურის შესახებ. (კახიძე, 2016: 25/ვეიდენბაუმი, 2005:84)

ნორვეგიელი პროზაიკოსი კნუტ ჰამსუნი 1856 წელს მოგზაურობდა კავკასიაში, საინტერესო ცნობებს გვაწვდის ბათუმის შესახებ, მის ნავსადგურზე, ლანდშაფტზე, იგი ბათუმელთა ქცევებს, ყოფას, ჩაცმულობას აღწერს.

ფრანგი მოგზაური ედუარდ ლიოზენი 1904-1905 წლებში ეწვია აჭარას, მოგზაურობის დროს გაეცნო აჭარაში სოფლის მეურნეობას, მეცხოველეობას, ლაზურ სახლებს, პატარა ბაზრებს, საუბრობს ლაზების ყოფა-ცხოვრებაზე, ვაჭრობაზე, აჭარელთა სტუმართმოყვარეობაზე და ა. შ.

აჭარის, როგორც ეთნოლოგიური კუთხის შესწავლაში დიდი წვლილი მიუძღვის დიმიტრი ბაქრაძესა და გიორგი ყაზბეგს, ბაქრაძე აჭარასა და გურიაში 1873 წელს მოგზაურობდა, ყაზბეგმა კი აჭარაში ერთი წლის შემდეგ იმოგზაურა, მათ მეტად სახიფათო პერიოდში მოუწიათ მოგზაურობა აჭარაში, რადგან თურქეთის ხელისუფლების მმართველობის პერიოდში, იკრძალებოდა პოლიტიკური თუ სხვა მოტივებით შეესწავლათ აჭარა. ამიტაც აიხსნება რომ "თურქეთის საქართველო" მეცნიერებისთვის თითქმის უცნობი იყო. ამდენად ამ მკვლევართა როლი საკმაოდ დიდია იმდროინდელი აჭარის შესწავლის საკითხში, რად-

გან ფაქტობრივად პირველები იყვნენ, რომლებმაც ეთნოლოგიური თვალსაზრისით აჭარაში იმოგზაურეს.

მეტად საინტერესო იყო თედო სახოკიას მოგზაურობა აჭარაში, ამ პერიოდში აჭარა ახალად იყო გათავისუფლებული ოსმალებისგან, მან შეისწავლა აჭარის სტუმართმასპინძლობის ტრადიციები, აჭარელი გლეხისა და წარჩინებულის ყოფა, სამეურნეო და საცხოვრებელი ნაგებობები, რწმენა-წარმოდგენები და ასევე აჭარული ყოფის ცალკეული საკითხები. (სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ეთნოლოგიის პრობლემები, 2009-2010:43)

XX საუკუნის 20-იანი წლებიდან იწყება დაინტერესება აჭარის მხარეთმცოდნეობითი მასალებით. აჭარის ეთნოგრაფიის მეცნიერული შესწავლა დაიწყო 1929 წელს ბათუმში დაარსებულ მხარეთმცოდნეობის სექციაში, რომლის ბაზაზეც 1930 წელს დაარსდა აჭარის სამეცნიერო-მხარეთმცოდნეობით ბიურო. (სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიის ნარკვევები, 2012:522).

სამეცნიერო-კვლევითი მუშაობა 1939 წლიდან გაგრძელდა მხარეთმცოდნეობის მუზეუმში. დაიწყო გეგმაზომიერი ექსპედიციების მოწყობა, სავსე სამუშაოების შედეგად მოპოვებული უნიკალური მასალის დამუშავება, ექსპოზიციების მოწყობა. ასეთი მუშაობის შედეგად არა მარტო მდიდარი სამეცნიერო ფონდი შეიქმნა, არამედ არაერთი საინტერესო სამეცნიერო ნაშრომი დაიწერა. (ახვლედიანი, 1958).

აჭარაში პირველი ეთნოგრაფიული ექსპედიცია 1933 წელს განხორციელდა. აჭარის პირველ ეთნოგრაფიულ ექსპედიციაში 8 კაცი მონაწილეობდა: გიორგი ჩიტაია, ვერა ბარდაველიძე, რუსუდან ხარაძე და სხვები. ექსპედიციას ხელმძღვანელობდა ქართული ეთნოგრაფიული სკოლის

ფუძემდებელი, აკადემიკოსი გიორგი ჩიტაია, ექსპედიცია თვენახევრის მანძილზე გრძელდებოდა. ექსპედიციამ მოიარა ხულოს, ღორჯომის, სხალთა-ხიხაძირის, ჭვანის, მერი-სის ხეობათა 30-მდე სოფელი. ეწვია, აგრეთვე, გოდერძის უღელტეხილის, ბეშუმის, სარიჩაირის, ზოტიყელის, სოფელ დიდაჭარის ალპური სამოვრების ზონას. (ჩიტაია, 1991).

ექსპედიციის პერიოდში შეიკრიბა მეტად საინტერესო და მრავალფეროვანი ეთნოგრაფიული, ფოლკლორულ-დიალექტოლოგიური, ლექსიკური, ფოტო და სხვა სახის მასალა, რომლებშიც ასახულია იმდროინდელი აჭარის მოსახლეობის ტრადიციული და თანამედროვე სამეურნეო ცხოვრება, მატერიალური და სულიერი კულტურის საკითხები, სოფლად დამკვიდრებული ახალი ცხოვრების თავისებურებანი და ა. შ.

1935 წელს ივანე ჯავახიშვილის ინიციატივით ჩატარდა პირველი გაერთიანებული სამეცნიერო ექსპედიცია, საქართველოში შიდა მრეწველობის და ხელოსნობის ისტორიის შესასწავლად.

ექსპედიცია 23 ადამიანისგან შედგებოდა, იკვლევდნენ საქართველოს სხვადასხვა კუთხეებს, მათ შორის აჭარასაც. ექსპედიცია მუშაობდა 2 თვის მანძილზე, ამ პერიოდის განმავლობაში შეკრიბეს 6000 მდე ხელნაწერი მასალა.

XX საუკუნის II ნახევრამდე აჭარის ეთნოგრაფიული კვლევა ეპიზოდურ ხასიათს ატარებდა, მოგვიანებით კი ნიკო ბერძენიშვილის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის დაარსების დღიდან გააქტიურდა აჭარისა და სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს მეზობელი და სხვა ისტორიულ-ეთნოლოგიური რეგიონების ფართო მეცნიერულ შესწავლა.

1958-1968 წლებში - ეთნოგრაფიული კვლევა-ძიების პირველ ათწლეულში შეისწავლებოდა აჭარის ტრადიციული და თანამედროვე ყოფისა და კულტურის საკითხები, რაც

იმ პერიოდისათვის საქართველოს ეთნოგრაფიულ კვლევა-ძიებაში ერთ-ერთ უმთავრეს პრობლემას წარმოადგენდა.

1958-1969 წლებში საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოლოგიის სათანადო განყოფილებასთან მუშაობა მიმდინარეობდა 4 მიმართულებით: სოფლის სტრუქტურა, მოსახლეობის შემადგენლობა, მისი მეურნეობის საფუძვლები, კულტურა და ყოფა.

1958 წლიდან 1973 წლამდე აჭარის სოფლის მოსახლეობის, კულტურისა და ყოფის შესწავლა ხდებოდა ხეობების მიხედვით, რათა შესაძლებელი ყოფილიყო ხეობების ზედა, შუა და ქვედა სოფლების კულტურისა და ყოფის შედარებითი შესწავლა და ამ შედეგების ძველთა დაპირისპირებით დასკვნების გამოტანა.

1969-1979 წლები - ეთნოგრაფიული კვლევა-ძიება გაფართოვდა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს მასშტაბით და შეისწავლებოდა აჭარის მომიჯნავე სამხრეთ-დასავლეთ საქართველოსა და სხვა რეგიონების ყოფისა და კულტურის საკითხები.

1974 წელს ჩატარდა სავსე ეთნოგრაფიული, ფოლკლორული და არქეოლოგიური ექსპედიცია სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე, რის შედეგადაც გამოიცა დარგობრივი კრებულები არქეოლოგიისა და ეთნოლოგიაშიც. ექსპედიციის დროს შეკრებილი მასალების საფუძველზე შესწავლილ იქნა სხვადასხვა საკითხები, როგორცაა: ადათობრივი სამართალი აჭარაში, ჩვეულებითი სამართლის ინსტიტუტი, დანაშაულის ჩადენისას სხვადასხვა დასჯის ხერხები და ა. შ.

შუამთობის პერიოდში აჭარის მასშტაბით ჩატარდა ორი ექსპედიცია 1976 და 1977 წლებში, ამ პერიოდის განმავლო-

ბაში ეთნოგრაფიული მასალები შეკრებილ იქნა გოდერძისა და ბეშუმის ზონაში. (სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს მოსახლეობის კულტურისა და ყოფის საკითხები, 1978:7)

ეთნოლოგიური ექსპედიციების პერიოდში მეცნიერთანამშრომლები იკვლევდნენ აჭარის მეურნეობის ცალკეულ საკითხებს, მნიშვნელოვანი ცნობები აქვს მოპოვებული ნოდარ კახიძეს ცეცხლსასროლი იარაღების დამზადების ისტორიაზე აჭარაში, შესწავლილია აჭარაში იარაღის დამზადების კერები, გაანალიზებულია მისი დამზადების მიზნები და ტექნოლოგია, ხელოსნობის დარგები, კერამიკულ ნაკეთობები, სხვადასხვა ნაწარმის დამზადების ტექნოლოგია. (კახიძე, საკითხები, 1974).

საინტერესო ეთნოგრაფიული მასალები შეაგროვა ჯემალ ვარშალომიძემ ხის ორნამენტის ტექნოლოგიაზე, შესწავლილია ხეზე კვეთის ხალხური ტრადიციები ქვემო აჭარაში, ქედის რაიონის მაგალითზე, ორნამენტის სახეობა საკულტო ნაგებობებსა თუ საცხოვრებელ სახლებზე, ავეჯზე, დეკორატიული ნაქარგებისა და ქსოვილების შესახებ საუბრობს ქსოვისა და ქარგვის ტრადიციაზე აჭარაში. (საკითხები, 1975:63).

აჭარის მოსახლეობის ჩაცმულობა, ტანსაცმელი, კულინარია წარმოადგენდა იზოლდა სამსონიას კვლევის საგანს, აღწერილი აქვს აჭარელი ქალისა და მამაკაცის ჩაცმულობა, ტრადიციული სამოსი, აჭარული ჩოხა-შალი თავისი შემადგენლობით. (საკითხები, 1975).

აჭარული ოჯახის შესწავლის თვალსაზრისით საინტერესო კვლევები აქვს თეიმურაზ აჩუგბას, რომელმაც შეისწავლა ზემო აჭარის მაგალითზე ოჯახის სტრუქტურა, მისი ეკონომიკური საფუძვლები, ოჯახის ტიპები.

ავტორმა შეისწავლა ასევე ქალის როლი, მის მოვალეობა, რომ მას აქვს უდიდესი როლი შვილისა და შვილიშვილების

აღზრდის საკითხში, რიგ ოჯახებში ქალი არის ოჯახის წინამძღოლი. (საკითხები, 1983).

საქართველოს განათლების სამინისტროსა და ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის თაოსნობით 2007 წლიდან გამოიცემოდა "სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ეთნოლოგიის პრობლემები".

ეთნოლოგიური მონაცემების საფუძველზე შესწავლილია საცხოვრებელი და სამეურნეო ნაგებობები, მათი სტრუქტურა და განლაგება, შესწავლილია ხის დამუშავების ტრადიციები აჭარაში, წარმოდგენილია აჭარის მაგალითზე ხელოსნობისა და შინამრეწველობის, მატერიალური და სულიერი კულტურის, საზოგადოებრივი ყოფის საკითხები.

2000-2001 წლებში პირველად განხორციელდა თურქეთის საზღვრებში მოქცეული ლიგანის ხეობის ქართველი მოსახლეობის ეთნოგრაფიული შესწავლა. (მაღაყმაძე, 2008).

2007 წლიდან გამოიცემოდა ფუნდამენტალური ნაშრომი „სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ეთნოლოგიის პრობლემები“.

2009 წელს, აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს დაკვეთით, მომზადდა და ათასიანი ტირაჟით გამოიცა ქართულ და ინგლისურ ენებზე ფოტოალბომი „აჭარა“.

2013-2018 წლებში განყოფილების ეთნოლოგთა ჯგუფი საექსპედიციო მასალებს კრებდა, აგრეთვე, თურქეთის რესპუბლიკაში მოქცეულ ქართველებით დასახლებულ სხვა რაიონებში. საექსპედიციო მასალების შედეგები დაბეჭდილია სხვადასხვა გამოცემებში.

ამრიგად, აჭარის ეთნოლოგიურ შესწავლას თითქმის საუკუნე ნახევრის ისტორია აქვს. დიდი როლი მიუძღვის ქართველ და უცხოელ მკვლევარებს XIX საუკუნის მეორე

ნახევრის აჭარის ეთნოლოგიური ყოფის შესწავლაში. კვლევის დაწყება დაკავშირებულია ცნობილი ქართველი მოგზაური მკვლევარების: დიმიტრი ბაქრაძის, გიორგი ყაზ-ბეგის, ზაქარია ჭიჭინაძის, თედო სახოკიას და სხვათა სახელებთან.

აჭარის შესახებ საინტერესო ცნობები აქვთ ასევე წარმოდგენილი უცხოელ მკვლევარებს, ფრანგ და ინგლისელ მოგზაურებს, რომლებმაც ზუსტად და დეტალურად წარმოადგინეს სხვადასხვა ჩანაწერების, შთაბეჭდილებებისა თუ დღიურების სახით აჭარის ეთნოლოგიური პორტრეტი.

აჭარის ეთნოგრაფიული წარსულის სრულყოფილ შესწავლაში, წერილობით წყაროებთან ერთად, გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება საველე-ეთნოგრაფიულ მუშაობას. ამგვარი მუშაობა აჭარაში მე-20 საუკუნის 30-იან წლებში იწყება და საფუძველი ეყრება 1933 წლის ექსპედიციით. შემდგომ წლებში საექსპედიციო-შემკრებლობითი მუშაობა კიდევ უფრო ინტენსიური ხდება.

XX საუკუნის II ნახევრიდან დღემდე სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ეთნოლოგიური წარსულის, ყოფისა და კულტურის შესწავლაში უდიდესი როლი მიუძღვის აჭარის სამეცნიერო კვლევით დაწესებულებებს: ხარიტონ ახვლედიანის მუზეუმს, ნიკო ბერძენიშვილის სამეცნიერო კვლევით ინსტიტუტს, ბსუ-ს ქართველოლოგიურ ცენტრს.

გამოყენებული ლიტერატურა:

- **ახვლედიანი ხ.** აჭარის სახელმწიფო მუზეუმი. გზამკვლევი, ბათუმი, 1958
- **თოფჩიშვილი რ.** „ქართული ეთნოლოგიის სათავეებთან“, გამომცემლობა „უნივერსალი“, თბილისი 2018
- **კახიძე ნ.** აჭარა უცხოელ ავტორთა შრომებში, გამომცემლობა „ალიონი“, ბათუმი 2010
- **კახიძე ნ.** ბათუმი წარსული და თანამედროვეობა, VII , X, გამომცემლობა ბათუმის შოთა რუსთაველის უნივერსიტეტი, ბათუმი 2016
- **კახიძე ნ.** სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს მოსახლეობის კულტურისა და ყოფის საკითხები, III გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი 1974
- **მაღაყმაძე რ.** ლიგანის ხეობა, გამომცემლობა არტანუჯი, თბილისი 2008
- **სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ეთნოლოგიის პრობლემები**, III, გამომცემლობა „შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი“, 2009-2010
- **სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიის ნარკვევები.** აჭარა, IV, გამომცემლობა „ინოვაცია“, ბათუმი 2012
- **სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს მოსახლეობის კულტურისა და ყოფის საკითხები**, III, VI, X გამომცემლობა მეცნიერება, თბილისი, 1975, 1978, 1983
- ჩიტაია გ.** ჩემი ცხოვრების გზებსა და ბილიკებზე. თბილისი, 1991

.....

**ღვთისმშობლის ხატ-სახე თეიმურაზ პირველის პოემაში
„წამება ქეთევან დედოფლისა“**

აბსტრაქტი: მეჩვიდმეტე საუკუნის მეფე-პოეტის, თეიმურაზ პირველის პოემა „წამება ქეთევან დედოფლისა“ ერთ-ერთი გამორჩეული ორიგინალური ნაწარმოებია მის შემოქმედებაში, რომელშიც ყველაზე მეტად აისახა მეფე-პოეტის ეროვნული და პირადი ტკივილები, ნაკარნახევი თეიმურაზ პირველის ეპოქის მძიმე ისტორიული ვითარებით, რამაც წარმოშვა განსხვავებული მხატვრული აზროვნება რელიგიური პრობლემატიკით დატვირთული.

საღვთისმეტყველო საკითხებიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია ღვთისმშობლის ხატ-სახის წარმოჩენა, რომელსაც მნიშვნელოვანი ადგილი განეკუთვნება თეიმურაზ პირველის შემოქმედებაში და მომეტებულად პოემაში „წამება ქეთევან დედოფლისა“. მასში ავტორმა ღვთისმშობლის ხატ-სახე დედის მოწამებობრივი ღვაწლის გადმოცემისას წარმოაჩინა, ალბათ, იმიტომ, რომ ქეთევანი დედოფალი იყო და მნიშვნელოვანი მისია ჰქონდა დაკისრებული ქვეყნის და ერის წინაშე. ჩემი აზრით, თეიმურაზ პირველმა დედის სახეში ღვთისმშობლის მონაცვლეობა დაინახა, ამიტომაც ასე მეტყველად და შთამბეჭდავად წარმოაჩინა ქეთევან დედოფლის მხატვრული სახე, რასაც მოწმობს პოემის არაერთი სტრიქონი და მთლიანად მისი სათქმელი.

1 ფილოლოგიის დოქტორი, სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი / PhD in Philology, Associate Professor at Samtskhe-Javakheti State University

ქეთევან დედოფალი ქვეყნის დაცვისათვის ნებაყოფლობით მიდის სპარსეთში, შორს სამშობლოსაგან, ღვთისმშობლის კალთას დამორებული, მაგრამ ეს ნაბიჯი სწორედ ღვთისმშობლის მისიით იტვირთება და უცხო, ბოროტ გარემო სივრცეში დედოფალი ღვთისმშობლის დარად ატარებს იმ მფარველ კალთას, რომელმაც უნდა დაიტიოს იქ მყოფ, და არა მარტო, მთელი ერის, საქართველოს მფარველობა. ეს შორეული გზა – სამშობლო = ღვთისმშობელი-უცხო გარემო – მისთვის მსხვერპლად შეწირვის ტოლფასად აღიქმება.

მეფე-პოეტი ღვთისმშობლის ხატ-სახეს ქეთევან დედოფლის ისტორიულ მისიასთან აკავშირებს, დედოფლის ტანჯულ, მოწამეობრივ ცხოვრებაში აისახა და გაცოცხლდა ღვთისმშობლის ძალა და მისია, რაც ახლებურად წარმოჩნდა ქეთევან წამებულის მხატვრულ სახეში...

მეფე-პოეტ თეიმურაზ პირველის პოემა „წამება ქეთევან დედოფლისა“ მძაფრი მოთქმა-გოდებაა, რომელიც უტოლდება მარიამ ღვთისმშობლის ტანჯვას, წუხილს მე-იესო ქრისტეს ჯვარცმის გამო. ეს ბიბლიური სულისკვეთება წითელი ხაზივით გასდევს პოემას, რომელშიც ღვთისმშობლის მონაცვლე ქეთევან დედოფალი და მისი ტკივილების აღმწერი და გამზიარებელი მეფე-პოეტი იმავე ტანჯვით არიან აღვსილი, იმოსებიან ღვთისმშობლის საფარველით და მათი განცდები გოდების მსგავსად გაისმის მთელი პოემის მანძილზე. ღვთისმშობლის ხატ-სახის გააზრებით ავტორს ადამიანი უდროობაში გადაჰყავს და უნერგავს ერთმთლიანობას ღმერთთან და ღვთისმშობელთან, რომელიც არის სასოების და მარადსიცოცხლის საფუძველი.

საკვანძო სიტყვები: თეიმურაზ პირველი, ქეთევან დედოფალი, წამება, ღვთისმშობელი.

The Image of the Mother of God in Teimuraz the First's Poem "Martyrdom of Queen Ketevan"

Abstract: The 17th century king-poet, Teimuraz I's poem "The Martyrdom of Ketevan Dedofli" is one of the outstanding original works in his work, which most reflected the national and personal pains of the king-poet, dictated by the difficult historical situation of the era of Teimuraz I, which gave rise to a different artistic thinking with religious issues. loaded.

Among the theological issues, the representation of the image of the Mother of God is particularly noteworthy, which has an important place in the works of Teimuraz the First and especially in the poem "The Martyrdom of Queen Ketevan". In it, the author presented the image of the Mother of God while conveying her mother's martyrdom, probably because Ketevani was the queen and had an important mission assigned to the country and the nation. In my opinion, Teimuraz the first saw the alterity of the Mother of God in his mother's face, that's why he so eloquently and impressively presented the artistic face of Queen Ketevan, which is evidenced by many lines of the poem and its entire content.

Queen Ketevan voluntarily goes to Persia, far from her motherland, away from the Mother of God's lap, to protect the country, but this step is loaded with the Mother of God's mission, and in a foreign, evil environment, the Queen carries the protective lap of the Mother of God, which should mourn the entire nation of Georgia, who is there, and not only Patronage. This distant road - Motherland = Mother of God - foreign environment - is perceived as a sacrifice for him.

The king-poet connects the image of the Mother of God with the historical mission of the Ketevan queen, the power and mission

of the Mother of God was reflected and revived in the suffering and martyred life of the queen, which appeared in a new way in the artistic face of the Ketevan martyr...

The poem of the king-poet Teimuraz the First "Martyrdom of the Ketevan Queen" is a strong recitation-lamentation, which is equal to the suffering of the Virgin Mary, the worry due to the crucifixion of Jesus Christ. This biblical spirit runs through the poem like a red line, in which the queen of Ketevan, the replacement of the Virgin Mary, and the king-poet, who describes and shares her pains, are filled with the same suffering, are covered by the veil of the Virgin Mary, and their feelings are heard like lamentations throughout the poem. By understanding the image of the Mother of God, the author transports a person to timelessness and inculcates oneness with God and the Mother of God, which is the basis of immortality and eternal life.

The topic is relevant because it presents the image of the Mother of God based on the understanding of a historical person.

The scientific novelty lies in the fact that the icon of the Mother of God appears on the example of a work of the secular genre.

Key words: Teimuraz the First, Queen Ketevan, torture, Virgin Mary.



მეჭვიდმეტე საუკუნის მეფე-პოეტის, თეიმურაზ პირველის პოემა „წამება ქეთევან დედოფლისა“ ერთ-ერთი გამოჩენილი ორიგინალური ნაწარმოებია მის შემოქმედებაში, რომელშიც ყველაზე მეტად აისახა მეფე-პოეტის ეროვნული და პირადი ტკივილები, ნაკარნახევი თეიმურაზ პირველის ეპოქის მძიმე ისტორიული ვითარებით, რამაც წარმოშვა

განსხვავებული მხატვრული აზროვნება რელიგიური პრობლემეტიკით დატვირთული.

ქართული მხატვრული აზროვნება ხშირად მიმართავს ღვთისმშობლის ხატ-სახის გააზრებას, რომლითაც თვალ-საჩინოდება რთული მისტიკური პლანი, ის, რაც გონებისათვის მიუწვდომელია, მაგრამ ადამიანი ეზიარება მის მადლმოსილ მფარველ კალთას, უნერგავს უძლეველ ძალას და რწმენას სიყვარულისას. „სწორედ უფლისაგან მომდინარე სიყვარულის წყალობით ხდება ღვთისმშობლის სახესთან ზიარება, შერწყმა და გათავისება იმისა, რომ ის არის მთავარი, რამაც თითოეული ადამიანი ჩაახედა საკუთარი სულის სიღრმეში დასადგურებულ ამოუცნობ ტკივილებში, გაააზრებინა იგი და ამით აზიარა სულიერებას, რომელიც არის მარადიული, დაუსრულებელი და დაუსაზღვრელი“ (ბეთხოშვილი, 2022: 177).

საღვთისმეტყველო საკითხებიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია ღვთისმშობლის ხატ-სახის წარმოჩენა, რომელსაც მნიშვნელოვანი ადგილი განეკუთვნება თეიმურაზ პირველის შემოქმედებაში და მომეტებულად პოემაში „წამება ქეთევან დედოფლისა“. მასში ავტორმა ღვთისმშობლის ხატ-სახე დედის მოწამეობრივი ღვაწლის გადმოცემისას წარმოაჩინა, ალბათ, იმიტომ, რომ ქეთევანი დედოფალი იყო და მნიშვნელოვანი მისია ჰქონდა დაკისრებული ქვეყნის და ერის წინაშე. ჩემი აზრით, თეიმურაზ პირველმა დედის სახეში ღვთისმშობლის მონაცვლეობა დაინახა, ამიტომაც ასე მეტყველად და შთამბეჭდავად წარმოაჩინა ქეთევან დედოფლის მხატვრული სახე, რასაც მოწმობს პოემის სტრიქონები და მთლიანად მისი სათქმელი.

ქეთევან დედოფალი ქვეყნის დაცვისათვის ნებაყოფლობით მიდის სპარსეთში, შორს სამშობლოსაგან, ღვთის-

მშობლის კალთას დაშორებული, მაგრამ ეს ნაბიჯი სწორედ ღვთისმშობლის მისიით იტვირთება და უცხო, ბოროტ, არაქრისტიანულ გარემო სივრცეში დედოფალი ღვთისმშობლის დარად ატარებს იმ მფარველ კალთას, რომელმაც უნდა დაიტიოს იქ მყოფ, და არა მარტო, მთელი ერის, საქართველოს მფარველობა. ეს შორეული გზა – სამშობლო = ღვთისმშობელი-უცხო გარემო – მისთვის მსხვერპლად შეწირვის ტოლფასად აღიქმება.

მეფე-პოეტი ღვთისმშობლის ხატ-სახეს ქეთევან დედოფლის ისტორიულ მისიასთან აკავშირებს, დედოფლის ტანჯულ, მოწამეობრივ ცხოვრებაში ასახა და გააცოცხლა ღვთისმშობლის ძალა და მისია, რაც ახლებურად წარმოჩნდა ქეთევან წამებულის მხატვრულ სახეში. ქეთევან დედოფალი უცხო მიწაზე ღვთისმშობლის მფარველ კალთას ტვირთულობს, რითაც განიღმრთობა, ღმერთშემოსილებას მიიღებს და „ახალი“ მოწამეობრივი ღვაწლით დასახავს ადამიანის ხსნის მარადიულ გზას. უცხო, არაქრისტიანულ, ტყვედყოფნის სივრცეში ცდილობს ღვთისშემეცნების მოპოვებას; ღვთისმშობლის მისიის განმეორებით არღვევს კავშირს წუთისოფელთან და, როგორც სიკეთის შემაკრებელი, ზესკნელს ეზიარება.

ქეთევან დედოფალი ორგვარი მისიის მატარებელია: ჯერ ერთი, იგი დედა ღვთისმშობელია, რომელიც მფარველია თავისი ქვეყნის და ერისა არა მარტო საკუთარ ეროვნულ წიაღში, არამედ მეტად უცხო გარემოში, შირაზში, და, მეორე, ქეთევან დედოფალი არის „ახალი“ მოწამე, მსხვერპლი, იესო ქრისტეს წამების, მისი მსხვერპლად შეწირვის მოწილე და მოზიარე, დამმოწმებელი. ფაქტობრივად, ქეთევან წამებულის მხატვრულ სახეში ორი ხატ-სახე გაერთიანდა – ღვთისმშობლის და იესო ქრისტესი. გრიგოლ დოდორქელი

აღნიშნავს: „სასოდ აქუნდა მას წმიდად ღმრთისმშობელი და უბიწოდ შობილი ძე იგი მისი იესუ ქრისტე, და ესე იყო სასობად და ნუგეშისცემად მისი“ (დოდორქელი, 1949: 253). ასევე გრიგოლ დოდორქელის მიერ წმიდა ქეთევანისადმი მიძღვნილ ერთ-ერთ საგალობელში იკითხება: „... დაუთმენელნი სატანჯველნი თავს ისხენ სიყვარულითა ქრისტეს მეუფისათა დედათა შორის, სანატრელო წმიდაო ქეთავან, და მოიგე მისაგებელად განხრწნადთა წილ უხრწნელი“ (ქავთარია, 1977: 70).

ქეთევან დდოფალმა ღმერთთან მიმსგავსებით, იესო ქრისტეს მსგავსად ერი სიკვდილისაგან გამოიხსნა, „სიკვდილითა სიკვდილი დათრგუნა“ და ამ მისიის გვერდით დედა ღვთისმშობლის დარი მეოხებაც იტვირთა. გრიგოლ ვახვახიშვილი-დოდორქელი ქეთევან წამებულის შესახებ შექმნილ საგალობელში წერს: „უზესშთაეს მოღვაწეთა მათ დედათა ღვაწლით შემოსილი, უახოვნეს გამოსჩნდი, ყოვლად სანატრელო ქეთაონ, და დასთრგუნე ფერჯითა შენითა მოქადულობად მძლავრისა... დაგვიცვენ მოსავნი შენნი აგარიანთა მათგან მძვნვართა...“

მეორე საგალობლის მეორე ოდაში, „განძლიერდითსაში“ ვკითხულობთ: „გამოჩნდი, ყოვლად ქებულო, ახალ მოწამედ და განაშუშნე ქართველთა ერი და ძე შენი, მეფე; მხიარულ ჰყავ, რამეთუ სარწმუნოებით მოელის იგი შენ მიერ დაცვასა სამეუფოსა თვსისასა, ვითარცა გაქუს კადნიერებად ღმრთისა მიმართ“ (ქავთარია, 1977: 8).

წმიდა ქეთევანისადმი მიძღვნილ ძლისპირში, გალობად 8, ვეცნობით: „... იქსნი, წმიდაო, ჭირთაგან ერთა შენთა, დაუძინებელ, თუალ-მცუელო ძეთა შენთა, აქა ვნებათა და მუნ საუკუნეთა სამ-ნეტარო... თმენანი იგი მკველისა შენისანი, აღიწივნეს რა ძისა შენისა მიმართ, რაჟამს ტკივილთათვს

იხარებდა, მყის თანამდგომ ექმენ, ღმრთისმშობელო, ამით ქეთევან ზესთ იქმნა გვირგვინოსან“ (ქავთარია, 1977: 152).

ადრინდელ შრომებში აღნიშნული მაქვს, რომ „ქეთევან წამებულმან, სიბრძნითაღვსებულმან თავისი სიწმინდის სახლი, სადგომი შექმნა შირაზში, ტყეობის პირობებში... ამ სიწმინდით აღვსებულ სახლში დედოფლის ცხოვრება ქრისტეს სიყვარულით არის დაფარული...“ (ბეთხოშვილი, 2012: 93). სახარებაც გვიმოწმებს: „რამეთუ მოჰკუედიტ და ცხორებაჲ თქუენი დაფარულ არის ქრისტეთურთ ღმრთისა თანა“ (კოლ. 3: 3).

წმიდა ქეთევანისადმი მიძღვნილ მე-3 საგალობელში ვკითხულობთ: „... ეკლესიამან შეიმოსა პორფირი, რაჟამს სისხლითა შენითა უქსოვე მას, თმითა რა მდედრით შეჰკარი ვეშაპი იგი, ახოვანო, იდიდე რა ტკივილთაგან სანა-ტრელთა მამრებრ თავს მდები სიძისათვს შენისა... გვხსენ განსაცდელთაგან მონანი შენნი ყოვლადწმიდაო ღმრთისმშობელო, ქალწულო, რამეთუ ჩუენ ყოველნი, შემდგომად ღმრთისა, შენდა მოვივლტვით ვითარცა უძლეველისა ზღუდისა და შუამდგომელისა“ (პარაკლისი, 1999: 29-30).

თეიმურაზ პირველის პოემაში „წამება ქეთევან დედოფლისა“ წარმოჩენილი ქეთევან დედოფალი შეიძლება გავაიგიოთ ღვთისმშობელთან, რომლის მსგავსად თავზე ადგას დიდებული გვირგვინი, რომელიც ზეაღმავალ გვირგვინად გარდაისახება. გვირგვინის უპირველესი მფლობელი: „ღვთისმშობელი, მარადქალწული მარიამი, უმაღლესი ქმნილ გონიერ არსებათა შორის, შეუდარებლად აღემატება თვით უმაღლეს ანგელოსებს – ქერუბიმებსა და სერაფიმებს, ყველა წმიდა ადამიანს, რომელიც ყველა მიწიერი და ზეციური ქმნილების მფლობელი და დედოფალია“ (ბრიანჩანინოვი, 2003: 3). მეფე-პოეტი, თეიმურაზ პირველი პოემაში, დედის

წამების ფაქტის შემდეგ, აღნიშნავს ქეთევან დედოფლის განსაკუთრებულ ღვთაებრივმოსილებას:

„მას სიკვდილი ვერ მოჰკლევდა, ღვთის ტრფიალსა მინა-სათსა, და ცოცხალია, გვირგვინი აქვს, ზის ხარისხსა კიბისასა“
(77, 3-4) (თეიმურაზ პირველი, 1934: 135).

ქეთევან დედოფალი ღვთისმშობლის წიაღის მოზიარება არა მარტო ამქვეყნად, არამედ მარადიულადაც. ევროპელი მისიონერი ამბროზიო დუშ ანჟუში ჯალათების უსასტიკესი წამებით მოკლულ დედოფალზე ასე წერს: „მოკვდა დიდებული დედოფალი და წამებული ქეთევანი, რომელიც მიწიერი დედოფლიდან ციური დედოფალი გახდა“ (ტაბაღუა, 1987: 125).

„ღვთისმშობლის სახე იმდენად ტევადია და მრავლისმომცველი, რომ სიტყვაკაზმულ მწერლობაში რაც უნდა მაღალმხატვრული სიტყვით იყოს გადმოტანილი, მაინც ვერ შეიძლება სრულყოფილად მისი სახის ახსნას და გადმოცემას, მაგრამ ადამიანის გონების სულიერის მიუწვდომლობას ცოტათი მაინც ამოავსებს, სიწმინდით აღმალვებს, მადლს მოჰყვანს და იღუმალისა და მისტიურობის ირეალობას აზიარებს, რის გარეშეც თვით ამქვეყნიური ცხოვრების არსის გაცნობიერებაც შეუძლებელია, რადგან მიწიერი ყოფა განუყოფელია სულიერი ცხოვრებისაგან, რომელიც დასახა შემოქმედმა და განხორციელდა ერთარსება სამი პირის მიერ და მასთან ერთად განუყოფლად მოიაზრება, რა თქმა უნდა, მარიამ ღვთისმშობელი, მისი მარადიული ხატ-სახე“ (ბეთხოშვილი, 2022: 178).

მარიამ ღვთისმშობელი მხატვრულ აზროვნებაში სხვადასხვა სიმბოლიკით გამოიხატება: „მცენარეთა, საკუთარ სახელთა, წმინდანთა სახელებით... მათ შესახებ აღნიშნული

მაქვს ადრეულ შრომებში, ამიტომ აქ აღარ მოვიტან, დავიმოწმებ მხოლოდ რამდენიმე სიმბოლოს ძველი აღთქმიდან და სასულიერო მოაზროვნეთა შრომებიდან; ძველ აღთქმაში ღვთისმშობელი შემდეგი სიმბოლოებით იკითხება: „კუერთხი ძირისა იესესი“ (ესაია, 2, 1), „სადგური ღმრთისა იაკობისი“, „ადგილი წმიდად ყოვლად წმიდისა სიტყვსაჲ – სახლი ღმრთისაჲ“ და „ბჭე ზეცისაჲ“ (დაბ. 28: 17).

იოანე დამასკელთან ღვთისმშობელი გამოიხატება შემდეგი სიმბოლოებით: „კიზე იაკობისა“, „სახლი ღმრთისაჲ“, „მთაჲ სინაჲ“; აგრეთვე იყენებს ეპითეტებს და მეტაფორებს, მოვიტანთ რამდენიმე მათგანს: „ასული სიწმიდისაჲ“, „ასული ადამისი“, „დედა ღმრთისაჲ“, „ევამს აღმართებაჲ“, „ძეგლი საღმრთოდ სულიერი“, „დედოფალი დაბადებულთაჲ“, „სძალი რჩეული“ და მრ. სხვ., რომელიც ნათლად წარმოაჩენს ღვთისმშობლის მფარველობის იდეას, რაც კარგად არის ასახული თეიმურაზ პირველის პოემაშიც ქეთევან დედოფლის ღვთაებრივობით მოსილ მხატვრული სახით განხორციელებული. წმიდანები რომ ღვთისმშობლის ხატ-სახით არიან გაჯერებული, ამას გვიმოწმებს სასულიერო მწერლობა, სასულიერო პოეზია. დავიმოწმებ ერთ-ორ ძეგლს, მაგალითად, ღვთისმშობლის ხატ-სახე ნათლად გამოიკვეთა გიორგი მთაწმიდლის „იოანესა და ეფთჳმეს ცხოვრებაში“ და შეგვახსენებს ღვთისმშობლის მფარველობის იდეას... (ბეთხოშვილი, 2022: 180).

„ღვთისმშობელმა აღხოცა ევას მიერ დანერგილი პირველცოდვა, თავად იტვირთა ცოდვებისაგან განმარცვა, განწმენდა კაცობრიობისა, რაც განხორციელდა მისი ძე – ღმერთით, რომელიც, როგორც ღვთისმშობლის მიერ შობილი, ქალწულებრივი, უცოდველი სხეულით არის მოსილი, „ადამის ხსნაო და ევას აღდგომაო“, – წერს იოანე შავთელი

საგალობელში „გალობანი ვარძიისა ღვთისმშობლისანი“ (ლოლაშვილი, 1978: 549).

რ. სირაძის თვალსაზრისი წმინდანინოს შესახებ: „წმინდანინო იყო „დედა“ ქართლის მკვიდრთა, მათი სულიერი დედა, ალბათ, ძირითადად ესეც ღვთისმშობლის ანალოგიიდან მომდინარეობს“ (სირაძე, 1997: 106) (ბეთხოშვილი, 2022: 178), შეიძლება მივუსადაგოთ წამებულ პერსონაჟს ქეთევან დედოფალს, რომელიც, როგორც დედოფალი, სრულიად ქართველთა დედის წიაღიდან სულიერ დედად გარდაისახება ღვთისმშობლის დარად, რომელმაც უნდა დაიფაროს ერი და ქვეყანა, გამოიხსნას სატანჯველისაგან, წარწყმედისაგან და თავისი მეოხებით ერის ხელახალი გაცოცხლება დაამკვიდროს. ამ გზის აღსრულებით ქეთევან წამებული შუამავალია წუთისოფელსა და მარადიულს შორის.

იოანე დამასკელის მიერ გამოთქმული სიმბოლოები და მეტაფორები მარიამ ღვთისმშობლის შესახებ, რომელიც ზემოთ მოვიტანეთ, ანალოგს პოულობს ქეთევან დედოფლის ღვთაებრივობით აღსავსე წმინდა ცხოვრებაში, რომელიც იმ ნიშნით აღიბეჭდა, რომ მას უნდა ეტვირთა ევას ცოდვების გამოხსნა და „ტაძარი ღმრთისაჲს“ განხორციელება.

მეფე-პოეტი, თეიმურაზ პირველი პოემაში „წამება ქეთევან დედოფლისა“ ხშირად ჩივის მძიმე ხვედრის, სიცოცხლის ფათერაკობის გამო, წუთისოფელი ცოდვილი ადამიანის ცხოვრების ერთი გაბმული და შეუწელებელი წამებაა, მეტად ჭირის მომცემი, რადგან ადამიანი ცოდვილია, ამიტომ მეფე-პოეტს იმედად ღმერთი ესახება:

*„თუვინც ცოდვილმან ჩემებრივ თვალთ ცრემლი შეიწყნაროსა,
უფროსად ღმერთი ადიდოს, სხვა არვინ შეიწყნაროსა,
უხვებით მისცეს გლახაკთა, საუნჯე შეიწყნაროსა.*

და უკმოერიდოს სოფელსა, არად არ შეიწყნაროსა“ (3, 1-4)
(თეიმურაზ პირველი, 1934: 126).

შემოქმედ ღმერთთან ერთად მეფე-პოეტისთვის იმედია
იესო ქრისტე და მარიამ ღვთისმშობელი, ამიტომაც თეიმურაზ
პირველი ქვეყნისა და პირადი მძიმე ხვედრის შესანელებლად
და შემწეობისათვის გულმხურვალე ვედრებით მიმართავს
იესოს და მარიამ ღვთისმშობელს:

*„იესოვ შენ გვედრები, მარიამ ქრისტეს დედაო,
აბრამ, ისაკ და იაკობ, ელია _ ამაზედაო,
ფრიადნი სევდა-ნაღველი დამერთო ზედი-ზედაო,
და იმ თქვენი ღვთის გულისათვის მიშველეთ ამაზედაო!“*

(5, 1-4) (თეიმურაზ პირველი, 1934: 126).

თეიმურაზ პირველისთვის, როგორც მეფის, სახელმწიფო
მოღვაწის და პიროვნების, ასევე როგორც წამებულის
შვილის, სევდა-ნაღველი ორგვარია – ტკივილი დედის და
ქვეყნის, რომელიც ერთიანდება და თავს იყრის წამებული
დედის მფარველ კალთაში, მარიამ ღვთისმშობლის დარად,
ამიტომაც სამება, მარიამ ღვთისმშობელი მეფე-პოეტის მიერ
მოაზრებულია არა მარტო როგორც იმედად და შემწედ
შეჭირვების ჟამს, არამედ დამხმარე ძალად სათქმელის
შესაფერისად გამოთქმისათვის:

*„ღმერთო, რომელმან განაგე საქმე სიბრძნითა შენითა,
შენ განაწესე ყოველი გული სიღრმითა თმენითა,
მზის ქეთევანის წამება ვიცოდე რა საქმენითა.*

და ღირსმყავ ცოდვილი მე ესე, რომ მათქმევინო ენითა“

(6, 1-4) (თეიმურაზ პირველი, 1934: 126).

მეფე-პოეტის მთავარი სათხოვარია, როგორც ცოდვილი,
ღირსი გახადოს ჩანაფიქრის განხორციელებისა, რომელიც
ეხება წამებული დედის – ქეთევან დედოფლის წამების
ფაქტის გადმოცემას. თეიმურაზ პირველი იმიტომ აღრმავებს

წუხილს, რომ დედის წამების მნახავი ვერ გახდა, ამ დროს მის გვერდით არ იყო და ვერ გაიზიარა მისი ტანჯვა-წამება, ამიტომ გრძნობს თავს ორმაგად ცოდვილად, რასაც შემსუბუქება და ღირსების მინიჭება სჭირდება შემოქმედებით პროცესში, რათა თვითონაც ჩათვალოს, რომ ღირსი გახდა აღწეროს წამებული დედის მოწამეობრივი ცხოვრება:

„და ღმერთო ჩემო, გვედრები, მაწერინო ხელ-უფლობით“ (7, 4) (თეიმურაზ პირველი, 1934: 126).

მარიამ ღვთისმშობლის დარად, ქეთევან დედოფალი უცხო მიწაზე, ღვთისმშობლის მფარველ კალთას დაშორებული, შორეულ შირაზში განახორციელებს დაკისრებულ რთულ მისიას, „იქაც“, შორს ტვირთულობს შვილის, ერისა და ქვეყნის მფარველობას; ავტორი წერს:

*„რალას ვაგრძელებ, გაგ ზავნეს ქვეყანას შირაზისასა,
ქაჯთ უმაგრესსა ციხესა ჩასმას ვედრებდა მზისასა,
თვალთა სინათლის სანაცვლოდ, შვილებსა სჭვრეტთა მისასა,
და ეგვიპტეს ყოფნა არად ჩნდა, ზრდიდა ნაყოფსა ძისასა“ (15, 1-4) (თეიმურაზ პირველი, 1934: 127).*

კიდევ მეტიც, თვით ქეთევან დედოფალი უცხო სამკვიდრებელში არსებობას გოდების შემცველი ასეთი ფრაზებით გადმოსცემს (რაც, რა თქმა უნდა, მეფე-პოეტის აზრია, იქიდან გამომდინარე, რომ თეიმურაზ პირველმა დედის სულის მოძრაობა თავიდანვე კარგად იცის):

*„ახ, წავხე, ახ, დავიკარგე, პირსა სად მოველ ზღვისასა,
აკა, ჩავარდი ჯურღმულსა, უყსა მას უფსკრულისასა,
სახლ-სამყოფ-სამკვიდრებელსა ჩემსა არა ვარ, სხვისასა,
და ვა, ალექსანდრეს გაყრილსა, ვერ მჭვრეტსა
ლევანისასა“ (21, 1-4) (თეიმურაზ პირველი, 1934: 128).*

ქეთევან წამებული ღმერთთან, ღვთისმშობელთან სიახლოვეს და მათთან მუდმივ მყოფობას განახორციელებს

გაუწელებელი ტირილით, რომლის თანამდევნი ცრემლი გამოხატულებაა ცოდვის გაცნობიერებისა და გზა ღმერთისაკენ მიდრეკისა. თეიმურაზ პირველი წერს:

*„მოთქმისა, ტირილისაგან მოაკლდეს თვალთა ნათელი,
სიბრწყინვალე და სინათლე, აღარა ჰქონდეს ნათელი...“*²
(28, 1-2) (თეიმურაზ პირველი, 1934: 129).

როგორც მარიამ ღვთისმშობელისთვის იყო რთული საკუთარი შვილის – ძე-იესო ქრისტეს ჯვარზე გაკვრა და გამოწვეული ტკივილი (გავიხსენოთ დავით გურამიშვილის „ტირილი ღვთისმშობლისა“), ასევე განიცდება ქეთევან დედოფლისათვის შვილის დაშორება, რადგან იცის, რომ მეფე-პოეტი, თეიმურაზ პირველი ჯვარცმის ტოლფას ტკივილს განიცდის, ამიტომ შვილს, ზოგადად ერს, ქვეყანას რომ შეეწიოს, ამ მისიის აღასრულებისათვის მეტი ძალა ეძლევა უცხო, არაქრისტიანულ სივრცეში, სადაც ასევე გაუწელებლად აღასრულებს ლოცვას და მარხვას, რათა მეტად დაუახლოვდეს ღმერთს და ღმრთისმშობელს შეწევნისათვის ემშაქისაგან განსარიდებლად:

*„მას უკანის აღარ უნდის მთვარისა და მზისა ნახვა,
ხელთა ჰქონდის გაუწყვეტლად ტირილი და მუდამ ახვა.
ილოცვიდა, იმარხვიდა, მოიჭირვა რჯულის ნახვა,
და ღვაწლი გარე მოიზღუდა, ემშაქისა არ ჰყო ზრახვა“*
(22, 1-4) (თეიმურაზ პირველი, 1934: 128).

აგრეთვე ძალიან საყურადღებოა პოემის 36-ე სტროფი, სადაც ქეთევან წამებულმა საკუთარი ლოცვის³ შესანიშნავ

2 იხ.: დ. ბეთხოშვილი, ნათლის სახისმეტყველება თეიმურაზ პირველთან, წიგნში: სიკვდილ-სიცოცხლის პრობლემა ძველ ქართულ მწერლობაში (იაკობ ხუცესის „წმიდა შუშანიკის წამება“, თეიმურაზ პირველის „წამება ქეთევან დედოფლისა“), ტ. II, თბ., 2012, გვ. 49-70.

3 ლოცვის შესახებ იხ. ჩემ ნაშრომში: თეიმურაზ პირველი – „ლოცვა ქეთევან დედოფლისა“, წიგნში: სიკვდილ-სიცოცხლის პრობლემა ძველ ქართულ მწერლობაში (იაკობ ხუცესის „წმიდა შუშანიკის წამება“, თეიმურაზ პირველის „წამება ქეთევან დედოფლისა“), ტ. I, თბ., 2010, გვ. 142-153.

სტრიქონებში, რომელიც წართქვა წამების წინ, გააცხადა ღმერთთან თანაზიარობა, მისი სასწაულთმოქმედება, რადგან ის არის ქვეყნის და ზეციურობის შემქმნელიც და შემცვლელიც, ვედრებას გამოხატავს სამების, ერთარსისა და თანა-არსის წინაშე, სასოებად სახავს და მათთან ერთად ბნელისაგან გამოსახსნელად მიმართავს წამებულებსა და წმინდანებს, რომელთაგან, რასაკვირველია, გამორჩეულად გამოკვეთილია ვედრება მარიამ ღვთისმშობლისადმი; ქეთევან დედოფალი წამების წინ გამოთქმულ ლოცვაში გამოხატავს ვედრებას და თხოვნას შემოქმედი ღმერთისა და ღვთისმშობლისადმი:

*„ჰე, მეუფეო, გვედრივარ მერმესა მას აღდგომასა,
ბრძენთა შემრაცხე ქალწულთა, ღირს მყავ მარჯვენით
დგომასა.*

*იოვანე ნათლისმცემელს, ან მიმაბარე თომასა,
და დედაო მაცხოვრისაო, მიმწიე ჩემსა ნდომასა“* (41, 1-4)
(თეიმურაზ პირველი, 1934: 131).

კიდევ მეტი მორწმუნეობით მიმართავს მარიამ ღვთისმშობელს შემდეგ სტროფში:

*„ვარ ჭეშმარიტად მოსავი შენის უბიწოდ შობისა,
შობასაც პირველ ქალწულო, შემდგომად კვალად შობისა,
ანასებრივი ნაყოფი ვერამ სულდგმულმან შობისა,
და აწ შემიწყალე მორწმუნე აღდგომისა და შობისა“* (42,
1-4) (თეიმურაზ პირველი, 1934: 131).

ლოცვის სტრიქონებში გაცხადებულ ღვთისმშობლისადმი მიმართულ ვედრებაში გამოხატულია ქეთევან დედოფლის სათხოვარი, შეეწიოს დასახული მისიის აღსრულებაში; ქეთევან დედოფალი გამოთქვამს ჭეშმარიტ რწმენას მარიამ ღვთისმშობლის ძალმოსილებისა ამქვეყნადაც და კვალად შობის, ხელახალი შობის, ახალი ცხოვრების დამკვიდრებისაც, ამიტომ სასოებით მიმართავს მარიამ ღვთისმშობელს შეი-

წყალოს როგორც მორწმუნე, მეორედ შობისა და აღდგომის ჟამს; ლოცვის სტრიქონებში გამოთქმულია წუხილი აურაცხელი ცოდვების გამო:

„ჩემთა ცოდვათა სიმრავლე არ დაითვლების ენითა“

(44, 1) (თეიმურაზ პირველი, 1934: 131).

სწორედ ცოდვებია ის გზა, რომელიც დაგაფიქრებს და მიგახედებს უკეთესი გზის დასაწყისისკენ, რაც წყლულებისაგან განკურნების, ხსნის გზაა, მაგრამ ყველაზე შთამბეჭდავია სათხოვარი იმის შესახებ, რომ დაიცვას მის მსგავსად ტანჯული შვილი, როგორც მარიამ ღვთისმშობელი გამოთქვამს წუხილს თავისი ძის ჯვარცმის (რაც კაცობრიობის ცოდვებს მოიზრებს) გამო და გოდებს, ქეთევან დედოფალსაც წამების წინ აღარაფერი აწუხებს, გარდა იმისა, რომ თეიმურაზს (მისი სახით სამშობლოს) მიეცეს ძალა მტრის წინააღმდეგ და გადარჩეს ქრისტიანობა:

*„რადგან მომკლა უწყალომან, დრო იპოვა ჩემსა ზედა,
სასწაული მოავლინე ქრისტიანეთ ტყვეთა ზედა,
შვილსა ჩემსა თეიმურაზს ძლევა მიეც მტერსა ზედა,
და ღვაწლთა ჩემთა აღმწერელი ედემს დასვი ტახტსა ზედა“* (46, 1-4) (თეიმურაზ პირველი, 1934: 131).

წამების წინ, უცხო, არაქრისტიანულ გარემოში წმინდანობისთვის განმზადებული ქეთევან დედოფალი, იხსენებს და მისიანებს კვლავ გაუცოცხლებს იესო ქრისტეს წამების სცენას (სტრ. 63, 1-4), რათა მიაწიშნოს თავის გარშემომყოფ ქართველებს, რომ მიზამონ ადამის დამხსნელ იესო ქრისტეს, რომელიც ჯვარს ეცვა სწორედ კაცობრიობის ხსნისათვის. ამით ქეთევან დედოფალი თავის წამებას ამართლებს იმით, რომ ამოწმებს იესო ქრისტეს ჯვარცმას, ახალი მოწამეობრივი ღვაწლით წარმოაჩენს ჯვარცმული იესო ქრისტეს გზას; ამ გზაზე კი, მარიამ ღვთისმშობლის დარად, საკუთარ თავსაც

წარმოიდგენს, რადგან თვითონაც მიიჩნევს, რომ მისი შვილი და მისი სახით ქრისტიანობა წამების გზას გადის და მისი დაცვისათვის, იესო ქრისტეს მსგავსად, საკუთარ თავსაც მსხვერპლად გაიღებს; იესო ქრისტეს წამების სცენის გახსენება და გაცოცხლება არაა შემთხვევითი, მან უნდა გააძლიეროს და დაამლევინოს სატანჯველი; სატანჯველის დამლევა დედათა ბუნებისაგან განუყოფელია; წამების წინ:

„ახედნა, ერთი სიტყვანი მაშინლა ბრძანა ახითა:

„თქვენც იცით, ყოვლნი დედანი ვართო ერთისა სახითა,

აუგი არის კაცთათვის, რაც ჩვენ გვეწრფების ნახითა,

და მაზედა რაცა ისაჯეთ, ჰქმენით, არა ვარ ზრახითა“

(65, 1-4) (თეიმურაზ პირველი, 1934: 134).

მეფე-პოეტი, თეიმურაზ პირველი დედის წამების ღვაწლს, მის თავდადებას, მსხვერპლშეწირვას სამშობლოსა და ერის წინაშე, ასე გადმოსცემს:

„დედობრივისა ბუნებით თავს იდევ ესე ჭირები,

ჰპოვე უკვდავი ცხოვრება საცვიფრო განსაკვირვები,

მე მამაკაცი, მხნე ვაჟი ასე ამრიგად ვირები,

და ვაი, ჩემს სიმხნეს და ვახ-ვახ, შენთა ნაქმართა ძირები!“

(70, 1-4) (თეიმურაზ პირველი, 1934: 134).

თავისი ღვაწლით, მოწამეობრივი თავდადებით ქეთევან დედოფალმა ზეცის მკვიდრობა მიიღო. მეფე-პოეტის აღნიშვნით:

და „მე ვიტყვი ზეცას წასულსა, ხმელეთზე არსად არია“ (73, 4) (თეიმურაზ პირველი, 1934: 134) და დაიდგა გვირგვინი უხრწნელი მარადიული სიცოცხლის და ღვთისმშობლის მფარველობის იდეის განმახორციელებელი და განმმეორებელი.

მეფე-პოეტი, თეიმურაზ პირველის პოემა „წამება ქეთევან დედოფლისა“ მძაფრი მოთქმა-გოდებაა, რომელიც უტოლ-

დება მარიამ ღვთისმშობლის ტანჯვას, წუხილს მე-იესო ქრისტეს ჯვარცმის გამო. ეს ბიბლიური სულისკვეთება წითელი ხაზით გასდევს პოემას, რომელშიც ღვთისმშობლის მონაცვლე ქეთევან დედოფალი და მისი ტკივილების აღმწერი და გამზიარებელი მეფე-პოეტი იმავე ტანჯვით არიან აღვსილი, იმოსებიან ღვთისმშობლის საფარველით და მათი განცდები გოდების მსგავსად გაისმის მთელი პოემის მანძილზე. ღვთისმშობლის ხატ-სახის გააზრებით ავტორს ადამიანი უდროობაში გადაჰყავს და უნერგავს ერთმთლიანობას ღმერთთან და ღვთისმშობელთან, რომელიც არის სასოების და მარადსიცოცხლის საფუძველი.

მეფე-პოეტმა, თეიმურაზ პირველმა პოემაში „წამება ქეთევან დედოფლისა“ დედა-დედოფლის მხატვრული სახე მრავალმხრივად გაიაზრა, რომელთაგან აღსანიშნავია აგრეთვე მისი, როგორც დედოფლის, ასევე როგორც წამებულის მოწამეობრივი ღვაწლისა და მისი დაკავშირება ღვთისმშობლის მისიასთან, მისი ტკივილისა და ტანჯვის მოწილედ, გამზიარებლად წარმოსახა, რითაც დაახლოვა საღვთისმეტყველო სიბრძნესთან და მარიამ ღვთისმშობლის ანალოგიით, თავისი მფარველი კალთით ერი და სამშობლო ცოდვითმოსილებიდან უკვდავობისაკენ წარმართა.

გამოყენებული ლიტერატურა:

- **ახალი აღთქუმა, 2009** – ახალი აღთქუმა უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესი, დაიბეჭდა, უწმიდესისა და უნეტარესის სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის კურთხევით, საქართველოს საპატრიარქო, გამომც. „ალილო“, თბ., 2009.
- **ბიბლია, 1989** – ბიბლია, თბ., 1989.
- **ბეზარაშვილი, კული, 2000** – ბეზარაშვილი ქ., კული ბ., „მაცხოვრვანის“ გაგებისათვის ძველ ქართულ მწერლობაში, კრებ. „ლიტერატურული ძიებანი“, ტ. XXII, ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტის გამოცემა, თბ., 2000.
- **ბეთხოშვილი 2012** – ბეთხოშვილი დ., სიკვდილ-სიცოცხლის პრობლემა ძველ ქართულ მწერლობაში (იაკობ ხუცესის „წმიდა შუშანიკის წამება, თეიმურაზ პირველის „წამება ქეთევან დედოფლისა“), ტ. II, გამომც. „უნივერსალი“, თბ., 2012.
- **ბეთხოშვილი 2022** – ბეთხოშვილი დ., აკაკი წერეთლის შემოქმედების მსოფლმხედველობრივი პრობლემები, ტ. I, გამომც. „უნივერსალი“, თბ., 2022.
- **დოდორქელი 1949** – დოდორქელი გრიგოლ, „წამებად ყოვლადდიდებულისა დედოფლისა ქეთევანისა“, კრებ. „ლიტერატურული ძიებანი“, ტ. V, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, თბ., 1949.
- **ელაშვილი 2000** – ელაშვილი ქ., ღვთისმშობლის სიმბოლური სახე და ადრეული პერიოდის ქართული ჰაგიოგრაფია, კრებ. „ლიტერატურული ძიებანი“, ტ. XXII, ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტის გამოცემა, თბ., 2000.
- **თეიმურაზ პირველი 1934** – თეიმურაზ პირველი, თხზულებათა სრული კრებული, ტექსტი, გამოკვლევა, ლექსიკონი ალ. ბარამიძისა და გ. ჯაკობიას რედაქციით, ტფ., 1934.
- **ლოლაშვილი 1978** – ძველი ქართული ლიტერატურის ძეგლები, წიგნი გამოსაცემად მოამზადა, შესავალი, შენიშვნები და ლექსიკონი დაურთო ივ. ლოლაშვილმა, თბ., 1978.
- **პარაკლისი 1999** – პარაკლისი, სავედრებელი წმიდისა დიდმოწამისა საქართველოს მნათობისა კახეთის დედოფლისა

ქეთევანისა, დაიბეჭდა რუსთველ მიტროპოლიტ ათანასეს (ჩახვაშვილი) ლოცვა-კურთხევით, რუსთავი, 1999.

- **ქავთარია 1977** - ქავთარია მიხ., ძველი ქართული პოეზიის ისტორიიდან, XVII-XVIII სს., თბ., 1977.

- **სირაძე 1997** - სირაძე რ., „წმინდა ნინოს ცხოვრება“ და დასაწყისი ქართული აგიოგრაფიისა, თბ., 1997.

- **ტაბაღა 1987** - ტაბაღა ი., საქართველო ევროპის არქივებსა და წიგნსაცავებში (XIII-XX სს. I მეოთხედი), III (1628-1633 სს.), თბ., 1987.

- **ძეგლები 1963** - ძველი ქართული ჰაგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, I (V-XII), თბ., 1963.

- **ძველი მეტაფრასული კრებულები 1986** - ძველი მეტაფრასული კრებულები, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, კომენტარები და საძიებლები დაურთო ნარგიზა გოგუაძემ, „მეცნიერება“, თბ., 1986.

.....

ქრისტიანული ტერმინოლოგია ნიკო ლორთქიფანიძის შემოქმედებაში

აბსტრაქტი: ნიკო ლორთქიფანიძის სულიერი მდგომარეობა მხატვრული ფიქრის ძირითადი საგანია, რომელთაც ქართულ ფასეულობათა სისტემაში განსაკუთრებული ადგილი უკავია. ქართულმა ლიტერატურულმა უდიდესი როლი შეასრულა ჩვენი ერის ისტორიაში. ქართულ მწერლობაში ასახულია ქართველი ერის მრავალსაუკუნოვანი ისტორია და ტრადიცია. ქართველი ხალხის სულიერი კულტურის უმნიშვნელოვანეს ნაწილს ჩვენი ერის ლიტერატურული ტრადიცია წარმოადგენს. ქართველ შემოქმედთა შთაგონების წყაროს საღვთო წიგნები შეადგენდა, ამიტომაცაა ის ქართველი ერის სულიერი კულტურის ამსახველი. მასში დიდი სიცხადითაა აღბეჭდილი - ერის მრავალსაუკუნოვანი ისტორია, ჩვენი წარსული. ქართველთა ეროვნულ ხასიათს უკავშირდება წინაპართა მიერ გაკვალული გზის ერთგულება, შენარჩუნება-დაცვა, ისტორიულად ჩამოყალიბებული სინამდვილის შენარჩუნება-განმტკიცება - ეს არ არის მხოლოდ სარწმუნოებრივი დამოკიდებულება - ეს არის ქართველობის უმაღლეს საფეხურზე დაყენება.

საკვანძო სიტყვები: ნიკო ლორთქიფანიძე; სულიერი მდგომარეობა; ერის მრავალსაუკუნოვანი ისტორია.

1 ფილოლოგიის დოქტორი, საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის პროფესორი / Taliko Beridze (Batumi, Georgia) PhD in Philology, Professor at St. Tbel Abuserisdze Teaching University of Georgian Patriarchate

Christian Terminology in the Works of Niko Lortkipanidze

Abstract: Niko Lortkifanidze's spiritual condition is the main subject of artistic thought, which has a special place in the Georgian value system. Georgian literature played a great role in the history of our nation. Georgian writing reflects the centuries-old history and tradition of the Georgian nation. The most important part of the spiritual culture of the Georgian people is the literary tradition of our nation. Divine books were the source of inspiration for Georgian creators, that's why it reflects the spiritual culture of the Georgian nation. It is very clearly imprinted - the centuries-old history of the nation, our past. The national character of Georgians is related to loyalty to the path traced by their ancestors, preservation-protection, preservation-strengthening of the historically formed reality - this is not only a religious attitude - it is putting Georgians on the highest level.

Key words: Niko Lortkipanidze; spiritual condition; Centuries history of the nation.



ქართველმა საზოგადოებამ, შესანიშნავი კლასიკური მწერლობით, განსაკუთრებული წვლილი შეიტანეს საკაცობრიო კულტურის ისტორიის განმტკიცებაში. ქართულმა ლიტერატურულმა შედეგებმა უდიდესი როლი შეასრულეს ჩვენი ერის დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში. ქართულ მწერლობაშია ასახული ქართველი ერის მრავალსაუკუნოვანი ისტორია და ტრადიცია, გამომდინარე აქედან, ქართველი ხალხის სულიერი კულტურის უმნიშვნელოვანეს ნაწილს ჩვენი ერის ლიტერატურული ტრადიცია წარმოადგენს. ქართველ შემოქმედთა შთაგონების წყაროს საღვთო წიგნები შეადგენდა, ამიტომაცაა ის ქართველი ერის სულიერი კულტურის

ამსახველი. მასში დიდი სიცხადითაა აღბეჭდილი - ერის მრავალსაუკუნოვანი ისტორია, ჩვენი წარსული. ქართველთა ეროვნულ ხასიათს უკავშირდება წინაპართა მიერ გაკვალული გზის ერთგულება, შენარჩუნება-დაცვა, ისტორიულად ჩამოყალიბებული სინამდვილის შენარჩუნება-განმტკიცება - ეს არ არის მხოლოდ სარწმუნოებრივი დამოკიდებულება - ეს არის ქართველობის უმაღლეს საფეხურზე დაყენება.

საზოგადოდ, ქრისტიანული რელიგია ქართველი საზოგადოების ეროვნულ სიმბოლოს წარმოადგენს. მე-19 საუკუნის დასასრულსა და მე-20 საუკუნის დასაწყისში ქრისტიანული ელემენტები მეტ-ნაკლებად გვხვდება ქართულ ლიტერატურაში. ნიკო ლორთქიფანიძის შემოქმედებაში უხვადაა ქრისტიანული ენობრივი ერთეულები. ვთვლი, რომ მწერლის შემოქმედებაში, იდეოლოგიის როლს თამაშობს რელიგიური ერთეულების გამოყენება. მწერლის ემოციური კავშირები მთავარ ფასეულობებთან მუდამ თვალში საცემია, რომელიც მიმართულია სულიერი სისუფთავისკენ, კეთილშობილებისა და ადამიანური ურთიერთობებისაკენ. ჩვენი კვლევის მიზანია ნიკო ლორთქიფანიძის შემოქმედებაში გამოყენებული ქრისტიანული ტერმინოლოგიის გამოყოფა, გარკვეული კლასიფიკაციით მათი დაჯგუფება და მწერლის სულიერი დამოკიდებულების წარმოჩენა.

ათი მცნება - იგულისხმება „სახარების“ ათი მცნება. მცნება ზნეობრივი ხასიათის რელიგიური (ბიბლიური) გამონათქვამი (მოდღვრება): - შეასრულე ათი მცნება? - განაგრძო უფალმა დაკითხვა ... (გულ. მსჯ. გვ., 47).

ანაფორა - მღვდლის ფართო და გრძელი სამოსი: - მოიცა, მოიცა! - შემაჩერა მღვდელმა და გადაიწია ანაფორა (სამ. შაურ. გვ., 55).

ანგელოზი - მორწმუნეთა აზრით, ღვთის ზეციური მსახური. ადამიანის სახის მქონე უკვდავი ფრთოსანი არსება, რომელსაც ღმერთსა და ადამიანს შოპრის აკისრია შუამავლობა: - შენ კი შემოგველე, ჩემო ანგელოზო, - ეუბნება წელში მოხრილი დედაბერი თმახუჭუჭა შვილიშვილს (სიკვ. წამ. გვ. 42).

აღქმა - იგივეა, რაც პირობის მიცემა: -...მაგრად ჩაიკრა გულში ხელი, აღთქმა აკონდა მიცემული, დილის პირველი სიტყვით ღმერთს შევედრებოდა (მრისხ. ბატ. გვ., 95).

აღაპი - ჭირის პური (ქელები). პურის ქამა გარდაცვლილის პატივსაცემად განსვენების დღეს: - ჰო, ახლა კი გამახსენდა - კიდევ უკეთესი, ხვალ ბარელამ გადიას აღაპსაც გადავიხდი (ჟამ. სიავ. გვ., 260).

აღსარება - საიდუმლოს განდობა მღვდლისთვის (სულიერი მამისთვის). ცოდვების გამხელა: - მზე ჩავიდა. ბინდბუნდი ცამოწვა. დიდი ქალბატონი აღსარების შემდეგ სახლში ბრუნდებოდა (ჟამ. სიავ. გვ., 261).

ანაფორა - მღვდლის ზედა, ფართო და გრძელი ტანისამოსი: - მღვდლის ცოლს ანაფორის მოსხმავა მოესწრო ... ორცეცხლს შუა იჯდა გაშტერებული (ტლ.ბიჭ. გვ., 151).

ბარძიმი - ზიარებისას ღვინის შესანახი ერთგვარი ჭურჭელი: - მღვდელი ... სურით ღვინოს ასხამს ბარძიმი (მრისხ. ბატ. გვ., 96).

ბზა - მარადმწვანე დაბალი ბუჩქი: - .. ადამიანმა ბზა უწოდა ... (ზღაპ. გვ., 65).

განკითხვა - იგივეა, რაც განსჯა: - განკითხეთ საპყარი, მაგრამ, როცა მუსაიფში ჩებმებოდა იგი დინჯად ამბობდა (დიდ.ას. 33).

გუნდრუკის კმევა - ქება-დიდება, ქების შესხმა (მიძღვნა): - ქალი სევდიან თვალეზში ჩაჰყურებდა; ვაჟი კი ღმობი-

ერ და კეთილ მშვენებას გ უ ნ დ რ უ კ ს უ კ მ ე ვ დ ა (ზღაპ. გვ., 64).

განკითხვის შავბნელი დღე - ქრისტეს მეორედ მოსვლის დღეა. რელიგიურად ეს არის ხალხთა საყოველთაო გასამართლების დღე, რომლის დროსაც ყველას პასუხი მოეთხოვებათ თავ-თავისი ცოდვებისთვის, იგი შავბნელი იქნება დამნაშავეთათვის: ...- დადაგა განკითხვის შავბნელი დღე, პატარა სცენაზე გამოვიდნენ მწერლები (მწერ. ხვედრ. გვ., 90).

დაბადება - სამოციქულო წიგნი, სახარება, წმიდა მამათა ცხოვრება - ქრისტიანთა საღვთო წიგნი. დაბადება იგივე ბიბლიის ნაწილია. **ბიბლია** - ნიშნავს სიტყვასიტყვით წიგნებს, რომელიც შედგება ძველი და ახალი აღთქმის წიგნებისგან. მასში შედის თვით დაბადება, სახარება, სამოციქულო ანუ საქმე მოციქულთა, წმინდა მამათა ცხოვრება: - ... ვიცოდი, უფალო! წამიკითხავს „და ბ ა დ ე ბ ა“, შემისწავლია წმინდა სახარება, სამოციქულო, წმინდა მამათა ცხოვრება, ზეპირად ვიცი საგალობელნი და ლოცვები... (გულთ. მსაჯ. გვ., 47).

დაგმოზა - იგივეა, რაც უარყოფა: - ერთმანეთის ცეცხლის ალში კი დავმწვარვართ! - და გ ი გ მ ი ა ღმერთი? - არა! (გულთ. მსაჯ. გვ., 48).

დაყუდებული - განდეგილი, განმარტოებით მცხოვრები ბერი - მოწამეთის პირდაპირ, მდინარის გაღმა, გამოქვაბულში შეაფარა თავი მოხუცმა, და ყ უ დ ე ბ უ ლ ი ბერი ყველას მორჩილებით ეპყრობოდა (მრისხ. ბატ. გვ., 138).

დეკანოზი - ქართულ ეკლესიაში უფროს მღვდელი: - შენ გენაცვალე, ახლა დიაკვნის შვილები კი არა დ ე კ ა ნ ო ზ ი ს ქალები გვყავს რძლებად (კერ. გვ., 175).

დიაკონი - მღვდლის თანაშემწე: - მთრელი სახე მო-
თხუპნული ჰქონდა სისხლით, ცავაჩერდი ბიჭო...?! ჩვენი
დიაკონის შვილი! რამ შეიყვანა აქანეი - (სან. გვ., 35).

ზიარება - ქრისტიანული ეკლესიის წესის თანახმად
ნაკურთხი ღვინისა და სეფისკვერის ნაწილის მიღება: - ...
ზიარება მიიღო... (ყამ. სიაგ. გვ., 15)

იუდა - აღნიშნავს გამცემს, მოღალატეს. სახარების
მიხედვით, ქრისტე გასცა იუდამ: - იუდა ამ სოფელშიც
გაჩნდა. კაზაკები სოფლიდან ზევით ციხეზე ამოიყვანა (ტლ.
ბიჭ.გვ., 150).

კანდელი - არის ლამპარი: - ვარსკვლავსავითა მოსჩანდა
სამი რის სავალზე მყოფი კანდელი, ვინც წინათვე იცო-
და, მხოლოდ ის შეამჩნევდა ფერის ცვლასაც და თვით
კანდელსაც (ტლ. ბიჭ. გვ., 141).

კელაპტარი - დიდი ზომის ცვილის სანთელი: - .. ირემი
ჭირისუფლად მივიდა, დაიჩოქა, დიდხანს დააშტერდა ჟუ-
ჟუნა თავლები, ცრემლები დააფრქვია. კელაპტარივით
ჩამოქნილი რქები ზე აღაპყრო (გვ., 22).

მოსეს კვერთხი - მოსე ძვ. ებრაელთა სჯულმდებელი
და წინასწარმეტყველია, ბელადი და განმათავისეფლებელი
(ძვ.წ. XIII ს.). ბიბლიის მიხედვით მას ხელთ სასწაულმოქმედი
კვერთხი (ჯოხი) ეპყრა: - თავისუფლების სიყვარულიმოგცემს
მოსეს კვერთხს და დავითის შურდულს (მონ. გვ., 62).

კურთხევა - ჯვრის გარდასახვა. სასულიერო პირის მიერ
დალოცვა: - მოხუცი მღვდელითურთ იულონს მიეგება. -
კურთხევა, მამაო, მხიარულად მიესალმა იულონი (ყამ.
სიაგ. გვ., 242).

მკვდრეთით აღსდგომა - ქრისტე წამებიდან დამისი ხორ-
ციელი გარდაცვალებიდან მესამედღეს ისამაღლდა, რომელიც
აღინიშნება 4 აპრილიდან 8 მაისამდე პერიოდში. ქრისტე

განკაცდა და თავს იდო ჩვენი, კაცობრიობის ცოდვები. ესაა ზეიმთა ზეიმი, აღმნიშვნელი მესიის მოვლინებისა.. უდიდესი ქრისტიანული დღესასწაულია: - ქვრივი დედაკაცი თავისი გამხმარი თითებით ცას ევედრება ახლად გარდაცვლილი პირმშო შვილის მკვდრეთით აღდგომასო.. (ტლ. ბიჭ. გვ., 151).

მირონცხებული - ბერძნულია. საცხი. ფართო მნიშვნელობით ცხება. ერთ-ერთი შვიდ საიდუმლოებათაგანია. მონათლული ამ დროს სულიწმინდის სისრულის მიღებით რწმენაში განმტკიცდება: - გლეხებისგან დაწყებული მირონცხებულ მეფემდე ყველას სჭირდება ძლიერი მფარველი (ჟამ. სიაგ. გვ., 247).

მოწყალეა - თანამომეტა მიმართ გულმოწყალების გამოვლინება: - ოდიშის სხვადასხვა კუთხეში კიდევ დიდხანს ისმოდა მათხოვრის სიტყვები „მოიღეთ მოწყალეა“ (დად.ას. გვ., 32)

მონაზონი - ქალი, რომელსაც მონასტერში ასკეტური ცხოვრების აღთქმა აქვს დადებული. გამოიყენება ბერის მნიშვნელობითაც: - დაწამეს თითქოს ჯადოსნობითა და მისნობით მოეკლას აქ დიდად ნაქები მონაზონი (სიკ. წამ. გვ.44).

მღვდელი - საეკლესიო წოდება. ეკლესიის მსახური: - წაიღე ხილი იყიდე! - ღიმილით მითხრა მღვდელმა. - არა! არ მინდა. (სამ. შაურ. გვ.,55); მღვდელმა დააწყალობა სააღაპო სუფრა. მაშინვე მიესივნენ მათხოვრები და იმდენს არ ჭამდნენ, რამდენსაც საჩქაროდ იტენიდნენ ხურჯინში (ჟამ სიაგ. გვ., 270).

მამა, ძე და სული წმინდა - ღმერთი. მამა, ძე და სული წმიდა. წმიდა სამების შემადგენელი ნაწილებია. ქრისტიანული რელიგიის მიხედვით ღმერთი სამპიროვანია და აერთებს

„მამას“ (ანუ მამა ღმერთს), „მეს“ (მე ღმერთს- იგივე ქრისტეს) და „სულიწმინდას“, (რომლის მეოხებითაც ქრისტე ღვთისმშობელ მარიამს უბიწოდ ჩაესახა): - ჩემი პატივისცემა და ისიც პატიოსანის სიტყვის მოცემა?! მეტზე ნურაფერზე შეგაწუხოთ მამამ, ძემ და სულიწმინდამ (კერ. გვ. 225).

მარიამობა - მარიამ ღვთისმშობლის (იესო ქრისტეს დედის) გარდაცვალების რელიგიური დღესასწაული: - ზეგ... მართლა ზეგ ... მ ა რ ი ა მ ო ბ ა ა მეფეს წვეულება ექნება (ჟამ. სიავ. გვ., 241).

მცნება მიტევებისა - მცნება არის ზნეობრივი ხასიათის რელიგიური გამონათქვამი, სახელმძღვანელო წიგნი, რომელიც გულისხმობს პატიებას, შენდობას: - ...როცა მარჯვნივ მარტყამენ - გული ამიღელდება, - მომაგონდება მ ც ნ ე ბ ა მი ტ ე ვ ე ბ ის ა და მარცხენა მხარეს მივუშვერ (გვ. 14).

ოლარი - ქსოვილი გრძელი და ვიწრო ოქრომკერდით ნაქარგი, რომელსაც მღვდელი მოისხამს კისერზე რაიმე რიტუალის შესრულებისას: - ორს დახელოვნებულს გოგოს თარგზე გამოჰყავდათ ძვირფასი ფარჩიდან ო ლ ა რ ი (მრისხ. ბატ. გვ., 124).

პირჯვარი - მორწმუნის (ქრისტიანის) მოქმედება, როცა იგი გამოსახავს ჯვარს თითების მიხედვით შუბლზე, მკერდსა და მხრებზე: - პ ი რ ჯ ვ ა რ ი ... მიწყალე მე, უფალო, დიდითა წყალობითა შენითა! (მრისხ. ბატ. გვ., 95).

პარაკლისი - სასულიერო პირის მიერ სავედრებელი. ლოცვის გადახდა: - კათალიკოზმა პ ა რ ა კ ლ ის ი გადაიხადა სიმშვიდისთვის, სათნოებისთვის, დასწყევლა, შეაჩვენა და გადასცა ორგული და მოღალატე (ჟამ. სიავ. გვ., 254).

ჟამნი - არის ლოცვების კრებული: - ... მინახავს ასეთი მოხატული წიგნი ასეთ მშვენიერ ქაღალდზე. ყდაც საუცხოვოა. ერთი ჟ ა მ ნ ი მაქვს მხოლოდ ასეთი (მრისხ. ბატ. გვ., 131).

საკმეველი - ჰქვია სურნელოვან ფისს, რომელსაც მღვდელთმსახურების დროს აკმევენ. კმევა - საკმევლის სურნელისა ნიშნავს სურნელის დაფრქვევას მისი დაწვის შედეგად: - ფერდობს ზევით ისლით დახურული ქოხი მოჩანს... ბურულიდან ამოდის კვამლი ნაზი, თხელი ... თითქოს საკმეველია ცაში გაგზავნილი სათხოვრად (კერ. გვ., 185).

საყდარი - იგივე ეკლესია, ტაძარი: - ციხის საყდრის სამრეკლოდან მოისმა ზარის მხიარული რეკვა (ზღ. გვ. 12).

სახარება - ოთხთავი ბიბლიის ნაწილი, რომელშიც მოთხრობილია ქრისტეს მცხოვრებისა და მოძღვრების შესახებ: - მოხუცი კი ლოცულობდა ხატის წინ, განუწყვეტლივ კითხულობდა სახარებას (მრისხ. ბატ. გვ., 140).

სატანა - ეშმაკი, ჯოჯოხეთის მბრძანებელი: - მშვენიერებასა და სიამოვნებას მიეცა და სათნოება წრისტე ღმერთს (ზღაპ. გვ., 64).

ტრაპეზი - მაგიდას, სუფრას აღნიშნავს: - ... შემოსილი მღვდელი ტრაპეზზე სუროთი ღვინოს ასხამს (მრისხ. ბატ. გვ., 96).

უზენაესი - უმაღლესი, ყველაზე უფროსი. ღმერთის ეპითეტია: - განაგრძო უფალმა დაკითხვა, თუმცა ყოველივე იცოდა უზენაესმა (გულ. მსჯ. გვ., 47).

ფილონი - მღვდლის ზედა ტანისამოსი, რომელსაც იგი იცვამს მღვდელთმსახურებისას: - ამ დროსვე თავის ოთახიდან აგერ ოცი წელია გარეთ გამოუსვლელს ... ქალბატონს... გამოჰყავთ ... ფილონი (მრისხ. ბატ. გვ., 124).

ფსალმუნი - იგივეა, რაც „დავითნი“. საეკლესიო საგალობლების წიგნი, კრებული: - ნამდვილი ფსალმუნებია შედგენა შეეძლო კრუღვისა და დაცივნისაგან (კერ. გვ., 171).

ქრისტე ღმერთი - იესო ქრისტე არის ქრისტიანობის გამავრცელებელი, ფუძემდებელი, ადამიანთა მხსნელი ცოდ-

ვებისგან, „ღმერთკაცი“, „ძე ღმერთი“, რომელიც ღვთისმშობელ მარიამს უბიწოდ ჩაესახა და იშვა პალესტინაში: - სათნოება ქრისტე - ღმერთი (ზღაპ. გვ., 64).

ღვთისმშობელი - მარიამი, იესო ქრისტეს დედა: - ღვთისმშობელი ხომ ჩვენი გადია არ არის, დაუძახო და იმ წამს გეახლოს (ზღაპ. გვ., 65).

ღვთისმშობლის ხვედრი ქვეყანა - მარიამის წილი, ანუ კუთვნილი ქვეყანა (საქართველო): - დრო თამარისა და დავით აღმაშენებლის ისევე განანათლებს ღვთისმშობლის ხვედრ ქვეყანას .. (ქამთ. სიავ. გვ. 252).

შარავანდედი - შარავანდედიანი, იგივე შარავანდი ს.ს.ორბელიანის მიხედვით არის სამეფო გვირგვინი მსგავსი სხივთა: - სენი საქციელი არ შორდებოდა ჩემს გონებას, შენი სახე - ჩემს ოცნებას შარავანდედი თ მოსილი მეჩვენება შენი სახე (დად.ას. გვ., 320).

შესცოდა/სცოდავს - ცოდვის ჩადენა ღვთის წინაშე (ვცოდე): - ... არაფერი, აღსარება მივიღე, მაგრამ თუ კიდევ ვცოდე, ხვალ დილას დაუძახებ მღვდელს (ქამ. სიავ. გვ., 261).

წესის აგება - ანდერძის აგება. მიცვალებულისათვის საჭირო მღვდელთმსახურების ჩატარება განსვენების წინ: - როცა დილას ყველა ჭირისუფალი შეიკრიბა, კათალიკოსი და მიტროპოლიტი შეიმოსნენ და წესის აგებას უპირებდნენ (ქამ. სიავ. გვ., 285).

წმიდა სამება - ქრისტიანული რელიგიის მიხედვით აღნიშნავს მამა ღმერთი, ძე ღმერთი და სული წმიდა: - „წმიდა სამება“ ერთარსი და ღვთისმშობელი მარიამი და მფარველი ანგელოზი გწყალობდეს (მრისხ. ბატ. გვ., 97).

წმიდა, წმინდანი - ღვთის მოსავი, მორწმუნე, რომელსაც გარდაცვალების შემდეგ მიიჩნევენ მორწმუნეთა მფარველად:

- ქრისტიანი კაცი მოუვლელად არ დატოვა, იქნებასეთს მემარს წ მ ი დ ა გიორგიც შეეწიოსო.

წირვა // ნაწირვებს (წირვის შემდეგ) - წირვა არის დღისით შესრულებული მთავარი ქრისტიანული საეკლესიო მღვდელთმსახურება (ლიტურგია): - ფრანგულაშვილი ისე წამოდგა ფეხზე, თითქოს ნ ა წ ი რ ვ ე ბ ს მოისვენა და ახლა ჯარში სალხინოდ წასასვლელად ემზადებაო.

ხატი - ღმერთების ან წმინდანთა მხატვრული გამოსახულებანი: - წავალ... მომეცი დედა, ხის ხ ა ტ ი (მრისხ. ბატ. გვ., 138).

ხელთუქმნელი - ეწოდება ისეთ წმინდანთა ხატებს, რომელიც ადამიანის ხელით არ არის შექმნილი: - ... ზე აღაპყრო, როგორც ხ ე ლ თ უ ქ მ ნ ე ლ ი ქანდაკება, იწვევდა იგი მთელს ბუნებას ახლად მოკლულის უცხო მონადირის საგლოვად (გვ., 22).

ჯოჯოხეთი - მორწმუნეთა აზრით , ადგილი საიქიოში, სადაც ცოდვილთა სულები ცეცხლში იტანჯებიან. მისი საპირისპირო არის სამოთხე: - ხეებიდან მტერს ადუღებულ წყალს თავს ასხამენ, ჯ ო ჯ ო ხ ე თ ი ს სურათია (ამაყ. გვ., 52).

ჯვრისწერა - კანონიერი ქორწინებაა საეკლესიო წესით: - ქალ-ვაჟმა ერთმანეთს ხელი ჩამოართვეს. ერთი კვირის შემდეგ დანიშნეს ჯ ვ რ ი ს წ ე რ ა (მარდ.დ. მარად. გვ., 166).

ამდენად, ნიკოლორთქიფანიძის განწყობები მხატვრული ფიქრის, სულიერი თუ მორალური ფასეულობების ძირითადი საგანია, რომელთაც ქართველი ერის ცნობიერებაში, განსაკუთრებული ადგილი უკავია.

გამოყენებული ლიტერატურა:

- **აბულაძე ი.** - „ ძველი ქართული ლექსიკონი“, თბ., 1973.
- **სულხან-საბა ორბელიანი.** - „ სიტყვის კონა“, თბ., 1949.
ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, რვატომეული, თბ., 1950-1964.
- **ლორთქიფანიძე ნ.** - „ თხზულებანი“, თბ., 1989.
- **ლორთქიფანიძე ნ.** - „მრისხანე ბატონი“, თბ., 1912.
- **ლორთქიფანიძე ნ.** - „შამთა სიავე“, თბ., 1920.
- **ლორთქიფანიძე ნ.** - „რაინდები“, თბ., 1924.
- **ლორთქიფანიძე ნ.** - „კერიასთვის“, თბ., 1914.

.....

რუსეთის რელიგიური პოლიტიკა XVIII საუკუნეში

აბსტრაქტი: XVIII საუკუნეში რუსეთსა და საქართველოს შორის საკმაოდ მჭიდრო რელიგიური კავშირი არსებობდა. მეტიც, ქართველი სასულიერო პირები ხშირად იგზავნებოდნენ რუსეთის სასულიერო სემინარიებში სასწავლებლად და სამოღვაწეოდ. ზოგიერთს რუსეთის ეკლესიის კათედრაც კი ჩააბარეს, მაგალითად საქართველოს კათოლიკოს პატრიარქს ანტონ პირველს, რომელსაც ვლადიმირის საარქიეპისკოპოსო კათედრა ჰქონდა ჩაბარებული.

რუსეთისა და ქართლ-კახეთის რელიგიური ურთიერთობა კიდევ უფრო გაღრმავდა გეორგიევსკის ტრაქტატის შემდეგ, რომელიც 1783 წელს შეადგინა რუსეთის იმპერატორმა ეკატერინე II და შესთავაზა ქართლ-კახეთის იმჟამინდელ მეფეს ერეკლე II-ს. ტრაქტატის თანახმად საქართველო შედიოდა რუსეთის მფარველობის ქვეშ, მაგრამ ამასთან ერთად ტრაქტატში არსებობდა მერვე მუხლი, რომელიც ეხებოდა კონკრეტულად ქართლ-კახეთის რელიგიურ მდგომარეობას. მერვე მუხლის თანახმად, საქართველოს კათოლიკოს პატრიარქი ანტონ I უნდა გამხდარიყო რუსეთის წმინდა სინოდის წევრი და დაეკავებინა სინოდში მერვე ადგილი ტოხოლსკის არქიეპისკოპოსის შემდეგ.

1 ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი / PhD in history, Professor at Batumi Shota Rustaveli State University

Russian Religious Policy in the 18th Century

Abstract: In the 18th century, there is a close free connection between Russia and Georgia. Moreover, Georgian clerics are often sent to Russian theological seminaries for study and ministry. Some of them were even given the chair of the Russian Church, for example, Catholicos Patriarch of Georgia Anton the First, who has been given the archbishopric chair of Vladimir.

The official relations between Russia and Kartl-Kakheti deepened further after the Treaty of Georgievsky, which was drawn up in 1783 by the Russian empress Catherine II and offered to the current king of Kartl-Kakheti, Erekle II. The treaty contained Georgia under the protection of Russia, but along with that, there was an eighth article in the treaty, which was specifically related to the actual situation in Kartl-Kakheti. Catholicos Patriarch of Georgia Anton become a member of the Holy Synod of Russia and belongs to the eighth place in the Synod after the Archbishop of Tobolsk.



რუსეთის რელიგიური პოლიტიკა XVIII საუკუნეში იღებს სათავეს, როცა იგი იწყებს ერთმორწმუნეობის მოტივით მეზობელი ქვეყნების საქმეებში ჩარევას და მათზე ზემოქმედებას. პირველად ეს 1768-1774 წლებში რუსეთ-ოსმალეთის ომის დროს მოხდა, როცა ომში დახმარება ქართლ-კახეთის და იმერეთის სამეფოებს სთხოვა. 1774 წელს ეს ომი რუსეთის გამარჯვებით დასრულდა, რაც 1774 წლის 10 ივლისს სოფელ ქუჩუკ-კაინარჯიში ამავე სახელობის ზავით დამტკიცდა. ზავის 23-ე მუხლის თანახმად, საქართველოს მთელ ტერიტორიაზე შესუსტდა ოსმალთა გავლენა, მაგრამ საპასუხოდ გაიზარდა რუსეთის ხელისუფლების შესაძლებლობა – გაეკონტროლებინა მთლიანი ამიერკავკასია.

ამრიგად, ხელს ვედარავინ შეუშლიდა გაეტარებინა ამ ტერიტორიებზე თავისი რელიგიური პოლიტიკა, როგორც მესამე რომს².

მოგეხსენებათ, ბიზანტიის იმპერიის განადგურების შემდეგ რუსეთი თავს მესამე რომად თვლიდა და მოსკოვს მართლმადიდებლური ეკლესიის ცენტრად მიიჩნევდა. ამიტომ არ იყო გასაკვირი ის ფაქტი, რომ რუსეთი, თითქოსდა რელიგიის დამცველი და მისი გამავრცელებელი, ცდილობდა ირგვლივ ტერიტორიების შემოერთებას და რუსეთის გუბერნიად გადაქცევას.

XVIII საუკუნეში რუსეთსა და საქართველოს შორის საკმაოდ მჭიდრო რელიგიური კავშირი არსებობდა. მეტიც, ქართველი სასულიერო პირები ხშირად იგზავნებოდნენ რუსეთის სასულიერო სემინარიებში სასწავლებლად და სამოდვაწოდ. ზოგიერთს რუსეთის ეკლესიის კათედრაც კი ჩააბარეს, მაგალითად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს ანტონ პირველს, რომელსაც ვლადიმირის საარქიეპისკოპოსო კათედრა ჰქონდა ჩაბარებული.

რუსეთისა და ქართლ-კახეთის რელიგიური ურთიერთობა კიდევ უფრო გაღრმავდა გეორგიევსკის ტრაქტატის შემდეგ, რომელიც 1783 წელს შეადგინა რუსეთის იმპერატორმა ეკატერინე II და შესთავაზა ქართლ-კახეთის იმჟამინდელ მეფეს ერეკლე II-ს. ტრაქტატის თანახმად საქართველო შედიოდა რუსეთის მფარველობის ქვეშ, მაგრამ ამასთან ერთად ტრაქტატში არსებობდა მერვე მუხლი, რომელიც ეხებოდა კონკრეტულად ქართლ-კახეთის რელიგიურ მდგომარეობას. მერვე მუხლის თანახმად, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ანტონ I უნდა გამხდარიყო რუსეთის წმინდა სინოდის

2 გურული ვ. რუსეთ-ოსმალეთის დაპირისპირება სამხრეთ კავკასიაში, გვ. 1-5.

წვერი და დაეკავებინა სინოდში მერვე ადგილი ტობოლსკის არქიეპისკოპოსის შემდეგ³.

ტრაქტატის მერვე მუხლი არღვევდა მსოფლიოს საეკლესიო კრებების დადგენილებებს და საქართველოს ეკლესიის სამართალს, რომლის მიხედვითაც არ შეიძლებოდა კათოლიკოს-პატრიარქი ყოფილიყო რომელიმე სხვა ქვეყნის ეკლესიის წვერი. ამავდროულად, ეს მუხლი ამცირებდა კათოლიკოს-პატრიარქის ღირსებას და მოვალეობას, რადგან სინოდში ერთი შეხედვით არ იყო მასზე მაღალი თანრიგის სასულიერო იერარქი, თუმცა სინოდში შვიდი პირი იყო მის ზემოთ მყოფი და მასზე მეტი უფლების მქონე.

ტრაქტატის პროექტში ეკატერინე მეორე არ აპირებდა რაიმე მუხლი შეეტანა ეკლესიის შესახებ. თუმცა ტრაქტატის შემდგენელი ალექსანდრე ბეზბოროდკო თვლიდა, რომ ქართლ-კახეთის ეპარქიები უნდა დაქვემდებარებულიყო რუსეთის წმინდა სინოდს და კათოლიკოს-პატრიარქი გამხდარიყო სინოდის წვერი. ეს ჩანაფიქრი შეიტანა კიდეც მერვე მუხლში, რომლის მიხედვითაც კათალიკოსს სინოდში მეხუთე ადგილი უნდა დაეკავებინა. მაგრამ შემდეგ ესეც შეცვალა და მეხუთე ადგილი მერვეთი ჩაანაცვლა. ქართველმა ელჩებმა ამ ცვლილებაზე პროტესტი კი გამოთქვეს, მაგრამ ამაოდ, ბეზბოროდკომ მაინც თავისი გაიტანა⁴.

1784 წლის 24 იანვარს, ერეკლე მეორემ ხელი მოაწერა ტრაქტატის რატიფიცირებას, რის შემდგომაც ტრაქტატი ძალაში შევიდა. იქედან გამომდინარე, რომ არც ტრაქტატის შედგენაში და არც მისი ხელმოწერის დროს სასულიერო პირები არ მონაწილეობდნენ, ტრაქტატი ეკლესიისათვის

3 როგავა გ., რელიგია და ეკლესია საქართველოში., თბილისი, 2000, გვ. 91.

4 გურული ვ., საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმება (1801-1814) წელი, გამომცემლობა „უნივერსალი“, თბილისი, 2010, გვ. 9-10.

იურიდიულ ძალას არ წარმოადგენდა. მიუხედავად იმისა, რომ ტრაქტატით წამოყენებული მოთხოვნები არღვევდა საეკლესიო წესებს, კათალიკოს-პატრიარქმა ანტონ I მაინც უყოყმანოდ მიიღო რუსეთის წმინდა სინოდის წევრობა და გაუადვილა რუსეთის ხელისუფლებას საეკლესიო საქმეებში ჩარევა.

გეორგიევსკის ტრაქტატი არ აუქმებდა ქართლ-კახეთის ეკლესიის ავტოკეფალიას, მაგრამ რუსეთის ხელისუფლებას გზას უხსნიდა ჩარეულიყო ეკლესიის საქმეებში, რის შემდგომაც უფრო მარტივად შეძლებდა ეკლესიის თვითმწყემსობის გაუქმებას.

მიუხედავად იმისა, რომ გეორგიევსკის ტრაქტატის მერვე მუხლმა კიდევ უფრო დაახლოვა რუსეთის და ქართლ-კახეთის ეკლესიები, განსხვავება მაინც დიდი იყო. მოგეხსენებათ, ქართლ-კახეთში უმაღლეს სასულიერო წოდებას კათოლიკოს-პატრიარქი წარმოადგენდა. იგი განაგებდა ეკლესიის საქმეებს. კათოლიკოსს საეკლესიო საქმეების განსახილველად და მოსაგვარებლად ეხმარებოდა საეკლესიო კრება, რომელსაც თვითონ პატრიარქი კრებდა ხოლმე. ამავდროულად, უნდა აღინიშნოს, რომ ეკლესია სახელმწიფოსგან დამოუკიდებელ ორგანოს წარმოადგენდა და მხოლოდ უმნიშვნელოვანეს საქმეებს ათანხმებდა სახელმწიფოს მეთაურებთან.

რაც შეეხება რუსეთის ეკლესიის მოწყობას, 1721 წლიდან თითქმის მთლიანად შეიცვალა რუსული ეკლესიის სტრუქტურა, რადგან იმპერატორ პეტრე I სურდა ქვეყნის ყველა მნიშვნელოვანი ორგანო, მათ შორის ეკლესიაც, მის დაქვემდებარებაში ყოფილიყო. ამიტომაც, როცა 1700 წელს პატრიარქი ადრიანე გარდაიცვალა, ახალი პატრიარქი პეტრემ აღარ აირჩია და დანიშნა პატრიარქის მოვალეობის

შემსრულებელი. 1721 წელს კი სრულიად გააუქმა უმაღლესი სასულიერო წოდება და შექმნა სინოდი, რომელიც განაგებდა ეკლესიის საქმეებს. ამავდროულად მეფემ შექმნა ობერ-პროკურორის თანამდებობა, რომელიც სინოდის საქმიანობას კონტროლს უწევდა და მეფისთვის აკეთებდა მოხსენებებს, თანაც ობერ-პროკურორს ჩაბარებული ჰქონდა სინოდალური დაწესებულებები: კანცელარია, სასწავლო კომიტეტები, სტამბები და სხვ. ეკლესიის ასეთი გარდაქმნის შემდეგ მონარქი გამოცხადდა ეკლესიის ხელმძღვანელად და სამღვდელოებას დაევალა ეკლესიის დოგმატების ნაცვლად მონარქზე დაეფიცა, ამიტომაც უწოდებენ ამ პერიოდს სინოდალურ პერიოდს⁵.

რუსეთის ეკლესიაში საკმაოდ დიდ რეფორმები გატარდა 1784 წელს ეკატერინე II მმართველობის პერიოდშიც, როცა მოხდა საეკლესიო მიწების და სხვა უძრავ-მოძრავი ქონების სეკულარიზაცია, ანუ მთლიანი ქონების სახელმწიფოს მფლობელობაში გადასვლა. მიუხედავად იმისა, რომ ეკატერინემ გამეფების დროს უარი განაცხადა ამ რეფორმის განხორციელებაზე, საბოლოოდ საეკლესიო პირთა წინააღმდეგობის მიუხედავად ეს მაინც მოხდა. სამღვდელოებას დაენიშნა ჯამაგირი, რითაც ისინი სახელმწიფო ჩინოვნიკებად გადაიქცნენ⁶.

ეკლესიის მმართველობის წყობაში ასეთი განსხვავება რუსეთის ხელისუფლებას საშუალებას ნაკლებად მისცემდა გაეკონტროლებინა და მის დაქვემდებარების ქვეშ მოექცია ქართული ეკლესიაც. ამიტომაც არ იყო გასაკვირი ის ფაქტი, რომ როცა საქართველო რუსეთის უბრალო გუბერნიად

5 ვაჩნაძე მ., გურული ვ., რუსეთის ისტორია უძველესი დროიდან 1801 წლამდე, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 2004, გვ. 130-131.

6 იქვე, გვ. 155-159.

გამოცხადდა, მაშინვე დაიწყეს აქტიური პოლიტიკა ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის გასაუქმებლად და რუსულ ყაიდაზე მოსაწყობად.

გამოყენებული ლიტერატურა:

- **გურული ვ.**, რუსეთ-ოსმალეთის დაპირისპირება სამხრეთ კავკასიაში, თბილისი, 2011
- **გურული ვ.**, საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმება (1801-1814) წელი, თბილისი, 2010.
- **ვაჩნაძე მ., გურული ვ.**, რუსეთის ისტორია უძველესი დროიდან 1801 წლამდე, თბილისი, 2004.
- **როგავა გ.**, რელიგია და ეკლესია საქართველოში. თბილისი, 2000

ქრისტიან ქალთა სახეები ადრეული ხანის სასულიერო მწერლობაში

აბსტრაქტი: ადრეული ხანის სასულიერო მწერლობაში გამოკვეთილად ჩანს ქრისტიან ქალთა სახეები. ისინი, გარკვეულწილად დიდ როლს თამაშობენ ქრისტიანობის გავრცელებისა და განმტკიცების საქმეში. აგიოგრაფიული ჟანრის ნაწარმოებებში შესანიშნავადაა მოცემული მათი ღვაწლი და აგრეთვე მათი პიროვნული მაღალზნეობრივი თვისებები. საინტერესოა ის ფაქტი, რომ მოცემულ საუკუნეებზე მსჯელობისას ვსაუბრობთ ქალთა უუფლებობაზე გენდერული თანასწორობის ასპექტში. მაგრამ საწინააღმდეგოდ სხვა სურათი იკვეთება ნაწარმოებთა შესწავლისას. როცა საქმე სარწმუნოებას, რელიგიას ეხება, არ აქვს მნიშვნელობა ვინ იქნება მისი დამცველი ქალი თუ მამაკაცი, ჩნდება წინააღმდეგობაც და ეს განპირობებული არ არის გენდერის გამო

საკვანძო სიტყვები: წარმართობა, ქრისტიანობა, ქრისტიანი ქალები, გენდერული თანასწორობა

Christian Women in Early Religious Writings

Abstract: The faces of Christian women can be clearly seen in the religious writings of the early period. They, to some extent, play a big role in spreading and strengthening Christianity. In the works of the hagiographic genre, their merits and also their personal high moral qualities are perfectly given. It is interesting that when dis-

cussing the given centuries, we talk about the disenfranchisement of women in the aspect of gender equality. But on the contrary, a different picture emerges when studying the works. When it comes to faith, religion, it doesn't matter who defends it, a woman or a man. There is also a contradiction, and this is not due to gender.

Key words: paganism, Christianity, Christian women, gender equality.



ცხოვრება დინამიკაა. ცალკეულ ეპოქასა და საუკუნეებში სხვადასხვა ტემპით მიედინებოდა. შესაბამისად, ლიტერატურასაც სხვადასხვა ამოცანა ჰქონდა: აესახა რეალობა, სინამდვილისათვის თვალი გაესწორებინა. მნიშვნელოვანი იყო რომ შემოქმედს, მწერალს, გონების თვალთ გაეჭვრიტა ყოველივე და მკითხველისათვის მიეწოდებინა ისეთი შემოქმედებითი პროდუქტი, რომელიც ადამიანებს დაეხმარებოდა ესთეტიკური გემოვნების ჩამოყალიბებაში და ამავდროულად სწორ კვალს გაავლებდა მათ ცნობიერებაში.

ადრეული ხანის სასულიერო მწერლობას კიდევ უფრო ღრმა და დიდი მიზანი ჰქონდა: ეჩვენებინა ქალის სახე და როლი სარწმუნოებრივ ჭრილში. ქალის როლი, მისი ფუნქცია სოციალურ დიდი ყურადღებით განსჯა-გაანალიზებას მოითხოვს. ადრეული ხანის სასულიერო მწერლობაში მართლაც საინტერესოა ქალის როლის, ფუნქციის, მისადმი დამოკიდებულების საკითხის ანალიზი. ქალი, ერთი მხრივ, თითქოს სტერეოტიპია, ფუნქციისაგან დაცლილი ბედს დამორჩილებული, უუფლებო სუბიექტია, თუმცა, მეორე მხრივ, თუ კარგად დავუკვირდებით, უდიდესი ფუნქციისაგაა და მისი სახე ღირსეულადაცაა წარმოდგენილი. ქალი მუდმივი დამცველია ზნეობრივი და მორალური ღირებულებებისა.

რომ გადავხედოთ ბიბლიურ წიგნებს თვალსაჩინოდ ჩანს ქალის როლი, ფუნქცია და დანიშნულება ადამიანთა ცხოვრების გზაზე. ამჯერად ჩვენს მიზანს არ წარმოადგენს წარმართული და ქრისტიანობამდელი ხანის ქალთა სახისა და მდგომარეობის ანალიზი. თუმცა, ქრისტიანობამდელი ხანაშიც ქალი განგების იარაღია, რომლითაც არაერთი საიდუმლო უნდა გაცხადდეს.

საინტერესოა, როგორ არის ნაჩვენები ქალთა სახეები ადრეული ხანის ქრისტიანულ მწერლობაში. ქრისტიანობამდელ ხანაზე ბევრი თქმულა და დაწერილა. საინტერესოა, რა შეცვალა ქრისტიანობამ. როგორ იქნა აღქმული ქალის სახე, როლი და ფუნქცია ქრისტიანობაში.

ქალი თავისი ბუნებით, ქარიზმატულობით, ყოვლისმომცველობით ყოველთვის უდიდეს როლს თამაშობდა საზოგადოების ცხოვრებაში.

ბიბლიის ძველი აღთქმის მრავალრიცხოვან პერსონაჟთა შორის ქალი, დედაკაცი წარმოჩენილია როგორც მამაკაცის შემწე, ოჯახის ერთგული, დედა.

ძველი აღთქმის ბიბლიურ წიგნებში ნათლად ჩანს ქალის როლიცა და სახეც. მეოთხე საუკუნე მნიშვნელოვანი აღმოჩნდა საქართველოს ისტორიაში. ქრისტიანობის გავრცელებამ და მეოთხე საუკუნის პირველ ნახევარში ქართლში ქრისტიანობის ოფიციალურად მიღებულმა სარწმუნოებამ უდიდეს როლი ითამაშა ერის ცხოვრების ყველა ასპექტში.

საინტერესოა, როგორ შეიცვალა ან რა როლი ითამაშეს ქალებმა რეალურად ქრისტიანობის გავრცელების საქმეში და როგორ წარმოაჩინა ეს როლი ადრეული ხანის სასულიერო მწერლობამ. ჩვენი მიზანია გავანალიზოთ, რატომ იწოდება ქრისტიანობა წარმართობასთან მიმართებაში პროგრესულ რელიგიად, როგორც მას უწოდებენ მკვლევრები.

თანამედროვე თეოლოგი ქალი ელიზაბეტ ბერ-სიჟელი წერს ქალის მდგომარეობის შესახებ მართლმადიდებლობაში: „ერთმანეთთან არის გადაჯაჭვული სახარების მიერ მოტანილი თავისუფლება და არქაული ტაბუ, პატრიარქალური საზოგადოებიდან მემკვიდრეობით მიღებული მენტალური სტერეოტიპები. ერთი მხრივ ერთდროულად მკაცრ და სინაზით სავსე ქალურობას ასხივებს ღვთისმშობლის ხატები, რომელსაც ყველგან ნახავ, მაგრამ ქალებს აკრძალული აქვთ საკურთხეველში შესვლა“. ავტორი წინ წამოსწევს ეკლესიაში და ქრისტიანობაში ქალის როლს. მოჰყავს წმინდა მამათა ნააზრევი ქალის როლის შესახებ. იმოწმებს არაერთ ავტორიტეტსა და პიროვნებას, აკეთებს დასკვნებს ქალის როლის შესახებ.

არ არის ინტერესსმოკლებული გავანალიზოთ და ერთმანეთს შევუპირისპიროთ ერთის მხრივ წარმართული, მეორე მხრივ ქრისტიანული ხანის ნაწარმოებებში ქალის (დედის) სახე და

მისი როლი, რომელიც დაკავშირებულია სარწმუნოების გავრცელება-განმტკიცების საქმესთან. საინტერესოა აგრეთვე რა მდგომარეობა ქალის უფლებისა თუ უუფლებობის თვალსაზრისით.

„ცხრა ძმა კოლაელთა მარტვილობაში“, რომელიც ცნობილია ერთადერთი, მეათე საუკუნის ხელნაწერით, აღწერილია მეექვსე საუკუნის მტკვრის სათავის რაიონში მცხოვრებ მცირეწლოვან ბავშვთა წამების ამბავი. ნაწარმოებში ამ ტრაგიკული ამბის ფონზე ნათლად ჩანს დამოკიდებულება წარმართობასა და ქრისტიანობას შორის. ვფიქრობთ, რომ ტექსტში აღწერილი ამბავისა და თავად ტექსტიც მეექვსე საუკუნეზე ადრეული ხანისაა. ამის შესახებ არსებობს უახლესი კვლევებიც.

არ მიგვაჩნია რეალურთან მიახლოებით ის, რომ ტექსტი დაწერილიყო ან გადაწერილიყო მეათე საუკუნეში, და მასში აღწერათ მეექვსე საუკუნის ამბავი, ქრისტიანობის გავრცელებიდან ამდენი დროის გასვლის შემდეგ. ტექსტში მოტანილი ტოპონიმების, ასევე მამასახლისის, როგორც იმ დროის მმართველის ხსენება კიდევ უფრო ამყარებს მოსაზრებას, რომ შესაძლებელია, ძეგლი ადრეულ პერიოდში იყოს შექმნილი. ჩვენ ამჯერად გვაინტერესებს ტექსტში გადმოცემულ ამბავში რა როლს თამაშობს ქალი, ან ჩანს თუ არა ქალის, დედის სახე. სამწუხაროა, მაგრამ ქალის, დედის სახე აქ უარყოფით კონტექსტშია ნაჩვენები. ტექსტში ქალი—დედა, არ არის ნახსენები. მის სინონიმად გვხვდება სიტყვა „მშობელი“, ხოლო ტექსტის ბოლოს ავტორი წარმართ მშობლებს (დედასა და მამას) ადარებს „გუელთა და იქედნეთა, ასპიტთა და მხეცთა“, რომლებმაც „იციან წყალობად შვილთად, ხოლო ამათ უმჯულოთა არა ყვეს წყალობად შვილთა მათათვის“. ავტორი ახსენებს წმინდა სახარებას და დასძენს: „მაშინ აღსრულდა სიტყუად იგი სახარებისად მისცეს ძმამან ძმაი სიკუდიდ და მამამან შვილი და აღდგენ მამა—დედანი შვილთა მათთა ზედა და მოჰკლიდენ მათ“. მაშასადამე, ქალებმა ის სიცოცხლე, რომელიც მათ დაჰბადეს, თავადვე გაწირეს სასიკვდილოდ. წარმართი ქალის სახის, ბუნების ჩვენებით ავტორი ერთგვარად წარმართობის, მისი ბნელი სახის ჩვენებით ცდილობს დასკვნის გაკეთებას სწორედ წმინდა წერილზე დაყრდნობით.

და თუ ქრისტიანობა, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, პროგრესულ და ჰუმანურ რელიგიადაა აღქმული, რადგან მამაკაცური და ქალური საწყისების ორ ურთიერთსაპირისპირო პოლუსის მიუხედავად, არსებობს კაცობრიობის ონტოლოგიური ერთიანობა. ეს ვითარება დაარღვია ევას მიერ ჩადენილმა ცოდვამ, რომელმაც მოახდინა ამ ერთიანობის

გაყოფა. ხოლო ეს განცალკევება, გაყოფა, აღადგინა ქრისტემ. მას უკავშირდება ქალისა და მამაკაცის ერთიანობის წარმოჩენა ახალ ეპოქაში.

საინტერესოა, როგორ შეიცვალა ქალის როლი, ფუნქცია და ადგილი ქრისტიანული რელიგიის პირობებში. რას წარმოადგენენ ქალები ქრისტიანულ საზოგადოებაში, რა როლს თამაშობენ ისინი და რა დამოკიდებულება იკვეთება მათ მიმართ.

ზოგადად, შორეულ წარსულში ქალი გვევლინება ქვეყნისა და ხალხის მფარველად. ლეონტი მროველის „მეფეთა ცხოვრებაში“ „ხაზგასმითაა ნათქვამი ქალის თავდადების შესახებ. ქართლოსის სიკვდილის მერე ქვეყანას მისი ცოლი მფარველობდა. ფარსმან ქველის შვილიშვილის სიყრმის დროს მეფობდა ბებიაშის ღადასა. ფარნავაზის დედის შესახებაც ცნობილია, რომ მან პატრიოტად აღზრდილი შვილი მოიყვანა მცხეთაში, მამის სამკვიდრებელში. საინტერესო ქალია ბაგრატ მესამის დედა—გურადუხტი, რომელსაც „ეპყრა უფლისციხე და ქართლი“. ასე რომ ქალს ყოველთვის ეჭირა გარკვეული და მნიშვნელოვანი ადგილი.

ქრისტიანობის ადრეულ ძეგლზე საუბრისას ხშირად ახსენებენ და ხაზგასმით აღნიშნავენ ქალის უუფლებო მდგომარეობის შესახებ. ასეა იაკობ ხუცესის აგიოგრაფიული ჟანრის ნაწარმოებში „წამებაი წმიდისა დედოფლისაი შუშანიკისი“. (მოკლედ – „შუშანიკის წამებაში“)

წმინდა შუშანიკი იტანჯება უუფლებობის გამო და ოცნებობს საიქიო, ზესთასოფლიური თანასწორობის შესახებ.

მიუხედავად ამისა, შეუძლებელია შუშანიკის ტანჯვის საფუძვლად მივუთითოთ იყოს მისი გენდერული ნიშანი, როგორც ამას ზოგიერთი მკვლევარი მიიჩნევს.

არათუ უუფლებობა, პირიქით, მაგ. ქალები უდიდეს როლს თამაშობდნენ ქრისტიანობის გავრცელება ქადაგების საქმეში. არც დაჩაგრულნი ყოფილან და წერა-კითხვაც უცხო არ იყო მათთვის.

წმ. ნინოს ცხოვრების აღმწერნი სალომე უჯარმელი და პეროჟავრი სივნიელი ორივე განათლებული ქალია და რაც მთავარია, დამოუკიდებლად გადაწყვეტილების მიმღებნი. მათ წმიდა ნინოსთან ერთად უამრავი ჭირი და განსაცდელი გადაიტანეს ქრისტეს სარწმუნოების გასავრცელებლად. თუმცა ამ ფრაზაში არ უნდა ვიგულისხმოთ, რომ ეს განსაცდელი გამოწვეული იყო მათი ქალობით. აქ პრობლემა ახალი სარწმუნოების მიღებაშია, „ჭირი და განსაცდელი,, რელიგიური წინაამდებგობიდან გამომდინარეობს.

სალომე უჯარმელი მირიან მეფის ვაჟის, რევის ხოლი იყო, პეროჟავრაც ქართლის ერისთავის მეუღლე. მათ დედოფლის პატივთან ერთად „ტყვე ქალის“ – წმინდა ნინოს მსახურებაც იტვირთეს და იღებდნენ ნინოსაგან ლოცვას. მარხულობდნენ და კეთილ საქმეებს აკეთებდნენ. როცა ნინოს ბოლო ჟამი დადგა

მათ „მსწრაფლ მოიხუნეს საწერელნი“. ნინო უამბობდა მათ თავის თავგადასავალს, ხოლო „იგინი წერდეს“. ეს ცნობები დაცულია მეცხრე საუკუნის ძეგლში „მოქცევაჲ ქართლისაჲ“. საგულისხმოა ის ფაქტი, რომ ქრისტიანობის გავრცელებელი ქალის ისტორიის ჩაწერა, ქართველ ხალხს ქალისათვის მიუნიჭია და რაც საინტერესოა, ტექსტში მათი უუფლებობა, ან გენდერული ნიშნით რაიმე ხაზგასმა არ ჩანს, პირიქით. ისინი მონუმენტურად წარდგებიან მკითხველის წინაშე

ქალის პიროვნებაზე, მის უფლებებზე, როლსა და ძლიერებაზე მოგვითხრობს მეათე საუკუნის ძეგლი, გ. მერჩულის

აგიოგრაფიული ჟანრის ცხოვრების ტიპის ნაწარმოები „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“

ნაწარმოებში არაერთი ქალი პერსონაჟია: დედა ფებრონია, აშოტის ცოლი, ადარნასე ხელმწიფის ცოლი-ბევრეული, გრ. ხანძთელის დედა, გაბრიელ დაფანჯულის მეუღლე მარიამი.

ვერცერთ პერსონაჟზე ვიტყვით, რომ ის იჩაგრება გენდერული ნიშნით, ან მათ სიტყვას ფასი არ აქვს და საზოგადოებაში მათ დაკარგული აქვთ თავისი ღირსება, ავტორიტეტი და სხვ.

ფებრონია თავის ღვაწლით წარმოიქმნება გრიგოლ ხანძთელის გვერდით და მხარდამხარ. ის არ ეპუება არანაირ განსაცდელსა თუ საფრთხეს და მოქმედებს სრულიად თავისუფლად. უფრო მეტიც : მას შეუძლია მეფეს თხოვნაზე მტკიცე უარიც კი უთხრას, სირცხვილნაჟამი უკან გააბრუნოს და ათქმევინოს „ნეტარ მას კაცსა, ვინ არღარა ცოცხალ არს“

ადრეფეოდალური ხანის კულტურის ძეგლების ანალიზი გვაძლევს საფუძველს იმისას, რომ ვთქვათ, რომ ქრისტიან ქალთა სახეები რადიკალურად განსხვავდებიან ქრისტიანობამდელი ხანის ქალთა სახეებისაგან.

ქრისტიანობამ, ჰუმანიზმთან ერთად პროგრესული განმავითარებლის როლიც ითამაშა. ქრისტიანი ქალები არათუ უფლებობას უჩივიან, არამედ ერთგვარად არიან გარკვეულწილად საზოგადოებრივი ცხოვრების წარმმართველნი.

და თუ მაინც ვსაუბრობთ ადრეული ხანის მწერლობაში დახატულ ქალთა სახეებზე, მათი უფლებების უგულებელყოფაზე, როგორც მაგ. „შუმანიკის წამების“ ანალიზის დროს მივიჩნევთ, ეს არ უნდა იყოს აღქმული ის, რომ თითქოს შუმანიკი ეწამება იმის გამო რომ ქალია, რომ „დედათა ბუ-

ნებად იწრო არს". ტექსტის მხატვრული ანალიზის დროს აუცილებლად ხაზგასმით უნდა აღვნიშნოთ ცოლ-ქმარს შორის პოლიტიკურ შეხედულებათა სხვაობაზეც. აქცენტი არ უნდა გაკეთდეს მხოლოდ რელიგიურ ჭრილში. მით უფრო გენდერული ნიშნით. გენდერული ასპექტი უკანა პლანზე გადაიწევს თუ ჩავუკვირდებით კონფლიქტის საფუძველს.

ამრიგად, ქრისტიანობა ქალის, დედის, პიროვნების წარმოჩენის საქმეშიც პროგრესული მოვლენა აღმოჩნდა. ხოლო ამ დამოკიდებულებამ შეამზადა საქართველოს ისტორიაში ქალის აყვანა მეფის ხარისხში—თამარ მეფის სახით.

გამოყენებული ლიტერატურა:

- **კეკელიძე, 1960:** კეკელიძე კორნელი, „ქართული ლიტერატურის ისტორია," ტ.1, თბ. 1960
- **ყუბანეიშვილი, 1946:** ყუბანეიშვილი სოლ. „ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია . ტ. 1 თბილისი, 1946.
- **ქართული მწერლობა:** 1–8 . თბ, 1987–1990.
- **აბულაძე, 1978:** ილ. აბულაძე „მარტვილობაი შუშანიკისი“, თბ.1978
- **სირაძე, 1997:** რევაზ სირაძე, წმ. ნინოს ცხოვრება და დასაწყისი ქართული მწერლობისა, თბ.1997
- **ბეგლები, 1964:** იოვანე საბანიძე „აბოს წამება,, თბ.1964
- **ბეგლები, 1964.** „კოლაელთა წამება,, თბ.1964
- **სირაძე, 1987:** რევაზ სირაძე, გიორგი მერჩულის ლიტერატურულ-ესთეტიკური თვალთახედვა, ქართული ჰაგიოგრაფია; თბ.1987

ეთერ დიასამიძე / Eter Diasamidze¹

(ბათუმი, საქართველო / Batumi, Georgia)

სამშობლოს საგალობელი ნოდარ დუმბაძის ამონარიდების მიხედვით

აბსტრაქტი: ნ.დუმბაძის შემოქმედება გამოირჩევა ლაღი იუმორით, სიყვარულის დიდი განცდითა და ადამიანური ჰუმანიზმით. მთელი მისი შემოქმედება სიკეთის მქადაგებელია. მწერლის გულწრფელი შემოქმედება ყველა დროის მკითხველისათვის მისაღები და სასურველია. ვფიქრობ მკითხველში უნდა გაღვივდეს ის სიკეთე, სიყვარული და ჰუმანიზმი, რომელსაც მწერალი ქადაგებს.

საკვანძო სიტყვები: ჰუმანიზმი, სიკეთე, სიყვარული, იუმორი.

Hymn of Motherland in Accordance to Novels of Nodar Dumbadze

Abstract: The creation of N. Dumbadze is distinguished by free humor, a great feeling of love and humanism. His whole creation is a preacher of kindness. The sincere creativity of the writer is acceptable and desirable for readers of all times. I think that the kindness, love and humanism that he preaches should be awakened in the reader.

Key words: Humanism, kindness, love, humor

1 ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს საპატრიარქოს ხიჭაურის წმინდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი / PhD in Philology, Associate Professor at Tbel Abuserisdze Teaching University of Georgian Patriarchate



მეოცე საუკუნის მწერალთაგან ნოდარ დუმბაძე ერთ-ერთი გამორჩეული ავტორია, რომლის შემოქმედება თითქოს ჰგავს ეპოქის მწერლურ პარადიგმას, მაგრამ, ამავე დროს, არ ჰგავს. იგი აღიარებული იყო თავის თანამედროვეობაშიც, იმ სისტემის ბატონობის დროსაც, და ახლაც. მას პოპულარობა და სიყვარული არცერთ ეტაპზე არ დაუკარგავს. იმითაცაა გამორჩეული, რომ მასზე ბევრს არ კამათობენ, არ დაობენ და ცალსახადაა აღიარებული, როგორც ყველასათვის მისაღები, მოქნილი კალმისა და სადა სტილის სინტაქსის მქონე მწერალი. მის შემოქმედებას კითხულობს ყველა ტიპის მკითხველი, - რთული სიუჟეტებისა და თემების, რთული სინტაქსისა თუ რთული მხატვრული ჩარჩოს მოყვარული ადამიანებიცა და მარტივსიუჟეტიანი ამბების, მარტივი ლექსიკისა და მარტივი სინტაქსური წყობის მოყვარული მკითხველებიც. უფრო მეტიც, ვინც საერთოდ არ ითვლება მკითხველად, ისიც სიამოვნებით კითხულობს მას. როგორც მის ბიოგრაფიაში ვკითხულობთ, ნაწარმოებების ნათელმა ოპტიმიზმმა, თანამედროვე ცხოვრების უმნიშვნელოვანესი მოვლენების ღრმა წვდომამ, თხრობის ლირიზმმა და განუმეორებელმა იუმორმა განაპირობა მწერლის პოპულარობა – როგორც საქართველოში, ისე საზღვარგარეთ. დუმბაძის თხზულებები თარგმნილია რუსულ, უკრაინულ, მოლდავურ, სომხურ, აზერბაიჯანულ, ინგლისურ, ფრანგულ, გერმანულ, ესპანურ, პოლონურ, იაპონურ, თურქულ, არაბულ და სხვა ენებზე.

აღიარებულია, რომ დუმბაძის შემოქმედებაში ხშირად მეორდება მოტივები. მიიჩნევენ, რომ ერთ-ერთი ხშირადგანმეორებადი მოტივია დედა, დედის მონატრება. თუმცა როგორც სამშობლოზე ძლიერ შეყვარებულ პიროვნებას, მი-

სი შემოქმედებაც არ განიცდის სამშობლოს მოტივის სიმწირეს. მისი შემოქმედების მრავალმხრიობამ, მაღალი პიროვნული თვითგამოხატვის სტილმა განაპირობა, რომ „ქართულ ლიტერატურაში გამორჩეული ადგილი დაიმკვიდრა ნოდარ დუმბაძის შემოქმედებამ. მისი ნაწარმოებების ნათელმა ოპტიმიზმმა, თანამედროვე ცხოვრების უმნიშვნელოვანესი მოვლენების ღრმა წვდომამ, თხრობის ლირიზმმა და განუმეორებელმა იუმორმა განაპირობა მწერლის პოპულარობა. მისი ლიტერატურული მემკვიდრეობა თხუთმეტ-საუკუნოვანი ქართული მწერლობის ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო ფურცელია, ერთდროულად გამოირჩევა უბრალოებითა და სირთულით, ტრადიციულობითა და ორიგინალურობით, ლიტერატურული წარსულისადმი ერთგულებითა და სიახლით“ (კუპატაძე, 2015:14).

მიუხედავად იმისა, რომ დუმბაძის შემოქმედებაში სიყვარულის, ჰუმანურობისა და ზნეობრიობის აპოლოგია მთავარი შტრიხია, მას ხანდახან ამ კონცეფციების დამკვიდრებაში ხელისშემშლელი ფაქტორების კრიტიკაც უწევს. კრიტიკა, არა როგორც კლასიკური გაგებით, ეს უფრო სევდაა გასაკიცხი საქციელის გამო. შეიძლება დავსვათ ლეგიტიმური კითხვა, - რაზე დაწერილი მოთხრობა „დიდრო“? პასუხი არაერთგვაროვანი იქნება და ესეც ლეგიტიმურია. ალბათ ცოტა იტყვის, რომ ყველაზე მეტად ეს მოთხრობა ბრბოს უსულგულობაზეა.

„ – დიდროია, პორტ-არტურის შპიონო,
 – დიდროია, ოიამას ნაბიჭვარო,
 – დიდროია, ბურძგალა,
 – დიდროია, ქაფურა და
 – დიდროია, ხაბაკა”- ამ სიტყვებს წინ უძღვის ავტორის სიტყვები, რომ ეს იყო ერთადერთი დღე, როცა არავინ

დადევნებია ჭკუასუსტ დიდროს შემდეგი სიტყვებით. და რა დღე იყო ეს? როგორც ბრბოს ჩვევია და უამრავ ნაწარმოებში გვინახავს, სინანული და დაშოშმინება მაშინ ხდება, როცა ვინმე იღუპება, ან რაღაც დიდი რამ ფუჭდება. თანამედროვე ტერმინით, შეზღუდული უნარის მქონე დიდრომ საზოგადოების თანაგრძნობა მხოლოდ სიკვდილის წინ მიიღო. ამ ნაწარმოებს, რა თქმა უნდა, დაიწუნებდნენ ილია ჭავჭავაძის შემოქმედების დამწუნებლები, რომლებიც ილიას მამხილებლურ პათოსს ქვეყნის სიძულვილით ხსნიდნენ. მიუხედავად საკითხის ასე შეფასებისა, ეს ნაწარმოები, შეიძლება ჩავთვალოთ პატრიოტულ ნაწარმოებად. სიტყვა სამშობლო ამ მოთხრობაში არც ერთხელ არაა ნახსენები, მაგრამ მაინც სამშობლოზეა. ეს არის ლიტერატურის ჯადოსნურობის მაგალითი. ნოდარ დუმბაძეს სამშობლო და ხალხი რომ უყვარს, სწორედ ამიტომ დაწერა დიდროსნაირი ადამიანის გასაცოდავებულ ყოფაზე, ის აშკარად ვერ ეგუება, რომ თავის ქვეყანაში სუსტების ადგილი არ არის, რომ ფიზიკური შეზღუდვა დასჯადია. დღეს არავის გაუკვირდება ამ თემაზე წერა, ის პრიორიტეტულია და ერთგვარად მიბმულია ადამიანის უფლებათა კონვენციის ვალდებულებების შესრულებაზე. დუმბაძე კი ამ თემას უნაკლო, საამაყო სამშობლოს სიყვარულს აკავშირებს, ისეთს, როგორიც სხვა ნაწარმოებებში ჩანს, თუნდაც ისეთში, სადაც ასევე არაპირდაპირი პატრიოტული მოტივია მკვეთრად გამოკვეთილი სიტყვა „სამშობლოს“ აპელირების გარეშე. ვერავინ შემედავება, თუ ვიტყვი, რომ მოთხრობა „ბოშები“ ავტორის ქართული სიამაყის ერთგვარი ნიმუშია. ქართული სიამაყე, უპირველესად, საკუთარ ქვეყნის სიყვარულსა და ეროვნულ თავმომწონეობას გულისხმობს. ავტორი, თითქოს ცდილობს ბოშების ხასიათზე, თავისებურებებზე,

იდენტობაზე გვიამბოს, მაგრამ მახვილი თვალისა და გონების მკითხველი კარგად დაინახავს თავისი ხალხით, მაშასადამე, ქვეყნით აღფრთოვანებული ავტორის იდუმალ გულისძგერას, რომელიც გურული გლეხების უჩვეულო, სიტუაციასთან აბსოლუტურად შეუსაბამო საქციელმა გამოიწვია, -- დაზარალებული გლეხები მოპარული საქონლის ამოსაცნობად და დასაბრუნებლად დაიბარეს მილიციაში, მათ კი დიდსულოვნად, ყველამ ერთხმად ბოშების სასარგებლოდ განაცხადეს, რომ ნივთები ბოშებს კი არ მოუპარავთ, არამედ ვაჩუქეთო. „განცვიფრებული ბოშები ხან ჩვენ გვიყურებდნენ და ხან მილიციის უფროსს, გრძნობდნენ, რომ რაღაც უცნაური ხდებოდა მათ გარშემო, მაგრამ როგორ და რა, - ბოლომდე ვერ გარკვეულიყვნენ“ (დუმბაძე, 1990 :142). ავტორი მანამდე ბოშების მოხეტიალე ცხოვრებაზე საუბრობს, რითაც მიგვანიშნებს, რომ ისინი მრავალქვეყანამოვლილი, მრავლისმნახველი ხალხია, მაგრამ ის, რაც გურიაში ნახეს, ნამდვილად უჩვეულო იყო. დაბნეული ბოშების ჯგუფიდან გამოყოფილი ნიკოლას მისვლა და ლევრასი ბერეჟიანის მკერდზე კოცნა სწორედ რომ სამშობლოს საგალობელია. როცა ასეთი სიყვარულით წერ საკუთარი ქვეყნის ხალხზე, თანაც ისე, რომ მათთვის დამახასიათებელი იუმორი არ დაგავიწყდეს, რა საჭიროა სიტყვა „სამშობლოს“ ტრიალი იმ აზრის განსამტკიცებლად, რომ სამშობლოთი მდიდარი და ამაყი ხარ. სწორედ ამას ახერხებს ნოდარ დუმბაძე, ის შესანიშნავად წერს ერთ კონკრეტულ რამეზე, თუმცა უგალობს სხვა რამეს.

და მაინც რა არის სამშობლო? არსით თუ დეფინიციით.. განმარტებით ლექსიკონში ვკითხულობთ:

სამშობლო - არსებითი სახელი

ნათესაობითი ბრუნვა: *სამშობლოს*

1. ქვეყანა პიროვნებისათვის, სადაც იგი დაიბადა და მისი მოდემის ხალხი ცხოვრობს და რომლის მიმართაც მას ძლიერი ემოციური გრძნობა აქვს, თუნდაც იქ არ ცხოვრობდეს.

2. გადატანითი ადგილი, სადაც წარმოიშვა რაიმე, - **ყურძნის სამშობლო. ვაშლის სამშობლო.** ამ განმარტებაში მნიშვნელოვანია ფრაზა - „რომლის მიმართაც მას ძლიერი ემოციური გრძნობა აქვს“. სადავო განმარტებაა, რადგან ძლიერი ემოციური გრძნობა, შესაძლებელია სხვა ქვეყნის მიმართაც გაგიჩნდეს ადამიანს. მაშ რა განმარტება იქნება უფრო ზუსტი? პირველ ნაწილს თუ მივუბრუნდებით, უფრო მომხიბვლელად გამოიყურება - „სადაც იგი დაიბადა, სადაც მისი მოდემის ხალხი ცხოვრობს“, თუმცა ნოდარ დუმბაძემ პარადოქსულად აქცია ამ განმარტების არსი თავის შესანიშნავ ნაწარმოებში „HELLADOS“. მოთხრობაში პარადოქსულობას ქმნის მის შემოქმედებაში გამორჩეული პერსონაჟი იანგული, რომელიც საქართველოში დაიბადა, მაგრამ იქ არ ცხოვრობენ მისი მოდემის ადამიანები. ის ბერძენია და მკერდზე საბერძნეთი აქვს ამოსვირინგებული, თუმცა როდესაც არჩევანის წინაშე დადგა, - გაჰყოლოდა მამას საბერძნეთში, სადაც მისი მოდემის ხალხია, თუ დარჩენილიყო აქ, სადაც დაიბადა და გაიზარდა. აღსანიშნავია ავტორის დამოკიდებულება ამ პერსონაჟის მიმართ. მას ხელჩაკიდებული მიჰყავს მკითხველის თვალწინ და საბოლოო კათარზისამდე ხელს არ უშვებს. სწორედ კათარზისგამოვლილი იანგული სჩადის იმას, რასაც სახელს ადვილად ვერ დაარქმევ. ვიდრე იანგულისა და სამშობლოს ურთიერთდამოკიდებულების საკითხს მივუბრუნდებოდე, მინდა გავიხსენო თავად ავტორის მცდელობა, გაგვარკვიოს, ან თავად იპოვოს მყარი და საბოლოო დეფინიცია, თუ რა არის სამშობლო და ლიტერატურული წერილი მიუძღვნა სათაურით „სამშობლო“. წერილი მცირე მოცულობისაა, მაგ-

რამ თავისი ლიტერატურული ღირებულებით ტომეულებსაც არ ჩამოუვარდება. ამ წერილიდან არაერთი ფრაზა ფრთიანად იქცა და მას ზეპირადაც კი ციტირებენ. „იქნებ მართლა რაფიელ ერისთავის ეს ორი სტრიქონია: “როგორც უფალი, სამშობლო ერთია ქვეყანაზედა!”; „იქნებ ვაზია სამშობლო? აბა, დააკვირდით, თუ დაბლარია, დაჩოქილმა უნდა დაკრიფო, თუ მაღლარია - ცაში ხელაპყრობილმა. ორივე საოცრად ჰგავს ლოცვას, ლოცვა კი არაფერს ისე არ უხდება, როგორც სამშობლოს. ...“- ასე უცბად, დაუფიქრებლად და ქუჩაში სამშობლოსათვის სიკვდილი შეიძლება, მაგრამ იმის თქმა, თუ რა არის სამშობლო, არ შეიძლება,...“; „სამშობლო ალბათ სიცოცხლეა და ამიტომ მიდის ამ ქვეყნიდან ყველა კაცი სიცოცხლით გაუმაძლარი...“ (დუმბაძე, 1990:201-202). ეს ნაწილია იმ ფრთიანი ფრაზებისა, რომელიც ამ წერილიდან შეიყვარა მკითხველმა. ავტორი ამ წერილით არ გაჩერებულა და მისი მცდელობა, რომ იპოვოს სიტყვა, ფრაზა, წინადადება ან გარკვეული ზომის ტექსტი, რომელიც თავს მოუყრის ყველაფერს, რაც მასზე თქმულა. იგი მარადიულ ძიებაშია სამშობლოს სიდიადის, განუმეორებლობის, სიყვარულის საგალობელი რომ შექმნას. რამდენი წელიც არ უნდა ეცოცხლა ნოდარ დუმბაძეს, რამდენი ღამეა საგალობელიც არ უნდა დაეწერა, ის მაინც უკმაყოფილო იქნებოდა და გააგრძელებდა რაღაც უნივერსალურის პოვნის მცდელობას. სიცოცხლესთან გაიგივებული მეტაფორით ასრულებს ლიტერატურულ წერილს, თუმცა მისი შემოქმედება აგრძელებს ირაციონალური კითხვის მეტაფორებში გადანაწილებული პასუხების სისავსეს. გულზე სამშობლოამოტვიფრული იანგულის რთულ არჩევანზე ავტორის დამოკიდებულება ფინალში იკვეთება, მანამდე მკითხველს ძაბავს და მას ანდობს, თუ როგორ გადაწყვიტოს ორი სამშობლოს ბედისწერით დას-

ჯილი პერსონაჟის ერთდროულად, ეგზისტენციური და ირაციონალური, არჩევანის თავისუფლებით მინიჭებული უფლება, -აირჩიოს, აქ თუ იქ? თუ სათაურის ესთეტიკაზეც ვისაუბრებთ, მოთხრობას პოტაგონისტის ერთ-ერთი სამშობლოს სახელი ჰქვია. ნიშნავს თუ არა ეს იმას, რომ ავტორმა უპირატეს სამშობლოდ საბერძნეთი აღიარა, ყველას კარგად მოეხსენება, რომ ჰელადოს საბერძნეთს ნიშნავს. იქნებ ასეც არის, მაგრამ როგორც ლიტერატურაში აღიარებულია, ალბათ პერსონაჟი არ დაემორჩილა ავტორს და საბერძნეთში მიმავალი გემიდან გადმოხტა და დაიღუპა. მას უნდოდა უკან გამოეცურა, თუმცა ვერ მოახერხა. იანგულის ეს ნაბიჯი, თითქოს, სადაო საკითხის დასრულებაა, არჩევანი გაკეთებულია, მაგრამ საქმე მარტივად არაა. მისი სვირინგი ცალსახა არჩევანს ეწინააღმდეგება და წარსულში გვაბრუნებს. აქვე უნდა დაისვას კითხვა, - რა არის სვირინგის დანიშნულება? რატომ იკაწრავენ სხეულს რაღაც სიტყვებისა თუ ნიშნების ამოსატვიფრად? მიზანი ერთია, ადამიანს სურს სამყაროს რაღაც უთხრას, გზავნილის ეს ფორმა სათქმელის კატეგორიულობას უსვამს ხაზს. პერსონაჟის კატეგორიული სიტყვა იანგულის შემთხვევაში, შეიძლება ითქვას, რომ შემდეგია: მე მიყვარს საბერძნეთი, მემამყება, რომ ბერძენი ვარ, საქართველოში რომ ვცხოვრობ, ამ გარემოებამ არ უნდა დამავიწყოს, რომ ელადაა ჩემი ღრმა ფესვების ადგილი. „ჩვენი თემის ბერძნები ელადაში ბრუნდებიან. მამაჩემიც... - იანგული გაჩუმდა.- მერე? - ვკითხე მე.- მერე არაფერი, მე არ მიყვები, არ მინდა წასვლა... მამა ამბობს, რომ იქ ჩვენი სამშობლოა, მშობლიური მიწა, დიდებული ელადა... მამა-პაპათა სისხლი გვეძახის და მოვალენი ვართ წავიდეთო...- მერედა რატომ არ მიყვები? - გულწრფელად გამიკვირდა მე.- როგორ აგისნა... - თქვა ბოლოს იანგულიმ. - მე ჩემი დედა

არ მახსოვს, მამა კი მთელი დღე ან ბოსტანშია, ან საშოვარზე. მე ვენეციის გზატკეცილზე გავიზარდე, ქუჩაში... ჩემი ელბადა, ჩემი სამშობლო სოხუმია, ვენეციის გზატკეცილი, ჩალბაში, კოკა, პეტია, კურლიკა, ფემა... შავი ზღვა, ჩემი ვირი, რკინიგზის ხიდი... - იანგული ცოტათი შეყოვნდა. მერე ისევ განაგრძო: - მიდა... მიდა და შენც... - კი მაგრამ ეგ რაღაა? - ვკითხე. მკერდზე ხალათი გადავუწიე და ლურჯად ამოსვირინგებული HELLADOS წავიკითხე ხმამაღლა. - ეს ამოსვირინგებული სიტყვაა, ჯემალო. სამშობლო უფრო ღრმადაა. უფრო შიგნით... - თქვა იანგულიმ და ხელი მკერდზე დაიდო“ (დუმბაძე, 1990:107) ავტორის მიერ სამშობლოს თემაზე გამართული დრამატიზმის ელემენტების შემცველი დიალოგი წერტილი და დასკვნაა სამშობლოს რაობისა და სიდიადის ხარისხის ძიების შედეგისა, დასკვნა კი მოკლე ვერსიით ასე გამოიყურება. რაც არ უნდა აიჭრელო სხეული გზავნილებით, ანუ წარწერებით, გამოსახულებებით, სამშობლოს სიყვარულს ამით ვერ გამოსახავ და გამოხატავ. ის სიტყვებში საძებარი საგანი როდია, არამედ პიროვნების შიგნით, ღრმადაა, რომლის წილის სიდიდე ადამიანის ზრდის, სამშობლოსთან ურთიერთობის ხანდაზმულობის პირდაპირპროპორციულია და მზარდი ფენომენია.

გამოყენებული ლიტერატურა:

- „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი“ (ერთტომეული), თბილისი, 1986;
- **დუმბაძე, 1988:** - დუმბაძე ნოდარ, თხზულებანი ოთხ წიგნად, გამომცემლობა „მერანი“ თბილისი, 1988.
- **კუპატაძე, 2015:** - კუპატაძე მანანა, „მორალი, ზნეობა და სამართალი ნოდარ დუმბაძის შემოქმედებაში“, თელავი, 2015.

კათალიკოზ-პატრიარქი მელქისედეკ III (1952-1960)

კათალიკოზ-პატრიარქ კალისტრატეს ჰყავდა თავისი რჩეული, ვისაც მისი გარდაცვალების შემდეგ უნდა დაეკავებინა პატრიარქის ადგილი. ეს იყო მიტროპოლიტი მელქისედეკი (ფხალაძე). მას დამთავრებული ჰქონდა თბილისის სასულიერო სემინარია და ყაზანის სასულიერო აკადემია. მისი სემინარიელი თანაკურსელები იყვნენ ცნობილი რევოლუციონერები: ლადო კეცხოველი, სილიბისტრო ჯიბლაძე, ხოლო აკადემიიდან - კათალიკოზი ამბროსი, ისტორიკოსი სერგი გორგაძე, მწერალი იპოლიტე ვართაგავა. მიხეილ ფხალაძე 1917 წლამდე მასწავლებლობდა რუსეთში. 1917 წელს დაბრუნდა საქართველოში, ჯერ გორის სასულიერო სასწავლებელში ზედამხედველად, ხოლო 1918 წლიდან, უკვე დეკანოზი, მსახურობდა სიონში. 1921 -1922 წლებში იგი განმოსილი იყო და თავისუფლების მოედანთან პატარა მაღაზიაში ჰყიდდა ნავთსა და ასანთს. კათალიკოზ ამბროსის წინადადებით დაბრუნდა ეკლესიაში და 1922 წლის 5 აპრილს დაინიშნა სიონის ტაძრის კანდელაკად. 1925 წლის ოქტომბერში, კათალიკოზ ამბროსის წინადადებით, აღიკვეცა ბერად, ეწოდა სახელად მელქისედეკი და აკურთხეს ალავედელ ეპისკოპოსად. 1927 წლის 17 ოქტომბრიდან ცხუმ-

1 ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, თეოლოგიის დოქტორი, პროფესორი, თბილისის სასულიერო აკადემიის და სემინარიის პროფესორი / PhD in History, Doctor of Theology, Professor Head of the Georgian History Department of the Tbilisi Theological Academy

აფხაზეთის, ხოლო 1928 წლის 24 მარტიდან წილკნის ეპარქიის მმართველია.

ეპისკოპოსი მელქისედეკი ყოველთვის მხარს უჭერდა კათალიკოზ-პატრიარქ ამბროსის და საკათალიკოზო საბჭოს ძველ შემადგენლობას. ის კათალიკოზ-პატრიარქ კალისტრატეს განსაკუთრებული ნდობით სარგებლობდა. 1935 წელს პატრიარქმა მას მიტროპოლიტობა უბოძა. 77 წლის კათალიკოზ-პატრიარქმა კალისტრატემ 1943 წლის სექტემბერში, თავისი მძიმე ავადმყოფობის ჟამს, მიტროპოლიტი მელქისედეკი მოსაყდრედ გამოარჩია და ასეთი შინაარსის წერილი გაუგზავნა: „გთხოვთ, ჩემს მიერ აღებულ გეხსა და მიმართულებას ნუ შეცვლით, ეს არ ივარგებს, ეკლესიისა და პირადად თქვენთვის იქნება საზიანო. ჩემი დამარხვის შემდეგ დაუყოვნებლივ დაამტკიცეთ ქაშუეთის წინამძღვრად ყოვლად სამღვდელო დიმიტრი, იქონიეთ მასთან ძმური კავშირი და ყური ათხოვეთ მის რჩევებს. ფრთხილი და ჭკვიანი კაცია“².

ეპისკოპოსი დიმიტრი (ლაზარიშვილი) მას ქორეპისკოპოსად ჰყავდა და იმედი ჰქონდა ასაკოვან პატრიარქს დაეხმარებოდა საეკლესიო საქმეების მოგვარებაში. კათალიკოზმა კალისტრატემ მოსაყდრის და ქორეპისკოპოსის გამორჩევის შემდეგ, კიდეც 9 წელი იცოცხლა და 1947 წლის 8 ნოემბერს თვითონ აუგო წესი გარდაცვლილ ქორეპისკოპოსს დიმიტრის.

1. კათალიკოზ კალისტრატეს მოსაყდრის და ქორეპისკოპოსის საკითხი უსათუოდ შეთანხმებული ექნებოდა საბჭოთა კავშირის რელიგიის საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარე, უშიშროების გენერალ კონსტანტინე კარპოვთან და საქართველოს სსრ სახკომსაბჭოსთან არსებულ რელიგიის საქ-

2 საქართველოს საპატრიარქო არქივი, კათალიკოზ-პატრიარქ კალისტრატეს ფონდი N5462, გვ. 11

მეთა რწმუნებულ კალე ქადაგიშვილთან, რომელიც წარმოადგენდა საბჭოთა მთავრობის თვალს საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიაში. ამიტომ პატრიარქ კალისტრატეს გარდაცვალებიდან 3 თვის შემდეგ, 1952 წლის 5 აპრილს, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის მეცხრე საეკლესიო კრებაზე, მიტროპოლიტი მელქისედეკი უმტკივნეულოდ არჩეულ იქნა სრულიად საქართველოს კათალიკოზ-პატრიარქად. მაგრამ მალე გაირკვა, რომ მორწმუნეთა ნაწილი კატეგორიულად ეწინააღმდეგებოდა მელქისედეკ III-ის კანდიდატურას. საერო ხელისუფლების სახელზე დაიწყო ანონიმური საჩივრები, რომელთა ავტორები ახალ პატრიარქს უამრავ ბრალდებას უყენებდნენ. ერთ-ერთი ანონიმური წერილი, რომელიც 1955 წელს გავრცელდა, დაუწერია თომა ჩიქვანაიას. პატრიარქი მელქისედეკი საქართველოს მთავრობის თავმჯდომარეს გივი ჯავახიშვილს სწერს: „ვინმე თომა ჩიქვანაია რესპუბლიკაში ცნობილი აფერისტია. იგი აფერისტობისათვის გადასახალეული იყო საქართველოდან. მან ჩემს წინააღმდეგ ლანძვარ-გინება დაიწყო 1952 წლიდან. 1955 წელს, სინოდის სხდომაზე, იგი განკვეთილ იქნა ეკლესიიდან“³. არ გასულა დიდი დრო და ხელისუფლებაში გაიგზავნა ახალი ანონიმური საჩივარი „გულშემატკივარი ეკლესიისა“, რომლის ავტორიც მოითხოვდა სასწრაფოდ საეკლესიო კრების მოწვევას და პატრიარქ მელქისედეკის გადაყენებას. „საქართველოს ეკლესიას შემდეგი არსებობისათვის საფუძველი უკვე გაცილილი აქვს და ამაში მთავარი დამნაშავე პატრიარქია... მან უკანონო არჩევნებით დაარღვია წმიდა კათოლიკე და სამოციქულო ეკლესიის კანონი... რა უფლებით აკურთხა მან

3 საქართველოს საპატრიარქო არქივი, პატრიარქი მელქისედეკ III, დოკ. 3922.

რუსების ჯაშუში ზინობი ეპისკოპოსად, მაშინ, როდესაც ყველა მღვდელმთავარმა წერილობით უარყვეს მისი კანდიდატურა... უწინდელ დროში, როდესაც საქართველოს ეკლესიას ამა თუ იმ ობიექტური პირობების გამო, რაიმე წარუმატებლობა შეემთხვეოდა, მას მთელი მოწინავე ინტელიგენცია ესარჩლებოდა და ცდილობდა გაზეთის ფურცლებზე გამოსვლით მისი ჭირ-ვარამი შეემსუბუქებინა, მოუწოდებდა რა მას მეტი ბრძოლის უნარის გამოჩენისათვის მისი აღორძინების მიზნით. დღეს ეკლესია მოწყვეტილია სახელმწიფო ორგანიზმს, ამიტომ მისი ერთადერთი ქომაგი და პატრონი პატრიარქია. მისი ფიქრი და მეცადინეობა იქითკენაა მიმართული, რომ თავის თაყოველივე. მისი ასეთი სულისკვეთებით აიხსნება ის არაჩვეულებრივი მოვლენები... იგი სამსახურიდან ათავისუფლებს ყველას, შეაქვს მათში უთანხმოება, უსიამოვნება, ადგილი აქვს უსამართლო, პირადი ჯიუტობით გამოწვეულ მოქმედებას. ყოველივე ზემოთაღნიშნული ავალეებს ყველამორწმუნეს, ხმა აღიმადლოს ასეთი უმწეო მდგომარეობის წინააღმდეგ, რათა მოწვეულ იქნას კრება, რომელიც დასახავს ღონისძიებებს საეკლესიო ცხოვრების ნორმალიზაციისა და გაჯანსაღებისათვის.“ეს შეუქმნას უშფოთველი და დალბინებული ცხოვრება და მის შემდეგ თუნდაც მეწყერს წაეღოს“⁴.

პატრიარქ მელქისედეკს ზაგორსკიდან ქართველმა სტუდენტებმაც შეუტყის: „თქვენო უწმიდესობავ, გვაკურთხეთ... აქ, ჩვენ წრეში, ვრცელდება ხმები იმის შესახებ, რომ საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია თითქოს დასასრულს უახლოვდება, რადგან: 1) მთელი რიგი ეპარქიები უმოქმედოდ, მღვდელმთავრის გარეშეა და არც არსებობს სათანადო კად-

4 საქართველოს საპატრიარქო არქივი, პატრიარქი მელქისედეკ III, დოკ. 3993

რი; 2) ღვთისმსახურების დროს ეკლესიებში მორწმუნეთა დასწრება ერთობმცირეა; 3) საქართველოს მართლმადიდებელ ავტოკეფალიურ ეკლესიას არ აქვს სემინარია, გამომცემლობა, საეკლესიო მუზეუმი, წიგნსაცავი, ბიბლიოთეკა. ლაპარაკია იმის შესახებ, რომ ცხუმ-აფხაზეთის ეპარქიაში არ იქნება დაშვებული ახლად ხელდასხმული ქართველი მღვდელმთავარი (საუბარია ეპისკოპოს ლეონიდე ჟვანიაზე, ს.ვ.). და რომ მღვდელმთავართა შორის არიან ისეთებიც, რომლებიც არაქართველთა შორისაც კი ავრცელებენ უბადრუკ აზრს საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის ეპარქიების გამსხვილების აუცილებლობის შესახებ. ზემოთმოყვანილი ძირითადი პრობლემების ირგვლივ თქვენს მიერ მიღებული ზომები, საქართველოს სსრ მთავრობის თავმჯდომარესთან შეხვედრის ჩათვლით, ჩვენთვის ცნობილია, მაგრამ ზოგიერთი მწარე სინამდვილის გამო ვამდევთ თავს ნებას, რომ თქვენი ყურადღება მივაპყროთ შემდეგ გარემოებას: საბჭოთა მთავრობის სათანადო დადგენილების საფუძველზე, რუსეთის, უკრაინის, სომხეთის, სხვა მოკავშირე რესპუბლიკებში არსებობს სასულიერო სემინარია-აკადემიები, ხდება ღვთისმსახურებისათვის საჭირო ლიტერატურის გამოცემა, ხატების გამრავლება, ეკლესია-მონასტრების აღდგენა-განახლება. საქართველოს ეკლესიას თუ უპირატესობა არა აქვს, გამონაკლისს მაინც არ წარმოადგენს, მხოლოდ საჭიროა ამ იურიდიული უფლების ადგილობრივი მთავრობის მეშვეობით გამოყენება. საქართველოს სსრ ხელისუფალთ, არსებული წესის დაცვით, მატერიალური შესაძლებლობის ფარგლებში, წარედგინოს წერილობითი სახის განაცხადი საქართველოს ავტოკეფალიური სამოციქულო ეკლესიის სასიცოცხლო საკითხების შესახებ და ენერგიულად იქნას მოთხოვნილი,

პირველ რიგში, სემინარიის (არა კურსების) გახსნის, საჭირო ლიტერატურის გამოცემის, საეკლესიო მუზეუმის, წიგნსაცავის დაარსების, გელათის, წილკნის, ნიკორწმინდის, ყაზბეგის, ანანურის, გორის ეკლესიებში ღვთისმსახურების უფლების აღდგენა-განახლების შესახებ... საქართველოს ეკლესიის და მისი მეთაურის მტერსა და ორგულს ჩვენს პირად მტრად ვთვლით, მაგრამ განუხორციელებელი განდიდების სურვილის გამო განაწყენებულნი, პატრიარქის შორსმჭვრეტელი გონების თვალთ და კეთილი ნებით, შეიძლება ჩაყენებულ იქნან საქართველოს ეკლესიის საკეთილდღეო საქმიანობაში. ქართველი ერის სიამაყე, სიწმინდე და დიდება „სვეტიცხოველი“ არა მარტო ჩვენი ხალხის, არამედ უცხოელთა ყურადღებასაც იმსახურებს და ამის გამო მის წმიდა მიდამოებში თქვენი ლოცვა-კურთხევით საეკლესიო მუზეუმ-წიგნსაცავის გახსნა ყოველმხრივ გამართლებული იქნებოდა. თქვენი მოწოდებით, მოსახლეობაში გაბნეული ისტორიული თუ სიძველეთა დაცვის თვალსაზრისით ბევრი დიდმნიშვნელოვანი საეკლესიო დანიშნულების ნივთი, წიგნი, წმიდა ხატები, ჯვარი და სხვა, აღმოჩნდებოდა ეკლესიის საკუთრებაში, ე.ი. დაცული იქნებოდა შესაძლებელი განადგურებისაგან. მზად ვართ, ამ დიდი საქმისათვის გავიღოთ პირადი ბიბლიოთეკაც. სააღდგომო არდადეგებისათვის, შესაძლოა, ვეახლოთ თქვენს უწმიდესობას და თქვენი მითითებითა და ლოცვა-კურთხევით, არსებული წესის დაცვით, სადღესასწაულო ქადაგებებით მივმართოთ მორწმუნე საზოგადოებას. ღრმა პატივისცემით გეამბორებით და გამოვითხოვთ თქვენს წმიდა ლოცვა-კურთხევას. ირაკლი შიოლაშვილი, 1957 წლის 12 თებერვალი”.⁵

⁵ საქართველოს საპატრიარქო არქივი, პატრიარქი მელქისედეკ III, დოკ. 2718.

პატრიარქი და მისი ერთგული გარემოცვა ფიქრობდა, რომ მის საწინააღმდეგო კამპანიას ფარულად ხელმძღვანელობდა მიტროპოლიტი ეფრემი (სიდამონიძე), რომელსაც პატრიარქობის ამბიცია ჰქონდა. 1957 წლის 8 ოქტომბერს, პატრიარქის თავმჯდომარეობით, გაიმართა წმინდა სინოდის სხდომა, რომელსაც ესწრებოდნენ: ბათუმ-შემოქმედელი მიტროპოლიტი ეფრემი (სიდამონიძე), მარგველი ეპისკოპოსი დავითი (დევდარიანი), სტეფანაველი ეპისკოპოსი ზინობი (მაჟუგა), ცხუმ-აფხაზეთის ეპისკოპოსი ლეონიდე (ჟვანია), ქუთათელ-გაენათელი ეპისკოპოსი ნაუმი (შავიანიძე), პროტოპრესვიტერი ალექსანდრე გაბუნია, დეკანოზი ნიკოლოზ ბერეკაშვილი. პატრიარქის სურვილის მიუხედავად, მიტროპოლიტ ეფრემს ვერაფერი დააკლეს, სამაგიეროდ, ჯავრი იყარეს დეკანოზ მელქისედეკ ხელიძესა და პროტოდიაკონ ამბროსი ახოზამეზე, რომელნიც ჩათვალეს ეკლესიაში შფოთისა და არეულობის შემომტანებად, ამიტომ ორივე განკვეთეს ეკლესიიდან. ასაკში შესული კათალიკოზი მელქისედეკი სერიოზულად ფიქრობდა მომავალ მემკვიდრეზე. მან 1959 წელს, ბორჯომში დასასვენებლად ყოფნის დროს, თავისთან გამოიძახა ქუთათელი ეპისკოპოსი ნაუმი და შესთავაზა კათალიკოზ-პატრიარქის მოსაყდრეობა, რაზედაც მეუფე ნაუმმა თავაზიანი უარით უპასუხა. ამის შემდეგ, 1959 წლის 24 ივლისის ბრძანებით, მარგველი ეპისკოპოსი დავითი (დევდარიანი) გამოაცხადა კათალიკოზ-პატრიარქის მოსაყდრედ და დააჯილდოვა სკუფიაზე ბრილიანტის ჯვრის ტარების უფლებით. 1960 წლის 10 იანვარს, 88 წლის ასაკში, გარდაიცვალა სრულიად საქართველოს კათალიკოზ-პატრიარქი მელქისედეკ III, რომელიც დაიკრძალა სიონის საკათედრო ტაძარში.

ქორწინების ტრადიცია მერისის ხეობაში

აბსტრაქტი: წარმოდგენილ ნაშრომში - „ქორწინების ტრადიცია მერისის ხეობაში“ ყურადღება გამახვილებულია მერისის ხეობაში არსებულ საქორწინო ტრადიციებზე. ისტორიულად ამ ხეობაში არაერთი წეს-ჩვეულებაა შემონახული, მათ შორის, განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია ქორწილი და მასთან დაკავშირებული ტრადიციები. თემა აქტუალურია იმდენად, რამდენადაც აქ წარმოდგენილი მასალები ღირებულია, როგორც ეთნოგრაფიული, ასევე ფოლკლორული თუ ენათმეცნიერული თვალსაზრისით.

ხეობაში ჩატარებულმა კვლევებმა კიდევ ერთხელ ცხადყო, თუ რაოდენ მნიშვნელოვანია ამ კუთხის შესწავლა სამეცნიერო თვალსაზრისით.

საკვანძო სიტყვები: მერისი, საქორწინო ტრადიციები, ნეფე-პატარძალი, ქორწინება.

Marriage Traditions in Merisi

Abstract: In the paper - “Marriage traditions in the Merisi” we mainly focus on the wedding traditions in this region. Historically, a number of rituals have been preserved in this valley, among them, the wedding and related traditions are really significant to study. The issue is relevant to the extent that the materials presented here

¹ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი / PhD student at Batumi Shota Rustaveli State University

are valuable, both from an ethnographic, folklore and linguistic point of view. The research conducted in the gorge one more time made it clear how important it is to study fundamentally this area.

Key words: Merisi, wedding traditions, bridegroom; bride, marriage.



სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში, განსაკუთრებით აჭარაში, არაერთი ტრადიციის დაცული, მათ შორის ყურადსაღებია საქორწინო ტრადიციები და მასთან დაკავშირებული წეს-ჩვეულებანი.

ისტორიულად, აჭარა საუკუნეების განმავლობაში ოსმალთა ბატონობის ქვეშ იმყოფებოდა. შესაბამისად, ამ კუთხის ტრადიციებში ბევრი რამ შეიცვალა. კერძოდ, ქრისტიანული ქორწინების წეს-ჩვეულებები ჩაანაცვლა მუსლიმური სამყაროსთვის დამახასიათებელმა წესებმა ყოველივემ კი ასახვა ჰპოვა აჭარის მკვიდრთა ცხოვრებაში.

ჩვენი ინტერესების სფეროში მოექცა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს, აჭარის, კერძოდ, ქედის რაიონის, მერისის ხეობაში შემონახული საქორწინო ტრადიციული ურთიერთობები.

მერისის ხეობა ქედის მუნიციპალიტეტს ეკუთვნის და ბათუმიდან 50 კილომეტრის დაშორებით მდებარეობს, რომელიც რამდენიმე სოფლისგან შედგება. ესენია: გარეტყე, გუნდაური, ინაშარიძეები, ნამონასტრევი, სილიბაური, სიხალიძეები და თვით მერისი. საინტერესოა ის ფაქტი, რომ მერისს 1948 წლამდე ქემიოღლები და ორთამელე ერქვა, რაც ოსმალთა ბატონობის პერიოდს უკავშირდება. მდინარე „აკავრეთას“ ხეობაში მდებარე მერისში ერთდროულად ბევრი რამის ნახვა შეგიძლიათ. ამ ულამაზეს, მწვანეში ჩაფლულ

ხეობაში ნახავთ მერისის წყალუხვ ჩანჩქერს, რომელიც ღრმად შეჭრილ, მიხვეულ-მოხვეულ მთებშია ჩამალული, უძველეს ასწლოვან სახლებს, რომლის კედლებში სოფლის მკვიდრები ახლაც ცხოვრობენ (<https://kvirispalitra.ge/article/48282-merisi-kheoba-romelsac-adgilobrivi-meti-uckhoeli-stumari-hyavs/>).

ზღვის დონიდან 700 მეტრ სიმაღლეზე მდებარე ხეობა ულამაზეს ბუნებასთან ერთად მნიშვნელოვან ეთნოგრაფიულ წარსულს ინახავს. აჭაურთა ტრადიციული ყოფის შემადგენელი ნაწილია ქორწინება. ქორწინება და მასთან დაკავშირებული წეს-ჩვეულებები მნიშვნელოვანი სოციალური მოვლენაა, რომელსაც მერისის ხეობაში განსაკუთრებით უფრთხილდებიან. სწორედ, დღემდე შემონახული საქორწინო ტრადიციები განსაზღვრავს თემის აქტუალობას. ხეობაში მცხოვრებ ხანდაზმულ ადამიანთა მეხსიერებაში შემორჩენილი ცოცხალი ნარატივები კი წარმოადგენს შერჩეული თემის მნიშვნელობას. საველე მასალების შეკრებისას არაერთ ასეთ ადამიანს შევხვდი და ძირითადად, სწორედ, მათ მიერ მოყოლილი საინტერესო ისტორიები საქორწინო ურთიერთობები, ისე როგორც ქორწინების ინსტიტუტის მთლიანი ციკლი - ძველი და ახალი საქორწინო ტრადიციები აჭარაში, მრავალი მკვლევრის ნაშრომშია ასახული. „აჭარული ქორწილი“-ეს არის ახალგაზრდა წყვილის დაოჯახება და დაოჯახებასთან დაკავშირებული საზეიმო ღონისძიებები, რომელსაც ზოგჯერ ტერმინ „დუგუნითაც“ აღნიშნავდნენ (ნოღაიდელი, 1937: 491). საერთოდ, საოჯახო წეს-ჩვეულებები კულტურის ერთ-ერთი ყველაზე უფრო კონსერვატიული ელემენტებია, რომლებიც საუკუნეების მანძილზე ცვლილებებს ნაკლებად განიცდიდნენ. ასევე წმინდად დაიცვა აჭარამ საქორწინო წეს-ჩვეულებები და მასთან დაკავშირებული ფოლკლორი. ეს შენიშნა დიმიტრი

ბაქრაძემაც, რომელმაც აჭარაში ჯერ კიდევ XIX საუკუნის მეორე ნახევარში, ოსმალთა მმართველობის პერიოდში იმოგზაურა. აქ მას ქართული „მაყრული“ მოუსმენია. იგი წერდა: „მაყრული, მისი სიტყვები და კილო, თვითონ ქორწინების ზეიმი, სამ დღესაა ქორწილი, ყველაფერი ეს წმინდა ქართულია და იგი შემონახულია არა მარტო აჭარაში, არამედ, ყველგან ამ მხარის ქართველ მუსლიმანებში“. უშუალოდ საქორწინო ლექს-სიმღერების გარდა, ამ ციკლში წინა საქორწინო ციკლის ტექსტებიც შედიოდა, რაც ქორწინების რიტუალის სხვადასხვა წეს-ჩვეულებას (გარიგება, ნიშანლობა, საპატარძლოსთან გამოთხოვება) გულისხმობდა. <http://www.nplg.gov.ge/wikid>).

გიორგი ყაზბეგის (იმოგზაურა 1874 წელს) მონაცემებსაც აჭარული ქორწინების შესახებ ფრაგმენტული ხასიათი აქვს და სხვადასხვა ამბებთან დაკავშირებითაა მოცემული. კერძოდ, აქ ვხვდებით მასალას მოსახლეობის მაღალ ფენებში მრავალცოლიანობის, გლეხთა ქორწინებაში ბეგის როლის შესახებ და სხვა. ყურადღებას იქცევს მის მიერ აჭარული ყოფის დახასიათება: „აჭარელის საშინაო ყოფა ისეთია, როგორც საერთოდ კავკასიის მთიელი ხალხებისა: პატრიარქალურობა, მოხუცთა პატივისცემა, დოგმად ქცეული სტუმარ-მასპინძლობა, თვშეკავებულობა, დიდი ცნობის-მოყვარეობა და რაც ამიერკავკასიაში იშვიათად გვხვდება, შრომის მოყვარულობა. ზემო აჭარის მცხოვრები მთელი დღე შრომობს. სახლის გარეთ ყველაფერს მამაკაცი აკეთებს, სამაგიეროდ სახლში დიასახლისი უძღვება ყველა საქმეს“. სამწუხაროდ, მისი ცნობები ქორწინების შესახებ მცირეა (ბექაია; 1874:13-14).

აჭარული ქორწინების საკითხებს ვხვდებით საბჭოთა პერიოდულ პრესაშიც. განსაკუთრებით აღსანიშნავია გაზე-

თები: „ფუხურა“ და „საბჭოთა აჭარა“. მათ ფურცლებზე გვხვდება სხვადასხვა კორესპოდენციები, რომლებიც უმეტესად მიზნად ისახავენ ძველი წესების მხილებას და მათ წინააღმდეგ ბრძოლას. თუმცა იგივეს ვერ ვიტყვით 21-ე საუკუნის მედიაზე. დღეს პირიქით, მასმედია აქტიურადაა ჩართული ეთნოგრაფიული მასალების კვლევაში. ამას მოწმობს აჭარის ტელევიზიის გადაცემათა ციკლი „ერთი დღე სოფელში“. თერთმეტი წლის განმავლობაში საავტორო გადაცემის მომზადების მიზნით აჭარის სხვადასხვა სოფელს და მათ შორის მერისის ხეობას არაერთხელ ვსტუმრობდი და იქ მცხოვრები მოსახლეობის ყოფა, ცხოვრება და შემორჩენილი ტრადიციები წარმომიჩენია. გადაღებების პარალელურად ყოველთვის ვაწარმოებდი პირად დღიურებს, სადაც მოხუცების მონათხრობ ამბებს ვინიშნავდი. სწორედ წლების განმავლობაში დაგროვილი პირადი არქივი არის ერთ-ერთი საინტერესო მასალა, რომელიც აქტიურად გამოვიყენე ნაშრომის წერისას.

აჭარული ქორწინების საკითხებს ვხვდებით საბჭოთა პერიოდულ პრესაშიც. განსაკუთრებით აღსანიშნავია გაზეთები: „ფუხურა“ და „საბჭოთა აჭარა“. მათ ფურცლებზე გვხვდება სხვადასხვა კორესპოდენციები, რომლებიც უმეტესად მიზნად ისახავენ ძველი წესების მხილებას და მათ წინააღმდეგ ბრძოლას. თუმცა იგივეს ვერ ვიტყვით 21-ე საუკუნის მედიაზე. დღეს პირიქით, მასმედია აქტიურადაა ჩართული ეთნოგრაფიული მასალების კვლევაში. ამას მოწმობს აჭარის ტელევიზიის გადაცემათა ციკლი „ერთი დღე სოფელში“. თერთმეტი წლის განმავლობაში საავტორო გადაცემის მომზადების მიზნით აჭარის სხვადასხვა სოფელს და მათ შორის მერისის ხეობას არაერთხელ ვსტუმრობდი და იქ მცხოვრები მოსახლეობის ყოფა, ცხოვრება და შემორჩენილი

ტრადიციები წარმომიჩენია. გადაღებების პარალელურად ყოველთვის ვაწარმოებდი პირად დღიურებს, სადაც მოხუცების მონათხრობ ამბებს ვინიშნავდი. სწორედ წლების განმავლობაში დაგროვილი პირადი არქივი არის ერთ-ერთი საინტერესო მასალა, რომელიც აქტიურად გამოვიყენე ნაშრომის წერისას.

2009 წელს, როცა მერისის ხეობის ერთ-ერთ სოფელს ინაშარიძეებს ვსტუმრობდი იქ განსაკუთრებით საინტერესო იყო 106 წლის უხუცესი სებილე შარაძის მონათხრობი თავის ქორწინებასთან დაკავშირებით. ქალბატონი, რომელსაც თავზე ბევრი შრომა და ჭირვარამი გადახდა მაინც მხნედ გამოიყურებოდა. საყურადღებოა, რომ საუკუნეზე მეტი ხნის უხუცესი უსათვალოდ ქსოვდა და მეხსიერებაც კარგად ჰქონდა შენარჩუნებული.

ქალბატონმა სებილემ, მისალმებისას ხუმრობით აღნიშნა: „დადეთ ვუნდოდი და უხაროდა, რომ ვესტუმრეთ“. საუბრისას გაიხსენა ახალგაზრდობის პერიოდი, კერძოდ: „თოხზე დაბერებული ვარ, ძროხიჭვირთი, ჯირეკი, ჩალა ჩემს ზურზე გადაირა, ჯანმრთელი დავრჩი იშთე, ჯერ ექიმთან არ მივსულვარ და ნემსი არ გიმიკეთებია. 52 წელიწად მთაზე ვიარე. 25 წლისა ვიყავი ეიდა, როგორ გავთხოვდი და ცხენზე შამაჯდუმნეს და ავშარა კაცმა დეიკავა და ცხენით მოსული ვარ. მეუღლე დანახული არ მყავდა, რომ მიმიყვანეს და დამადგუმნეს დედოფლად, კაცი კარიდან რომ მიჭიჭინებდა დევნახე. მოგეწონა, არ მოგეწონა ესაა, ჰად წახვიდოდი. შვილი ორი ძლივაი მოვასწარ, ხუთ წელიწადს ვიყავ კაცთან, და შვილიშვილები ვერ დავთლი იმდენი მყავს.“

აღსანიშნავია, ის ფაქტიც, რომ ქორწინების საკითხში ახალგაზრდები საკმაოდ უუფლებონი იყვნენ და ის ოჯახის უფროსის ინტერესებიდან გამომდინარეობდა. დიდი იყო

უფროსების, მშობლების როლი ახალგაზრდების დაქორწინებაში. მშობლები ხშირ შემთხვევაში დამოუკიდებლად წყვეტდნენ შვილების მომავალს. თვითონვე არჩევდნენ სარძლოს და საქორწინო პირი ამას ხშირად შუაგაცის გაგზავნის შემდეგ გაიგებდა. შვილები თვითონ ვერ გაამჟღავნებდნენ თავის სურვილს და ვერც არჩევანით გამოხატავდნენ უკმაყოფილებას. საინტერესო მაგალითებია დაცული ხეობაში სურვილის წინაღმდეგ დაქორწინების შესახებ. განსაკუთრებით ქალიშვილი იყო უსიტყვოდ მორჩილი და მშობლების ნება-სურვილს მინდობილი. მას დედ-მამის მიმართ განსაკუთრებული რიდი გააჩნდა, მაგრამ მაინც მამის წინაშე იყო მოკრძალებული, დამჯერი და მორჩილი.

საქორწილო ტრადიციულ ურთიერთობებში საინტერესოა დედის ძმის „ტაიას“ როლი. როგორც მერისის ხეობაში



(ექსპედიციის მასალები, რვეული #1, 2013 წ. პირადი არქივი)
<https://www.youtube.com/watch?v=ZTvKj5fG1e8>.

ჩაწერილი მასალებიდან იკვეთება დედის ძმას მნიშვნელოვანი სიტყვა ეთქმოდა სიტყვის გამოტანსა და საქმის გადაწყვეტაში. ასეთივე უფლებებით სარგებლობდა საპატარძლოს სიძეც.

არსებული მაგალითებით დისშვილის გათხოვებაში მშობლების უფლებებს უტოლდებოდა „ტაიას“ სიტყვა. ხშირად მისი აზრი იყო გადამწყვეტი. ასევე, აუცილებლად გასათვალისწინებელი იყო მამის ძმა-ბიძების აზრიც.

სიტყვის გადაწყვეტაში ხშირად სოფლის გავლენიანი ადამიანები, ხშირად გვარის უზუცესებიც ერეოდნენ. ეს ფაქტი მთელი ოჯახისადმი სოფლის, გვარის პატივისცემას და თხოვნას გამოხატავდა. ამიტომაც ოჯახს უჭირდა უარის თქმა და ქორწილიც შედგებოდა.

განსაკუთრებული უფლებებით სარგებლობდა დედამთილი. მაგალითად: „შეხვედრა დედოფალთან, მასზე წინამძღოლობა და რძლის ოჯახის ახალ წევრად ინკორპორაცია, ტვალზე დაჯდომა და სხვა“ (ჩელებაძე; 2005:60). ეს ტრადიცია დამახასიათებელი ყოფილა მერისის ხეობისთვისაც. ასე მაგალითად: 98 წლის სულული დუშბაძე ოთხი თაობის დედამთილია. ის თავისი შვილების გაბედნიერებაში აქტიურად მონაწილეობდა. ქალბატონმა სულულმა წლების წინ თავისი რძლები თავად შეარჩიე. მისი მთავარი მოთხოვნა კარგი წრე და ოჯახის საქმეების ცოდნა იყო. სამივე შვილის ქორწილი ყველა ტრადიციის დაცვით გადაიხადა. რძლებს შესაშური ნიშან-ბოხჩა მიუტანა და მათი მზითვიც კარგად დაამახსოვრდა. მიუხედავად ათეული წლების გასვლისა ის კვლავ რძლებთან ერთად ცხოვრობს და მთავარ გადაწყვეტილებებსაც დღემდე ის ღებულობს. უზუცესი ბებო ფიქრობს, რომ დედამთილი ოჯახში მთავარი ფიგურაა და მას რძლები უნდა ემორჩილებოდნენ და თუ ეს ასე არ იქნება

რძლებს მის ვაჟებთან შეექმნებათ პრობლემები. საერთოდ დედამთილს ოჯახში დიდი უფლებამოსილება გააჩნდა. ისინი ასრულებდნენ ყველაზე მნიშვნელოვან საოჯახო საქმეებს. ოჯახის მეურნეობას, ბავშვების, შვილიშვილების აღზრდაც მის მოვალეობად ითვლებოდა.

აჭარაში ქორწინება რამდენიმე ფორმით ხასიათდებოდა. ესენია: საყოველთაოდ გავრცელებული სახით იყო გარიგება, ხოლო გამონაკლისით - მოტაცება და „ოჯახზე დაჯდომა“. ამასთან ერთად, ყოფაში ე. წ. გაცვლითი ქორწინებაც დასტურდება. გავრცელებული იყო აგრეთვე ლევირატული (ქვრივი ქალის მითხოვება მაზლზე ან მაზლიშვილზე) და სორორატული (ცოლის დიდ ან ცოლის ახლო ნათესავის შერთვა) ქორწინება. ქორწინების პირობებს ძირითადად საფუძვლად ტერიტორიული, რელიგიური, ეროვნული და სოციალურ-ეკონომიკური პრინციპები ედო (აჩუგბა; 1983:134), (გოცირიძე;1981:58-59). რაც შეეხება ქორწინების ლევირატულ ფორმას ეს მიდგომა მერისის ხეობაში ნაკლებად ახსოვთ, თუმცა ხშირი იყო სორორატული მეთოდის გამოყენება. შუქრი თურმანიძე 87 წლისაა. ის ბაბუას მონაყოლს იხსენებს და გვიყვება, რომ როცა ბაბუს ცოლი ნაადრევად დააკლდა, ოჯახის გადაწყვეტილებით მას ცოლის ბიძაშვილი გააყოლეს, რომ დარჩენილ წვრილ-შვილს კარგად მოუვლიდა და ქმრის შვილები უფრო ეყვარებოდა. რათქმაუნდა არავინ იცის, იმ დროს ბიძაშვილის მეუღლეზე ცოლად გაყოლა რამდენად მოსწონდათ გასათხოვარ გოგოებს, თუმცა ფაქტია, რომ ამ მხრივ, ქალის უფლებები ნაკლებად იყო დაცული. მონათხრობშიც კარგად ჩანს, რომ პატარძლის აზრი არავის აინტერესებდა. ის თავის ქმარს ქორწილის დღეს, ქმრის ოჯახში გაიცნობდა და თანაც იქ დატოვებდნენ. ქალის უფლებრივი სტატუსის განსაზღვრაში

ყურადსაღებია, აგრეთვე, აჭარაში დამოწმებული ქორწინების შემდეგი ფორმა-ოჯახზე „დაჯდომა//დაჟდუმლება“. ეს წესი ვ. ბარდაველიძემ ხულოს რაიონში ეთნოგრაფიული ექსპედიციის დღიურებშივე დააფიქსირა, როგორც ქორწინების ძველი ფორმა (ბარდაველიძე; 1933:528-530). მის ფუნქციონირებას მეცნიერი ბექაია შესაძლებლად თვლის ორი განსხვავებული გზით: ერთ შემთხვევაში, ამორჩეული ქალის დანიშვნაზე ინიციატივას იჩენს ოჯახი - ვაჟის სურვილის წინააღმდეგ და პირიქით, როდესაც ოჯახი წინ აღუდგებოდა ვაჟის დაინტერესებას. ორივე შემთხვევაში ქალი მარტო მიდიოდა ვაჟის ოჯახში და თავს რძლად აცხადებდა (ბექაია; 1974:37-51).

აღსანიშნავია, რომ ძველ ქართულად ჯდომა ნიშნავდა დამკვიდრებას (აბულაძე; 1973: 573), რომლის პირველადი მნიშვნელობა დაპყრობა, დასაკუთრება და დაბინავება - დასახლება იყო. აღნიშნული ფორმა მეტად საინტერესოა და სხვადასხვა ფორმით ხასიათდება. რაც შეეხება მოტაცებას, იგი ზოგჯერ დედასთან შეთანხმებით ხდებოდა.

„დაჯდომა//დაჟდუმლება“-ს ფორმითი ქორწინება დაფიქსირებულია მერისის ხეობაში. სოფელ ნამონასტრეში დღესაც ასახელებენ ამგვარი ქორწინების მაგალითებს, რომელიც მთლიანად ქალის ნება სურვილიდან გამომდინარეობდა. თუმცა შეკრებილი მასალების მიხედვით არის ერთეული მაგალითები დაჟდუმლების სხვა სახეობისა. ამ შემთხვევაში ვაჟი უარს აცხადებდა კატეგორიულად გოგოზე, ოჯახი კი თანახმა იყო, დაინტერესებული იყო ამ გოგოს რძლობით, ოჯახი ვაჟისგან ფარულად უთანხმდებოდა სასურველ სარძლოს. გოგოს სთხოვდნენ მარტო მისულიყო ოჯახში და თავი მათ რძლად გამოეცხადებინა. ამ სიტუაციაში ოჯახში მისული გოგოს უკან გაბრუნება თითქმის ცოლის გაშვების

თანაბარი იყო და ქალის ოჯახთან გარკვეულ დამაბულ ურთიერთობას ქმნიდა. ამიტომ ხშირ შემთხვევაში ვაჟი იძულებული ხდებოდა ანგარიში გაეწია ოჯახისათვის და მოსული გოგო ცოლად ეთხოვა.

ასევე იყო მაგალითები, როდესაც თვით დასაქორწინებელი ვაჟის ინიციატივით ხდებოდა. იმ შემთხვევაში თუ ოჯახები ვაჟის სურვილის კატეგორიული წინააღმდეგები იყვნენ, ახალგაზრდები მიმართავდნენ დაჯდომის წესს. დაჯდომის ინიციატორი აქ უკვე ვაჟი გამოდის. ის უთანხმდება გოგოს და ხდება დაჯდომის ინსცენირება. ეს ფაქტები ნათლად გამოხატავენ ქალისა და ვაჟის შეზღუდული უფლებების საუკეთესო გამოსავალს.

ქორწინების ერთ-ერთი გამოხატულებაა ჩასიძება. მერისის ხეობაში ჩასიძების სხვადასხვა ფორმები არსებობდა. პირველ რიგში ჩასიძების ინიციატივა გოგოს ოჯახიდან მოდიოდა. ჩასიძება ხდებოდა მხოლოდ უვაჟო ოჯახში იმ მიზნით, რომ აეცილებინათ ოჯახის ძმა-ბიძების პრეტენზია უვაჟო ოჯახის ქონებაზე. სხვა შემთხვევაში ისინი აიძულებდნენ განქორწინებას.

ჩასიძების ორი ფორმა არსებობდა. ერთ შემთხვევაში ვაჟი გვარს არ იცვლიდა, ხოლო მეორე შემთხვევაში გვარი აქვს შეცვლილი. ასეთ დროს ვაჟი ანუ სიძე უფრო პატივისცემით სარგებლობდა. თუმცა, გვარის გამოცვლაზე თანხმობას ვაჟი უკიდურეს შემთხვევაში ამბობდა.

ჩასიძებაზე, გვარის გამოცვლაზე მოლაპარაკება-დაპირება ჩვეულებრივზე დიდხანს გრძელდებოდა.

ვაჟის მხრიდან ასეთი მნიშვნელოვანი ნაბიჯის გადადგმას აპირობებდა მისი ოჯახის ხელმოკლეობა და მრავალვაჟიანობა. ასეთი ოჯახისათვის ძნელი ხდებოდა ყველა შვილის დასახლება, დაქორწინება და წილის მიცემა. ჩასიძე-

ბის დროს კი ვაჟი მზა ოჯახში მიდიოდა საცხოვრებლად. ნიშნად მისატანი საჩუქრებისა თუ ქორწილთან დაკავშირებული ხარჯებიც ნაკლები იყო.

მერისის ხეობაში მცირემიწიანობის შემთხვევაში ჩასიძება საუკეთესო გამოსავალი იყო. ზედ სიძეობის მაგალითების მოკვლევა მერისის ხეობის თითქმის ყველა სოფელში შეინიშნება. გვარის გამოცვლის შემთხვევებიც დადასტურებულია. ამ შემთხვევის დროს გვარგამოცვლილი ზედ სიძე შედარებით უუფლებოდ სარგებლობდა. იგი ერთგვარად ცოლის ოჯახის წევრების დაქვემდებარებულ მდგომარეობაში იმყოფებოდა, უუფლებოდ გრძნობდა თავს. მაგალითად: საერთო საქმეების მოგვარებაში, გადაწყვეტაში და სხვა. ამიტომ მიუხედავად იმისა, რომ მერისის ხეობაში, ისევე როგორც აჭარაში, ჩასიძება ერთის მხრივ ხელსაყრელი იყო უვაჟო და მეორეს მხრივ პირიქით, მრავალვაჟიანი ოჯახებისთვის, იგი მაინც იშვიათი შემთხვევა იყო.

ამდენად, მაღალმთიანი აჭარის ყოფა ოდითგანვე გამოირჩეოდა ბარის ცხოვრებისაგან. ბუნებრივია, ტრადიციებიც განსხვავდებოდა. მთას ყოველთვის მკაცრად გაწერილი წესები ჰქონდა. მაშასადამე, ჩასიძების ტრადიცია ოდითგანვე არსებობდა მერისის ხეობაში.

გამოყენებული ლიტერატურა:

- **აბულაძე, 1973:** - აბულაძე ი. „ძველი ქართული ენის ლექსიკონი (მასალები)“, თბ. 1973.
- **ბარდაველიძე, 1955:** - ბარდაველიძე ვ., საოჯახო ყოფა აჭარაში. ისტორიის ინსტიტუტის შრომები, , თბ., 1933.
- **ჩუგბა, 1983:** - ჩუგბა თ. „ტრადიციული ოჯახი აჭარაში“, ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის შრომები, VI, 1983.
- **ბექაია, 1974:** - ბექაია მ., „ძველი და ახალი საქორწინო ტრადიციები აჭარაში“, ბათ., 1974.
- **გოცირიძე, 1981:** გოცირიძე გ., ფერეიდანელ ქართველთა ნათესაური სისტემის ზოგიერთი საკითხი, „მაცნე“ (ისტორიის სერია) , #2., თბ., 1981.
- **თავდგირიძე, 1913:** - თავდგირიძე ნ., ექსპედიციის მასალები, რვეული #1, პირადი არქივი. 2013.
- **თავდგირიძე, 1919:** - თავდგირიძე ნ., ექსპედიციის მასალები, რვეული #2, პირადი არქივი. 2019.
- **თავდგირიძე, 1920:** - თავდგირიძე ნ., ექსპედიციის მასალები, რვეული #3, პირადი არქივი. 2020.
- **თავდგირიძე, 1920:** - თავდგირიძე ნ., ექსპედიციის მასალები, რვეული #4, პირადი არქივი. 2020.
- **ჩელეზაძე:** - ჩელეზაძე ნ., „ქალი და ოჯახი“, თბილისი 2005.
- <https://kvirispalitra.ge/article/48282-merisi-kheoba-romelsac-adgilobrivze-meti-uckhoeli-stumari-hyavs>
- <http://www.nplg.gov.ge/wikidict/index.php/>
- <https://www.youtube.com/watch?v=-BNEUKH4iRI>
- <https://www.youtube.com/watch?v=ZTvKj5fG1e8>

შორენა მახაჭაძე / Shorena Makhatchadze¹

(ბათუმი, საქართველო / Batumi, Georgia)

ბიბლიური კონცეპტები გენრიეტა ქუთათელაძის პოეზიაში

*„მაღალმხედია კაცი ყოველი,
თავისი სულის პრიზმაში რომ გადატეხს მთელ
სამყაროს
და განზრძნობილს
აღაფრთოვანებს ეს საკრალური დიადი წესრიგი -
ბუნების ღვთაებრიობის გამოვლენა,
კაცის სულის მარადიული მოშანდაკე და
შთამავონებელი.“
გენრიეტა ქუთათელაძე*

აბსტრაქტი: სტატიაში საუბარია ბიბლიურ კონცეპტებსა და მათ მნიშვნელობაზე გენრიეტა ქუთათელაძის პოეზიაში. პოეტის აზრით, ადამიანის გადარჩენის ერთადერთი საშუალება ღვთის გზაზე დგომაა და იმედად მისი უჩინარი, წარმმართველი, ყოვლისშემძლე ხელი ეგულება. გენრიეტა ქუთათელაძის ლექსების ლირიკული გმირი ღვთის მამიებელი სულია, რადგან, როცა ადამიანი ივიწყებს უზენაესს, სამყაროდან ქრება ფერები, მელოდიები, სიტყვები. ამის თვალნათლივ წარმოდგენაში ეხმარება პოეტს ბიბლიური კონცეპტები: სიკეთე, ბოროტება, დაცემა, ამაღლება, აღთქმული ქვეყანა და ა. შ. - ასე უხვად რომ მოიპოვება მის პოეზიაში.

¹ ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი / PhD in Philology, Professor at Batumi Shota Rustaveli State University

საკვანძო სიტყვები: ღმერთი, ბიბლიური, კონცეპტი, სიკეთე, ბოროტება, ვერლიბრი.

Biblical Concepts in the Poetry of Genrietta Kutateladze

Abstract: The article discusses the incorporation of biblical concepts into the poetry of Genrieta Kutateladze. The poet believes that salvation can only be achieved by following God's path and relying on His invisible, guiding, and all-powerful hand. In Kutateladze's poems, the protagonist is often portrayed as a soul in search of God, as the poet believes that when people forget the Divine, the world loses its colors, melodies, and words. Biblical concepts such as good, evil, fall, ascension, and the promised land are prominently featured in her poetry, aiding in the visualization of these ideas.

Key words: God, Biblical, Concept, goodness, Evil, Verlibre.



„აღბათ, ბედის საჩუქარი იყო - მთელი ბავშვობა ია-იებით მოყვავილე მინდორში გავატარე. გაზაფხულის ფერად-ფერად ყვავილებს შევხაროდი და გაცემა მიპყრობდა - რამ შექმნა ასეთი მშვენიერება-მეთქი“ (ქუთათელაძე, 2013:2) - ეს გაცემა სამყაროთი ასაზრდოებს გენრიეტა ქუთათელაძის პოეზიას და კიდევ: პასუხის ძიება კითხვაზე: რამ თუ ვინ შექმნა ეს უთვალავი ფერით შემკული სამყარო, რა ადგილი უჭირავს მას ადამიანის ცხოვრებაში, როგორია მისი მიმართება უზენაესისადმი? ამ კითხვებზე პასუხის გაცემისათვის პოეტი იყენებს ბიბლიურ კონცეპტებს, ცდილობს მათი მეშვეობით ჩასწვდეს იდუმალის, უხილავის არსს. მას ეჭვიც არ ეპარება, რომ ეს სამყარო ღვთის საუფლოა და სამუდამო წყევლითაა დაღდასმული ის, „ვინაც „ვერცხლი არჩია უფალს“

(ქუთათელაძე, 2013:11) [*შემდგომში ციტატებს მოვიყვანთ ამ გამოცემიდან, მიუთითებთ მხოლოდ გვერდებს*], ვისაც ცნობიერება აქვს დახშული და ვერც გონებით, ვერც - გულით ვერ წვდება და ვერ შეიგრძნობს უფალს, თვალხილულიც ბრმაა, რადგან დაუკარგავს უნარი ღმერთით ავსებული სამყაროს დანახვისა. ამ ნიჭს მოკლებული დედამიწელი კი უფლის შეცნობასთან ერთად კარგავს საკუთარი „მეს“ შეცნობის უნარსაც, რადგან „დემიურგი თუ უკვდავი სული, / ყოველ ჩვენგანში იბუდებს სახეშეცვლილი“ (12). უფლის რწმენის გარეშე ადამიანი ინდივიდუალობას კარგავს, იმ ათასის მსგავსი ხდება, რომელნიც სახედაკარგულნი, სკეპტიციზმის ნილაბმორგებულნი უგზოუკვლოდ დაეხეტებიან ქაოსურ სამყაროში, ვერაფერს ხედავენ და ვერაფერს გრძნობენ, სულამოცლილ განტენზაინებად და „ჰომო ფაბერებად“ ქცეულან, სინამდვილეს თვალს ვერ უსწორებენ და ილუზიათა სამყაროს მარადიულ მკვიდრებად რჩებიან, კარგავენ ფასდაუდებელ განძს - დროს, რადგან:

„დრო თვით ღმერთია, ალბათ, და თავად სიყვარული,
ღმერთო, რამ გაყო მართლაც, ღმერთი და სიყვარული.“ (14)

უზენაესი უგზავნის ადამიანებს ვაჟასა და გალაკტიონს, რათა მათ ყველა დროში შეძლონ თეთრად გადაფიქვლილი ტყემლებითა თუ ატმის ყვავილების ბილილებით ტკბობა, ჩამავალი მზის მშვენიერებითა თუ მოსარკული ცით აღფრთოვანება, უფლის გვირგვინის - ადამიანის სულისა და გრძნობის იდუმალი ფიქრების ამოცნობა და, რაც მთავარია, უფლის უმთავრესი გზავნილის გათავისება: „კაცნო, გიყვარდეთ ერთმანეთი!“ (15). მხოლოდ ამ პრინციპით შეიარაღებულ ამქვეყნად მცხოვრებთ არ ეშინიათ სიკვდილის, რომელიც შესაძლოა, „ყველაზე დიდი მოგზაურობა იყოს სამყაროში“ (27).

თითოეულ ადამიანს კი გასავლელ გზაზე თავისი წილი გოლგოთა ელის: „წინ გოლგოთაა, გასავლელია ეს გზა ბოლომდე...“ (32) - ამ გზაზე კი მხოლოდ უფალია მისი შემწე, უფალი, რომლის ნაჩუქარი სიცოცხლის ყოველი წუთი ასე ძვირფასი და განუმეორებელია, ვისაც შეუძლია სამყაროს მორთვა ცისარტყელას ფერებით და დაუვიწყარი წუთების მოძღვნა:

„მე მოწიწებით დავხარე თავი, ბედნიერი ვარ, უფალო ჩემო, რა იშვიათი დამდე პატივი, დაუვიწყარი მაჩუქე წუთი“ (39).

ღმერთი სიყვარულია, სიკეთეა, სინათლეა, რომელსაც ძალუმს ბოროტების, სიძულვილის, სიბნელის გარდაქმნა, ამიტომაც ევედრება მას პოეტი, რომ ამქვეყნად მომრავლებულ ავთვალეებს, ავენებს, ავგულებს:

„ღმერთმა ხელი მოუმართოს, გული გამოეცვალოს...
შინაურს და გარეულსა, თვალშავას და თვალჭრელას,
ავი თვალით მოთვალთვალეს, ავი თვალით შემხედავს,
ღმერთო, ხელი გაუწოდე, გული გაუკეთილე!“
(„ვედრება“, 28).

პოეტის რწმენით ხომ, მხოლოდ უფალს ძალუმს შექმნას სულდიდი, კეთილშობილი, მაღალზნეობრივი ადამიანი:

„სიტყვანატიფი, კეთილანაგი,
მავანისთვის თავდადებული, მოსიყვარულე,
ქველი და ბრძენი,
მართლა ღვთიური...“ (61).

უფლის სამყოფელიც მის მიერვე შექმნილი ადამიანია:

„ღმერთი თქვენშია, ყოველ თქვენგანში,
მთელი სამყარო!

მთელი ბუნება ღმერთია თავად.“ (2003:38)

უზენაესის სიდიადეს პოეტი ბუნებაშიც ხედავს: მიწიდან ამომსკდარიბალახი, ყვავილების ხალიჩად ათასფერადმოქარ-

გული მინდორ-ველები, კლდიდან ჩანჩქერად გადმომჩქევი ნაკადები, ცაზეკვარებივით ანთებული ვარსკვლავები, „ღრუბლის მდელიოზე აცეკვებული სხივი“ და ცის ღიმილი (2003:101), უფლის პირიდან გადმოფენილი მოქარგული სიტყვები, აისი თუ კუნაპეტ ღამეს ცაზე გავლებული ვერცხლისფერი ბილიკები, ოკეანის ტალღების გუგუნი - უფლის არსებობის დასტურია. უფლის სახე ირეკლება იმ რწმენაში, სიკეთესა და სიყვარულში, რომლის გარეშეც მოკვდავს გაუჭირდება ამქვეყნად არსებობა, ჯოჯოხეთად ექცევა ყოველი დღე...

შემოქმედი მხოლოდ მაშინაა ბედნიერი, როცა უფლის რწმენით სავსეს ეწვევა ზეშთაგონება, ისევ უფლის მოგვრილი და მაშინ:

„ბედნიერი ვარ, უფალო ჩემო, კამკამებს სული, შუქში კამკამებს,

ვხედავ სამყაროს შენით ავსებულს,

შენს უქრობ თვალებს - მზესა და მთვარეს.“ (60)

მაგრამ, სანამ „ღვთის ნაპერწკალი გაღვივდება ყველა თქვენგანში“, სანამ „კაცში ღმერთი გაიღვიძებს“ (62), უამრავი თაობა შეიცვლება, რადგან პოეტის მიწიერი არსებობის დრო - უღმერთო, რწმენას მოკლებული ეპოქაა, ფარისეველთა და მებაჟეთა აღზევების დროა, შესაბამისად, ჯვარცმის მისტერიაც - სხვადასხვა სიდიდისა თუ მნიშვნელობის - მარადიულად მეორდება:

„ეს მერამდენედ დამახურეს გვირგვინი ეკლის,

ეს მერამდენედ გამაკრეს ჯვარზე.“ (66)

უფლის ყველაზე მკაცრი განაჩენიც არ იგვიანებს და ესაა:

„მარადი ყოფნა დედამიწაზე,

არასდროს რომ არ ხუცდები და არცა კვდები,

ვერ ეკონები დედამიწას უთბილეს გულში...“ (75)

საინტერესოა გენრიეტა ქუთათელაძის მიერ ბიბლიური

ცეცხლმოდებული მაყვლის ბუჩქის კონცეპტის გააზრება. ამ ბუჩქის წინაშე სიცოცხლის მანძილზე ერთხელ მაინც აღმოჩნდება ადამიანი, აი, სწორედ მაშინ მთელი გულისყურით უნდა მოისმინოს მან უფლის რჩევები, არ უნდა დაკარგოს მის მიერ მომადლებული წინასწარჭვრეტის ნიჭი.

აღთქმული ქვეყანა - ქანაანი, ერთი უმთავრესი ბიბლიური კონცეპტია, რომელიც ანდამატივით იზიდავს ყველას და რომელიც კვლავ და კვლავ შეახსენებს ადამიანებს, რომ: „თავისუფლებას ვერ მიაღწევ თურმე უმსხვერპლოდ,

თავგანწირვის და რწმენის გარეშე.“ (23)

ფუძემდებლური ბიბლიური კონცეპტები, რა თქმა უნდა, უმთავრესი ბინარული ოპოზიციის შემადგენელი წევრებია: სიკეთე და ბოროტება - მათი ურთიერთმიმართება, ბრძოლა, გამარჯვება თუ დამარცხება განსაზღვრავს ამქვეყნიურ წესრიგს, კოსმოსსა და ქაოსს. ყველაზე საშიში კი ისაა, „როს ბოროტება აყვავილდება სიკეთესავით!“ (37). ამიტომაც ყველა მორწმუნემ „ბოროტებას სიყვარულის ზღუდეები“ (2003:49) უნდა აუგოს, რათა უკეთურობამ, უზნეობამ, უღირსობამ არ წაღუკოს ქვეყნიერება.

ბიბლიური პერსონაჟები მარადიული, თან ახლებური შუქით ბრწყინავენ გენრიეტა ქუთათელაძის პოეზიაში: ებრაელთა მეფე - საული - სულიერებასა და ესთეტიკურ ტკბობას დანატრებული, სწორედ მუსიკის ჯადოსნურმა ხმებმა დაამშვიდა, მოაბრუნა სიკეთისა და სიყვარულისკენ; უფლის წყალობით სავსე მომხიბლავი, ახოვანი, სულიერი და ხორციელი მშვენებით თანაბრად შემკული დავითი, რომელსაც შეუძლია თავისი ხელოვნებით ბოროტების სიკეთედ ქცევა (20); მარადიული უნაყოფო შრომისთვის განწირული სიზიფე; ევა - მარადქალურობის სიმბოლო, რომელმაც სამ-

ყაროს შეცნობის უნარი უბოძა ადამს, დატყვევებულ სულს გამოაღწევინა „მარადიული დასაბამიდან“:

„მომასმენინა მარადიული მუსიკის ხმები,
ღრუბლის მდელოზე ააყვავილა იასამანი.“ (50)

მაყვლოვანში მოქადაგე მოსე, რომელსაც შეუძლია გონების ძილისგან ადამიანის გამოფხიზლება (21), „უფლის წყალობის გზაზე დამდგარი“ ლოტი (22), რომელიც განემორა „ბოროტებისა და სიძვის სავანეს“ (22);

გენრიეტა ქუთათელაძის ლექსებში, ასევე, ხშირად ვხვდებით პირდაპირ თუ ირიბ ციტირებას ბიბლიიდან: „ნუცა გამოფენთ მარგალიტსა წინარე ღორთა!“ (2003:32), არაკს მეთერთმეტე ჟამის მუშაკზე (2003:34) და ა.შ.

ერთი მკვლევრის აზრით, გენრიეტა ქუთათელაძის „ფილოსოფიურ ლირიკაში ქრისტიანული მორალის ორიგინალურ გააზრებასაც ვხვდებით“ (ბიბილეიშვილი, 2003:259). ის გულისხმობს ჭეშმარიტი ქრისტიანის მიერ მტრის სიყვარულის მოვალეობასაც, რისი მიღებაც საკმაოდ რთულია ადამიანისთვის:

„არ ვიცი როგორ, არ ვიცი როგორ,
გავითავისო მტრის სიყვარული?..
ღმერთო, მიშველე, ღმერთო, მასწავლე,
ჩემი მოძულე და მაწყევარი დავლოცო როგორ!“ (81)

როგორც ვხედავთ, ბიბლიური კონცეპტები: სიკეთე, ბოროტება, დაცემა, ამაღლება, აღთქმული ქვეყანა და ა.შ. - ეხმარება პოეტს ორიგინალური ფორმით გამოხატოს შემოქმედი პიროვნების მაღალზნეობრივი სულიერი სამყარო, სისხლბორცეულად განიცადოს უზენაესთან მიახლების სასწაული, შეძლოს ყოვლისშემოქმედის იდუმალი წვდომა და ამით მოგვრილი ბედნიერების, სიმშვიდის, იმედის გადაცემა მკითხველისთვის, ისევე როგორც ანა კალანდაძის პოეზიაში,

გენრიეტა ქუთათელაძის ამ ტიპის ლექსებში იგრძნობა ყველაზე მძაფრად ლირიკული გმირის მიერ საკუთარი სულიერი სამყაროს თვითანალიზი. ეს ანალიტიკური პოეზია, ფილოსოფიური განსჯანი, მარადიულ პრობლემებზე ჩაფიქრება კი ვერლიბრის ფორმიტაა წარმოდგენილი.

უნდა გამოვტყდე: უმშვენიერეს ქართულ შაირზე გაზრდილი ვერლიბრის დიდი მოყვარული არა ვარ, მაგრამ გენრიეტა ქუთათელაძის ვერლიბრით შექმნილი პოეტური სამყარო ისეთი მდიდარია, ისეთი ნატიფი, ფაქიზი, მრავალწახნაგოვანი და მეტაფორული სახისმეტყველებით გაჯერებული, რომ მის ლექსებს სიამოვნებით ვკითხულობ და კიდევ ერთხელ ვრწმუნდები: მედიტაციური პოეზიისთვის დახვეწილი, ამასთან, სასაუბრო მეტყველებასთან მიახლოებული ფორმა ვერლიბრისა ერთ-ერთი მისაღები არჩევანია. შემოქმედი ხომ უფლისგან ბოძებულ „ოქროცურვილ ... გრძნეულ სიტყვებს“ ფრთხილად, ფაქიზად ავლებს (69) საკუთარი სულის ემბაზში, მდიდრული ლექსიკით ქმნის ფერადოვან ყვავილწუნულს - თავისი „სულის ანაბეჭდებს“ და თავმოდრეკით უბრუნებს თავის მარადიულ სატრფოს - უფალს.

გამოყენებული ლიტერატურა:

- **ბიბილეიშვილი, 2003:** - ბიბილეიშვილი იური, „სული უკვდავი“, წ. I, ს.ს. „გამომცემლობა აჭარა“, ბათუმი, 2003.
- **ქუთათელაძე, 2003:** - ქუთათელაძე გენრიეტა, ერთტომეული, ს.ს. „გამომცემლობა აჭარა“, ბათუმი, 2003.
- **ქუთათელაძე, 2013:** - ქუთათელაძე გენრიეტა, „ყამარ, გამოიქეც ზღაპარიდან...“, ს.ს. „გამომცემლობა აჭარა“, ბათუმი, 2013.

რელიგიური სკოლები აჭარაში XIX-XX სს.

აბსტრაქტი: 1878 წელს ბათუმში იყო მხოლოდ ერთი ბერძნული სკოლა, რომელსაც ერქვა „ევროპული“, რამდენიმე ქართული სკოლა და მეჩეთთან არსებული მედრესე. ქართულ სკოლასთან მუსლიმური აღმსარებლობის მქონე ბავშვებისთვის გახსნილი იყო მოსამზადებელი განყოფილება. საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმების შემდეგ საქართველოში ეპარქიების რაოდენობა შემცირდა. ასევე შეიკვეცა მათი უფლებები. რუსეთის იმპერატორის ბრძანების საფუძველზე რუსეთის უწმინდესი სინოდი იმერეთის, გურია-სამეგრელოს, სოხუმის ეპარქიებს ავალებდა ეგზარქოსისთვის გადაეცათ ზუსტი ცნობები შემოსავლების, კუთვნილი მიწების, ეკლესიებთან არსებული სკოლების საკუთრების შესახებ. რუსეთის სინოდი საქართველოს ეპარქიათა საკუთრებაზე აწესებდა ზუსტ აღრიცხვას, შემოსავლების 3 % ხმარდებოდა ეკლესიებთან არსებულ რელიგიურ სკოლებს. 1899 წელს ბათუმის ვაჟთა გიმნაზიის მიქაელ მთავარანგელოზის ეკლესიაში წმინდა-ლოცვას ასრულებდა გურია-სამეგრელოს ეპარქიის ეპისკოპოსი ალექსანდრე ოქროპირიძე. 1912 წლის ნოემბრიდან ბათუმის ვაჟთა გიმნაზიაში კათოლიკური, მუსლიმანური და ებრაული აღმსარებლობის მქონე ბავშვებისთვის დაწესდა რელიგიური სწავლება. გიმნაზიაში საღვთო სჯულს ასწავლიდა პატრი

1 ისტორიის აკადემიური დოქტორი ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომელი / PhD in History, Researcher at Niko Berdzenishvili Institute of Batumi Shota Rustaveli State University

გაბრიელასლანიშვილი, პროტესტანტულ რელიგიასა. ბენგოფი, მაჰმადის სჯულს ჰუსეინ ეფენდი ალიოღლი, იუდაიზმს გ.მ. რადოვილსკი.. ბათუმში კათოლიკის, დღევანდელი სტეფანე ზუბალაშვილის ქუჩაზე ფუნქციონირებდა სომხური-კათოლიკური საეკლესიო სკოლა, 1891 წელს წმინდა ელენეს და კონსტანტინეს სახელობის კვირიკეს, 1908 წელს დაგვის ღვთისმშობლის, ხოლო 1912 წელს ახალშენის ფერიცვალების ეკლესიებთან გაიხსნა ერთკლასიანი შერეული სახის სასწავლებლები.

ბათუმის ალექსანდრე ნეველის სახელობის ტაძარში მთავარი ყურადღება ექცეოდა სამხედრო მოძღვრების სწავლებას. რელიგიურ სკოლებში პატრიოტული სულისკვეთების ამაღლების და რუსული სამხედრო მუნდირის განდიდების მიზნით ისწავლებოდა რუსეთის სახელმწიფოს ისტორია, რუსი ოფიცრებისთვის ყოველდღიურად წარმოებდა საღვთისმეტყველო კითხვა. XIX საუკუნის დასასრულსა და XX საუკუნის დასაწყისში აჭარაში არსებობდა შემდეგი სახის მუსლიმური სკოლები, მედრესე-სასულიერო, მექთებე-საერო. მუსლიმური რელიგიური სკოლები რუს ხელისუფალთა მკაცრ კონტროლს ექვემდებარებოდა. აღნიშნულ სკოლებში არსებული ვითარების შესწავლის მიზნით შედგენილი იყო შემდეგი სახის მკითხვარი 1) როდის და ვისი გადაწყვეტილებით გაიხსნა სკოლა 2) რა საგნები ისწავლება და რომელ ენაზე მიმდინარეობს სწავლება 3) რომელი სახელმძღვანელოები გამოიყენება სწავლების პროცესში, ავტორის, გამოცემის წელის და ადგილის მითითებით 4) სასულიერო პირების ვინაობა, განათლების ცენზი 5) რელიგიური სწავლების პროგრამა, მოსწავლეთა რაოდენობა და ა.შ. რუსეთის ხელისუფლება განსაკუთრებულ სიფრთხილეს იჩენდა მუსლიმურ ლიტერა-

ტურაში დამკვიდრებული პროგრესისტული მიმართულების წინააღმდეგ. მათ აინტერესებდათ აღნიშნულ სკოლებში ევროპული ლიტერატურის გავლენა. რუსეთის ხელისუფლება აღრიცხავდა აჭარაში არსებულ მუსლიმურ სკოლებს, მოსწავლეთა რაოდენობას, მასწავლებლების წოდებას, მათ ქცევას და ზნეობრივ სახეს. 1901 წელს ბათუმის ოლქში იყო შემდეგი რაოდენობის მუსლიმური სკოლები: 1) გონიოს უბანში-29 2) კინტრიშის უბანში 22. 3) ქვემო აჭარა 48. 4) ზემო აჭარა 32. 1901 წელს აჭარაში სულ იყო 131 მუსლიმური სკოლა. ძირითადათ ეს სკოლები გაიხსნა XIX საუკუნეში, თურქების მმართველობის პერიოდში აჭარაში მუსლიმური სკოლები ფუნქციონირებდა გონიოს უბანში: სარფი, ხელვაჩაური, ლიმანი, დევსქერი, ბორჩხა, მეჩეთი მამუდ-ოღლი, კიასკური და ადაგული და სხვა, კინტრიშის უბანში: ორთაბათუმი, ყოროლისთავი, აგარა, ურეხი. ქვემო აჭარაში აღსანიშნავია 12 სასულიერო სკოლა, მათ შორის მენწმანი, ზენდიდი, ქედა, მერისი, ორცვა, საღორეთი, აქუცა, ზვარე, ზემო აჭარაში: ხულო, შავაძე, ნიგაზეული, შუბანი და ა.შ. ბათუმის აზიზიეს მეჩეთი სამხედრო დანიშნულების იყო და მასში არ წარმოებდა ღვთისმსახურება.

საკვანძო სიტყვები: რელიგიური სკოლები, საღვთო სჯული, პროტესტანტული, იუდაიზმი, მედრესე, მექთებე, სასულიერო გიმნაზია.

Religious Schools in Ajara in the XIX-XX Centuries

Abstract: In 1878, there was only one Greek school in Batumi called “European”, several Georgian schools and a madrasa near the mosque. A preparatory department for Muslim children was opened near the Georgian school. After the abolition of the autocephaly of

the Georgian Church, the number of dioceses in Georgia decreased. Their rights were also curtailed. On the basis of the order of the Russian Emperor, the Most Holy Synod of Russia instructed the dioceses of Imereti, Guria-Samegrelo, Sukhumi to provide the Exarch with accurate information about the incomes, owned lands, ownership of schools near the churches. The Russian Synod imposed an accurate accounting on the property of the dioceses of Georgia, 3% of the income was used for the religious schools near the churches. In 1899, the Bishop of Guria-Samegrelo Diocese, Aleksandre Okropiridze, performed the holy prayer in the Michael the Archangel Church of Batumi Boys' Gymnasium. From November 1912, religious education was established for Catholic, Muslim and Jewish children in Batumi Boys' Gymnasium. In the gymnasium, Patri Gabriel Aslanishvili taught divine law, Protestant religion was taught by A. Bengoff, Islam - Husein Effendi Alioghli, and Judaism - G. M. Radovilsk. In Batumi, an Armenian-Catholic church school functioned on today's Stepane Zubalashvili Street, in 1891, in 1891, next to the churches of St. Helen and Constantine, in 1908, in 1908, in Dagva, and in 1912, one-class mixed schools were opened.

In the Aleksandre Neveli Cathedral of Batumi, the main attention was paid to the teaching of military doctrines. In religious schools, in order to raise the patriotic spirit and glorify the Russian military uniform, the history of the Russian state was taught, and the theological reading was prepared for the Russian officers every day. At the end of the 19th century and the beginning of the 20th century, the following types of Muslim schools existed in Ajara: Madrasa-spiritual, Mektebe-secular. Muslim religious schools were under the strict control of the Russian authorities. In order to study the current situation in the mentioned schools, the following questionnaire was prepared: 1) When and by whose decision was the school opened 2)

What subjects are taught and in which language is the teaching conducted 3) Which textbooks are used in the teaching process, indicating the author, the year and place of publication 4) The identity of the clergy, Education Census 5) Religious education program, number of students, etc. The Russian authorities were particularly careful against the progressive direction established in Muslim literature. They were interested in the influence of European literature in these schools. The Russian authorities recorded the Muslim schools in Ajara, the number of students, the rank of teachers, their behavior and moral character. In 1901, there were the following number of Muslim schools in Batumi district: 1) Gonio district - 29. 2) Kintrishi district - 21. 3) Kvemo Ajara - 46. 4) Zemo Ajara - 31. In 1901 there were 130 Muslim schools in Ajara. Most of these schools were opened in the 19th century. During the period of Turkish rule in Ajara, Muslim schools functioned in Gonio district: Sarpi, Khelvachauri, Limani, Devskeri, Borchkha, Mamud-Oghli, Kiaskuri and Adaguli mosques. In Kintrishi district: Ortabatumi, Korolistavi, Agara, Urekhi. There were 12 theological schools in Kvemo Ajara, including Dzentsmani, Zendidi, Keda, Merisi, Ortsva, Saghoreti, Akutsa, Zvare. The Aziziye Mosque in Batumi was for military purposes and services were not held in it.

Keywords: religious schools, divine law, Protestant, Judaism, Madrasa, Mektebe, theological gymnasium.



1878 წელს ბათუმში იყო მხოლოდ ერთი ბერძნული სკოლა, რომელსაც ერქვა „ევროპული“, რამდენიმე ქართული სკოლა და მეჩეთი არსებული მედრესე. ქართულ სკოლასთან მუსლიმური აღმსარებლობის მქონე ბავშვებისთვის გახსნილი იყო მოსამზადებელი განყოფილება. 1894 წლის

9 ნოემბერს რუსეთის უწმუნდესის სინოდის წევრმა არქიმანდრიტმა ნიკოლოზმა გამოსცა ცირკულარი, რომელიც იმერეთის, გურია-სამეგრელოს ეპარქიებს ავალებდა ღვთისმსახურების დროს დიდი პატივით მოეხსენებიათ მისი უდიდებულესობა რუსეთის იმპერატორი და სამეფო ოჯახის წევრები. ღვთისმსახურება მიმდინარეობდა თავდაპირველდ რუსულ, ხოლო შემდეგ ქართულ ენაზე. ყოველი წლის 17 ოქტომბერს ქართულ ეკლესიებს, მისი უდიდებულესობის რუსეთის იმპერატორის და სამეფო ოჯახის სადიდებლად უნდა გადაეხადათ პარაკლისი რუსეთის სინოდი ქართული ეკლესიის მღვდელმთავრებს ავალებდა ლოცვა-დიდიებას რუსთა მხედრობისთვის, ხოლო ლოცვის დასასრულს მათ უნდა ეთქვათ მრავალჟამიერი. „ერთმორწმუნე“ რუსეთთან სიახლოვეს უარყოფითთან ერთად ზოგჯერ დადებითი მნიშვნელობაც ჰქონდა. იგი ქართული ეკლესიის დაცვას უზრუნველყოფდა ყოველგვარი სექტანტებისგან. 1891 წლის 18 ნოემბერს მოსკოვში ჩატარდა მისიონერთა მეორე ყრილობა, რომელმაც მიიღო სექტანტებთან ბრძოლის გეგმა. ყრილობამ სექტანტობა ქრისტიანული სახელმწიფოსთვის საშიშ მოვლენად აღიარა და რუსეთის სინოდს დაქვემდებარებულ ეპარქიებს დაავალა სექტანტური ორგანიზაციების მუშაობის აღკვეთა. რუსეთის იმპერატორის ბრძანებით დაიბეჭდა და გავრცელდა ანტონ ბაგრატიონის ანტი-სექტანტური წიგნი „მზამეტყველება“. საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმების შემდეგ საქართველოში ეპარქიების რაოდენობა შემცირდა. ასევე შეიკვეცა მათი უფლებები. რუსეთის იმპერატორის ბრძანების საფუძველზე რუსეთის უწმინდესი სინოდი იმერეთის, გურია-სამეგრელოს, სოხუმის ეპარქიებს ავალებდა ეგზარქოსისთვის გადაეცათ ზუსტი ცნობები შემოსავლების, კუთვნილი მიწების, ეკლესიებთან არსებული

სკოლების საკუთრების შესახებ. რუსეთის სინოდი საქართველოს ეპარქიათა საკუთრებაზე აწესებდა ზუსტ აღრიცხვას, შემოსავლების 3 % ხმარდებოდა ეკლესიებთან არსებულ რელიგიურ სკოლებს. 1899 წელს ბათუმის ვაჟთა გიმნაზიის მიქაელ მთავარანგელოზის ეკლესიაში წმინდა-ლოცვას ასრულებდა გურია-სამეგრელოს ეპარქიის ეპისკოპოსი ალექსანდრე ოქროპირიძე, 1903 წლიდან კი საქართველოს ეგზარქოსი, ქართლის და კოლხეთის არქი-ეპისკოპოსი ალექსი. 1913 წელს გიმნაზიას ესტუმრა კავკასიის მეფისნაცვლის მეუღლე გრაფინია ე.ა. ვორონცოვ-დაშკოვა და გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსი ლეონიდე (აცსსა ფ. ი-10 ან. 1 ს. 41 ფურც. 75). მიქაელ მთავარანგელოზის ეკლესიას გააჩნდა მდიდარი ბიბლიოთეკა, რელიგიური სწავლება მიმდინარეობდა მღვდელმთავარ ფილარეტის სახელმძღვანელოს მიხედვით. ვაჟთა გიმნაზიის მე-4 კლასში კვირაში 2 სთ. ეთმობოდა საღვთო სჯულის სწავლებას, კათეხიზმს, მცნებას რელიგიის შესახებ, რწმენის სიმბოლოებს, რუსეთის ქრისტიანული ეკლესიის ისტორია ისწავლებოდა სმირნოვის სახელმძღვანელოს მიხედვით (აცსსა ფ. ი-10 ან. 1 ს. 84 ფურც. 5) გახსნის დღიდან ბათუმის ვაჟთა გიმნაზიაში ისწავლებოდა ქართული ენა ქართველი ბავშვებისთვის, მაგრამ 1903 წლის 12 მარტს გიმნაზიის აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილების საფუძველზე თავისუფალი საათების უკმარისობის და ახალი პროგრამის მიღების მიზეზით შეამცირეს ქართული ენის სწავლების საათები. 1912 წლის ნოემბრიდან გიმნაზიაში კათოლიკური, მუსლიმანური და ებრაული აღმსარებლობის მქონე ბავშვებისთვის დაწესდა რელიგიური სწავლება (აცსსა ფ. ი-10 ან. 1 ს. 41 ფურც. 68) გიმნაზიაში საღვთო სჯულს ასწავლიდა პატრი გაბრიელ ასლანიშვილი, პროტესტანტულ რელიგიას ა. ბენგოფი, მაჰმადის სჯულს

ჰუსეინ ეფენდი ალიოღლი, იუდაიზმს გ.მ. რადოვილსკი. 1918 წელს თურქებმა დაარბიეს ვაჟთა გიმნაზია, გაძარცვეს ბიბლიოთეკა, 11. 000-იანი წიგნიდან დარჩა 5300. მათ წაიღეს ისტორიული რუკები, მსოფლიო ლიტერატურის შედეგები, ძვირფასი ენციკლოპედიები, ეკლესიას ჩამოხსნეს ჯვარი, გაიტაცეს ოქროს ჯვრები, ხატები, მოქარგული ნოხები (აცხსა ფ. ი-10 ან. 1 ს. 58 ფურც. 21) XIX საუკუნის დასასრულსა და XX საუკუნის დასაწყისში ბათუმის ეკლესიებთან არსებობდა გურია-სამეგრელოს ეპარქიის რელიგიური სკოლები, კერძოდ ყოფილი აზიზიეს, დღევანდელი თავისუფლების მოედანზე დეკანოზ ა. რაღცევიჩის საღვთისმეტყველო სკოლა, რომელშიც ასწავლიდნენ ცნობილი მასწავლებლები ნიკოლოზ ზალსკი და ეკატერინე ნაუმოვა. ბათუმის ქალთა ბერძნული საეკლესიო სკოლის გამგე იყო მღვდელმსახური კონსტანტინე ცანდეკოვი, მასწავლებლები ნინა პეტრეს ასული ნაიტაკი და ელენე დერეკა. ბათუმში კათოლიკის, დღევანდელი სტეფანე ზუბალაშვილის ქუჩაზე ფუნქციონირებდა სომხური-კათოლიკური საეკლესიო სკოლა, რომელსაც ხელმძღვანელობდა ტერ გრიგოლ პუჩინიანი, რელიგიურ საგნებს ასწავლიდნენ ევგენია სოგოროვა და ს. კლადბიში. 1891 წელს წმინდა ელენეს და კონსტანტინეს სახელობის კვირიკეს ელესიასთან დაარსდა წმ. გიორგის სახელობის ერთკლასიანი სასწავლებელი (დერჟავინი 1903:49) 1908 წელს დაგვის ღვთისმშობლის ეკლესიასთან გაიხსნა მამაკაცთა და ქალთა ერთკლასიანი სასწავლებელი, ხოლო 1912 წელს ახალშენის ფერიცვალების ეკლესიასთან მოქმედი ერთკლასიანი შერეული სახის სასწავლებელი.

ბათუმის ალექსანდრე ნეველის სახელობის ტაძარში მთავარი ყურადღება ექცეოდა სამხედრო მოძღვრების სწავლებას. რელიგიურ სკოლებში პატრიოტული სულისკვეთე-

ბის ამაღლების და რუსული სამხედრო მუნდირის განდიდების მიზნით ისწავლებოდა რუსეთის სახელმწიფოს ისტორია, რუსი ოფიცრებისთვის ყოველდღიურად წარმოებდა საღვთისმეტყველო კითხვა. ბათუმის რომაულ კათოლიკურ ეკლესიასთან ფუნქციონირებდა რუსეთის იმპერატორის მიხეილ ნიკოლოზის ძის სახელობის გიმნაზია. იგი ეკუთვნოდა კავკასიის სასწავლო ოლქს. XIX საუკუნის დასასრულსა და XX საუკუნის დასაწყისში აჭარაში არსებობდა შემდეგი სახის მუსლიმური სკოლები, მედრესე-სასულიერო, მექთებე-საერო. მუსლიმური რელიგიური სკოლები რუს ხელისუფალთა მკაცრ კონტროლს ექვემდებარებოდა. აღნიშნულ სკოლებში არსებული ვითარების შესწავლის მიზნით შედგენილი იყო შემდეგი სახის მკითხვარი 1) როდის და ვისი გადაწყვეტილებით გაიხსნა სკოლა 2) რა საგნები ისწავლება და რომელ ენაზე მიმდინარეობს სწავლება 3) რომელი სახელმძღვანელოები გამოიყენება სწავლების პროცესში, ავტორის, გამოცემის წელის და ადგილის მითითებით 4) სასულიერო პირების ვინაობა, განათლების ცენზი 5) რელიგიური სწავლების პროგრამა, მოსწავლეთა რაოდენობა და ა.შ. (აცსსა ფ. ი-1 ან. 1 ს. 654 ფურც. 1) რუსეთის ხელისუფლება განსაკუთრებულ სიფრთხილეს იჩენდა მუსლიმურ ლიტერატურაში დამკვიდრებული პროგრესისტული მიმართულების წინააღმდეგ. მათ აინტერესებდათ აღნიშნულ სკოლებში ევროპული ლიტერატურის გავლენა. ეს კარგად ჩანს რუსეთის შინაგან საქმეთა მინისტრის სვიატოპოლსკ მირსკის 1901 წლის 1 იანვრის მიმართებაში, რომელიც რუსეთის სახელმწიფო ინტერესებიდან გამომდინარე ითხოვს აღნიშნულ ფაქტის შესწავლას და მასზე კონტროლის დაწესებას. რუსეთის ხელისუფლება დამშვიდდა მას შემდეგ, როდესაც დარწმუნდა, რომ მუსლიმურ

ლიტერატურაში ნოვატორული, პროგრესისტული ხასიათის ნაწარმოებები არ შეინიშნებოდა. 1901 წლის 23 მარტს ზემო აჭარის უზნის მმართველ კაპიტან ბორშჩოვის მიერ ქუთაისის სამხედრო გუბერნატორისადმი გაგზავნილ მიმართვაში აღნიშნული იყო სოფელ ვარჯინაულის სასულიერო სკოლის ხელმძღვანელ რეჯებ მჟავანაძის ანტისახელმწიფოებრივი ქმედების შესახებ. რუსეთის ხელისუფლება აღრიცხავდა აჭარაში არსებულ მუსლიმურ სკოლებს, მოსწავლეთა რაოდენობას, მასწავლებლების წოდებას, მათ ქცევას და ზნეობრივ სახეს. წარმოგიდგენთ 1901წელს აჭარაში არსებულ მუსლიმურ სკოლებს:

უბანი/სოფელი	სკოლის დაარსების დრო	მოსწავლეთა რაოდენობა
გონიოს უბანი		
სიმონეთი	1840	11-100
ერგე	1851	60-260
მახო	1860	40-100
ზედუბანი	1840	20-100
შუბანი	1851	23-90
ჯოჭო	1841	91-90
მაბლავეთი	1861	20-80
ქვემო მარადიდი	1861	20-80
ბელღევანი	1821	20-75
ოღლაური	1831	15-80
საბაური	1840	25-80
კატაფხია	1841	20-100
ხინწყანა	1831	20-80
ზემო მარადიდი	1841	40-80
ბორჩხა	თურქეთის მმართ. პერ.	30-80
არავეთი	1899	14-70
შუახევი	1897	12-55

დევესელი	თურქეთის მმართ. პერ.	50-100
ყინჩაური	1895	10-30
ბაშნი	1882	22-100
ებრიკა	1891	13-70
ადაგული	თურქეთის მმართ. პერ.	25-125
კიასკური	თურქეთის მმართ. პერ.	30-60
მეჩეთი მემედ ოღლი	თურქეთის მმართ. პერ.	15-40
კინერხურეთი	1896	6-30
ლევანი	თურქეთის მმართ. პერ.	45-60
უშკარდაში	1817	9-40
სარფი	თურქეთის მმართ. პერ.	20-80
ხელვაჩაური	თურქეთის მმართ. პერ.	38-120
კინტრიშის უბანი		
მახმუდიე ფერია	1888	20-60
ორთა ბათუმი	თურქეთის მმართ. პერ.	32-120
ყოროლისთავი	თურქეთის მმართ. პერ.	49-120
აგარა	თურქეთის მმართ. პერ.	34-100
ახალმენი	1880	32-130
ურეხი	1880	32-130
ჩავეისთავი	თურქეთის მმართ. პერ.	15-80
დიდჯამე	1882	10-150
ხალა	1890	40-200
მახინჯაური	1885	30-150
სახალვაშო	1899	12-100
სამეზა	1860	50-200
ხუცუბანი	1860	30-100
ჩურუქსუ	1841	50-100
ქობულეთი	1841	20-120
კვირიკე	1841	25-100
ჭახათი	1880	40-100
ზერბოსელი	1860	35-91
აჭყვისთავი	1880	45-120

ალამბარი	1847	90-120
ლელვა	1849	90-120
ქაქუთი	1849	45-90
ქვემო აჭარის უბანი		
ალიკოლლი	თურქეთის მმართ. პერ.	20-120
დერემოხნა	თურქეთის მმართ. პერ.	25-100
ძენწმანი	თურქეთის მმართ. პერ.	20-90
ზენდიდი	თურქეთის მმართ. პერ.	20-100
კაკაოლლი	თურქეთის მმართ. პერ.	10-60
ქედა	თურქეთის მმართ. პერ.	20-100
კორომხეთი	თურქეთის მმართ. პერ.	სკოლა დახურული
მეძიბნა	თურქეთის მმართ. პერ.	20-100
მერისი	თურქეთის მმართ. პერ.	55-250
ორცვა	თურქეთის მმართ. პერ.	15-90
საღორეთი	თურქეთის მმართ. პერ.	30-150
საშზარ შაკადურ	თურქეთის მმართ. პერ.	10-50
გულეზი	თურქეთის მმართ. პერ.	15-60
აბუკეთი	1800	
ახო	1886	
ვაიო	1870	39-100
ვარჯანაული	1800	26-70
გეგელიძე	1878	30-85
ზვარე	1800	30-170
ზესოფელი	1875	25-105
კვაშტა	1850	52-190
კოკოტაური	1885	15-110
წონიარისი	1878	40-80
ჩიქუნეთი	1820	20-80
დოლოგანი	1876	30-70
კონტაური	1886	15-80
ცხმორისი	1886	30-120
კიბე	1897	40-100

ქვედა ხერთვისი	1897	30-60
კაპნისთავი	1886	15-80
ზუნდაგა	1876	47-150
ჭინკაძე	1876	50-170
უჩხეთი	1876	50-170
ბოზუბოზუ	1886	11-100
ნაშელისი	1886	33-70
მახუნცეთი	1881	29-120
ჭანიჭი	1850	12-48
მინდიეთი	1840	40-50
ეფრათი	1830	10-70
აჭარის აღმართი	1850	40-70
ქედ-ქედი	1800	12-60
ზედა ჩხუტუნეთი	1894	15-60
ზედა ხერთვისი	1878	20-80
ქვედა ჩხუტუნეთი	1860	10-105
ქვაბის თავი	1820	12-60
კირნათი	1892	20-70
კობალეთი	1850	15-70
ზემო აჭარის უბანი		
ხულო	თურქეთის მმართ. პერ.	სკოლა დაკეტილია
შავაძე	თურქეთის მმართ. პერ.	26-100
პაქსაძე	თურქეთის მმართ. პერ.	16-100
ბელლეთი	თურქეთის მმართ. პერ.	40-250
ადაძე	თურქეთის მმართ. პერ.	78-140
რიჭვაძე	თურქეთის მმართ. პერ.	32-80
ნიგაზეული	თურქეთის მმართ. პერ.	24-90
ჩანჩხალო	თურქეთის მმართ. პერ.	30-100
ვარჯანაული	თურქეთის მმართ. პერ.	40-150
ბარათაული	თურქეთის მმართ. პერ.	25-120
ნადვარევი	თურქეთის მმართ. პერ.	25-120
დაბაძეული	თურქეთის მმართ. პერ.	28-100

ოქროპილავური	თურქეთის მმართ. პერ.	სკოლა დაკვეტილია
საშულეთი	თურქეთის მმართ. პერ.	52-120
ტბეთი	თურქეთის მმართ. პერ.	30-100
გოგაძე	თურქეთის მმართ. პერ.	40-100
ქიძინიძე	თურქეთის მმართ. პერ.	10-80
ჯაბნიძე	თურქეთის მმართ. პერ.	14-100
დღვანი	თურქეთის მმართ. პერ.	30-100
გოგნიაური	თურქეთის მმართ. პერ.	16-70
კვიახიძე	თურქეთის მმართ. პერ.	14-70
მაწყვალთა	თურქეთის მმართ. პერ.	28-6
მახლაკიძე	1901	34
შუბანი	თურქეთის მმართ. პერ.	40-90
დარჩიძე	თურქეთის მმართ. პერ.	40-90
ხიხაძირი	თურქეთის მმართ. პერ.	40-90
ფუშრუკაული	თურქეთის მმართ. პერ.	26-65
თხილვანა	თურქეთის მმართ. პერ.	12-50
წაბლანა	თურქეთის მმართ. პერ.	სკოლა დაკვეტილია
ჩერი	თურქეთის მმართ. პერ.	18-100
ფურტიო	თურქეთის მმართ. პერ.	22-80
ნენია	თურქეთის მმართ. პერ.	27-90

(აცსსა ფ. ი-1 ან. 1 ს. 33 ფურც. 18-23)

ამ პერიოდში აჭარაში სულ იყო 131 მუსლიმური სკოლა. ძირითადად ეს სკოლები გაიხსნა XIX საუკუნეში, ოსმალეთის მმართველობის პერიოდში. ბათუმის აზიზიეს მეჩეთი სამხედრო დანიშნულების იყო და მასში არ წარმოებდა ღვთისმსახურება. 1910 წლის 20 სექტემბერს კავკასიის მეფისნაცვალმა თავის საიდუმლო წერილში აღნიშნავდა, რომ კავკასიის ოლქში ვრცელდებოდა პანისლამისტური იდეები და ამას უშუალოდ ხელმძღვანელობდა მუსლიმანური ორგანიზაცია „ახალგაზრდა თურქეთი“, რაც უარყოფითად

მოქმედებდა რუსეთ-თურქეთის გართულებულ პოლიტიკურ ურთიერთობაზე. რუსეთის მეფისნაცვალს მოითხოვდა ყოველდღიური მეთვალყურეობის დაწესებას მუსლიმური რელიგიის აღმსარებლების მიმართ და კონტროლის დაწესებას მათ მიმოსვლაზე. ძირითადი მეთვალყურეობა დაწესდა აზიზიეს და აჰმედიეს მეჩეთების მოღებზე (აცსსა ფ. ი-1 ან. 1 ს. 474 ფურც. 1-8) 1919 წლის 9 მარტს ქალაქის სათათბიროს სხდომაზე განიხილეს მუსლიმურ სკოლასთან დაკავშირებული საკითხი, რომელიც ეხებოდა მუსლიმ ბავშვთა აღზრდას, რელიგიური სკოლა გაიხსნა სმეკალოვის და შერემეტევის ქუჩების კუთხეში. მასში სწავლობდა 175 მოსწავლე (აცსსა ფ. ი-1 ან. 1 ს. 744 ფურც. 1-8).

1921 აჭარაში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ განხორციელდა სახელმწიფოსგან რელიგიური სკოლების გამოყოფა. 1929 წლიდან ხულოში „მიკროსკოპული“ (ი.ბ.სტალინის შეფასებით) ამბოხების შემდეგ განსაკუთრებით გაძლიერდა ბრძოლა რელიგიური სკოლების წინააღმდეგ. აჭარის ხელისუფლება რელიგიის მიმართ იყენებდა იძულების, ადმინისტრირების მეთოდს. 1929 წლის 22 იანვარს აჭაროლქკომის მდივანი ა. ფანცხავა საქართველოს მთავრობას სიხარულით აცნობებდა, რომ აჭარაში უკვე დახურული იყო 147 მედრესე და მექთებე, რომ მოსახლეობა გაგებით მოეკიდა სავალდებულო სწავლების შემოღებას და გამოაქვთ დაადგენილება მედრესე-მექთებეს შენობების საბჭოთა სკოლებისთვის გადაცემის შესახებ. სინამდვილეში ეს დირექტივა მიღებული იყო „ზემოდან“ ზეწოლის გზით. მიმართვაში არაფერი არ იყო ნათქვამი იმის შესახებ, რომ მოსახლეობის დიდი ნაწილი უარს აცხადებდა საბჭოთა სკოლაში სწავლაზე და მთავრობას თხოვდა, რომ შვილები მედრესეშიც ყოფილიყვნენ და საკოლაშიც. არსებული

ვითარებიდან გამომდინარე გაუმართლებელი და ნაჩქარევი იყო გადაწყვეტილების მიღება მედრესე მექთების იძულების წესით დახურვის შესახებ, მით უფრო, რომ საყოველთაო სავალდებულო დაწყებითის სწავლების შემოღებისთვის ჯერ კიდევ არ იყო სათანადო მატერიალური პირობები. 1929 წლის აპრილში გამართულმა აჭარის საბჭოების მერვე ყრილობამ დაგმო მუსლიმური რელიგიური სკოლების იძულებით დახურვის მეთოდი და აღიარა დარწმუნების, მათთან შეგნებული მუშაობის მეთოდი (კრებული საისტორიო მაცნე N11 ბათუმი 2022 ფურც.55).

ხულოში ატისაბჭოთა გამოსვლის შემდეგ განსაკუთრებით გაძლიერდა ინტერესი მუსლიმური სკოლების და მათი მოღვაწე სასულიერო პირთა მიმართ. 1928 წლიდან მუსლიმური აღმსარებლობის სასულიერო პირთა-ცხოვრება მოღვაწეობის შესწავლის მიზნით ხელისუფლებამ მოაწყო ანკეტური გამოკითხვა და შეადგინა სტატისტიკური მონაცემები, კერძოდ მათ აინტერესებდათ სასულიერო პირთა განათლება (უმაღლესი, საშუალო, დაბალი) ყოფილ რუსეთის იმპერიაში არ იყო სასულიერო უმაღლესი სკოლა. სტატისტიკური მასალა შემდეგი კითხვებისგან შედგებოდა: იზრდება თუ სუსტდება სასულიერო პირთა კავშირი საზღვარგარეთის წრეებთან, სახელმწიფოებთან, (თურქეთი, ირანი), რელიგიის გარდა რით არიან დაკავებულნი, შემოწირულობის გარდა რა შემოსავლაი გააჩნიათ, განსაბჭოების შემდეგ რა ქონებას ფლობენ (საქონელი, მიწა), რა დონით გაუმჯობესდა განსაბჭოების შემდეგ მათი მატერიალური მდგომარეობა. სად ჰქონდა განათლება მიღებული, ოჯახში თუ საზღვარგარეთ, ასევე დაბადების ადგილი, ასაკი, კვალიფიკაცია, სტაჟი, რწმენა, ზავშვობიდან მიაკუთვნებდნენ თავს რელიგიას თუ შემდეგ აირჩიეს. სტატისტიკური მასალა მარტო რიცხვებისგან

შედგება და მას არ გააჩნია მეცნიერული დასკვნები. აჭარის მოსახლეობაში ანკეტური გამოკითხვა ნახევარი წლის მანძილზე მიმდინარეობდა და იგი ნაკლებად სარწმუნო წყაროს წარმოადგენს. წარმოგიდგენთ აჭარაში ჩატარებული ანკეტური გამოკითხვის შედეგებს:

რაიონი	განათლება საოჯახო საზღვარგარეთ		სულ
აჭარის წყალი	9	21	30
ბათუმი	14	13	27
ქედა	29	19	48
ქობულეთი	12	20	32
ხულო	43	24	67

[აცხსა ფ. პ-1 ან. 1 ს. 939. ფურც. 3]

10
18
16

Види мусульманскихъ школъ

Мектеби и адресе въ переводѣ означены - школы.

Мектебъ показывается свѣтское школы въ россійско-интернатѣ, а адресе - буровидо школы въ россійско-университетѣ.

Мектебъ подразделяется:

- 1) Мектебъ Бадис - школа военная въ россійско-интернатѣ.
- 2) Мектебъ Мисир - школа гражданская въ россійско-интернатѣ.
- 3) Мектебъ Мадис - въ россійско-университетѣ.
- 4) Мектебъ Буровидо - школа правоведовъ.
- 5) Мектебъ Буровидо - въ россійско-университетѣ.
- 6) Мектебъ Буровидо - въ россійско-университетѣ.
- и проч., но всѣ эти школы существуютъ въ

მუსლიმური სკოლები აჭარაში 1901 წლის 28 მარტი [აცხსა ფ. ი-1
ახ. 1 ს. 33 ფურც. 18-23]

Sp. 1	Sp. 2	Sp. 3	Sp. 4	Sp. 5	Sp. 6	Sp. 7	Sp. 8	Sp. 9	Sp. 10	Sp. 11	Sp. 12	Sp. 13	Sp. 14	Sp. 15	Sp. 16	Sp. 17	Sp. 18	Sp. 19	Sp. 20	Sp. 21	Sp. 22	Sp. 23	Sp. 24	Sp. 25	Sp. 26	Sp. 27	Sp. 28	Sp. 29	Sp. 30	Sp. 31	Sp. 32	Sp. 33	Sp. 34	Sp. 35	Sp. 36	Sp. 37	Sp. 38	Sp. 39	Sp. 40	Sp. 41	Sp. 42	Sp. 43	Sp. 44	Sp. 45	Sp. 46	Sp. 47	Sp. 48	Sp. 49	Sp. 50	Sp. 51	Sp. 52	Sp. 53	Sp. 54	Sp. 55	Sp. 56	Sp. 57	Sp. 58	Sp. 59	Sp. 60	Sp. 61	Sp. 62	Sp. 63	Sp. 64	Sp. 65	Sp. 66	Sp. 67	Sp. 68	Sp. 69	Sp. 70	Sp. 71	Sp. 72	Sp. 73	Sp. 74	Sp. 75	Sp. 76	Sp. 77	Sp. 78	Sp. 79	Sp. 80	Sp. 81	Sp. 82	Sp. 83	Sp. 84	Sp. 85	Sp. 86	Sp. 87	Sp. 88	Sp. 89	Sp. 90	Sp. 91	Sp. 92	Sp. 93	Sp. 94	Sp. 95	Sp. 96	Sp. 97	Sp. 98	Sp. 99	Sp. 100	
100	101	102	103	104	105	106	107	108	109	110	111	112	113	114	115	116	117	118	119	120	121	122	123	124	125	126	127	128	129	130	131	132	133	134	135	136	137	138	139	140	141	142	143	144	145	146	147	148	149	150	151	152	153	154	155	156	157	158	159	160	161	162	163	164	165	166	167	168	169	170	171	172	173	174	175	176	177	178	179	180	181	182	183	184	185	186	187	188	189	190	191	192	193	194	195	196	197	198	199	200
100	101	102	103	104	105	106	107	108	109	110	111	112	113	114	115	116	117	118	119	120	121	122	123	124	125	126	127	128	129	130	131	132	133	134	135	136	137	138	139	140	141	142	143	144	145	146	147	148	149	150	151	152	153	154	155	156	157	158	159	160	161	162	163	164	165	166	167	168	169	170	171	172	173	174	175	176	177	178	179	180	181	182	183	184	185	186	187	188	189	190	191	192	193	194	195	196	197	198	199	200
100	101	102	103	104	105	106	107	108	109	110	111	112	113	114	115	116	117	118	119	120	121	122	123	124	125	126	127	128	129	130	131	132	133	134	135	136	137	138	139	140	141	142	143	144	145	146	147	148	149	150	151	152	153	154	155	156	157	158	159	160	161	162	163	164	165	166	167	168	169	170	171	172	173	174	175	176	177	178	179	180	181	182	183	184	185	186	187	188	189	190	191	192	193	194	195	196	197	198	199	200
100	101	102	103	104	105	106	107	108	109	110	111	112	113	114	115	116	117	118	119	120	121	122	123	124	125	126	127	128	129	130	131	132	133	134	135	136	137	138	139	140	141	142	143	144	145	146	147	148	149	150	151	152	153	154	155	156	157	158	159	160	161	162	163	164	165	166	167	168	169	170	171	172	173	174	175	176	177	178	179	180	181	182	183	184	185	186	187	188	189	190	191	192	193	194	195	196	197	198	199	200
100	101	102	103	104	105	106	107	108	109	110	111	112	113	114	115	116	117	118	119	120	121	122	123	124	125	126	127	128	129	130	131	132	133	134	135	136	137	138	139	140	141	142	143	144	145	146	147	148	149	150	151	152	153	154	155	156	157	158	159	160	161	162	163	164	165	166	167	168	169	170	171	172	173	174	175	176	177	178	179	180	181	182	183	184	185	186	187	188	189	190	191	192	193	194	195	196	197	198	199	200
100	101	102	103	104	105	106	107	108	109	110	111	112	113	114	115	116	117	118	119	120	121	122	123	124	125	126	127	128	129	130	131	132	133	134	135	136	137	138	139	140	141	142	143	144	145	146	147	148	149	150	151	152	153	154	155	156	157	158	159	160	161	162	163	164	165	166	167	168	169	170	171	172	173	174	175	176	177	178	179	180	181	182	183	184	185	186	187	188	189	190	191	192	193	194	195	196	197	198	199	200
100	101	102	103	104	105	106	107	108	109	110	111	112	113	114	115	116	117	118	119	120	121	122	123	124	125	126	127	128	129	130	131	132	133	134	135	136	137	138	139	140	141	142	143	144	145	146	147	148	149	150	151	152	153	154	155	156	157	158	159	160	161	162	163	164	165	166	167	168	169	170	171	172	173	174	175	176	177	178	179	180	181	182	183	184	185	186	187	188	189	190	191	192	193	194	195	196	197	198	199	200
100	101	102	103	104	105	106	107	108	109	110	111	112	113	114	115	116	117	118	119	120	121	122	123	124	125	126	127	128	129	130	131	132	133	134	135	136	137	138	139	140	141	142	143	144	145	146	147	148	149	150	151	152	153	154	155	156	157	158	159	160	161	162	163	164	165	166	167	168	169	170	171	172	173	174	175	176	177	178	179	180	181	182	183	184	185	186	187	188	189	190	191	192	193	194	195	196	197	198	199	200
100	101	102	103	104	105	106	107	108	109	110	111	112	113	114	115	116	117	118	119	120	121	122	123	124	125	126	127	128	129	130	131	132	133	134	135	136	137	138	139	140	141	142	143	144	145	146	147	148	149	150	151	152	153	154	155	156	157	158	159	160	161	162	163	164	165	166	167	168	169	170	171	172	173	174	175	176	177	178	179	180	181	182	183	184	185	186	187	188	189	190	191	192	193	194	195	196	197	198	199	200
100	101	102	103	104	105	106	107	108	109	110	111	112	113	114	115	116	117	118	119	120	121	122	123	124	125	126	127	128	129	130	131	132	133	134	135	136	137	138	139	140	141	142	143	144	145	146	147	148	149	150	151	152	153	154	155	156	157	158	159	160	161	162	163	164	165	166	167	168	169	170	171	172	173	174	175	176	177	178	179	180	181	182	183	184	185	186	187	188	189	190	191	192	193	194	195	196	197	198	199	200
100	101	102	103	104	105	106	107	108	109	110	111	112	113	114	115	116	117	118	119	120	121	122	123	124	125	126	127	128	129	130	131	132	133	134	135	136	137	138	139	140	141	142	143	144	145	146	147	148	149	150	151	152	153	154	155	156	157	158	159	160	161	162	163	164	165	166	167	168	169	170	171	172	173	174	175	176	177	178	179	180	181	182	183	184	185	186	187	188	189	190	191	192	193	194	195	196	197	198	199	200
100	101	102	103	104	105	106	107	108	109	110	111	112	113	114	115	116	117	118	119	120	121	122	123	124	125	126	127	128	129	130	131	132	133	134	135	136	137	138	139	140	141	142	143	144	145	146	147	148	149	150	151	152	153	154	155	156	157	158	159	160	161	162	163	164	165	166	167	168	169	170	171	172	173	174	175	176	177	178	179	180	181	182	183	184	185	186	187	188	189	190	191	192	193	194	195	196	197	198	199	200
100	101	102	103	104	105	106	107	108	109	110	111	112	113	114	115	116	117	118	119	120	121	122	123	124	125	126	127	128	129	130	131	132	133	134	135	136	137	138	139	140	141	142	143	144	145	146	147	148	149	150	151	152	153	154	155	156	157	158	159	160	161	162	163	164	165	166	167	168	169	170	171	172	173	174	175	176	177	178	179	180	181	182	183	184	185	186	187	188	189	190	191	192	193	194	195	196	197	198	199	200
100	101	102	103	104	105	106	107	108	109	110	111	112	113	114	115	116	117	118	119	120	121	122	123	124	125	126	127	128	129	130	131	132	133	134	135	136	137	138	139	140	141	142	143	144	145	146	147	148	149	150	151	152	153	154	155	156	157	158	159	160	161	162	163	164	165	166	167	168	169	170	171	172	173	174	175	176	177	178	179	180	181	182	183	184	185	186	187	188	189	190	191	192	193	194	195	196	197			

No.	Name of the plant	Height	Number of specimens	Date	Remarks	Number of specimens	Date	Remarks
1	<i>Alnus incana</i>	1.40	12	6				
2	<i>Alnus incana</i>	1.10	11	6				
3	<i>Alnus incana</i>	1.10	11	6				
4	<i>Alnus incana</i>	1.10	11	6				
5	<i>Alnus incana</i>	1.10	11	6				
6	<i>Alnus incana</i>	1.10	11	6				
7	<i>Alnus incana</i>	1.10	11	6				
8	<i>Alnus incana</i>	1.10	11	6				
9	<i>Alnus incana</i>	1.10	11	6				
10	<i>Alnus incana</i>	1.10	11	6				
11	<i>Alnus incana</i>	1.10	11	6				
12	<i>Alnus incana</i>	1.10	11	6				
13	<i>Alnus incana</i>	1.10	11	6				
14	<i>Alnus incana</i>	1.10	11	6				
15	<i>Alnus incana</i>	1.10	11	6				
16	<i>Alnus incana</i>	1.10	11	6				
17	<i>Alnus incana</i>	1.10	11	6				
18	<i>Alnus incana</i>	1.10	11	6				
19	<i>Alnus incana</i>	1.10	11	6				
20	<i>Alnus incana</i>	1.10	11	6				
21	<i>Alnus incana</i>	1.10	11	6				
22	<i>Alnus incana</i>	1.10	11	6				
23	<i>Alnus incana</i>	1.10	11	6				
24	<i>Alnus incana</i>	1.10	11	6				
25	<i>Alnus incana</i>	1.10	11	6				
26	<i>Alnus incana</i>	1.10	11	6				
27	<i>Alnus incana</i>	1.10	11	6				
28	<i>Alnus incana</i>	1.10	11	6				
29	<i>Alnus incana</i>	1.10	11	6				
30	<i>Alnus incana</i>	1.10	11	6				
31	<i>Alnus incana</i>	1.10	11	6				
32	<i>Alnus incana</i>	1.10	11	6				
33	<i>Alnus incana</i>	1.10	11	6				
34	<i>Alnus incana</i>	1.10	11	6				
35	<i>Alnus incana</i>	1.10	11	6				
36	<i>Alnus incana</i>	1.10	11	6				
37	<i>Alnus incana</i>	1.10	11	6				
38	<i>Alnus incana</i>	1.10	11	6				
39	<i>Alnus incana</i>	1.10	11	6				
40	<i>Alnus incana</i>	1.10	11	6				
41	<i>Alnus incana</i>	1.10	11	6				
42	<i>Alnus incana</i>	1.10	11	6				
43	<i>Alnus incana</i>	1.10	11	6				
44	<i>Alnus incana</i>	1.10	11	6				
45	<i>Alnus incana</i>	1.10	11	6				
46	<i>Alnus incana</i>	1.10	11	6				
47	<i>Alnus incana</i>	1.10	11	6				
48	<i>Alnus incana</i>	1.10	11	6				
49	<i>Alnus incana</i>	1.10	11	6				
50	<i>Alnus incana</i>	1.10	11	6				
51	<i>Alnus incana</i>	1.10	11	6				
52	<i>Alnus incana</i>	1.10	11	6				
53	<i>Alnus incana</i>	1.10	11	6				
54	<i>Alnus incana</i>	1.10	11	6				
55	<i>Alnus incana</i>	1.10	11	6				
56	<i>Alnus incana</i>	1.10	11	6				
57	<i>Alnus incana</i>	1.10	11	6				
58	<i>Alnus incana</i>	1.10	11	6				
59	<i>Alnus incana</i>	1.10	11	6				
60	<i>Alnus incana</i>	1.10	11	6				
61	<i>Alnus incana</i>	1.10	11	6				
62	<i>Alnus incana</i>	1.10	11	6				
63	<i>Alnus incana</i>	1.10	11	6				
64	<i>Alnus incana</i>	1.10	11	6				
65	<i>Alnus incana</i>	1.10	11	6				
66	<i>Alnus incana</i>	1.10	11	6				
67	<i>Alnus incana</i>	1.10	11	6				
68	<i>Alnus incana</i>	1.10	11	6				
69	<i>Alnus incana</i>	1.10	11	6				
70	<i>Alnus incana</i>	1.10	11	6				
71	<i>Alnus incana</i>	1.10	11	6				
72	<i>Alnus incana</i>	1.10	11	6				
73	<i>Alnus incana</i>	1.10	11	6				
74	<i>Alnus incana</i>	1.10	11	6				
75	<i>Alnus incana</i>	1.10	11	6				
76	<i>Alnus incana</i>	1.10	11	6				
77	<i>Alnus incana</i>	1.10	11	6				
78	<i>Alnus incana</i>	1.10	11	6				
79	<i>Alnus incana</i>	1.10	11	6				
80	<i>Alnus incana</i>	1.10	11	6				
81	<i>Alnus incana</i>	1.10	11	6				
82	<i>Alnus incana</i>	1.10	11	6				
83	<i>Alnus incana</i>	1.10	11	6				
84	<i>Alnus incana</i>	1.10	11	6				
85	<i>Alnus incana</i>	1.10	11	6				
86	<i>Alnus incana</i>	1.10	11	6				
87	<i>Alnus incana</i>	1.10	11	6				
88	<i>Alnus incana</i>	1.10	11	6				
89	<i>Alnus incana</i>	1.10	11	6				
90	<i>Alnus incana</i>	1.10	11	6				
91	<i>Alnus incana</i>	1.10	11	6				
92	<i>Alnus incana</i>	1.10	11	6				
93	<i>Alnus incana</i>	1.10	11	6				
94	<i>Alnus incana</i>	1.10	11	6				
95	<i>Alnus incana</i>	1.10	11	6				
96	<i>Alnus incana</i>	1.10	11	6				
97	<i>Alnus incana</i>	1.10	11	6				
98	<i>Alnus incana</i>	1.10	11	6				
99	<i>Alnus incana</i>	1.10	11	6				
100	<i>Alnus incana</i>	1.10	11	6				

[ჯგუფი ფ. 0-1 ან. 1 ს. 33 ფურც. 18-23]

გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა:

აცსსა ფ. პ-1 ან. 1 ს. 939 - აჭარის საარქივო სამმართველო, ფონდი პ-1, ანაწერი 1, საქმე N939

აცსსა ფ. ი-10 ან. 1 ს. 41 - აჭარის საარქივო სამმართველო, ფონდი ი-1, ანაწერი 1, საქმე N41

აცსსა ფ. ი-10 ან. 1 ს. 84 - აჭარის საარქივო სამმართველო, ფონდი ი-10, ანაწერი 1, საქმე N84

აცსსა ფ. ი-10 ან. 1 ს. 58 - აჭარის საარქივო სამმართველო, ფონდი ი-10, ანაწერი 1, საქმე N58

აცსსა ფ. ი-1 ან. 1 ს. 654 - აჭარის საარქივო სამმართველო, ფონდი ი-1, ანაწერი 1, საქმე N654

აცსსა ფ. ი-1 ან. 1 ს. 33 - აჭარის საარქივო სამმართველო, ფონდი ი-1, ანაწერი 1, საქმე N33

აცსსა ფ. ი-1 ან. 1 ს. 474 - აჭარის საარქივო სამმართველო, ფონდი ი-1, ანაწერი 1, საქმე N474

აცსსა ფ. ი-1 ან. 1 ს. 744 - აჭარის საარქივო სამმართველო, ფონდი ი-1, ანაწერი 1, საქმე N744

კრებული საისტორიო მაცნე - N11 ბათუმი 2022:55

დერჟავინი 1903: 49 - ბათუმის მხარის მოკლე ისტორიული ნარკვევი, რუსულიდან თარგმანი მერაბ მეგრელიშვილი.

**რამდენიმე ტოპონიმის გააზრებისათვის
აჭარის ფოლკლორში (ხულოს რაიონში 1953 წელს
განხორციელებული ექსპედიციის მასალების მიხედვით)**

აბსტრაქტი: წარმოდგენილ ნაშრომში საუბარია ხულოს რაიონში 1953 წელს მკვლევართა ექსპედიციაში მოპოვებული, ჩაწერილი მასალების ანალიზი. ნაშრომი ყურადსაღებია იმდენად, რამდენადაც კვლევა ეხება ისტორიული მხარის, სამხრეთ - დასავლეთ საქართველოს ერთ-ერთი კუთხის, აჭარის, კერძოდ კი ხულოს რაიონის, დიდაჭარის ხეობის ისტორიულ წარსულს. მასთან დაკავშირებული ყველა საკითხი განსაკუთრებით შესასწავლია, რამეთუ ამ კუთხეში, ისტორიულად ახალი წელთაღრიცხვით ჯერ კიდევ პირველ საუკუნეში ქრისტიანობა შემოვიდა, ანდრიაპირველწოდებულმა, იქადაგა და მონათლა აქაური მკვიდრნი, შემდგომ კი მისი კურთხევით ხის ეკლესია ააშენეს, რომელშიც მოინათლა ადგილობრივი მოსახლეობა.

ამდენად, აჭარის ერთ-ერთი კუთხის შესწავლა მნიშვნელოვანია, როგორც ფოლკლორული, ასევე ისტორიული თუ ენათმეცნიერული თვალსაზრისით. წარმოდგენილი მასალები ერთხელ კიდევ ცხადყოფს თუ რამდენად მნიშვნელოვანი რეგიონი ყოფილა ხულოს რაიონი უძველეს დროში. მის წარსულს წარმოაჩენს აქ გადარჩენილი

1 ფილოლოგიის დოქტორი, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტი, მთავარი მეცნიერთანამშრომელი; / PhD in Philology, Chief scientific Researcher, Niko Berdzenishvili Institute of Batumi Shota Rustaveli State University;

ტოპონიმები, რომლებიც ადასტურებს ამ კუთხის ისტორიულ სინამდვილეს.

საკვანძო სიტყვები: ექსპედიციის ანგარიშები, ტოპონიმები, სტრატეგიული რეგიონი.

**To Considering Some Toponyms in the Folklore of Ajara
(According to Materials Obtained during the Expedition in
Khulo in 1953)**

Abstract: The paper aims to highlight the analysis of the recorded materials obtained during the expedition in 1953 in Khulo. The work is noteworthy to the extent that the research concerns the historical past of Ajara, one of the corners of South-western Georgia, in particular Khulo district, Didacharavalley. All issues related to it are especially worth studying, because in this area, historically, in the first century AD, the Apostle of Christ, Andrew the First-Called, preached and baptized the local residents, and later, with his blessing, a wooden church was built, in which the local inhabitants were baptized.

Thus, the study of one of the corners of Ajara is important, both from the folklore, historical and linguistic point of view. The presented materials show one more time how important the Khulo district was in ancient times. Its past is represented by the surviving toponyms, which confirm the historical reality of this area.

Key words: expedition reports, toponyms, strategic region.



ხულოს რაიონი რომ ისტორიული კუთხეა, წლებია ამაზე აღარავინ დავობს. მის ისტორიულ რეალიებს ეხმ-
იანება წლების განმავლობაში ჩაწერილი მასალები, რომ-

ლებიც არაერთ მკვლევარსა თუ ისტორიკოს მოუძიებია. ისტორიულობას ერთხელ კიდევ ეხმიანება გადარჩენილი ტოპონიმები, რომლებიც ისევ ღაღადებენ დაუწერელ თუ დაწერილ ამბებს. ნიკო ბერძენიშვილისა თუ ხარიტონ ახვლედიანის მუშაუბებში, საარქივო ფონდებში დაცულია მნიშვნელოვანი ისტორიები ტრაგიკული კუთხისა, რომელიც საუკუნეების განმავლობაში დედასაქართველოს იყო მოწყვეტილი, თუმცა, ჩვენდა საბედნიეროდ, ამ კუთხემ შემოინახა სულიერება და ის დიდი ეროვნული მუხტი, რომელსაც დედასამშობლოსთან დაბრუნება ერქვა. აქაურ მკვიდრთა მეხსიერებაში დღესაც ცოცხლობს წინაპრების მიერ მოთხრობილი ამბები, რომლებშიც ტოპონიმთა ეტიმოლოგია შემონახული. აქ დაცული ტოპონიმები უმეტესწილად ქრისტიანულია. ხშირად, მათი სახელდებაც ისტორიულ წარსულ უკავშირდება. „აჭარაში ქრისტიანობაზე საუბრისას, რასაკვირველია, ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებასაც, რომ მან აქ თავისი როლი ეროვნულ საკითხებშიც, კერძოდ, ქართული მეობის შენარჩუნება-შენახვაშიც შეასრულა. აჭარის მკვიდრნი საქართველოს სხვა მხარეების მცხოვრებთაგან განსხვავებით უფრო დიდხანს იბრძოდნენ ოსმალთა დამპყრობელთა წინააღმდეგ. აი, სწორედ მამა-პაპათა რწმენა, მისდამი ერთგულება კიდევ უფრო თავგანწირულს ხდიდა ამ ბრძოლას. მას კი ისიც აძლიერებდა, რომ მტერი რწმენით მუსლიმი იყო. ამიტომაც მისი მიზანი იყო აჭარელთა მეხსიერებიდან ქრისტიანობის სრული ამოგდება,რის გამოც თავისი აქ შემოჭრის პირველი დღეებიდანვე არაფერს თაკილობდა საამისოდ, ნებისმიერ მეთოდსა და ხერხს მიმართავდა... თუმცა ჩვენს წინაპარს ისლამი მაინც მიაღებინეს დიდი მსხვერპლისა და ხოცვის შემდეგ მტერმა მათ სხვა გზა არ დაუტოვა (ბექირიშვილი 1991:6).

ისტორიული ქარცეცხლის ჩადგომის შემდეგ, აჭარაში უმოგზაურიათ და მასზე საინტერესო, საყურადღებო მასალები შემოუნახავთ ფრანგ მოგზაურებს: ჟან შარდენს, ჟან მურიესა და ედუარდ ლიოზენს, რუს ისტორიკოსებს: ევგენი ვეიდენბაუმის, ივანე ლისოვსკისა და ბევრ სხვა მკვლევარს. ასევე ამ კუთხის ისტორიული რეალობა აღწერეს-გიორგი ყაზბეგმა, გიორგი წერეთელმა, სერგეი მესხმა, თედო სახოკიამ, ზაქარია ჭიჭინაძემ, პეტრე უმიკაშვილმა და ა.შ.

ერთობ საინტერესო მასალებია დაცული ხარიტონ ახვლედიანის მუზეუმის საცავში. დაცულ მასალათა შორის ყურადსაღებია 1953 წლის ანგარიში, რომელსიც მნიშვნელოვანი ინფორმაცია შემოუნახავს ამ კუთხის ისტორიული წარსულის შესახებ. კომპლექსური სამეცნიერო ექსპედიციის ანგარიშში ვკითხულობთ არაერთი მთქმელის მოგონებას, რომლებიც გასათვალისწინებელია თავისი შინაარსითა და ისტორიულობით. ანგარიშებში ვეცნობით მთქმელთა ნამბობებს გეოგრაფიულ სახელთა ეტიმოლოგიასთან დაკავშირებით. კერძოდ, მკვლევარი შუქრი ნიჟარაძე წერდა, მთქმელთა უმრავლესობა საუბრისას ამტკიცებდა ერთსა და იმავეს: „ხულოს რაიონში შემავალი სასოფლო საბჭოებს შორის ყველაზე უძველესი სოფელი არის „დიდაჭარა: სინამდვილეში მას უნდა ქვიოდეს „დედო აჭარა“, სოფლის სიძველეს უძველესი ტიპები, გვარები და სხვა. ამ მტკიცებით უმთავრესი გვარებია; ბოლქვაძეები, შავაძეები, გობაძეები. ადგილების სახელწოდებებია: **ზედავაკე, ქობაური, ელიაწმინდა, ხუციაშვილებიანი, ყორვანათი, ვანი, ნაქილისვარის ყელი და სხვა.** მოსახლეობის დასახლებას ამჟამად ემჩნევა გვაროვნული წყობილების ნიშნები, მაგალითად. ხუციაშვილების კუთხეში მხოლოდ ბოლქვაძეები ცხოვრობენ. აქ გვარად ხუციაშვილები აღარ ცხოვრობენ...⁸⁰ წლის მოხუ-

ცი დავით სულეიმანისძე ბოლქვაძე და შავაძე გადმოგვცემს, რომ ეხლანდელი ბოლქვაძეების ძველი გვარი ხუციაშვილები არიანო“ (რუსიძე 1953: #152 :2).

საინტერესოა, ხუციაშვილებთან დაკავშირებული ისტორია, რომელიც დროჟამის მიუხედავად, მკვიდრთა ცნობიერებაში მაინც ცოცხლობს. კერძოდ, რას იხსენებენ აქაურები „სოფლის შუა ადგილას, ჩვენს მახსოვრობაში იყო დიდი ქრისტიანული სამლოცველო, რომელიც დაანგრიეს, ქვები ხულოში გაზიდეს ჯამისა და ხიმშიაშვილების სასახლის აგებისათვის და იქ გამოიყენეს.“ ისტორიკოსი დასძენდა: „მათი გადმოცემითა და ადგილის დათვალიერების შედეგად დადგინდა, რომ იმ ადგილებში, მართლაც, ხუცების სამოსახლო იყო და შემდგომ მათ ხუცის შთამომავლები, ხუციაშვილები უწოდეს. „ხუციაშვილების კუთხეში, სადაც ნაეკლესიარია მიწის თხრის დროს მრავალი წარწერიანი ქვა აღმოჩნდა“. ეკლესიის ნანგრევების ადგილას ძველ დროში, რაღაც ნივთებსაც ჰპოულობდნენო, თუმცა მათი ბედის შესახებ არავინ არაფერი არ იცის. ეს ადგილები რომ ქრისტიანული იყო და აქ ძირძველი მოსახლეობა ცხოვრობდა. ყოველივეს კი არაერთი ისტორიული თუ სამუზეუმო მასალაც ადასტურებს (იქვე, 11).

ისტორიულად, საქართველო - წარმართული ქვეყანა იყო. იმავე „ქართლის ცხოვრების“ მიხედვით ვიგებთ, რომ „მოვიდა... ანდრია ქალაქად ტრაპიზონად, რომელ არს სოფელი მეგრელთა, სადა იგი დაჰყო მცირედი, და იხილა უგუნურება პირუტყუბრივი მკვდრთა შორის მის ქალაქისათა, განვიდა მიერ და შევიდა ქუეყანასა ქართლისასა, რომელსა დიდ აჭარა ეწოდების, და იწყო ქადაგებად სახარებისა“ (ქართლის ცხოვრება 1955:30).

მართლაც, ქართლის ცხოვრების გარდა, არაერთი წყარო ცხადყოფს, რომ ამ კუთხეში პირველ საუკუნეში იქადაგეს ქრისტიანობა. IX საუკუნის უცნობ ავტორს ეკუთვნის პოემა მიქაელ საბაწმინდელის შესახებ, სადაც დასავლეთი საქართველო მოციქულთა წილხვდომ ქვეყნად აქვს გამოცხადებული (კიმენი 1918: 270). ასევე ყოველივეს ცხადყოფს უცხოელ მკვლევართა წყაროებიც. „ანდრეა მოციქულის საქართველოში მოღვაწეობის შესახებ პირველ ცნობას იძლევა ნიკიტა პაფლანოლენი (+ 890), ანდრეას „მიმოსვლის“ ავტორი (ქართულად თარგმნა ექვთიმე მთაწმინდელმა). მის ნაშრომში ანდრეას წილხვდომილად ჩრდილოეთია აღნიშნული; იგი იბერთა და სავრომატების, მთავრებისა და სკვითების განმანათლებლად იწოდება. ამ წყაროზე დაყრდნობით გიორგი მთაწმინდელი (XII ს.) საქართველოს ეკლესიის დამფუძნებლად ანდრეა მოციქულს მიიჩნევს და ანტიოქიის პატრიარქთან პაექრობის დროს საქართველოს ეკლესიის დამოუკიდებლობის უფლებას ამ ცნობის საფუძველზე ამტკიცებს. შემდეგში ეს ცნობა ეფრემ მცირემ შეუთანხმა წმ. ნინოს მოღვაწეობის ფაქტს და საქართველოში ქრისტიანობის მეორედ ქადაგების აუცილებლობას განმარტება მოუძებნა, რაც დააკანონა რუის-ურბნისის საეკლესიო კრებამ (1105). ასევე ბოლოდროინდელი დოკუმენტი „მოსახსენებელი მიმოსვლისათვის და ქადაგებათა მოციქულისა ანდრეასის (A1103, 118-142, H 1347, 453-417; გამოც. მ. საბინინის მიერ: „საქართველოს სამოთხე“, გვ. 24-27) - აპოკრიფი, რომელსაც მართლმადიდებელი ეკლესია შეიწყნარებს. თარგმნილია ექვთიმე მთაწმინდელის მიერ (საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესიის ენციკლოპედიური ლექსიკონი 2007:)

მაშასადამე, წმ. ანდრია პირველწოდებულმა დიდაჭარა, არა მარტო გააქრისტიანა, არამედ ღვთის შეწევნით იქ მაკურნებელი წყარო აღმოაცენა, რომელშიც ხალხი მონათლა, სოფელში ღვთისმშობლის სახელობის ეკლესია ააგო, აკურთხა მღვდლები და დიაკვნები, ბოლოს კი საქართველოს პირველ ქრისტიანულ ტაძარში დედა ღვთისას ხელთუქმნელი ხატის – აწყურის ღვთისმშობლის ხატის, ასლი დაასვენა.

შესაბამისად, „ქართლის ცხოვრების“ მიხედვით, ანდრია პირველწოდებულის ქადაგებამდე დიდაჭარლები წარმართები ყოფილან, შემდეგ კი გაქრისტიანებულან. ოსმალს შემოსვლის მერე ძალით გაუმუსლიმანებიან, მაგრამ ყველაფრის მიუხედავად, გარკვეული პერიოდის განმავლობაში, ისინი მაინც ქრისტიანულ მსახურებას აგრძელებდნენ, რასაც არსებული მასალები და ტოპონიმები ცხადყოფს. **სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი ილია II თვლის, რომ ანდრია პირველწოდებულმა და სიმონ კანანელმა მოციქულებმა უფლის სიტყვის ქადაგებით განვლეს საქართველოში ჩვენი წელთაღრიცხვის პირველ საუკუნეში (გოგიტიძე 1990: 78).**

დიდაჭარის ტოპონიმთაგან ყურადსაღებია. ეს ხეობა კულტურულ-ადმინისტრაციულ ცენტრს რომ წარმოადგენდა, ამას არაერთი თქმულება-გადმოცემა მოწმობს: **ხუციქედი, დიოვნისი, დიაკონიძეები, ნაქალაქარი, ნეფიკალო ჯვარიქედი** და სხვ. ასევე სახასიათოა, დიდაჭარის მიმდებარე სოფლებისა და უბნების გეოგრაფიული სახელები. აღნიშნულ ტოპონიმებს არაერთი თქმულება – გადმოცემა უკავშირდება.

ხულოს რაიონის, ღორჯომის ჩრდილოეთით არსებულ გორას ხალხი „**საყდრის სერს**“ ეძახის. მას ძველ დროში სამლოცველოს ფუნქცია ჰქონია. აქაურობა გაუთხრიათ ადგილობრივებს, რომლებსაც სპილენძის ფულები, კოვზები და

თეფშები უნახავთ. აქვე ჩრდილოეთით 8-10 კმ-ის დაშორებით არის მთა „საყოლაფერდი“, რომლის ქვემოთა დავაკება ადგილს აქაურები „ნაქალაქევს“ ეძახიან. ამჟამად იქ არავინ ცხოვრობს, მათი გადმოცემით, უწინ აქ დიდი ქალაქი ყოფილა მთელი აჭარის - ცენტრი” (მთქმელი მაია ხოზრევანიძე, დაბადებული ხულოს რიონის სოფ დიდაჭარაში, მცხ. დაბა ხელვაჩაურში, 55 წ. პირადი არქივი).

ამ მიდამოების მნიშვნელობასა და სტრატეგიულ დანიშნულებაზე არაერთ მკვლევარსა თუ ისტორიკოსს გაუმახვილებია ყურადღება. 1953 წლის საველე ექსპედიციით აქრამდენიმე ისტორიკოსსათუ ეთნოგრაფს უმოგზაურია. მათ ანგარისებში მრავალი საინტერესო მასალაა შემონახული. მათ შორის ვკითხულობთ: „ნაქალაქევზე მისასვლელი ძველი გზის ნიშნებია ღორჯომის მხრიდან, რომელიც მისდევს მდინარე რუსთავის ნაპირს. მე-2 გზის ნიშნები არის ნაქალაქევის ჩრდილოეთით, რომელიც იწყება ჭვანიდან გაივლის საყოლაფერდს, ნაირდალს, კუმტაურს, ნასოფლას, გოდერძის გადასასვლელს, რომელიც გადის ხირხათის ციხემდე (რუსიძე 1953: #152: 10). მათ მნიშვნელობაზე ისიც მეტყველებს, რომ ზემოაჭარას ხშირად სტუმრობდა თამარ მეფე და „თარანგელოზის ეკლესიაში წირვას ესწრებოდა... ეს ხეობა ცნობილი ყოფილა, როგორც ადმინისტრაციული ასევე სტრატეგიული ერთეულებით“. საარქვო მასალების მიხედვით, აქედან გადიოდა საიდუმლო გვირაბი, რომლითაც სარგებლობდა თამარ მეფე და გადადიოდა ხირხათის ციხეში. სავარაუდოდ, ამ გზით, კერძოდ, ნაქალაქევის გავლით მიდიოდა სხალთაში, იქედან ოშანახევში, მერე ხიხანის ციხეში და ბოლოს გადადიოდა ზარზმაში (რუსიძე 1953: #152; 154; 156; 158; 161; 162; 164 :11). ასევე საკვლევი ტოპონიმებია:

დიაკონძეები, დიოკნისი, ელიაწმიდა და სხვა გეოგრაფიულ სახელთა ეტიმოლოგია.

საფილეთის მთის აღმოსავლეთ კალთაზე ქალაქ ბათუმიდან 83 კილომეტრის დაშორებით სოფელი დიაკონძეები მდებარეობს. ხულოს მუნიციპალიტეტის ეს ლამაზი სოფელი გარდა ადგილმდებარეობისა ისტორიული წარსულითაც გამოირჩევა. ამ სოფლის მკვიდრი, სოფელში მცხოვრები 70 წლის ომარ სოლომონიძისაგან შემდეგი ისტორია ჩავიწერეთ: „ერთ-ერთი გადმოცემით, სოფელ დიაკონძეებშიც ყოფილა დიაკვანი, რომელიც მეტად კეთილშობილი და კაცთმოყვრე ადამიანი ყოფილა. თურქ-სელჩუკების შემოსევისას მას არ მიუღია თურქთა რელიგია, რის გამოც სიკვდილით დაუსჯიათ. მოსახლეობას მის პატივსაცემად ამ ადგილისათვის დიაკონი დაურქმევიათ. დროთა განმავლობაში კი დიაკონძეები ეწოდა (მთქ. ო. სოლომონიძე 70 წ. მცხ სოფ. დიაკონძეებში პირადი არქივი 2022 წ.).

მეცხრამეტე საუკუნის დასასრულს, 1874 წელს, აჭარაში გიორგი ყაზბეგი ჩამოსულა, რომელიც ამ სოფელთან დაკავშირებით წერდა: „სოფელმა ეს სახელი ქრისტიანობის დროს აქ მცხოვრები დიაკონისაგან მიიღო (ყაზბეგი 1995:71). ამავე საკითხს ეხმიანება კომპლექსური ექსპედიციის ანგარიშში წარმოდგენილი მასალები. „სოფელ დიაკონძეებში ბეგოშვილების უბანში XII საუკუნით დათარიღებული ციხის ნანგრევებია, რომელიც თავის დროზე თამარ მეფის ბრძანებით აუგიათ. ციხეს სიმაგრის, თავდაცვითი, სათვალთვალო დანიშნულება ჰქონდა, საიდანაც მტრის შემოსევას აკონტროლებდნენ. ადგილობრივებს აქ აღმოუჩენიათ ქვევრები და სხვადასხვა თიხის ჭურჭელი, რაც იმაზე მეტყველებს, რომ აქ მოსახლეობა უძველესი დროიდან დამკვიდრებულია და

მევენახეობასაც მისდევდნენ“ (რუსიძე 1953: #152; 154; 156; 158; 161; 162; 164 :11).

ამდენად აჭარის ისტორია დაუსრულებელ წიგნსა ჰგავს, რომელიც არასოდეს არ სრულდება. მისი ისტორია, ფოლკლორი, ეთნოგრაფია ისევ და ისევ ელოდება მკვლევრებს, რათა ახალ ხნულებში ახალი მარგალიტები მოიძიონ, ჩვენი ქვეყნისა და კუთხის საამაყოდ. ყოველი ტოპონიმი ხომ ზოგადქართულ ზეპირსიტყვიერების გამომდახილია..

გამოყენებული ლიტერატურა:

- **ბეკირიშვილი 1961:** ბეკირიშვილი იოსებ, „ქრისტიანობა აჭარაში“, გამ. „საქართველო“ თბილისი
- **გოგიტიძე 1990:** გოგიტიძე სიმონ, „ანდრია მოციქულის მოღვაწეობა აჭარაში“, ლიტერატურული ჟურნალი „ჭოროხი“, #4.
- **კიშენი 1918:** კიშენი, „იანვრის, თებერვლის, მარტის, აპრილის და მაისის თვეთა ტექსტები, გამოცემა რუსეთის სამეცნიერო აკადემიისა, კ. კეკელიძის რედაქტორობით, ტფილისი, ტ. I.
- **მიქლაძე 2022:** ნაილე მიქლაძე, ექსპედიციის ანგარიში, #3.
- **რუსიძე 1950:** რუსიძე შ, „ნარკვევი მარეთის ხეობის ისტორიული ძეგლების შესახებ“, ბათუმი, 1950, #115.
- **რუსიძე 1953:** რუსიძე შ, წლის ექსპედიციის ანგარიშები. ხულოს რაიონი. 1953.
- **საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესიის ენციკლოპედიური ლექსიკონი: 2007:** საქართველოს მართლმად-

დიდებლური ეკლესიის ენციკლოპედიური ლექსიკონი, ავტორ-შემდგენლები: ე. გაბიძაშვილი,

- **მამაცაშვილი, ა.** ღამბაშიძე, თბილისი.

- **ქართლის ცხოვრება 1955:** ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ხელნაწერის მიხედვით ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. I, სახელგამი, თბილისი.

- **ყაზბეგი, 1995:** ყაზბეგი გიორგი, სამი თვე თურქეთის საქართველოში (ნაშრომი თარგმნეს შესავალი წერილები, კომენტარები და საძიებლები დაურთეს და გამოსცეს რ.სურმანიძემ და მ. ხარაზმა) ბათუმი, 1995წ.

ტიმოთე გაბაშვილი ოსმალეთის იმპერიაში ქრისტიანული ღვთისმსახურების შესახებ

აბსტრაქტი: XVIII-XIX საუკუნეებში წმიდა ადგილების მოსალოცად ნამყოფ ქართველ ღვთისმსახურთა და მწერალთა მოგზაურული ჟანრის ტექსტებში თურქული შთაბეჭდილებების მოთხრობის დროს განსაკუთრებული ყურადღება ოსმალეთის იმპერიაში რელიგიური თვალსაზრისით არსებულ მდგომარეობასაც აქვს მიქცეული. ერთ-ერთი მათგანი იყო XVIII საუკუნეში მოღვაწე ღვთისმსახური ტიმოთე გაბაშვილი, რომელმაც 1750-1759 წლებში წარმატებით იმოგზაურა ოსმალეთში, საბერძნეთსა და იერუსალიმში იქ არსებული ქრისტიანული ადგილების მოსალოცად. წარმოდგენილ ნაშრომში სწორედ ამ კუთხითაა განხილული ხსენებული პიროვნების მოგზაურული ჟანრის ტექსტი „მიმოსლვა“, რომელშიც ფაქტოლოგიური სიზუსტითაა მოთხრობილი ოსმალეთში მის მოგზაურებასთან დაკავშირებული ამბები. როგორც ხსენებული ტექსტიდან თვალნათლივ ჩანს, იმდროინდელ ოსმალეთის იმპერიაში რელიგიური თავისუფლების თვალსაზრისით გაცილებით უკეთესი მდგომარეობა არსებობდა, ვიდრე შემდგომ პერიოდში.

საკვანძო სიტყვები: ტიმოთე გაბაშვილი, ქრისტიანობა, ეკლესია, ოსმალეთი.

1 ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართული ფილოლოგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელი / Doctor of Philological Sciences, Professor, Head of the Department of Georgian Philology at Akaki Tsereteli State University

Timothy Gabashvili about Christian Worship in the Ottoman Empire

Abstract: In XVIII-XIX centuries, Georgian priests and writers who visited Christian holy places to bless in their traveling genre of texts paid special attention to the situation in the Ottoman Empire from a religious point of view. Most of the mentioned authors were persons who had to stay in this country for a long time, as a result of which they were well acquainted with the situation there from the religious point of view. From this point of view, the travel genre essay of the religious person Timothy Gabashvili “Mimosvla” is extremely interesting. As is known, he successfully traveled to Greece and Jerusalem in 1750-1759 to bless the holy places there. During this trip, the writer had to stay in Turkey for a long time, which is why the transfer of his Turkish impressions has an important place in the mentioned work. From T. Gabashvili’s narration, it is clear that Christian temples existed in all parts of the Ottoman Empire at that time, and services and prayers were performed in them without restrictions. As an honored guest, the government officials met him with great respect and hosted him decently. During the conversation about Christian churches-monasteries in the Ottoman Empire, Gabashvili also emphasizes the fact that in some of them Georgian clerics were engaged in priestly service. The importance of the information provided by T. Gabashvili regarding the Christian worship service in Ottomans is essentially defined by the fact, that it is done by a person who himself was a representative of this world.

Key words: Timothy Gabashvili, Christianity, Church, Ottoman Empire.



XVIII-XIX საუკუნეებში წმიდა ადგილების მოსალოცად ნამყოფ ქართველ ღვთისმსახურთა და მწერალთა მოგზაურული ჟანრის ტექსტებსა და დოკუმენტურ ჩანაწერებში თურქული შთაბეჭდილებების მოთხრობის დროს განსაკუთრებული ყურადღება ოსმალეთის იმპერიაში რელიგიური თვალსაზრისით არსებულ მდგომარეობასაც აქვს მიქცეული. ხსენებულ ავტორთა უმეტესობას ის პირები წარმოადგენდნენ, რომელთაც ამ ქვეყანაში თვეობით, ზოგიერთებს კი წლობითაც კი, მოუხდათ ყოფნა, რის შედეგადაც საკმაოდ კარგად გაეცნენ რელიგიური თვალსაზრისით იქ არსებულ ვითარებას.

ასე რომ, აღნიშნული გარემოებიდან გამომდინარე, XVI-II-XIX საუკუნეების ოსმალეთის იმპერიაში ქრისტიანულ რელიგიასთან დაკავშირებით მათ მიერ მოწოდებული ცნობები შეიძლება ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე მივიჩნიოთ რეალურად არსებულ სინამდვილედ.

საკითხის არსში უკეთ გარკვევის მიზნით, წარმოდგენილ ნაშრომში შევეცადე სწორედ ზემოთ ხაზგასმული კუთხით განმეხილა XVIII საუკუნეში მოღვაწე მწერლისა და ღვთისმსახურის - ტიმოთე გაბაშვილის მოგზაურული ჟანრის ტექსტი „მიმოსლვა“, რომელშიც ფაქტოლოგიური სიზუსტითაა მოთხრობილი ქრისტიანული სიწმინდეების მოსალოცად ოსმალეთში, საბერძნეთსა და იერუსალიმში მის მოგზაურებასთან დაკავშირებული ამბები.

როგორც ხსენებული მხატვრულ-დოკუმენტური ტექსტიდან თვალნათლივ ჩანს, იმდროინდელ ოსმალეთის იმპერიაში რელიგიური თავისუფლების თვალსაზრისით გაცილებით უკეთესი მდგომარეობა არსებობდა, ვიდრე შემ-

დგომ პერიოდში. მიუხედავად იმისა, რომ ხელისუფლების მესვეურთა აქტიური მცდელობის შედეგად მაჰმადიანური რელიგია იმხანადაც გამოკვეთილად პრიორიტეტულ მდგომარეობაში იმყოფებოდა და ქრისტიანული სარწმუნოების მიმდევარნი არა მარტო ფიზიკურ დევნა-შევიწროებას განიცდიდნენ, არამედ მეჩეთებად ეკლესიების გადაკეთების პროცესიც მიმდინარეობდა, ქრისტიანული მღვდელმსახურება ფაქტობრივად მაინც აღევლინებოდა იმპერიის ყველა რეგიონში.

თუმცა ქრისტიანული რელიგია გამონაკლისი არ ყოფილა და ანალოგიურ მდგომარეობაში იმყოფებოდნენ აგრეთვე სომხებიცა და ებრაელებიც.

სამწუხაროდ, რელიგიათა ამგვარი შედარებითი თავისუფლება XIX საუკუნიდან უკვე აშკარად იწყებს შეზღუდვას, რის შედეგადაც შემდგომი პერიოდის განმავლობაში არა მარტო არამუსლიმურ რელიგიურ დაწესებულებათა რაოდენობა შემცირდა მკვეთრად, არამედ არამაჰმადიანური სარწმუნოების მქადაგებელ სასულიერო პირთა და მორწმუნეთა წინააღმდეგ გაჩაღებული რეპრესიები დროდადრო ფართო მასშტაბების მომცველ მოვლენადაც იყო ქცეული.

ხსენებული პერიოდისაგან განსხვავებით, შუა საუკუნეების ოსმალეთის იმპერიაში ამ იმპერიის მესვეურთა ცალკეული წარმომადგენლების დამოკიდებულება ქრისტიანული რელიგიისადმი მართლაც რომ იყო რამდენადმე ლოიალური, ამის ნათელსაყოფად აქ მუშინ ილდიზთაშის მიერ ოსმალურ არქივებში მოპიებული ის რამდენიმე დოკუმენტი მინდა დავიმოწმო, რომლებიც 2012 წელს სტამბოლში ქართულ და თურქულ ენებზე გამოცემულ წიგნში – “საქართველო და ქართველები ოსმალურ საარქივო დოკუმენტებში” არის წარმოდგენილი.

1. “ირანის მმართველის გაფრთხილება საქართველოს ტერიტორიის ხელშეუხებლობასთან დაკავშირებით.

არზრუმის ბეგლარბეგს ვუბრძანებ, რომ:

...ირანის მბრძანებელს, შაჰყულს შეახსენე, რომ ჩემი მფარველობის ქვეშ მყოფ ქართველ მთავრებსა და ბეგებს, ასევე მათ ტერიტორიებს არ შეეხოს, დაიცვას მშვიდობა და სიმყუდროვე... **არავინ არ დაარღვიოს ქრისტიანი და მუსლიმი მოსახლეობის სიმყუდროვე...**

...1565 წლის 7 თებერვალი” (ილდიზთაში, 2012: 49).

2. “არზრუმის ბეგლარბეგსა და მის ყადს ვუბრძანებ, რომ:

არტაანის ყადმა და ბერექეთის ციხისთავმა მაცნობეს, რომ ქართველმა აზნაურებმა – ვარაზამ და ქაიხოსრომ ააოხრეს ჩვენი მფარველობის ქვეშ არსებული რამდენიმე სოფელი. **გაძარცვეს და გაანადგურეს როგორც ქრისტიანული, ისე მუსლიმური მოსახლეობა.**

ფაქტის დადასტურების შემთხვევაში გიბრძანებთ, რომ:

ბრძანების მოსვლისთანავე ჩაატარე კვლევა-ძიება, დამნაშავენი დააპატიმრე და სამართლიანად დასაჯე. მომხდარი ფაქტი თუ სიმართლეს შეესაბამება, აიძულე ისინი დაზარალებულ მოსახლეობას აუნაზრაურონ ზარალი...

1568 წლის 29 აპრილი” (ილდიზთაში, 2012: 55).

3. “ბრძანება იერუსალიმის ყადის და სანჯაყბეგს:

გურიისა და იმერეთის მთავრების ელჩებმა მაცნობეს, რომ **იერუსალიმში არსებული ქართველთა სალოცავები, რომლებიც უძველესი დროიდან მათ საკუთრებაში იყო, ფრანგებმა და სომხებმა მიიტაცეს.** ვბრძანებ, რომ:

მოუხმეთ იერუსალიმის წარჩინებულები, გააცანით ვითარება და გაარკვიეთ, **ეს სალოცავები ძველთაგან ნამდვილად ქართველებს ეკუთვნის თუ სხვებს?** მხოლოდ

თავდაპირველ მფლობელებს მიეცით საშუალება, რომ მოილოცონ ეს ადგილები, ხოლო დანარჩენებს აუკრძალეთ. შედეგი წერილობით მაცნობეთ!

1577 წლის 14 აპრილი” (ილდიზთაში, 2012: 75).

4. “ჩილდირის ბეგლარბეგს და ახალციხის ყადს ებრძანოს:

...ქეთჰუდა გუმუშ ოსმანი, მდივანი დავუდი და შეიარაღების უფროსი ქუჩუკ ჰუსეინი იგონებენ გაუგონარ გადასახადებს და ამას გარდა თვითნებურად ცვლიან გაწეული სამსახურის სანაცვლოდ გაცემული მიწებით სარგებლობის უფლებებს. ამ მდგომარეობის აღმოფხვრისთვის ადრეც იქნა გამოცემული უმაღლესი ბრძანება, მაგრამ აღნიშნული პირები აგრძელებენ მოსახლეობის შევიწროებას.

შენ კი, ყადო! ამის შემდეგ ქრისტიან მოსახლეობას უკანონოდ ერთი აქჩეც არ მოთხოვო. ზეწოლა და ჩაგვრა დაუშვებელია. მსგავს მდგომარეობას ყოველმხრივ აარიდეთ თავი...

1691 წლის 9 თებერვალი” (ილდიზთაში, 2012: 129).

იმ მხარდაჭერის დასტურად, XIX საუკუნეამდელი პერიოდის ოსმალეთის იმპერიის მესვეურთა ცალკეული წარმომადგენლები ქრისტიანული რელიგიის აღმსარებელთა უფლებების დასაცავად რომ იჩენდნენ დროდადრო, აქ სულთან მურადის მიერ გამოცემულ იმ ფირმანსაც დავიმოწმებ, რომელიც ცნობილ ქართველ მწერალსა და საზოგადო მოღვაწეს – ივანე კერესელიძეს (1829-1992 წწ.) აქვს შეტანილი სამცხე-საათაბაგოში მისი მოგზაურობის ამსახველ მხატვრულ-დოკუმენტურ ტექსტში – “სამგზავრო წიგნები:”

ახალციხის პატრიარქ გაიოზს, იმ მოვლენით აღშფოთებულს, რომ სამცხე-საათაბაგოში ოსმალეთიდან მოსული მოლეები იქაურ მოსახლეობას ძალადობრივი გზით

ამაჰმადიანებდნენ, “გულმა ვეღარ მოუთმინა და შეიტანა ამ საგანზედ საჩივარი ანტიოხიის პატრიარხთან. ამ პატრიარხმან იჩივლასულთანთან, რომელმაც გამოჰსცა შემდეგი ფირმანი:”

„ნებითა აღლახისათა, ჩუენ სულტან მურადი... ჩუენის უმაღლესის ფირმანით ვაცნობებთ ყოველთა ერთ-გულთა ქუეშევრდომთა ჩუენთა, რომ ჩუენ მონა გაიოზს, განწესდა რა მიტროპოლიტად ახალციხის და ჩილდირის ფაშალიკებში სრულის მიტროპოლიტის უფლებით, ჩუენის დიდებულებისაგან ეძლევა თავის-უფლება მაზედ, რომელ არა რომელსა სხუათა სარწმუნოებისასა არ შეუძლიან შეეხოს და არცა გაერიოს იმის სასულიერო საქმეში. აქუს უფლება იქცეოდეს ისე, როგორც ქრისტიანური წესია, იქადაგოს, მოახდინოს სასულიერო განკარგულება. იმას უნდა მორჩილებდნენ როგორც სამღუდელონი, ისე ბერები; აგრეთვე სრული უფლება ეძლევა ისარგებლოს საეკლესიო მამულებითგან, რომელნიცა შეწირულები არიან ქართულთ მეფეებისაგან. ამა ჩუენსა უმაღლესსა ბრძანებასა უნდა მორჩილებდნენ ყოველნი ქუეშევრდომნი ჩუენნი” (ჟურნ. “ცისკარი,” 1870, №4: 144).

როგორც დამოწმებული დოკუმენტებიდანაც ნათლად ჩანს, ოსმალეთის იმპერიის უმაღლესი ხელისუფლების ცალკეული წარმომადგენლები დროდადრო ქრისტიანული რელიგიის მიმდევარი მოსახლეობის უფლებათა დამცველის როლშიც გამოდიოდნენ და მკაცრ ზომებს ატარებდნენ იმ პირების მიმართ, რომლებიც მათი იმპერიის მოქალაქეებს რელიგიური ნიშნით ავიწროებდნენ.

აღნიშნული მოსაზრება სიმართლეს რომ წარმოადგენს, ეს ოსმალეთში XVIII-XIX საუკუნეებში ნამყოფ ქართველ მწერალთა მოგზაურული ჟანრის ტექსტებითაც დასტურდება. მათგან ამჯერად განსაკუთრებული ყურადღება მინდა

მივაქციო XVIII საუკუნეში მოღვაწე მწერლისა და ღვთისმსახურის, ქართლის მთავარეპისკოპოს ტიმოთე გაბაშვილის (დაბადების თარიღი უცნობია. გარდაიცვალა 1764 წელს). ზემოთ ნახსენებ მხატვრულ-დოკუმენტურ ტექსტს. როგორც მისი ბიოგრაფიიდან ცნობილია, მან 1750-1759 წლებში წარმატებით იმოგზაურა საბერძნეთსა და იერუსალიმში იქ არსებული წმინდა ადგილების მოსალოცად.

თავისი მოგზაურული შთაბეჭდილებები ტიმოთე გაბაშვილმა საკმაოდ ვრცლად მოგვითხრო მხატვრულ-დოკუმენტურ ნაწარმოებში – “მიმოსლვა.” იმის გამო, რომ ამ მოგზაურობის დროს მწერალს თურქეთშიც მოუხდა ხანგრძლივი დროის განმალობაში ყოფნა, ხსენებულ ნაწარმოებში მის თურქულ შთაბეჭდილებათა გადმოცემასაც აქვს დათმობილი მნიშვნელოვანი ადგილი.

იქიდან გამომდინარე, რომ ტ. გაბაშვილის, როგორც სასულიერო პირის, მოგზაურობის უმთავრესი მიზანი ქრისტიანულ სიწმინდეთა მონახულება და მოლოცვა იყო, “მიმოსლვის” ძირითად სიუჟეტურ ქარგას უპირველეს ყოვლისა სწორედ ამ სიწმინდეებთან დაკავშირებული ამბებისა და ავტორის სარწმუნოებრივ გრძნობათა გადმოცემა განსაზღვრავდა. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებული ყურადღება ამჯერად ნაწარმოების იმ ეპიზოდებს მინდა მივაქციო, რომელთა მეშვეობითაც მწერალი XVIII საუკუნის შუა ხანების ოსმალეთის იმპერიაში ქრისტიანული სარწმუნოების მდგომარეობასთან დაკავშირებით გვაწვდის კონკრეტულ ცნობებს.

როგორც ტ. გაბაშვილის მონათხრობიდან ნათლად ჩანს, ქრისტიანული ტაძრები და ეკლესიები ფაქტობრივად ხსენებული პერიოდის ოსმალეთის ყველა კუთხეში არსებობდა და მათში განსაკუთრებული შეზღუდვების

გარეშე აღესრულებოდა წირვა-ლოცვა. ქრისტიანული სარწმუნოებისადმი ოსმალეთის იმპერიის იმჟამინდელი სახელისუფლებო წრეების ცალკეულ წარმომადგენელთა სწორედ ამგვარი დამოკიდებულების ნათელ გამოხატულებად უნდა მივიჩნიოთ ის ფაქტი, რომ ტ. გაბაშვილს, როგორც საპატიო სტუმარს, ხსენებული პირები ყველგან და ყოველთვის დიდი პატივისცემით ხვდებოდნენ, ყურადღებას არ აკლებდნენ და ღირსეულად მასპინძლდებოდნენ კიდევ.

იქიდან გამომდინარე, რომ იერუსალიმში მიმავალმა ტიმოთემ, მგზავრობასთან დაკავშირებულ სირთულეთა გამო, ოსმალეთის იმპერიასა და მის იმჟამინდელ დედაქალაქ სტამბოლში (მწერალი მას ყოველთვის კონსტანტინეპოლის სახელით მოიხსენიებს ხოლმე) თითქმის მთელი წელიწადი დაჰყო, მას დიდი შესაძლებლობა მიეცა საიმისოდ, საფუძვლიანად რომ გაცნობოდა თურქეთის პოლიტიკურ და ეკონომიურ მდგომარეობას. კერძოდ, ე. მეტრეველის მართებული მოსაზრებით, “მან თავისი ფეხით გადასერა თურქეთის მთელი იმპერია და კონსტანტინეპოლშიც ხანგრძლივად ცხოვრობდა: “დავითიენით თვენი შვიდნი კონსტანტინეპოლად ფრიადსა პატივსა და ამოდ ცხოვრებაში,” – წერს ტიმოთე. თავისი მაღალი სასულიერო წოდებისა და სარეკომენდაციო წერილების საშუალებით, ტიმოთემ კონსტანტინეპოლში კონტაქტი დაამყარა როგორც სულთანის ვეზირებთან, ასევე კონსტანტინეპოლისა და იერუსალიმის პატრიარქებთან. ამ გზით ეცნობოდა და აგროვებდა ტიმოთე მისთვის საინტერესო ცნობებს” (გაბაშვილი, 1956: 0115).

როგორც ზემოთ უკვე ითქვა, ოსმალეთის იმპერიის უმაღლესი ხელისუფლება ტ. გაბაშვილს, როგორც საპატიო სტუმარს, ამ ქვეყანაში მისი ყოფნის განმავლობაში განსაკუთრებული პატივისცემით ეპყრობოდა. მაგალითად,

აი, რას წერს თავად ტიმოთე იმ აქტიურ თანადგომასთან დაკავშირებით, რომელიც მას იერუსალიმში გამგზავრების დროს აღმოუჩინეს ხელისუფლების მესვეურებმა: „მივეწი-ენით კონსტანტინეპოლედ. სახლსა გარდავკედით სტავრაკის შვილისაგიორგიპროთოსპათარისასა, ბულდანის (რუმინეთის - ა. ნ.) მეფის ვექილისასა, და ფრიად პატივს-გვცა და უცხოის მოყვარეობისა ღმთისმსახურებისა კეთილი ნუგეში გვიბოძა. და ვეზრახებოდი საურავისა ამის ჩემისათვის, ვითარემედ ქვეყანისაგან ჩემისა ამისათვის ვარ წარმოსულ, რათა იერუსალიმად მივიწიო, არამედ გზისა შიში თათართა მიერი არამიტევებს ჩვენ წანსლვად. არამედ მეტყოდა იგი, ვითარმედ: რაისათვის წიგნი არა იახელით ქვეყნისაგან თქვენისა აქა კარსა ზედა მოწერილი გზისა მოცემისათვის? ხოლო მე მაქვნდეს ახალციხის ფაშა-ათაბაგის მაჰმადის წიგნები გზისა მოცემისათვის და შეწყნარებისა, კარზედ მოწერილი ვეზირსა თანა და სხვათა დიდებულთა. და მივართვი-რა, აღმოვიკითხა და განკვირვა ეგრეთსა ჩემთვის გულსმოდგინესა მოწერასა და იტყოდა: არა იქმნების უზეშთაესი ამისა. წარიღო და მიართვა ვეზირსა და სხვათა მოაქლეთა. და აღმოვიკითხა რა, ეთქვა: ძალი წიგნისა წარმოაჩენს, ვითარმედ პატივსადები თურმე ვინმე არს სტუმარი კელმწიფისა ჩვენისა; და მოვიდეს აქა, რათა ვიხილოთ და პატივსცეთ. და მაწვევდეს რა წარსლვად, არა ვინებე, არამედ ვიმიზეზებდი უძლებად ყოფასა. და რა არღარა მიველ, განგვიმზადნეს სასახლე მდიდრად გარდაგებული ნატიითა და სუზნითა და დღითი-დღედიითა საზრდოსა ბოძებითა. და მეტყოდენ ვითარმედ: სალაროსა კელმწიფისასა რაოდენსა ითხოვ თეთრსა, მოგეცეს. არამედ მე არა ვინებე საფასითა მათითა გზისა ჩემისა წარმართება. მე ვევედრებოდი გზისა წიგნისათვის, რომელსა ფერმან უწოდეს“ (გაბაშვილი, 1956: 55).

ტ. გაბაშვილი სხვაგანაც ახსენებს ახალციხის ფაშას მიერ მისთვის გატანებულ ზემოთ ნახსენებ წერილს, რომლის მეშვეობითაც ადვილად ახერხებდა მგზავრობასთან დაკავშირებული პრობლემების მოგვარებას. მაგალითად: “მქონდა თათრული წიგნი წარმოტანებული ფაშისა მიერ ახალციხისა ვეზირთანა და სხვათა დიდთა კაცთა თანა. და უჩვენე იგინი. და აღმოიკითხა რა, განკვირდა, რამეთუ ფრიადი პატივისცემა და მშვიდობით გასტუმრება ჩემი ეწერა მათ შინა. და წარიღო და მიაართვა ვეზირთა და სხვათა კაცთა. მათ აღმოეკითხათ რა, მსწრაფლ ებრძანათ მისლვა ჩვენი... და მიბოძეს სრა, დიდად პატიოსანი და მრავალფერითა შემკული, და მოგვიფინეს ნატიოთა და ბალიშითა მდიდრითა. და უბრძანეს საზრდო ჩვენი დღითი-დღედი. და ვიყავით სოფლის წარმავალთა შვებასა” (გაბაშვილი, 1956: 118).

ტ. გაბაშვილისადმი ოსმალეთის იმპერიის ხელისუფალთა პატივისცემლური დამოკიდებულების დასტურად აქ ნაწარმოებიდან ერთ ასეთ ეპიზოდსაც გავიხსენებ:

როცა სულთანის კარზე შეუტყვიათ, რომ მათი სტუმარი იერუსალიმში აპირებდა გამგზავრებას ქრისტიანული სიწმინდეების მოსალოცად, მოგზაურობის დროს მოსალოდნელი ხიფათისაგან დაცვის მიზნით იმპერიის ვეზირს მისთვის უსაფრთხოების განმაპირობებელი სპეციალური ფირმანი მიუცია, სადაც ეწერა: “ვბრძანებთ მაღლისა ხელმწიფობისა ჩვენისა ბრძანებითა ჩვენ, დიდად ამაღლებული ხელმწიფე მრავალთა საპატრონოთა და ძლიერებისა მპყრობელი ხონთქარი, და ამა ფერმანსა ბრძანებისა ჩვენისასა უბოძებთ ამას და უბრძანებთ ყოველსავე იერუსალიმად მიმავალთათვის გზათა ზედან ფაშათა, ენგიჩარაღასთა, სარდალთა, ვოივოდათა, ყადთა და ერთობით ყოველთა მორჩილთა ბრძანებისა ჩვენისათა: ესე ტფილისის ქვეყნის როჰბანი ტიმოთე, თავისის

მოსამსახურით, ჩვენი ამაღლებულის კარის სტუმარი იქმნა, იერუსალიმს წარსვლისათვის დასტური უბოძეთ. სადაც მოიწიოს, პატივი და სამსახური მიეცით, არავინ არა სთხოვოს რა, არავინ რა აწყინოს, თვარემ ერთის თეთრის ზიანი ათას ქესად ვერ ადგება. გზაზე, საცა შიში იყოს, თოფ-იარაღიანი გზის მცველნი გაატანოთ, მშვიდობით მივიდეს. ეს ჩვენი ბრძანება ასე იცოდეთ” (გაბაშვილი, 1956: 56).

ოსმალეთის იმპერიის ვეზირის მიერ იერუსალიმში მიმავალი ტიმოთესთვის მიცემულ ამ ფირმანს განსაკუთრებულ ძალას სძენდა ის ფაქტი, რომ იგი მწერალს უსაფრთხოების გარანტიას არა მარტო ოსმალეთის იმპერიის ტერიტორიაზე აძლევდა, არამედ იერუსალიმისკენ მიმავალ გზაზეც, რადგანაც პალესტინაცა და იერუსალიმიც მაშინ ამ იმპერიის დაქვემდებარებაში იყო მოქცეული.

ოსმალეთის ხელისუფლების უმაღლესი პირებისაგან ტიმოთესადმი ასეთი პატივისმცემლური დამოკიდებულება შემთხვევითი მოვლენა რომ არ ყოფილა, ამას ავტორისეული მონათხრობის ეს ეპიზოდიც ადასტურებს: საბერძნეთში, წმინდა მთაზე მდებარე სამონასტრო კომპლექსში, ყოფნის დროს, “მაღლისა თურქთა ხელმწიფისაგან მომივიდა წყალობა, წიგნი დიდი ფირმანი, ვითარმედ ესე ეპისკოპოსი ჩვენი სტუმარი არსო უცხო ქვეყნიდამ, ჩვენი მაღლის კარისათვის მოუმართავსო; ფაშათა და ენგიჩარაღასთა გიბრძანებო და ყოველთავე – არავინ რა ავნოთო... და მაღლობა შევწირე ღმერთსა, უცხოებასა შინა ჩემსა ესრეთ მამებრივ და კაცთმოყვარებრით დამცველსა ჩემსა, რომელმან ყვნის წყალობა და სამართალი” (გაბაშვილი, 1956: 119).

თავისი მოგზაურობის მიზანდასახულობიდან გამომდინარე, ტ. გაბაშვილის „მიმოსლვაში“ განსაკუთრებული ყურადღების საგნად უპირველეს ყოვლისა ქრისტიანული

ტაძრების, ეკლესია-მონასტრებისა და სიწმინდეების მონახულება, მოლოცვა და იქ არსებულ მდგომარეობასთან დაკავშირებით კონკრეტულ ცნობათა მოწოდება წარმოადგენდა.

აქედან გამომდინარე, მწერალი საკმაოდ დეტალურ ცნობებს გვაწვდის XVIII საუკუნის 50-იანი წლების ოსმალეთის იმპერიაში აღნიშნული თვალსაზრისით არსებულ მდგომარეობასთან დაკავშირებით. მიუხედავად იმისა, რომ მუსლიმური რელიგიის ფართოდ გავრცელება ამ იმპერიის მესვეურთა იმჟამინდელი სახელმწიფოებრივი პოლიტიკის არსებითად განმსაზღვრელ ნაწილს წარმოადგენდა, ქრისტიანული ეკლესიები მაშინ ამ ქვეყნის ყველა მხარესა და ქალაქში არსებობდა და მათში შეუზღუდველად მიმდინარეობდა წირვა-ლოცვა.

უფრო მეტიც, “მიმოსღვაში” იმ გარემოებასაც ექცევა ყურადღება, რომ მუსლიმური რელიგიის ესოდენ ფართოდ გავრცელების მიუხედავად, თურქთა გარკვეული ნაწილი ქრისტიანულ სარწმუნოებასაც მისდევდა ფარულად. მაგალითად: “წარმოვედით ნავითა და მოვედით ჭალაკსა (კუნძულსა – ა. ნ.) ლეროს, მონასტერსა მას ყოვლად წმიდისასა საკვირველთმოქმედსა, და მიერით კალილიმონას, რამეთუ **მუნ მყოფნი თურქნი საიდუმლოდ ქრისტიანობდეს**” (გაბაშვილი, 1956: 64).

აღნიშნული მოვლენასთან დაკავშირებით აქ “მიმოსღვის” ეს ეპიზოდიც მინდა დავიმოწმო: საბერძნეთში ყოფნის პერიოდში იქაურ მღვდელმსახურებს ოსმალეთის ერთ-ერთ სულთანთან დაკავშირებით ტიმოთესთვის ასეთი რამ უთქვამთ: **“დედა ხელმწიფისა სულთანისა ამის იყო საიდუმლოდ ქრისტიანე**. დღესა ერთსა შეესწრა მე თვისი სულთანი, რამეთუ წინაშე ჯვარისა ილოცვიდა და პირსა

ჯვარსა იწერდა. ხოლო სულთანი ეტყოდა: დედავ, ჩემთვის ჰყოფ ლოცვასა, ანუ მოსკოვისათვის? ხოლო დედა ეტყოდა: არა, ხელმწიფეო ჩემო, შენთვის არს ვედრება ჩვენი. და დასწეულდა რა დედა ხელმწიფისა სურვილისათვის ზიარებისა, მიზეზი-იდგა, ვითარმედ ნავით სლვა მინებს, და შთაჟდა ნავსა და მღვდლისა ვისგანვე საიდუმლოდ ზიარება მიიღო, და მისრული სამყოფად მიიცივალა” (გაბაშვილი, 1956: 119).

ქრისტიანული რელიგიის მღვდელმსახურებისა და მრევლისადმი ოსმალეთის იმპერიაში იმხანად მართლაც რომ არსებობდა ერთგვარად შემწყნარებლური და არააგრესიული დამოკიდებულება, ამის დამადასტურებელ მაგალითებს მკითხველი საკმაოდ იპოვის ტ. გაბაშვილის “მიმოსლვაში.” მაგალითად, ოსმალეთის იმპერიის ყველა კუთხეში, სადაც ტიმოთემ იმოგზაურა, მას მასპინძლობას უპირველეს ყოვლისა იქ არსებული ქრისტიანული ეკლესია-მონასტრებისა და ტაძრების მღვდელმსახურნი უწევდნენ.

ოსმალეთის ტერიტორიაზე მდებარე პირველი ქალაქი, სადაც ტიმოთეს ერთი თვის განმავლობაში მოუხდა შეჩერება, ტრაპიზონი იყო. ამან მას შესაძლებლობა მისცა საფუძვლიანად დაეთვალიერებინა იქ არსებული ქრისტიანული ეკლესიები და თავისი იმჟამინდელი შთაბეჭდილებანი საკმაოდ ვრცლად მიეწოდებინა მკითხველისათვის.

მაგალითად, ტრაპიზონში ჩასული ტიმოთე, როგორც საპატიო სტუმარი, საგანგებოდ მიიპატიჟა იქაურმა მიტროპოლიტმა. იმის გამო, რომ ამ ქალაქში არსებული ფართოდ ცნობილი აიასოფიას ეკლესია იმხანად უკვე მეჩეთად იყო გადაკეთებული, ტიმოთე მან გრიგოლ ნოსელის ეკლესიაში მიიღო, შემდეგ კი “სრასა რასმე ტურფად ნაგებსა და ბაღთა და ზღვისა ჭენებისა ღადოთასა ამოდ შესაქცევსა” ადგილსა დააბინავა.

ტრაპიზონში ყოფნის მთელი პერიოდის განმავლობაში ტიმოთესა და მის თანამგზავრებს მასპინძლობას იქაური მღვდელმთავარი ანანია ტრაპიზონელი უწევდა, “კაცი ყოვლითავე ქცევითა პატიოსანქმნილი და შემკობილი, უცხოსმოყვარებისა მადლითა მდიდრად აღვსებული,” რომელმაც საპატიო სტუმარი “ფრიად კეთილად შეიტკბო და ზედასაზედან აწვევდა ტრაპეზად” (გაბაშვილი, 1956: 7).

როგორც ტ. გაბაშვილის მონათხრობიდან თვალნათლივ ჩანს, XVIII საუკუნის 50-იანი წლების თურქეთში დედათა მონასტრებიც არსებულა, სადაც აქტიური სამონაზვნო ცხოვრება ყოფილა გაჩაღებული. ერთ-ერთ ასეთ ადგილს წარმოადგენდა ტრაპიზონის ახლოს მდებარე სუმელას უძველესი მონასტერი. კლდეში გამოკვეთილი ამ გრანდიოზული სამონასტრო კომპლექსის აგებას მწერალი მეფე ალექსი კომნინოსის (XI ს.) სახელს უკავშირებს. თუმცა სამეცნიერო ლიტერატურაში დამკვიდრებული მოსაზრების მიხედვით, იგი გაცილებით უფრო ადრე, IV საუკუნეში, უნდა იყოს დაარსებული.

ამ დროიდან მოყოლებული, სუმელას მონასტრის განახლების პროცესში აქტიური მონაწილეობა ჯერ ბიზანტიის იმპერატორ იუსტინიანეს მიუღია VI საუკუნეში, მისი საბოლოო სახით დასრულება კი XIV საუკუნეში, ტრაპიზონის იმპერიის არსებობის პერიოდში, მომხდარა. მონასტრის იმ სახით აღდგენა და ახალი ფრესკებით მისი კედლების მოხატვა იმგვარად, როგორადაც იგი ტიმოთეს უნახავს, XVIII საუკუნის პირველ ნახევარში მომხდარა.

მონასტერში სტუმრად მისულ ტიმოთეს თურმე ქრისტესმიერი სიყვარულით მიეგებნენ “სულიერი დედა, წინამძღვარი და სხვანი დანი და დედანი, ჯვარშემოსილი კრე-

ბული და გალობითა და კეროვანებითა შეუძღვნენ ადგილთა მათ წმიდათა” (გაბაშვილი, 1956: 8).

ტრაპიზონში ერთთვიანი ყოფნის შემდეგ ტიმოთე ქალაქ უნიეში შეჩერდა ხანმოკლე პერიოდის განმავლობაში. უნიეშიც მისი მასპინძლები იქაური ქრისტიანები ყოფილან. აი, რა ინფორმაციას გვაწვდის თავად მწერალი უნიეში მის სტუმრობასთან დაკავშირებით: “მოვიწიენით ქალაქად უნიად, შვენიერსა მას ადგილსა. და ქრისტიანეთა მიგვიყვანეს და დავასადგურეს სასახლესა და ტაძარსა წმიდისა ნიკოლოზისასა. და შემოკრბეს ერნი და გვიმასპინძლეს და შეგვიწყნარეს კეთილად” (გაბაშვილი, 1956: 8).

სამწუხაროდ, ტ. გაბაშვილის მიერ მოხსენიებული უნიეს ეს ეკლესია, ისევე როგორც “მიმოსლვის” ტექსტში დასახელებული ბევრი სხვა ტაძარი, ეკლესია და მონასტერი, დღესდღეობით უკვალოდაა აღგვილი პირისაგან მიწისა.

მიუხედავად იმისა, რომ ტ. გაბაშვილს ოსმალეთის იმპერიის სახელისუფლებო წრეების წარმომადგენლები ყველგან პატივისცემით ხვდებოდნენ და მის მოგზაურობასთან დაკავშირებული საკითხების მოგვარებაში დიდ დახმარებას უწევდნენ, მისი უმთავრესი მასპინძლები მაინც სასულიერო პირები იყვნენ. ნებისმიერ ადგილზე, სადაც მწერალი მივიდოდა, მღვდელმსახურნი საპატიო სტუმარს სიყვარულით იღებდნენ, საცხოვრებლად კეთილმოწყობილ ბინას (ავტორი მათ ხშირ შემთხვევაში სასახლის სახელითაც მოიხსენიებს ხოლმე) გამოუყოფდნენ და არა მარტო მათთან სტუმრობის პერიოდში უმასპინძლდებოდნენ გულუხვად, არამედ გამგზავრების დროსაც ხელგაშლილად უსაგზოებდნენ დიდძალ სურსათ-სანოვავეს.

ოსმალეთის იმპერიაში არსებული ქრისტიანული ეკლესია-მონასტრების შესახებ საუბრის დროს ტ. გაბაშვილი

იმ გარემოებასაც უსვამს ხაზს, რამდენიმე მათგანში ძველად ქართველი სასულიერო პირებიც რომ ეწეოდნენ მღვდელმსახურებას. მაგალითად, იზმირისაკენ მიმავალ მწერალს ქალაქ უშის ახლოს უნახავს წმიდა მამა ხარიტონის მონასტერი, სადაც ძველად თურმე “ქართველნიცა მრავალი ცხოვრებულან” (გაბაშვილი, 1956: 10).

იზმირში კი იგი იქაურ მღვდელმსახურებს “სრასა მთაწმიდელთა ქართველთა მონსატრისასა” მიუყვანიათ და “მუნ დაუსადგურებიათ” (გაბაშვილი, 1956: 11). ხოლო კუნძულ პატმოსზე არსებულ მონასტერში სტუმრად მისულს უნახავს “ჯვარი ოქროსი, ქართველთაგან შემოწირული” (გაბაშვილი, 1956: 63).

ტ. გაბაშვილის მონათხრობიდან ისიც ნათლად ჩანს, რომ XVIII საუკუნის ოსმალეთში საკმაოდ მრავლად არსებული ქრისტიანული ეკლესიები მნიშვნელოვან მატერიალურ ქონებასაც ფლობდნენ. ამ შემთხვევაში მეტად საინტერესო ისიცაა, რომ აღნიშნულ ინფორმაციას ის პიროვნება გვაწვდის, ვისაც ეს ყველაფერი საკუთარი თვალით აქვს ნანახი. მაგალითად, აი, როგორ გვამცნობს მწერალი თურქების მიერ საყიზის სახელით მოხსენიებულ კუნძულ ქიონზე (იმავე ქიოსზე, ანდა ხიოსზე. მდებარეობს ეგეოსის ზღვაში. იმხანად ოსმალეთს ეკუთვნოდა, ამჟამად კისაბერძნეთის კუთვნილებას წარმოადგენს) ზემოთ აღნიშნული თვალსაზრისით არსებულ ვითარებას: “გვეტყოდნენ ქრისტიანენი, ვითარმედ ექვსას ორმოცი ეკლესია არსო დღეს ქალაქსა ამასო...

ამად ჟამად მოიწია დღესასწაული ტაძრად მიყვანებისა, და მოამზადეს ეკლესია წმიდისა ბიქტორისა და მოაკრნეს ხალასად ნაკერნი ფერადნი კედელ-ყურეთა და სხვად მრავლად შეამკეს. და აღმებთა ხალასობა ვით აღვსწერო! არა თუ იგი საყდარი, არამედ მრავალნი ერთი-მეორისა

უსაკვირველესად იყვნეს შემკობილ. ვარმხილველი მოსკოვისა და პეტრეგრუხისა, რომელთა შორის თავწარსხმულად ყვავის ქრისტიანობა დღეს, და მუნ არა მიხილავს ესრეთ შემკულნი ეკლესიანი. რა საკვირველად თლილითა მარმართა აღმართებულ იყვნეს სვეტნი და ზედ კამარანი მოჭრილნი ყვავილებად და ნახჩებად” (გაბაშვილი, 1956: 12).

იმისათვის, რომ მკითხველს კიდევ უფრო შთამბეჭდავი წარმოდგენა შეუქმნას ტაძრის არქიტექტურულ იერსახესა და ბრწყინვალებაზე, მწერალი დეტალურადაც აღწერს მის ყოველ კუთხე-კუნჭულს. მაგალითად: „იატაკი ფერადი ქვისაგან არის ჩაწყობილი. საყდარი არის რვაკუთხა და ირგვლივ არღავანის ოცდათორმეტი ფერადი სვეტი უდგას (არღავანი - იუდას ხე. ეს არის ფოთოლმცვენი ხე ან ბუჩქი, გაზაფხულის მახარობელი ლამაზმანი - ა. ნ.). კედლებიც არღავანისაა და ფერადი ქვისა - არა კირითა და ღორღით აგებული, არამედ ტყვიაჩასხმით და სპილენძით გამაგრებული. გუმბათი და კამარები სოფიას ელვარე კენჭებითაა მოხატული. ხატებიც ასევე სოფიას კენჭით არის დამშვენებული. მათი ელვარება და კამკამი ცისა და ღამის ლაჟვარდიან ფერს მოჰგავს. იატაკის კარიბჭეს რა გავხედე, მეგონა, თითქოს ოქსინოთი ყოფილიყო მოფარდაგებული.“

ტ. გაბაშვილის მონათხრობიდან ისიც თვალნათლივ ჩანს, ოსმალეთის ეკლესია-მონასტრებში მრავლად მოღვაწე სასულიერო პირებს ეს დიდი ქონება საკუთარი შრომით რომ ჰქონდათ შექმნილი. მაგალითად, კუნძულ საყიზზე ყოფნის დროს ტიმოთე იქ არსებულ აიამონის მონასტერს სტუმრებია. აი, რას წერს იგი ამასთან დაკავშირებით: “განვლეთ რა შუა გზა, მონასტრის ბაღნი და ვენადნი იყვნეს... მონაზონნი მამანი ბარევედენ და ნერგსა ასხმიდენ. და აღვლეთ რა აღმართი, ტევრთა მათ შინა გამოჩნდა დახურული

მონასტერი ბრწყინვალე. და გვეტყოდენ, ვითარმედ მდიდარ არს მონასტერი და ძველითა სიმდიდრითა გარდაცემულ, რომელთაცა მისლვა ჩვენი სცნეს რა, ჰკრეს ზართა ძლიერად მონასტრისათა და გამოგვეგებენ მამანი ორას ორმოცდაათნი სანთლებითა და კეროვანებითა” (გაბაშვილი, 1956: 13).

თავისი მოგზაურული შთაბეჭდილებების მოთხრობის დროს ტ. გაბაშვილი კონსტანტინეპოლის რელიგიურ ცხოვრებაზეც ამახვილებს განსაკუთრებულ ყურადღებას. კერძოდ, ამ ქალაქში ჩასვლისთანავე მისი სტუმრობის ამბავი მან უწინარესად კონსტანტინეპოლის პატრიარქ კირილეს შეატყობინა, რომელმაც “მსწრაფლ ინება” საპატიო სტუმართან შეხვედრა.

აი, როგორ აღწერს მწერალი ამ შეხვედრას: “წარუვლინენით მომკითხავად მღვდელი პატრიარქსა, უფალსა კირილეს. და მსწრაფლ ენება მისლვა ჩვენი და აღვდექით და წარვემართენით. და მივიწიენით და შეგვიძღვნენ წინაშე პატრიარქისა. და მიუძღვანეთ თაყვანისცემა და ამბორი მარჯვენისა. და განწესებულსა ადგილსა დაგვსვა და ამოდ მოგვიკითხა და კეთილად ფრიად შეგვიტკბო და ზედასაზედან გვკითხევდა ამბავსა. და თვისსა სრასა შინა განგვიმზადა სადგური. და პურისმტე გვყო მარადის გვერდით მისით. ესრეთ სიმდაბლე შეეტკბო, ხელითა თვისითა გვიბოდის სანოვაგეთა და მრავალფერად მითავაზებდა” (გაბაშვილი, 1956: 53).

მიუხედავად იმისა, რომ ეკონომიკური კეთილდღეობა და მატერიალური სიმდიდრე, ტიმოთეს მონათხრობის მიხედვით, თურქეთში იმჟამად არსებულ ქრისტიანულ ეკლესიათა დიდ ნაწილში ყოფილა დამკვიდრებული, კონსტანტინეპოლის მსოფლიო საპატრიარქოში ამ თვალსაზრისით არსებული მდგომარეობა ყველასგან განსხვავდებოდა.

ტ. გაბაშვილის მონათხრობში იმ დიდ ავტორიტეტსაც აქვს განსაკუთრებული ყურადღება მიქცეული, რითაც კონსტანტინეოლის პატრიარქი სარგებლობდა როგორც მთელი ოსმალეთის მასშტაბით, ისე მეზობელ ქვეყნებშიც. სწორედ ამის ნათელ დადასტურებას წარმოადგენს ის წერილი, რომელიც მან იერუსალიმში მიმავალ ტიმოთეს გაატანა მოსალოდნელი ხიფათისაგან თავის დასაცავად. ნათქვამის დასტურად დავიმოწმებ ფრაგმენტს ხსენებული წერილიდან:

“ეს ყოვლად სამღვდელო ტიმოთე, საქართველოს მიტროპოლიტი, ძმა და თანამწირველი ჩვენი, თავისის ქვეყნიდამ წმიდად ქალაქად იერუსალიმად წარმოსულ არს თაყვანისცემად ცხოველის მყოფელის საფლავისა. ჩვენ ესე წიგნი უბოძეთ, სადაც მოიწიოს, მოეგებოთ და კეთილად შეიწყნაროთ, ვითარცა მამა და მღვდელმთავარი, უცხო და შორის გზით მოსრული... იერუსალიმად მიმყვანებელსა გზასა კეთილად მიუძღვეთ, ზღვითა თუ ხმელით, არარა დასაბრკოლებელი შეემთხვიოს” (გაბაშვილი, 1956: 57).

კონსტანტინოპოლის პატრიარქი გამონაკლისი არ ყოფილა და სათანადო პატივისცემით ქრისტიანული რელიგიის სხვა იერარქებიც რომ სარგებლობდნენ მთელი ოსმალეთის იმპერიის მასშტაბით, ამას ტ. გაბაშვილის მიერ მოწოდებული ის ინფორმაციაც ადასტურებს, იერუსალიმში მიმავალ ქართველ მღვდელმსახურს ანალოგიური შინაარსის წერილები იქაურმა მიტროპოლიტებმაც რომ უბოძეს. კერძოდ, მსგავსად პატრიარქისა, ამ წერილებით ისინი წინასწარ თხოვდნენ მათი სამწყსოს ნებისმიერ წარმომადგენელს, მათაც გაეწიათ სათანადო დახმარება იერუსალიმში წმინდა ადგილების მოსალოცად მიმავალი საპატიო სტუმრისათვის.

ტ. გაბაშვილის “მიმოსღვა” საინტერესო დოკუმენტურ მასალას იმ თვალსაზრისითაც წარმოადგენს, რომ ავტორი ოსმალეთის იმპერიაში იმჟამად არსებულ ქრისტიანულ სწავლა-განათლებასთან დაკავშირებითაც გვაწვდის გარკვეულ ინფორმაციას. მაგალითად: იზმირში ყოფნის დროს, – წერს მწერალი, – “ვიხილეთ მუნ აკადემია საფილოსოფოსო, და იეროთეოს ფილოსოფოსი, მონაზონი ვინმე, ასწავებდა მრავალთა მუნ შკოლისაგანთა” (გაბაშვილი, 1956: 11).

თუმცა ყოველივე ზემოთქმული ისე არ უნდა გავიგოთ, თითქოს ოსმალეთის ტერიტორიაზე იმხანად არსებული ყველა ქრისტიანული ეკლესია და მონასტერი ასე მდიდარი, კეთილმოწყობილი და მატერიალურად უზრუნველყოფილი იყო. მათ გვერდით ტ. გაბაშვილს ამ მოგზაურობის დროს მოუვლელობისა და ჟამთა სვლისაგან დანგრეულ-გაპარტახებული ეკლესიებიც უნახავს. მაგალითად, აი, როგორ მდგომარეობაში ყოფილა ქალაქ სარდეოში არსებული ეკლესია: “ვიხილევდით ხილვასა საგლოელსა და ცრემლითა საფრქვევსა: სრულიად მოეოხრებინათ ესრეთ, ვითამცირედნი ნაქცევნი ძვილ სადმე ჩნდეს ეკლესიისა, რამეთუ ქრისტიანენი სრულიად არღარა იპოებოდეს” (გაბაშვილი, 1956: 102).

უკეთეს პირობებში არც სარდეოს ეპისკოპოსს უწევდა თავისი საღვთისმსახურებლო მოვალეობის შესრულება. ტიმოთეს ინფორმაციით, მისი სამყოფელი “იყო სრულიად ალოდრებულ, ვიდრე მცირედნი ნაქცევნი თულა დაშთომილ იყვნეს და კაცნი სრულიად არღარა იპოებოდეს” (გაბაშვილი, 1956: 10).

მიუხედავად ქრისტიანული რელიგიისადმი ოსმალეთის იმპერიის ხელისუფალთა ცალკეული წარმომადგენლების ლოიალური დამოკიდებულებისა, ტ. გაბაშვილიცა და სხვა ქართველი ავტორებიც იმ დევნა-შევიწროებაზეც საუბრობენ,

რასაც ამ იმპერიაში ჰქონდა ადგილი იმხანად. მაგალითად, ოსმალეთში ყოფნის დროს ტიმოთეს ერთი ქართველი მონაზონიც გაუცვნია, სამთავისის საყდრის ყოფილი ყმა, რომელიც ლეკებს დაუტყვევებიათ, კონსტანტინეპოლში წაუყვანიათ და იქ ერთ-ერთი თურქისთვის მიუყიდათ. თავის ახალ ბატონს ქართველი ყმა შინ წაუყვანია და არაადამიანური ტანჯვა-წამების გზით თურმე სჯულის დატევენას აიძულებდა. მაგრამ, ოთხი წლის განმავლობაში გადატანილი გვემის მიუხედავად, იგი მოძალადე ბატონის მოთხოვნას არ დამორჩილებია, ტყვეობისგან გაქცევა მოუხერხებია, თავი მონასტრისთვის შეუფარებია და ბერად აღკვეცილს გაუგრძელებია ცხოვრება.

XVII საუკუნის 50-იანი წლების ოსმალეთის იმპერიაში ქრისტიანულ რელიგიასთან დაკავშირებული ამბების მოთხრობის დროს ტიმოთე გაბაშვილი განსაკუთრებულ ყურადღებას ოსმალთა მიერ კონსტანტინოპოლის დაპყრობის შედგომ პერიოდში შექმნილ იმ მდგომარეობასაც მიაპყრობს, რის შედეგადაც საუკუნეების განმავლობაში მართლმადიდებლური სარწმუნოების უმთავრეს ცენტრად არსებული ქალაქი ამ დიდ ფუნქციას იმპერიის იმჟამინდელი ხელისუფლების მიერ გატარებული პოლიტიკის შედეგად უკვე კარგავდა.

მაგალითად, „მიმოსღვის“ ერთ-ერთ ეპიზოდში ამ გარემოებით განპირობებულ გულისტკივილს მწერალი შემდეგნაირად გამოხატავს: «ტყვეობისა მისისათვის განვიცდიდი რა, ცრემლითა აღივსებოდეს წიაღნი ჩვენნი და ვიგონებდი, თუ ცოდვანი კაცთანი ვითარსა რისხვასა მოაწევენ ქვეყანასა ზედა, თუ ვითა კონსტანტინეპოლი... დედაქალაქად სამეფოდ მეფეთა ქრისტეს მოყვარეთაგან ჭირნახულ ნაღვაწი, ზეგარდამოთა წამისყოფითა აღშენებული, და ღირსთა მამათა

ჩვენთა ხარისხი და სჯულისდებათა და წმიდათა კრებათა შესაკრებელი და თითოხანითა საღმთოთა საეროთა სიკეთითა შემკული, ვითარ ცოდვათა ჩვენთათვის მიეცა აგარიანთა და საბარბაროზო მთავრობა იმონებენ ეკლესიათა ღმთისათა, და ქვებ და სავანე ავაზაკთა ქმნილ არს ვენახი ღვწილი სორექი უფლისა“ (გაბაშვილი, 1956: 52).

როგორც ზემოთ უკვე ითქვა, მიუხედავად ასეთი მდგომარეობისა, ტ. გაბაშვილის „მიმოსლვა“ იმის სათქმელადაც გვაძლევს კონკრეტული ფაქტებით მყარად არგუმენტირებულ საფუძველს, შესაბამისი პერიოდის კონსტანტინეპოლსა და, საერთოდ, მთელი ოსმალეთის იმპერიაში არქიტექტურული სილამაზითა და მდიდრულად კეთილმოწყობილი მრავალი ტაძარი რომ არსებობდა, სადაც უამრავი მღვდელმსახური არა მარტო ქრისტიანულ წირვა-ლოცვას აღასრულებდა თავისუფლად, არამედმატერიალურადაც კარგად ცხოვრობდა და უფლებრივადაც არ იყო შეზღუდული.

მაგალითად, მწერლის თქმით, კონსტანტინეპოლში ყოფნის პერიოდში პატრიარქმა კირილემ „თვისსა სრასა შინა განგვიშადა სადგური. და პურისმტე გვყო მარადის გვერდით მისით... ხელითა თვისითა გვიბოძის სანოვაგეთა და მრავალფერად მითავაზებდა... და სამღვდელოთა მისთა თანა სულიერად ვიშვებდით, რამეთუ იყვნენ დიდებულად ცხოვრებითა“ (გაბაშვილი, 1956: 53).

მსგავსი ეპიზოდები, რომელთა მეშვეობითაც ნათელი წარმოდგენა გვემნება ხსენებული პერიოდის ოსმალეთის იმპერიასა და მის დედაქალაქში არსებული ქრისტიანული ცხოვრების მასშტაბებზე, ტ. გაბაშვილის მონათხრობში სამეხარო არ არის.

ტ. გაბაშვილის მიერ ოსმალეთის იმპერიასა და მის დედაქალაქში ქრისტიანულ ღვთისმსახურებასთან და ამ

თვალსაზრისით იქ არსებულ რეალობასთან დაკავშირებით მოწოდებულ ინფორმაციათა მნიშვნელობას არსებითად განსაზღვრავს ის ფაქტი, რომ ყველაფერ ამას ის პიროვნება აკეთებს, რომელიც, როგორც იერუსალიმში წმინდა ადგილების მოსალოცად წასული მღვდელმსახური, თავადაც იყო ამ სამყაროს სისხლხორცეული ნაწილი.

გამოყენებული ლიტერატურა:

- **გაბაშვილი ტ. მიმოსლვა.** ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა, ლექსიკონი და საძიებლები დაურთო ელ. მეტრეველმა, თბ. 1956 წ.
- **კერესელიძე ი.** სამცხე-საათაბაგო (მოგზაურობითგან), ჟურნ. “ცისკარი,” 1870 წ. №4.
- **მუშინ ილდიზთაში,** საქართველო და ქართველები ოსმალურ საარქივო დოკუმენტებში, სტამბოლი, 2012 წ.
- **ორბელიანი ს.ს.** ტომი I, პროზა, თბ. 2013 წ.

რამდენიმე ტერმინი ხითხურობის ლექსიკიდან

აბსტრაქტი: ხუროთმოძღვრებასაქართველოში მრავალმხრივი კვლევის საგანია. სხვა მიმართულებებთან ერთად საინტერესოა ხუროთმოძღვრული ლექსიკაც. ქართული ენა დამისი დიალექტები მდიდარია მშენებლობის ამსახველი ლექსიკით. მათ შორის აჭარულიც. აჭარულ დიალექტში დაცული სამშენებლო ტერმინოლოგია ხშირად ნათელს ჰფენს შესაბამის არქეოლოგიურ არქეტიპებსაც. ამ თვალსაზრისით მოხსენებაში განხილულია ლექსიკური ერთეულები: ბარჯგი, ორგო. ასევე, ქართველური ტერმინები ლარტყა, კელი, ლენძა, ჭიბოშანი.....

საკვანძო სიტყვები: ხუროთმოძღვრება, არქეოლოგია, ლექსიკა, აჭარული დიალექტი, სამშენებლო ტერმინები

A Few Terms from the Vocabulary of Carpentry

Abstract: Georgian architecture is a multifaceted subject of research. Along with other directions, architectural vocabulary is also interesting. The Georgian language and its dialects, including Adjarian, are rich in building vocabulary. Building terminology, preserved in the Adjarian dialect, often sheds light on the corre-

1 ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის ფოლკლორის, დიალექტოლოგიისა და ემიგრანტული ლიტერატურის კვლევის განყოფილების მეცნიერი თანამშრომელი; / Researcher at the Department of Folklore, Dialectology and Immigrant Literature Studies, Niko Berdzenishvili Institute, Batumi Shota Rustaveli State University;

sponding archeological archetypes. From this point of view, lexical units are considered in the report.

Key words: architecture, archeology, vocabulary, Adjarian dialect, construction terms



საქართველოში ხითხურობის და, საერთოდ, ხუროთმოძღვრების კვლევას დიდი ხნის ისტორია აქვს, მაგრამ საკითხი კვლავ აქტუალურია, მით უფრო, თუ გავითვალისწინებთ, რომ „ადამიანის საცხოვრებელში ჩაქსოვილია ის კულტურულ-ისტორიული მნიშვნელობის ელემენტები, რომელთა გამოვლენა და ფიქსაცია მეტად საპატიო და დიდი მნიშვნელობის მატარებელ ამოცანას წარმოადგენს (თ. ჩიქოვანი, 1960:6). მიუხედავად ისტორიულ-ეთნოლოგიური, არქიტექტურული თუ ხელოვნების სხვადასხვა მიმართულებით კვლევისა, ხალხური ხუროთმოძღვრებისადმი მიძღვნილი ნაშრომებში ნაკლები ყურადღება ეთმობა ტრადიციული მშენებლობის ამსახველ ლექსიკას, რომლითაც ასე მდიდარია ქართული ენა და მისი დიალექტები, მათ შორის, აჭარული.

საკითხის ასე ფორმულირების საფუძველს გვაძლევს ის ლექსიკური მასალა, რომელიც აჭარაში გვაქვს ფიქსირებული. აჭარული დიალექტის ხითხურობის ლექსიკაში დასტურდება ისეთი არქაული ტერმინები, რომელთა შესწავლაც, ხშირად, ნათელს ფენს არქეოლოგების მიერ მიკვლეულ არტეფაქტებს.

აჭარაში ხალხური საცხოვრებელი და სამეურნეო ტრადიციული ნაგებობების მშენებლობაში ძირითადი ადგილი ხის მასალას ეჭირა. რელიეფისა და ბუნებრივი პირობების შესაბამისად, ამ რეგიონში საცხოვრებელი

კომპლექსები თავისებური სახით ჩამოყალიბდა და ქართული ხუროთმოძღვრების მნიშვნელოვან ძეგლადაა აღიარებული.

როგორც არქეოლოგების აღმოჩენები ადასტურებს, აჭარაში, და, საერთოდ, მთელი კოლხეთის ტერიტორიაზე, ჯერ კიდევ ძვ.წ. II ათასწლეულიდან მოყოლებული დასტურდება ხის საცხოვრებლების ისეთი არქიტექტურა, რაც აქამდეა შემორჩენილი აჭარაში: ჯარგვალური შენობა და ძეღური ნაგებობანი. კოლხური არქიტექტურისთვის დამახასიათებელი ყოფილა ძელების ჭდობით ანუ ნაკვეთი ღარის საშუალებით შეკავშირება და სამირკვლის ბადისებურად დაგეგმარება, უჯრებიანი ფორმის ხიმინჯებზე შემოდგმა, წნულებით ნაგები დამხმარე სათავსოები, საკარმიდამოს შიგა შეღობვა და სხვ. (ი.ჩავლეიშვილი, 1986)

არქეოლოგიური არტეფაქტებიდან, ასევე, გვინდა დავასახელოთ საფეხურებამოჭრილი ხის მორი, რომელსაც ნალიაზე ასასვლელ კიბედ იყენებდნენ. კიბესთან ერთად ნაპოვნია ნალიის ბოდის (აჭარ. ბარჯგის) თავზე დასამაგრებელი, ხის მორიდან გადაჭრილი მოსქო ფირფიტა და ცულით გათლილ-გასუფთავებული მორები, რომელთა ასაკიც ძვ.წ. XV-XIV სს განისაზღვრა და სხვ.

ამ არტეფაქტებიდან გვინდა გამოვყოთ ნალიის ბოდის - ბარჯგის თავზე დამაგრებული ხის მოსქო ფირფიტა, რომელსაც აჭარაში **ორგოს** ეძახიან. იგი შუაში მრგვალად, ზომახუა ამოჭრილი და ნალიის ბოდების თავზე ამაგრებენ მარცვლეულის მღრღნელებისაგან დასაცავად. ორგოს შუა, ამოჭრილი ნაწილი ზუსტად უნდა მოერგოს ბარჯგს თავზე. ორგო აგებულიებით ზანური ტერმინია (ო-რგ-ო = სა-რგ-ო), რომელშიც გამოიყოფა ძირი **რგ**. ზმნისწინთა ცვლით მიღებული ამ ძირის ზმნებიც გვაქვს ქართულ ენაში (შერგება, მორგება...) და ისინი სხვადასხვა სემანტიკით გამოიყენება:

1.ის, რაც ადამიანს შეერგება (საკვები, წამალი....)

2.ის, რაც რაღაცას ან ვიღაცას მოერგება (ქუდი, ტან-საცმელი....)

ორგოს შემთხვევაში კარგად იკვეთება სიტყვის სემანტიკური დატვირთვა - იგი აუცილებლად უნდა მოერგოს, ზუსტად უნდა დამაგრდეს ბოდის თავზე - სარგო უნდა იყოს (შდრ. ლაზ. *ორგუ* - 1. *რგვა*, 2. *ვარგისობა*, *რგება*) (ა.თანდილავა, 2013).

-რგ- ძირიანი სიტყვები გვაქვს როგორც ყველა ქართველურ, ისე, ძველ ქართულ ენაშიც (ჰ.ფეინრიხი, ზ.სარჯველაძე, 1990:253). ლიტერატურული ტერმინი **რგვაც** ხომ ნერგის მიწაში მოთავსებას, თავის ადგილზე მორგებას აღნიშნავს.

ორგოს დასამაგრებელი **ბარჯგი** აჭარულის ლექსიკაში ბოდს, მარგილს, სარს აღნიშნავს. გამოიყენება **ბაჯგ** ფორმაც. ასევეა სვანურშიც. აჭარულის **ბარჯგ** ფორმაში რ ბგერა განვითარებული უნდა იყოს. მშენებლობის ლექსიკაში უფრო **ბარჯგი** გამოიყენება („აჭარაში ბარჯგა ლობიაი ხარობს“; „სახლს ბარჯგებს შუყყენებთ“). სვანური სიტყვის **„ბაჯგი“** ძირი **ბჯგ** ქართული ბჯ ფორმის (*ბჯენა...*) კანონზომიერი შესატყვისია. ბჯ- არქეტიპი საერთო-ქართველური ფუძე ენისათვისაა აღდგენილი (ჰ.ფეინრიხი, ზ.სარჯველაძე, 1990:46).

აჭარული დიალექტის ხითხურობის ლექსიკაში გვაქვს სიტყვა **ლარტყა**. იგი გამოიყენება გურულსა და იმერხელურშიც. ლარტყა ბრტყელი, გრძელი, წვრილი, თხელი ძელია, რომელიც, ძირითადად, მშენებლობაში რამეკონსტრუქციაზე გარედან შემოსაკრავად, გარეშემორტყმისათვის იხმარება. ლარტყა სვანურისთვის დამახასიათებელი ფორმაა. ლათავსართია და შეესაბამება ქართულ *სა-* თავსართს, *რტყ-* კი ძირია (*ლარტყა* - *სარტყელი*). ქართულში გვაქვს ამ ძირის

სხვა სიტყვებიც (სარტყელი, შემორტყმა....), რომლებიც გარს-შემოსავლებს ან შემოვლებას აღნიშნავს. ივ.ჯავახიშვილი რტყ- ძირს უკავშირებს ქართულ **ბურტყლსა** და მეგრულ **ბურდლას**, როგორც ფრინველის სხეულზე შემოვლებულ, „ფრინველის ნაზი შემოსილობის სახელს“ (ივ.ჯავახიშვილი, 1940:618).

სიტყვა **ბურდლა** ახლაც აქტიურად გამოიყენება როგორც აჭარულში, ისე სხვა დასავლურ-ქართულ დიალექტებშიც და იგი ზანოზმია ამ დიალექტებში. რტყ- ძირი კი საერთო-ქართველური ფუძე-ენის დონეზე აღდგენილი არქექტიპია.

ხითხუროები აჭარაში კარგად იცნობენ ლექსემას კელი. **კელი** არის მოკლე ფიცარი, რომლითაც ამოჰყავთ კედელი ფანჯრებს ან კარსა და ფანჯარას შორის. ასევე, იგი გამოიყენება მშენებლობის პროცესში საჭირო სხვა ფიცრის დასაგრძელებლად, როგორც ამბობენ „ჩასაკერებლად“ („ლო-ჯის აყვანისას თუ ფიცარი სიგრძეში არ ყოფნით, სიგრძის ფიცარს, კელს ჩაამატებენ“). ტერმინი კელი ქართული ენის სხვა დიალექტებში არ დასტურდება. **კელს** საყარსაც ემახიან („თუ ფიცარი მოკლეა, სიგრძეში არ ყოფნის, საყარით დააგრძელებენ“).

აჭარულში გვაქვს, ასევე, სიტყვა **კელობს**, რაც კოჭლობას აღნიშნავს („კელობითა რათა მწუნობ, განა კურდღელს მადევნებო?“). ძველქართულშიც კელობა კოჭლობას აღნიშნავს („იგი კელობდა ბარკილითა მით“ - ნ.აბულაძე). ქართველურ ენათაგან ქართული კელობ-ის შესატყვისი გვაქვს სვანურშიც (მკ-კლო - კოჭლი; ი-კლ-ი - კოჭლობს), რაც ავლენს ქართული კლ (← კელ) ძირის კანონზომიერ შესატყვისს. გამოთქმულია ვარაუდი, რომ მკლე/მოკლე ფორმები უკავშირდება კელ/კლ ზმნურ ძირს (ფენრიხი, სარჯველაძე, 1990:173).

აღსანიშნავია, რომ ეს ფუძე გვაქვს ბერძნულშიც: *καλλε*? მოგრეხილი, მოღრეცილი და *καλλιον* ხარი, რომელსაც ცალი რქა აქვს მოგრეხილი და სხვ. (გორდეზიანი, 1985:64). აღნიშნული ტერმინების სემანტიკიდან ჩანს, რომ „ფუძე ნაკლულობის მნიშვნელობით შეიცვალა“. რ.გორდეზიანის აზრით, მისი შეპირისპირება შეიძლება ქართულ-ზანური ერთიანობის დონემდე ამავე კელ/კლ ფუძესთან.

ერთ-ერთ სამეურნეო ნაგებობას, ნალიას ადრე ტრადიციულად ხურავდნენ ისლით. სახურავზე ისლის დასამაგრებლად გამოიყენებოდა **რჩხინა (ჩხინა)**. **საჩხინავი, გამოსაცხვირი** ხის ელასტური, წვრილი ტოტები, რტოებია. მისი საშუალებით ისლი საიმედოდ მაგრდებოდა. როგორც ოსტატები ამბობენ „ახლა ყავრით დახურვისას სარჩხინავი არაა საჭირო“. აღსანიშნავია, რომ სვანურში ტერმინი **ხაჩხინა** გაჩხერილ, გარჭობილს აღნიშნავს.

მშენებლობაში უწინ, როგორც ცნობილია, აქტიურად გამოიყენებოდა წიწვოვანი მცენარეები, განსაკუთრებით, **ნაძვი**. თ.გამყრელიძე და ვ.ივანოვი სიტყვა **ნაძვს** განიხილავენ, როგორც ძველირანულს, მაგრამ, ამავე დროს, აღნიშნავენ, რომ ეს სახელი იზოლირებულად დგას სხვა ენების მონაცემებისგან. არ ჩანს მისი ურთიერთობა ინდოევროპულთან და მის დიალექტებთან. ავტორთა ვარაუდით, ეს ირანული ფორმა *nauca* ნასესხები უნდა იყოს ქართველური ენების სიტყვიდან ნაძვი (მეგრ. *nuzu* - ნაძვი; სვან. *ze+nz* - ფიჭვი, ნეძვრა - ფიჭვი, სოჭი, ნაძვი). სავარაუდოა, რომ სიტყვა ნაწარმოებია ქართველური ძირიდან ნაძვ- (გამყრელიძე, ივანოვი, 1984:634).

ტერმინ ნაძვთან ერთად საინტერესოა ფიჭვის აღმნიშვნელი სვანური ძირი *le.nz* - **ლენძ**. აჭარული დიალექტის ხითხურობის ლექსიკაშიც გვაქვს ამ ფუძის სიტყვა **ლენძა**,

რომელიც არ (ან აღარ) აღნიშნავს ფიჭვსა თუ სოჭს, მაგრამ აღნიშნავს სამშენებლო მორებზე სწორი ხაზის გასავლებს ხელსაწყოს - ლარს (ფიჭვი და სოჭიც ლარივით სწორად იზრდება!).

ერთ-ერთი სამშენებლო ხელსაწყო სახელწოდება აჭარულ დიალექტში არის **ჭიბოშანი**. იგი ცნობილია ქართული ენის ლექსიკისათვისაც. ამ სიტყვის (*ჭიბოშ-ან-ი*) ფუძეა *ჭიბოშ*, რაც მეგრულ-ლაზური *ჭიმოშ*-ის შესატყვისია (მ-ბ-ს მონაცვლეობით ფუძეში) და ზანიზმს უნდა წარმოადგენდეს ქართულ ენაში „*ჭიბოშანმა ხე გათალა, გოგომ ხელები გაშალა...*“. მეგრულ-ზანური *ჭიმოშ* (თამბაქოს ფოთლების დახვევა, თოკის გრეხა....) შეესაბამება ძველ ქართულში არსებულ და აჭარულ დიალექტში შემონახულ ქართულ-ზანური ენობრივი ურთიერთობის ხანისათვის აღდგენილ არქეტიპს **წმასნა** - გრეხა, კლაკნვა (ფენრიხი, სარჯველაძე, 1990:465).

ზემოთგანხილულ ტერმინებთან ერთად კიდევ შეიძლება დავასახელოთ ხითხურობაში გამოყენებული სხვა სიტყვებიც. მაგალითად, **ლოჯე, ზღვე, ფინი, როკი**, ჩქუთი და სხვ.

როგორც სტატიაში განხილული მაგალითებიდან ჩანს, აჭარაში, უძველესი დროიდან ესოდენ განვითარებულ ხითხურობას ლექსიკაც შესაბამისი აქვს. ამ დარგთან დაკავშირებულ არტეფაქტებთან ერთად, ეთნოლოგიური და დიალექტური მასალებისა თუ ნაშრომების გაცნობა გვიჩვენებს, რომ აჭარული ხითხურობის ლექსიკაში დაცულია საერთო-ქართული, ზანურ-ქართული ენობრივი ურთიერთობის ხანის თუ ზანური ტერმინოლოგია, ასევე, ძველქართული ლექსიკური ერთეულები, რომელთა კვლევაც, ზემოთგანხილულ ტერმინებთან ერთად, ავლენს იმ

კულტურულ-ისტორიული მნიშვნელობის ელემენტებს, რომლებსაც ძველთაგანვე ფლობდა ამ რეგიონის მკვიდრი მოსახლეობა და ტყუილად არ აღუნიშნავს ვახუშტი ბატონიშვილს აჭარელ ხითხუროებზე, რომ იყვნენ „კაცნი ხელოვანნი ხის მუშაკობითა

გამოყენებული ლიტერატურა:

- **ი.აბულაძე**, ძველი ქართული ენის ლექსიკონი, თბ., 1973
- **რ.გორდეზიანი**, წინარებერძნული და ქართველური, თბ., 1985
- **ვახუშტი ბატონიშვილი**, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ქართლის ცხოვრება, IV, თბ., 1973
- **ა.თანდილავა**, ლაზური ლექსიკონი, თბ., 2013
- **ჰ.ფეინრიხი, ზ.სარჯველაძე**, ქართველურ ენათა ეტიმოლოგიური ლექსიკონი, თბ., 1990
- **ი.ჩავლეიშვილი**, არქეოლოგიური გათხრები ფიჭვნარის უძველეს ნამოსახლარებზე 1983 წელს, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ძეგლები, XV, თბ., 1986
- **თ.ჩიქოვანი**, ქართული ხალხური საცხოვრებელი, თბ., 1960
- **ივ.ჯავახიშვილი**, ქართული და კავკასიური ენების თავდაპირველი ბუნება და ნათესაობა, თბ., 1940
- **Е.В.Гамкрелидзе, В.В.Иванов**, Индоевропейский язык и индоевропейцы, I-II, Тб., 1984

უჩა ოქროპირიძე / Ucha Okropiridze¹

(ბათუმი, საქართველო / Batumi, Georgia)

**ქართული ასომთავრული, საკრალური პოეზია,
ანუ სამყაროს ხუთი კვირეული**

ბღ(1)ჟი ბ ზ

[კუ(ი)-რ-ე(ი)უ(ი)-ლი არის სულიერი სახლი სამყაროს
წრებრუნვისა, კანონი ეულისა, ერთადერთისა, ღმრთისა]

ნაწილი მეორე

აბსტრაქტი: ნაშრომში განხილულია ქართული ასომთავრულის ჩვენს მიერ დადგენილი ხუთი კვირეულის საკრალური რაობა და მათი წრეში 2 ჯვარის დაბოლოებით გამოხატული საკრალური დანიშნულების რიცხვით ჰემატრიაში გამოხატული რაობა. პირველი წრე მისი 2 ჯვრის დაბოლოებებით გვეუბნება - „აე გზა უფლისა; მეორე წრისა - ჯვრით გამოხატული პირველი მნიშვნელობა იძლევა სიტყვა „ბზ-ბზ“, რაც თანამედროვე ქართულზე გადმოყვანისას გვაძლევს მამაზეციერის ცნობიერება.

მეორე ჯვარით იკრიბება 7 9(ბ ბ - ზეთი) = 16(ღ) = 7(ბ), ზენა, 9 (ბ) სრ. ღმერთი, (მზის ქალაქი, განათლების ცენტრი), ხოლო შემადგენელ ასო-ბგერათა რიცხვითი მნიშვნელობის ჯამი უდრის 10(1).0(ჟ). 7. 8, რაც ასე იმიფრები - ათი ცნების, (იესოს) სულიერი (ცნობიერების) სავანე, ზეციური კანონის მიმცემი.

¹ ისტორიის აკადემიური დოქტორი ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი / PhD in History, Chef Researcher at Niko Berdzenishvili Institute of Batumi Shota Rustaveli State University

5 40 (5 - ე, 40 - ზ), ანუ 100 - ღმერთი; (100, 100, 140); მეორე ჯვრით აქ ვლდებულობთ „Qs44(Q), რაც ასე შეიძლება გავიგოთ - განათლების ცენტრი, სიტყვა და ჟამი ძისა. ასო-ზგერათა რიგითობის ჯამია 10 8 (10 -1, მოძღვრება, ცნობიერება ქრისტესი, 8 - 1 - ერთარსი სამება, კანონის მიმცემი, 11 -სQ).

ასო-ზგერათა რიცხვითი მნიშვნელობის ჯამი კი შეადგენს 20 36 0, რაც გვეუბნება, რომ ეს არის „სიტყვა (მე), მამაზეციერის ს/სავანე“;

ანალოგიური საკრარული დანიშნულებისაა მესამე და მეოთხე კვირეულები და განსაკუთრებით მეხუთე კვირეული, რომელიც პირდაპირ გვეუბნება: „C00“, რაც პირდაპირ გვეუბნება - ცან არსთა საწყისის ს/ სავანე, „ცათა სასუფეველი“.

20 000 - სიტყვის, ძის მოსვლა სულიერ სავანეში, ანუ „მეორედ მოსვლა“. პითაგორულად - 2 - სიცოცხლის დაბადება, უფლის „მეორედ მოსვლა“;

მეორე ჯვრის კიდურებზე დამსხდარი ასო-ნიშნები და მათი მნიშვნელობანი ამბობენ - ასო-ნიშანთა მიხედვით - **მე, ქრისტე ხარ იესო, წერა (წერილი) სულიერი სავანისა, ხოლო მეორე ასო-ნიშანთა რიცხვითი მნიშვნელობების მიხედვით - 5 8 0 0 0 - წმიდა ენა მამაზეციერის სულიერი სავანისა, ერთარსი სამება. ანუ სისტემა გვეუბნება - იწყება მეორედ მოსვლა, წმიდა ენის, (იგულისხმება კაცის, ადამიანის), მამაზეციერის, კანონის მიმცემი ერთარსი სამების სულიერ სავანეში დაბრუნება!!!**

Georgian Asomatvruli, Sacred Poetry, Five Weeks of the Universe

Abstract: The paper discusses the sacred meaning of the five weeks of the Georgian Asomatvruli and the meaning expressed in hematria with the number of the sacred purpose expressed by the end

of 2 crosses in their circle. The first circle with the endings of its 2 crosses tells us - “Here is the way of the Lord; The first meaning expressed by the cross of the second circle gives the word “ Ի Եղիմ ”, which, when translated into modern Georgian, gives us the awareness of the Heavenly Father.

With the second cross, $7\ 9(\text{Ե Գ} - \text{oil}) = 16(\text{Q}) = 7(\text{Ե})$, Zena, $9(\text{Գ})$ Sr. God, (the city of the sun, the center of education), and the sum of the numerical value of the constituent letter-sounds is equal to $10(\text{Ն}).0(\text{Ժ})$. 7. 8, which is coded like this - ten concepts, (Jesus’) spiritual (consciousness) abode, giver of the heavenly law.

$5\ 40(5 - \text{e}, 40 - \text{Ժ})$, that is, $\text{ԴԺ} - \text{God}$; ($\text{Ի Ժ}, \text{ԴԺ}, \text{Դ}40$); With the second cross here we get “ $\text{Q Ե Կ Ժ}(\text{Q})$ ”, which can be understood like this - the center of education, the word and time of the Son. The sum of the sequence of letters and sounds is 10 8 ($10 - \text{Ն}$, doctrine, consciousness of Christ, $8 - \text{Ի} - \text{one-person Trinity}$, giver of the law, $\text{Ն Ի} - \text{Ե Q}$).

The sum of the numerical value of letters and sounds is 20 36 0, which tells us that this is “the word (son), the heavenly Father”;

The third and fourth weeks and especially the fifth week have a similar sacrificial purpose, which directly tells us: “ G O ”, which directly tells us - the sanctuary of the origin of the heavenly beings, “the kingdom of heaven”.

20,000 - the coming of the Word, the Son in the spiritual sanctuary, that is, “the second coming”. Pythagorean - 2 - the birth of life, the “second coming” of the Lord;

The letters and signs sitting on the limbs of the second cross and their meanings say - according to the letters and signs - Son, you are the Christ, Jesus, writing (writing) of the spiritual savannah, and according to the numerical values of the second letter and signs - 5 8 0 0 0 - the holy language of the spiritual savannah of the Heavenly Father, one and the same trinity. That is, the system tells

us - the second coming begins, the return to the spiritual sanctuary of the Holy Language, (meaning man, human being), the heavenly Father, the law-giving Trinity!!!




2008 წელს გამოქვეყნდა ჩემი მცირე ზომის წიგნი „ღცნების შემეცნება, ანუ საკრალური პოეზია“, (ოქროპორიძე უ., ბათუმი, 2008), სადაც პირველად ნაწილობრივ წარმოვაჩინე საქართველოსცალკეულიკუთხეების,აგრეთვექალაქმცხეთის სახელებში დაფიქსირებული და ქართულ ასომთავრულით გადმოცემული საკრალურ რელიგიური მნიშვნელობა (აჭარა, აფხაზეთი, გურია, სამცხე, მცხეთა) და იქვე წარმოვადგინეთ ჩვენს მიერ შექმნილი, უჩა ოქროპორიძის „დაიცევი“ სისტემა.

იქვე P. S.-ში ვწერდით, რომ „ეს ყველაფერი ათ წელზე მეტია, რაც მოხდა. ამისა და სხვა ბევრის შესახებ მისაუბრია და იციან ჩემმა ახლო მეგობრებმა და ინსტიტუტის თანამშრომლებიც. ისტორიის განყოფილების მაშინდელმა ხელმძღვანელმა, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორმა მალხაზ სიორიძემ, მირჩია ამ საკითხზე ჩვენს ინსტიტუტში მოხსენების გაკეთება, მაგრამ გარკვეული მოსაზრებით უარი ვთქვი (ვფიქრობდით, თემის სპეციფიკურობის გამო გაუჭირდებოდათ მისი გაგება - უ. ო.)... ასე, რომ შეიძლება ითქვას, ამ თემით ჩვენს დაინტერესებას 20 წელზე მეტი ისტორია აქვს. მასზე მიძღვნილი სტატია დაიბეჭდა გაზეთში „აჭარა“, 2015 წელს საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციაზე „ჩვენი სულიერების ბალავარი“ გავაკეთე მოხსენება - „ქართული ასომთავრული, საკრალური პოეზია“, რომელშიც ადრე გამოქვეყნებულთან ერთად შევიტანე „დაიცევი“ სისტემის ხუთ კვირ(ე)ულიანი გრაფიკული ცხრილი, ქართული ასომთავრული ანბანის ყველა ასო-ნიშნის რიცხობრივი და საკრალურ-რელიგიური მნიშვნელობის განმარტებით; აქვე

გამოყავი ჯვრით დაფიქსირებული „აირჩა“ სისტემის ოთხი (4) ათი ათას-ათი ათას წლიანი ციკლი და განვმარტე პირველი - ოს კვირეულის საკრალური მნიშვნელობა, რომელიც აღმოჩნდა ოს ოს (დმრთისა) – პირობითად „ოქროს ხანა“.

უჩა ოქროპირიბის მიერ შედგენილი ოს-ნა-ს პირველი კვირეული




I ჯვრით - 1) ოს ღ ღ ღ ოს
1+5+3+7+1=16=7

II ჯვრით - 2) ღ ღ ღ ღ ღ ღ ღ
2+6+4+36+2=5 0=5

ამასთან, კონფერენციას ვაუწყებ, რომ „ქართული ასომთავრულის მიერ შედგენილი სხვა კვირეულებიც, არ შეიძლება ანალოგიურ შინაარსს არ შეიცავდნენ, რაც მართლაც ასეა. ამაში შეგვიძლია ჩვენ თავად დავრწმუნდეთ, რადგან მისი გასაღები უკვე ხელთა გვაქვს“ $9+13+11+37+9=79$

I ჯვრით 1. მამაზეციერის ცნობიერება; 2. წმ. ენის დაბადება, 3. იესოს ცნობიერების წმ. წერილი II ჯვრით. 1. $(9+13+11+37+9= 79$ ზ თ) მამაზეციერი, სრ. ღმერთი; 2. 10 მცნების სულიერი სავანე, ზენა(არსული) ერთარსი სამება, კანონის მიმცემი;

უზა ოქროპირიძის მიერ შედგენილი ICL-ს მეორე კვირეული




მეორე კუ(ი)რეული, ჩვენს სისტემაში იწყება „ც“-ით და მთავრდება „ჩ“-ით, ანუ ამავე სისტემის მიხედვით ეს არის „ჩ-ჩ“-ს კუ(ი)რ(ე)ეული: მისი ჯვრით გამოხატული პირველი მნიშვნელობა იძლევა სიტყვა „ჩხჩ-ჩხ“, რაც თანამედროვე ქართულზე გადმოყვანისას გვაძლევს „მამაზეციურის მოძღვრება“, ღმერთი, დამბადებელი ერთარსი სამების, კანონის მიმცემი, ანუ მამაზეციურის ცნობიერება, სულთმოფენობა წმ. ენისა, კანონის მიმცემი ღმერთის ცნობიერება.

მეორე ჯვარით იკრიბება „ცჰცჰ“. (ასო-ბგერათა მნიშვნელობის მიხედვით გამოდის „სრული ღმერთის კაცად განსხეულება...), რომელთა რიგითობის რიცხვითი ჯამი იძლევა $7 \cdot 9 (ხ \cdot ც - ზეთი) = 16 (Q) = 7 (ხ, ზენა, 9 (ც) სრ. ღმერთი, (მზის ქალაქი, განათლების ცენტრი), ხოლო შემადგენელ$

ასო-ბგერათა რიცხვითი მნიშვნელობის ჯამი უდრის 10(1). 0(2). 7, 8, რაც ასე იშიფრები - ათი ცნების, (იესოს) სულიერი (ცნობიერების) სავანე, სამება ზეციური კანონის მიმცემი - პირობითად „ვერცხლის ხანა“; 2

უნა ოქროპირიძის მიერ შედგენილი 31-ს შესაბამე კვირეული



ასოთა მნიშვნელობის მიხედვით - იესო ქრისტეს მარადიული წრებრუნვა, პარი, სხეული იესოსი; I ჯვრით - 1. ერთარსი სამება, კ/მიმ-ცემი ზენისა. 2. წმ. წერილის სულიერი სავანისგანახლება; II ჯვრით - 1. უფლისღვთიური ცნობიერება, კანონის მიმცემი; 2. (სიტყვა) სამზეოს ძის სავანისა, ან კიდევ სიტყვა სამზეოს ძისა... ასოთა მნიშვნელობის მიხედვით კი - განათლების ცენტრი ძის ჟამისა, მამა.

მესამე კვირეულს იწყებს „ნ|“ (იოტა, იესო) და ამთავრებს „ვიე“ (ძე), სიტყვა. პირველი ჯვრით აქ ვლდებულობთ „ნ ა ს P ნ“ - ჩვენი სისტემით - იესოს მზე-რა (ხედვა), P სივრცე, იესოს კაცებრივი, სხეულით დაბადება; მისი ასო-ბგერათა რიგითობის ჯამი გვაძლევს 8 7 (ნ ხ), რაც ნიშნავს, კანონის მიმცემ ზენაარსს; აღნიშნულ ასო-ბგერათა რიცხვითი მნიშვნელობების ჯამი „ბოლოში „ნ“ გარეშე გვაძლევს 5 40 (5 - ე, 40-ჰ), ანუ 1ჰ - ღმერთი; ხოლო „ნ“-ს (60) დამატებით 600, რაც წმინდა წერილის სულიერი სავანეზე, მის აღმატებით ხარისხზე, ანუ იგივე ღმერთზე მიგვითითებს. (1ჰ, 1ჰ, 140); მეორე ჯვრით აქ ვლდებულობთ „ღსჟჟ-(ღ), რაც ასე შეიძლება გავიგოთ -განათლების ცენტრი, სიტყვა და ჟამი ძისა. ასო-ბგერათა რიგითობის ჯამია 10 8 (10 -1, მოძღვრება ქრისტესი, 8 - 1 - ერთარსი სამება, კანონის მიმცემი, 11 -სღ).


ასო-ბგერათა რიცხვითი მნიშვნელობის ჯამი კი შეადგენს 20 36 0, (ბოლო ღ-ს გარეშე), რაც გვეუბნება, რომ ეს არის „სიტყვა (ძე), მამაზეციერის ს/სავანე“, ხოლო ღ-თი უდრის 20 4 30 და გვეუბნება, რომ ეს არის „სიტყვა (ძე) სამზეოსი, (ძის) ძი-ღ-ის სავანე“, რაც ფაქტობრივად თითქმის იგივეა. პირობითად „სპილენძის ხანა“.

ასო-ნიშანთა მიხედვით - მუცლად ღება და შობა უფლისა ჩვენისა ქრისტესი, ჩინება უფლისა; I ჯვრით - 1. ღას-ის, იესოს და-ბა-დე-ბა; 2. წერა სულიერი სავანისა; II ჯვრით -ასო-ნიშნების მნიშვნელობის მიხედვით - ფარული შინაარსი ღმრთისა, სული წმინდა... 1. მთავარი ზენისა, მამაზეციერი; 2. წერა წმ. წერილისა, ს/ სავანის განახლება, კაბით (სხეულით) შემოსვა;

მეოთხე კვირეულია - ①, - ④(ჰ), -④-① 'ნ1 - უფლის კვირეული, რომელშიც პირველი ჯვარით მიიღება ① 411 ①
1 1 4

22 26 24 28 (22)=10. 0; (12. 2): - 10.0 - ადამ. ცნ. ს/ სავანე;
12.2 - ქრისტეს. დაბად;

უნა ოქროპირიძის მიერ შედგენილი ძუ-ს მეოთხე კვირეული



ღ ლ ზ ლ - უფლის „მოკვდინება“ (ყარ, ცხოვრება.) და ქრისტედ „ჩინება“; 400 800 600 1000 (400) = 28 00 (32 00)

ღ ზ ლ ს ზ ლ: 28 00 - ჩინ. სულიერი სავანისა, მისი ერთი ხარისხიდან მეორეში გადაბრძანება. (პითაგორულად - 1 - არსთა საწყისი); ბოლოში დაფიქსირებული ღ-ს რიცხვითი მნიშვნელობის დამატებით ვღებულობთ 3 200-ს, 32 00; 32 S-ჰარ, („ჰარუა“) წერა (ღ ზ) სულიერი სავანისა, მისი ერთი ხარისხიდან მეორეში გადაბრძანება. (პითაგორულად - 5 - წმ. ენა);

მეორე ჯვრით აქ ვღებულობთ ჟჟი(ზ)ჟ:

ღ ზ (ღ ზ)

23 27 25 39 (23) = 11 4 (13 7)

ჟ ჟი ზ (ჟ): - ფარული შინაარსი ღმრთისა, სულიწმინდის ფარი;


$$500\ 900\ 700\ 30000\ (500) = 32\ 10\ 0\ (32\ 6\ 0\ 0)$$

ს 7 ზ ს 7 ზ ზ: 32 10 0 - წერა (ქრისტეს) 10 ცნების ს/სავანისა, წ/წერილი ს/ სავანისა, ანუ სამოთხისა. (პითაგორულად - 6 - წმ. წერილი); ბოლო 500-ის დამატებით მივვიღეთ 32 6 0 0 - წერა წმ. წერილისა, სულიერი სავანის ერთი ხარისხიდან მეორეში გადაბრძანება (პითაგორულად -11 = 2 - კაბა-ში დაბად. (სხ. შობა); პირობითად. „რკინის ხანა“.

ბ ე

I ჯვრით - 1. იესო ზენაარსი, მთავარი სამზეოსი; 2. უ-(ფა) ლი (ძე), ერთარსი სამება; ასო-ნიშნების მიხედვით - ცხოვრების ხის წილის საწყისი და დასასრული ცან; II ჯვრით. 1. ზეციური განათლების ცენტრის წმ/ წერილი, (მთავარი სამზეოსი); 2. წმ. ენა, მამაზეციერის ს/სავანისა, ერთარსი სამება - ხოლო ასო-

უნა ოქროპირიძის მიერ შედგენილი **ცტჩ**-ის მესამე კვირეული



ნიშნების მიხედვით - მე, ქრისტე ხარ იესო, წერა (წერილი) ს/სავანის ... და ბოლოს - 3. - მეორედ მოსვლა - წმიდა ენის, მამაზეციერის კანონის მიმცემი ერთარსი სამებისა!

მეხუთე კვირეულია „G D H“, რაც პირდაპირ გვეუბნება - ცან არსთა საწყისის ს/ სავანე, „ცათა სასუფეველი“. ამ შემთხვევაში პირველი ჯვრის კიდურებზე ჯდება:

Ⲛ ⲓ

29 33 31 35 (29)= 12 8 (15 7): - ლას-ი (იესო), კანონის მიმცემი (იესოს ზეობა);

G D H X (G): - ცხოვრ. წილი სასრულისა და საწყისისა;

2000 6000 4000 8000 (2000)= 20 0 0 0 (22 0 0 0);

ს ⲠⲠⲠ; (Q ⲠⲠⲠ) : 20 000 - სიტყვის, მის მოსვლა სულიერ სავანეში, ანუ „მეორედ მოსვლა“. პითაგორულად - 2 - სიცოცხლის დაბადება, უფლის „მეორედ მოსვლა“; 22 000 - უფლის სავანეში დაბრუნება, ზეციურის და მიწიერი სავანის გამთლიანება, „მეორედ მოსვლა“.

მეორე ჯვრის კიდურებზე დამსხდარი ასო-ნიშნები და მათი მნიშვნელობანი კი საბოლოოდ გვეუბნება - ასო-ნიშანთა მიხედვით - **მე, ქრისტე ხარ იესო, წერა (წერილი)** სულიერი სავანისა, ხოლო მეორე ჯვრით ვღებულობთ ასო-ნიშანთა რიგითი ადგილების ნომერთა ჯამის მიხედვით 16 6 - ზეციური განათლების ცენტრი, წმიდა წერილი, მთავარი სამზეოსი; ხოლო ასო-ნიშანთა რიცხვითი მნიშვნელობების მიხედვით -5 8 0 0 0 - წმიდა ენა მამაზეციერის სულიერი სავანისა, ერთარსი სამება... და ბოლოს, სისტემა გვეუბნება - **იწყება მეორედ მოსვლა, -წმიდა ენის, (იგულისხმება კაცის, ადამიანის), მამაზეციერის, კანონის მიმცემი ერთარსი სამების, სულიერ სავანეში დაბრუნება!!!**

უფალ/ღმერთ..... ლექსებათა ველი ძველ ქართულში

აბსტრაქტი: მონოსემიურობა - ტერმინის ძირითადი მახასიათებელია და ის შეინარჩუნა ქრისტიანობასთან დაკავშირებულმა ნასესხებმა ლექსებმა: იესო, ქრისტე, მესია, ემანუელ.

ძველ ქართულშივე გვხვდება ღმერთის სახელები, რომელთაც ჯერ მონოსემიური მნიშვნელობა ჰქონდათ და შემდეგ მიიღეს პოლისემიური, ე. ი. დაირღვა მონოსტრუქტურული მოდელი. ეს ტერმინებია: შემოქმედი, დამბადებელი, სამება, მკსნელი.

ძველ ქართულში ტერმინი **უფალი** პოლისემიურია. თავიდან იგი ყოფითი ტერმინი იყო, შემდეგ შეიძინა პოლისემიური მნიშვნელობა და ბოლოს მონოსემიურობისაკენ წავიდა - მხოლოდ რელიგიური დატვირთვა დაიტოვა, როგორც “ღმერთის” აღმნიშვნელი ეპითეტი. სემანტიკური ველის რღვევა გამოიწვია უზენაესისადმი ადამიანის დამოკიდებულების შეცვლამ.

დასტურდება ტერმინი, რომელსაც თავიდან პოლისემიური დატვირთვა ჰქონდათ და ასეთადვე დარჩნენ: მეუფე და მამა. ტერმინი მეუფე ძველ ქართულში უპირველესად იხმარებოდა, როგორც ყოფითი ტერმინი, ხოლო შემდეგ - როგორც საკრალური.

1 ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს საპატრიარქოს ხიჭაურის წმინდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის პროფესორი / PhD in Philology, Professor at Tbel Abuserisdze Teaching University of Georgian Patriarchate

ტერმინი იესო, როგორც “ძე ღვთისას” სახელი, ორიგინალურ ტექსტებში ცალკე არ იხმარება, ეპითეტად ურთავენ ტერმინ ქრისტეს: იოსე ქრისტე.

საკვანძო სიტყვები: ძველი ქართული, ლექსემათა ველი, ღმერთი, მონოსემიური...

The Lord/God..... Field of lexemes in old Georgian

Abstract: Monosemy is the main characteristic of the term and it has been preserved by borrowed lexemes related to Christianity: Jesus, Christ, Messiah, Emmanuel.

The names of God can be found in ancient Georgian, which first had a monosemic meaning and then received a polysemic one, e.g. the mono-structural model was broken. These terms are: creator, originator, trinity, savior.

In ancient Georgian, the term Lord is polysemous. At first it was an existential term, then it acquired a polysemous meaning and finally went to monosemism - it left only a religious meaning as an epithet denoting “God”. The rupture of the semantic field was caused by the change of man’s attitude towards the Supreme.

The term, which initially had a polysemous meaning and remained as such, is confirmed: Lord and Father. In ancient Georgian, the term Lord was primarily used as an existential term, and then as a sacred term.

The term Jesus, as the name of the “Son of God”, is not used separately in the original texts, they use the term Christ as an epithet: Joseph Christ. Key words: ancient Georgian, field of lexemes, God, monosemic



დასაბამიდან იყო სიტყვა, და სიტყვა იყო ღმერთთან და ღმერთი იყო სიტყვა. - ვკითხულობთ იოანეს სახარების პირველ თავში.

ღმერთი – სიყვარულის, რწმენისა და თავყვანისცემის ზებუნებრივი, ყოველთა არსთა მაარსებელი“, რომელიც დამახასიათებელია ყველა რელიგიისთვის, გარდა პირველ-ყოფილი რელიგიის ადრეული ფორმებისა და ზოგიერთი აღმოსავლური რელიგიისა. აბრაამისეულ რელიგიებში იგი არის აღმატებულთა შორის უაღმატებულესი, უზენაესი სახელი, სიყვარულისა და რწმენის განსახიერება-ვკითხულობთ ქეგლ-ში.

ღმერთი - (ეტიმ. ლათ. deus, ცალკეულ მოსაზრებათა თანახმად, მომდინარეობს სინათლის ან ზეცის იდეასთან დაკავშირებული ინდოევროპული ფესვიდან div ან deiv..... ახალ აღთქმაში ღმერთი გვევლინება, როგორც სიყვარული (1 იოან. 4:8),

ღმერთი არს სული ნათელი, დაუსაბამო და მიზეზი ყოელთა დასაბამიერთა და დამბადებელი ყოელთა. ღმერთი გამოითარგმანების ხედვა და წვა/სულხან საბა/.

ალ. ჭინჭარაული იმოწმებს არაბულში არსებულ “ღმერთის” გამომხატველ ტერმინს, რომელიც პირდაპირ ანალოგიას წარმოადგენს ქართული ღმერთ ფორმისა. არაბულად ის გადმოიცემა ამგვარად: ვაჰიდ ულლაჰ = ერთადერთი ღვთაება. მეცნიერისათვის ამოსავალია ფორმა “ერთი”. თ. ჟორდანიას ლ და მ ზმნური წარმომავლობის ელემენტებად მიიჩნევს: ღ პირისნიშნისეული ხ-სგან მოდის, მ კი - საობიექტო ქცევის უ- პრეფიქსისგან. ეს ელემენტები ქართულში შედარებით ხარისხს აწარმოებენ *ხ=უ=ერთ=ი. რომლის მნიშვნელობაა:

ერთადერთი, სრული, განუყოფელი, ყოვლისმომცველი, შემოუსაზღვრელი”

ღმერთი (ნათ. ღმრთისა, ღვთისა, მოქ. ღვთით) 1. ახსენა ღმერთი, ვახსენოთ ღმერთი ძვ. საუბ. იტყოდნენ რაიმე ძნელი საქმის შედგომისას, რათა ხელი მომართოდათ. [ყმაწვილმა] იძრო სწრაფად ტანისამოსი, ახსენა ღმერთი და გადაეშვა წყალში (ი. გოგებ.). შენ იცი და შენმა ღმერთმა! შენს სინდისზეა საქმე, როგორც სინდისი ნებას მოგცემს. ახლა შენ იცი და შენმა ღმერთმა (აკაკი). ღმერთო ჩემო ჩართული სიტყვაა, გამოხატავს წუხილს, გაკვირვებას, გაოცებას და სხვ. რა სანოვაგე, ღმერთო ჩემო, რა სასმელები! (ვ. ბარნ.).

ღმერთი – ქართულ მითოლოგიაში ცის უზენაესი ღვთაება, ღვთაებების მამა, სამყაროს მბრძანებელი, შემოქმედი და მსოფლიო წესრიგის (მორიგე-ღმერთი), აგრეთვე ბუნების და ადამიანთა სიცოცხლის გამგებელი.

ჰაინს ფენრიხი და ზურაბ სარჯველაძე ამოსავალ ფორმად იღებენ *ღრამთ-ს. ეპისტოლეში II კორინთელთა მიმართ გვხვდა შესიტყვება ღმერთი უხილავი.

ლევიტელთას AKSB რედაქციაში კი უფლის ნაცვლად თითქმის უგამონაკლისოდ გვხვდება ღმერთ ფორმა, ან შესიტყვება უფალი ღმერთი.

უფალი 1) რელიგ. იგივეა, რაც ღმერთი; 2) ძვ. ბატონი, პატრონი, მბრძანებელი; 3) რთული ფუძის მეორე შემადგენელი ნაწილი: “ჭირისუფალი, ხელისუფალი, თავისუფალი.” ქეგელ

უფალი ბატონი, პატრონი. „ს-უფ-ევ-ს, მე-უფ-ე, უფ-ალი ერთი ძირიდან ნაწარმოები. ესაა უფ (რომელშიაც შესაძლოა უძირს შეხორცებული პრეფიქსი იყოს)” [ჩიქოვაძე, 1942, გვ. 225].

უფალი ისეთივე აღმატებითი ხარისხის ფორმაა, როგორიც უმეტე, უმსხო, უადვილე, უმაღლე, უმცრო, უმძიმე, უძნელე და სხვა მრავალი” [ჭინჭარაული, ხელ., გვ. 7].

უფალი პატრონი ვაჟი, გინა ღმერთი ს.-ს. ორბელიანი

უფალი “უფროსი, ბატონი, პატრონი”. “ქართული ოთხ-
თავის სიმფონია-ლექსიკონი”

ტერმინები უფალი და ღმერთი თანდათან სინონიმებად იქცა. კონკრეტულად როდიდან, ამის თქმა ძნელია, განსაზღვრების ფუნქციით ნახმარი სიტყვა უფალი (“ყოვლის მფლობელი”, “ყოვლის მპყრობელი”...) თანდათან გასუბსტანტივდა და მნიშვნელობაც გაიფართოვა: ერთსა და იმავე კონტექსტშიც კი იხმარებიან: “უფალო ღმერთო უფლისა ჩემისა აბრაჰამისო” (დაბ. 24, 12) [ჭინჭარაული, ხელ., გვ. 4]. შესაძლოა, ტერმინი უფალი ყოფითი მნიშვნელობით ხმარებული ყოფილიყო. მოგვიანებით იგი პოლისემიური ხდება და, ბოლოს, როგორც “ღმერთის” აღმნიშვნელი ეპითეტი, მონოსემიურობისაკენ იღებს გეზს. რელიგიურს შეიძინა

“უფალი”, ანუ “მეუფე” უზენაესი კი არ არის მხოლოდ, არამედ პატრონსაც, ბატონსაც, მეფესაც ეწოდება.

ტერმინი უფალი ქვემოთ მოყვანილ მაგალითებში ადამიანს გულისხმობს: უფალო, სიკუდილდ კერძო უფრო საგონებელ არს ვიდრე სიცოცხლით (შუშ); ... უფალო, რაღსა ეგრე იქმ და იტყვ... (შუშ); ... უმჯობესად ვრაცხე მორჩილ ყოფად თავი ჩემი ბრძანებასა უფლისა (კათალიკოსის) ჩემისასა (აბო); მე, სამოელ ქრისტეს მიერ ქართლისა კათალიკოზი, უფალსა იოვანეს საბანის ძესა... ლოცვით უფლისა მიერ მოგიკითხავ (აბო) (ამ მაგალითში პირველი უფალი ადამიანს გულისხმობს, მეორე - ღმერთს). ...წმიდათა შინა ლოცვათა თქუენტა ჳსენებულ გუყვენით უფალი ჩემი გაბრიელ და მე მკვეალი შენი, და შვილნი ჩუენნი (გრ. ხანძთ. ცხ.); უშენოსა ნუმცა ვხედავ ნუ პატრონსა, ნუ უფალსა! (ვეფხ. 658).

თუმცა იმავე წერილობით ძეგლებში უფალი “ღმერთის” მნიშვნელობით ...იტყვს თვით უფალი: მე მიუგო სიტყუად თქუენ წილ (შუშ.); ...შეჰვედრა სული თვსი უფალსა ყოველთა შემწყნარებელსა (შუშ.); ერთგულებადცა აქუს უფლისა მიმართ, რამეთუ ეტყვს უფალი წმიდათა მისთა: რომელმან თქუენ შეგიწყნარნეს, მე შემიწყნარა (აბო); ... მშვედობამან უფლისამან დაგიცვენინ თქუენ (აბო);... ერი დაბადებადი აქებდა უფალსა... (გრ. ხანძთ. ცხ.); ... უფალმან მოციქულნი დაადგინნა მღდელად (გრ. ხანძთ. ცხ.); წმიდა არს და მართალ სახელი შენი უფალო, სასწაულთამოქმედო (ი. მინჩხი); უფალო, უწყნი შენნი სახიერებანი, რამეთუ ძვრუკსენებელ ხარ (ი. მინჩხი);

მეუფე მე- - ე ხელობის სახელთა მაწარმოებელი აფიქსებითაა ნაწარმოები (შდრ. მე-კამლ-ე, მე-ბაჟ-ე, მე-უდაზნო-ე...).

მეუფე - დიდი მეფე, ყოველთა მეფეთა უზეშთაესი. მეუფება არს ყოველისავე საზღვრისა და შემკობილებისა და ბრძანებისა და წესისა განმყოფელი”.ს.-ს. ორბელიანი

მეუფე (მეუფისა). 1. (რელიგ.) უზენაესი ღვთაება, - ღმერთი, უფალი. 2. იგივეა, რაც მეფე || გადატ. უფროსი, ბატონ-პატრონი ვისიმე, რისამე”.ქეგლ ა. ნეიმანის “ქართულ სინონიმთა ლექსიკონში” მეუფე “ღმერთის” სინონიმადაა მიჩნეული.

მეუფე -მეფე. ძირითადად იგი “მაცხოვარს” გულისხმობს.“ქარ-თული ოთხთავის სიმფონია-ლექსიკონი”მეუფე გაუდიფერენცირებული მნიშვნელობით იხმარება ორიგინალურ ტექსტებში.

შემოქმედი შემო- ზმნისწინის და ძველ მაწარმოებელ-ედ სუფიქ-სის დართვით.

შემოქმედი - ყოველთა შემქმნელი. ს.-ს. ორბელიანი.

შემოქმედი წმინდა სამების სინონიმიც უნდა იყოს, რადგან წმინდა მამების აზრით, შესაქმეში სამების სამივე ჰიპოსტასი იღებს მონაწილეობას: მამაც, ძეც და სული-წმინდაც. ბიბლიური ფრაზის - “და თქუა ღმერთმან: ვქმნეთ კაცი ხატებისაებრ ჩუენისა და მსგავსებისაებრ...” (შეს. 1, 26). შემოქმედობად და დამბადებლობად დაუტევნა მისთვის თქუმად [1er= 9 108r, 4-6b]; რომელი-იგი ზოგად ცისა და ქუეყანისა შემოქმედი არს, მას მხოლოდ ზეცისაა განუკუთნა ხუროთმოძღვრებად და შემოქმედობად [ლევ 6 38r, 13-18a];

შემოქმედი ლიტერატურულ ძეგლებშიც დასტურდება, როგორც ღმერთი. მისი ხშირია “ვეფხისტყაოსანში”.

მაგალითები: ვითარცა შენ შემოქმედი შენი უვარ ჰყავ, ეგრეცა მე შენ შეურაცხ გყავ... (შუშ. 13); ... გარნა ღმერთი ხოლო შემოქმედი იციან (აბო 64). ცათა შემოქმედი და ანგელოზთა დამბადებელი და ქუეყანისა დამამტკიცებელი ... წულილადთაცა საქმეთა მოქმედვე ხარ (გრ. ხანძთ. ცხ. 118); თობა ვთხოვე შემოქმედსა, ვჰკადრე სიტყვა სამუდარი (ვეფხ. 359); ყმამან უთხრა: მაღლი ღმერთსა, შემოქმედსა არსთა მხედსა (ვეფხ. 1059). ტერმინი შემოქმედი ზოგჯერ გაუდიფერენცირებელი სახით გადმოიცემა და აღნიშნავს ღმერთს, ზოგჯერ კი სამებას..

დამბადებელი სახელწმინაა. მიღებულია ბადებს ზმნი-საგან და ზმნისწინის დართვით. ფორმით იგი მიმღეობაა და მ- -ელ აფიქსებით იწარმოება. მ- -ელ პრეფიქს-სუფიქსი, როგორც ცნობილია, მოქმედებითი გვარის ზმნათა-განმიღებულ მიმღეობას ერთვის, “რომელსაც დროული გაგება არ ახლავს” [შანიძე, 1976, გვ. 137]. შემოქმედი გვხვდება ცალკე “მამა ღმერთის” აღმნიშვნელად და სამების ჰიპოსტასთა სამივე წევრის გამოსახატავადაც.

დამბადებელი ღმერთი ყოველთა, არარაისაგან არსად მომ-ყვანებელი”ს.-ს. ორბელიანი

დამბადებელი - შემოქმედი”. ი. აბულაძე

დამბადებლობა აბსტრაქტულ სახელთა მაწარმოებელ-ობა სუფიქსდართული ფორმა ძველი ქართული ენის ლექსიკონი”ზ.სარჯველაძე. “შექმნა”. ჩუენი დამბადებლობისა მადლითა და კუალად ჩუენი ბუნებით არს ღმერთი [Ier. -32, 146v, 9-10a].”

მამა“მამა არს ღმერთი დამბადებლობითა. მამა არს შემქმნელი.ს.-ს. ორბელიანი

მამად ითქმის მოძღვარი, მღ(ვრ)დელი, აღმზრდელი, ოსტატი, გინა კაცი უხუცესი”

მამა-მამა,მამაკაცი,მამრი;მამასახლისიმონასტრისა”ილ. აბულაძე.

მამა - 1. კაცი თავისი შვილების მიმართ, - მშობელი (მამაკაცი). 2. მამები - ძველი თაობა, წინაპრები. მამები და შვილები. 3. მღვდლის (მონაზვნის) დასახელება. ქეგლ-ის ერთტომეული

სამება “ბიბლიაში” არ გვხვდება. იგი, როგორც ტერმინი, გვიანდელი წარმონაქმნია. ნაწარმოებია სამ- რიცხვით სახ-ელზე -ება აბსტრაქტულ სახელთა მაწარმოებელი სუფიქსის დართვით. შეიმოსა მსგავსება ადამისი, იმსგავსა ბუნებასა თვსსა, მოვლინებულმან ღმრთისა სამებისამან არსებით მიუწოდომელმან (ი. მინჩხი 195, 5).

სამება - ერთი ღმერთი, სამგვაროვანი ერთი არსება, ერთი უფალი”. სამებასთან როგორც პრეპოზიციურ, ისე პოსტპოზიციურ მსაზღვრელადხშირად გვხვდება წმიდა.ს.-ს. ორბელიანი

სამება - 1. რელიგ. ქრისტიანული რელიგიის მიხედვით - სამპიროვანი ღმერთი, რომელიც აერთებს ე.წ. “მამას”, “პეს” და

“სული წმიდას”; 2. საუბ. გადატ. სამი ვინმე ერთად, სამეული. ქეგლ-ი

მეგრულსა და სვანურში არ გვხვდება. როგორც ჩანს, დროთა განმავლობაში პოლისემიური მნიშვნელობის მატარებელი ლექსიკური ერთეული ხდება, - ისეთივე, როგორც ტერმინები დამბადებული და შემოქმედი.

მაცხოვარი ქართული არნ. ჩიქობავას ტერმინი მაცხოვარი მიაჩნია ცხოვ-არ სახელური ფუძისაგან მიღებულად: “აქედანვე იწარმოება შემდეგ: ცხოვრ-ობ-ს, ა-ცხოვრ-ებ-ს, ცხო(ვ)რ-ებ-ა. მაცხოვარ-ი, საცხოვარ-ი მიმღეობები რომ ყოფილიყო, უნდა გვქონოდა მა-ცხოვრალ-ი, ანდა მა-ცხოვრ-ებ-ელ-ი (შესაბამისად: სა-ცხოვრ-ალ-ი, ანდა სა-ცხოვრ-ებ-ელ-ი).. მაცხოვარი და საცხოვარი შეიძლება ამჟამად განიმარტოს, როგორც “ვინც აცხოვრებს”, “რაც აცხოვრებს” (მეტადრე ეს ითქმის მაცხოვრის შესახებ “спаситель”) [ჩიქობავა, 1942, გვ. 160-161]. მა-ცხოვ-არ-ს აკ. შანიძე ა-ცხოვ-ნ-ებ-ს ფორმისგან მიღებულად თვლის [აკ. შანიძე, 1976, გვ. 137]. ს.-ს. ორბელიანი “მაცხოვარს” განმარტავს ასე: “ცხოვრების მოქმედი || ცხოვნების მოქმედი”. მაცხოვრის ილ. აბულაძისეული განმარტება: “მაცხოვარ-ი “მკსნელი”, მაცოცხლებელი, “იშვა თქუენდა მაცხოვარი” (DE).

მაცხოვარი - მკსნელი” ივ. იმნაიშვილი “ქართული ოთხთავის სიმფონია ლექსიკონში”.

მაცხოვარი- ძველ აღთქმაში “მეორისა სჯულისადს” დადასტურდა ორი ფორმა: მაცხოვარი და მცხოვნი. მცხოვნი ფორმა უფრო ძველი ტერმინი ჩანს. აღნიშნულ ტექსტში მაცხოვარი და მცხოვნი ეპითეტია.

მაცხოვარი ფსალმუნშიც ეპითეტია.

ახალ აღთქმაში აქ იგი “მე ღვთისას” ეპითეტია. ამასთან, ახალი აღთქმის ტექსტებში გვხვდება ფორმები: მაცხოვარი და

მაცხოვარება. მეორეს ს.-ს. ორბელიანი განმარტავს როგორც ცხოვრების ქონებას. აწ იქმნა მაცხოვარება და ძალი და სუფევად ღმრთისა ჩუენისა...

მაცხოვარი ქართულ ორიგინალურ მწერლობაში ხშირია დამოუკიდებელ ერთეულად. მას ზოგჯერ ერთვის კუთვნილებითი ნაცვალსახელი

...მაცხოვრისა მადლმან შეკრიბნა ნების-მყოფელნი თჳსნი (გრ. ხანძთ. ცხ. 112); მაცხოვარ, განგუაძლიერენ... (ი. მინჩხი 176, 25);

შეესცეთ, მაცხოვარ, მე, ვითარცა ცხოვარი... (ი. მინჩხი 177, 30).

“აბო თბილელის წამებაში” და ი. მინჩხის პოეზიაში მაცხოვარი ეპითეტია: მოიკსენა მან მაცხოვრისა ჩუენისა... (აბო 66);

... მესმა მე წმიდისა სახარებისაგან თქუმული იგი მაცხოვრისა ჩუენისა მიერ... (აბო 456);

იესო იესოს ქართული შესატყვისი არის მკსნელი: “შვეს ძე და უწოდიან სახელი მისი იესო, რამეთუ მან იკსნეს ერი თჳსი ცოდვათა მათაგან” (მ 1, 21 ქართულისათვის არაბუნებრივია) ტერმინ იესოს აღნაგობა. |ი| სეგმენტის წარმოშობა ხმოვნის წინ “ძველ ქართულში თითქმის მთლიანად ნასესხები სიტყვების (და პირველ რიგში საკუთარი სახელების) საფუძველზე მოხდა: “იავარის-ყოფად “გამარცვა, გატაცება”. იაკობ, იერიქო, იერუსალჴმი, იესუ, იოზ, იოვანე, იონა, იოსებ, იოტა, იალბუზი, იატაკი და სხვა” [გამყრელიძე, მაჭავარიანი, 1965, გვ. 68]. აღ. ჭინჭარაულის ნაშრომში ვკითხულობთ: “იესუ სახელია კაცისა, რადგან იგი კაციც იყო (“ძე კაცისა”) და ღმერთიც ერთდროულად. როცა იგი კვლავ ამალდა, “განღმრთა”, მას შერჩა ეს სახელი (იესუ), მაგრამ გამოსარჩევად მის სახელს დაემატა ებრაული მაშიაჰ (მესია), ბერძნული

ქრისტოს, რაც ამ ენაზე ნიშნავს “ცხებულს”. აქედან შემოვიდა ქართულში “ცხებული” (შდრ. მირონცხებული). ასეთივე ეპითეტებია ქართული “მაცხოვარი”, “მოდღვარი”, “სახიერი” და სხვა” [ქინჭარაული, ხელ., გვ. 18-19]. ს.-ს. ორბელიანი იესოს ასე განმარტავს: “უფალი მაცხოვარი” და მიუთითებს სპეციალური ნიშნით, რომ სიტყვა ნასესხებია. იგი გვთავაზობს ნასესხები ფორმით იესუს ტერმინის განმარტებას: “ებრაელები იეჰოსუად ჩვენებრ იესო, უფალი მაცხოვარი”. იესო ქეგლ-ის არც რვატომეულში და არც ერთტომეულში განმარტებული არ არის, რაც იმას მიუთითებს, რომ საკუთარ სახელადაა აღქმული. იესოს, როგორც უფლის ზედწოდების აღმნიშვნელ სახელს, პირველად სახარებაში ვხვდებით. იგი შეიძლება იყოს ცალკეც და მსაზღვრელის თანხლებითაც. მაგალითად: ტერმინი იესო ნასესხები სახელია. იგი ანთროპონიმი იყო, შემდეგ ღმერთის ზედწოდებად იქცა. ძველბერძნულსა და სხვა ევროპულ (ცოცხალ) ენებში იესო დიდი ასოთი იწერება ე.ი. საკუთარ სახელად.

ქრისტე როგორც იესო, ქრისტეც ღმერთის სახელად მოგვიანებით იქცა. ის ბერძნული სიტყვაა და ნიშნავს “ცხებულს”. ტერმინ ქრისტეს საზოგადო სახელისგან წარმომავლობა კარგად ჩანს ბრუნებისას: ნაწილობრივ, როგორც საკუთარი სახელი, ისე იბრუნვის და ნაწილობრივ - როგორც საზოგადო. ქრისტეს საკუთარი სახელებისაგან განასხვავებს ის, რომ გაფორმებული აქვს მოთხრობითი ბრუნვა და აქვს სავრცობი. ქრისტე - ცხებული უფლისა გინა ღმერთი და კაცი სრული”. - სულხან საბა ს.-ს. ორბელიანი ტერმინ ქრისტესთან ერთად განმარტავს ქრისტვნას. იგი არ შეგვხვედრია არც ბიბლიურ ტექსტებში და არც ორიგინალური ლიტერატურის ძეგლებში. ქრისტვნა, საბას მიხედვით, ნიშნავს მირონცხებას უემბაზოდ: “ქრისტვნა არს მირონის-ცხება უემბაზოდ,

ვითარცა დაწინდვა” [საბა, 1993]. ქრისტე და ქრისტუნა ერთი წარმომავლობის ლექსემებია, პირველი, როგორც “ძე ღვთისას” აღმნიშვნელი ტერმინი, დამკვიდრდა, მეორე კი - არა. “ქრისტე - ცხებული მესია, თავი ცხებულთა”-ილ. აბულაძე.

ტერმინი ქრისტე გვხვდება ცალკეც და მსაზღვრელის როლშიც. ქრისტე უშუალოდ ღმერთის, კერძოდ, “ძე ღვთისას” ეპითეტად იქცა. შემდეგ იგი დამოუკიდებელ ტერმინად ჩამოყალიბდა. ქრისტე ოთხთავის FG რედაქციაში ხშირად სახელობითი ბრუნვის ნიშნითაა გაფორმებული და დაბოლოებულია ჴ (=ე) დიფთონგით (ქრისტჴ). ოთხთავის HIK რედაქცია “ძე ღვთისას” აღნიშნულ ზედწოდებას ფუძის სახით წარმოგვიდგენს.

ქრისტეს ცალკეა ორიგინალურ მწერლობაში: ... ქრისტემან მომმადლოს მე სიხარული (შუშ.); აკურთხენ ქრისტე, ვითარცა აკურთხენ წმიდანი მოციქულნი (გრ. ხანძთ. ცხ.); გაკურთხენინ ყოველნი პირმან ქრისტჴსმან... (გრ. ხანძთ. ცხ.); რაჲ სარგებელ გეყოს შენ ქრისტჴ იგი შენი... (აბო); უკუთუ მოვკუდე, მრწამს მე, რამეთუ ქრისტჴს თანა ვცხონდე (აბო); ყოველთა კეთილთა სრულმყოფელო ქრისტე... (ი. მინჩხი); ...

შუშანიკის წამებასა” და “გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში” ტერმინი ქრისტე გვხვდება ამდაგვარ შესიტყვებაში: ქრისტე ღმერთი: ... ეზიარის ჳორცსა და სისხლსა ქრისტემს ღმრთისა ჩუენისასა (შუშ.); ... სანატრელო ქრისტჴს ღმრთისაო (შუშ.); მეფობად და სათნოებანიცა მისნი დაგიმკჳდრენ ქრისტემან ღმრთმან... (გრ. ხანძთ. ცხ.); იყავნ ქრისტე ღმერთი ჩუენი შორის სულიერად ძმობასა და გზავნასა ჩუენსა (გრ. ხანძთ. ცხ.). ქრისტეგმსაზღვრელად: ქართულ ოთხთავში შესიტყვება იესუ ქრისტე, ბერძნულისაგან განსხვავებით, გვხვდება შებრუნებული რიგითაც: ქრისტე იესუ: ...მადლი და ჳეჴმარიტებაჲ ქრისტე იესუს მიერ იყო (FG,HIK).

იესუ ქრისტეს ხმარების შემთხვევები ოთხთავში: (მ 1, 18). ხოლო იესო ქრისტეს შობად ესრეთ იყო... (მრკ 1, 1). დასაბამი სახარებისად იესუ ქრისტესი (FG, HIK). (მ 16, 20). მაშინ ამცნო მოწაფეთა თვსთა, რადთა არავის უთხრან, ვითარმედ იგი არს იესუქრისტე (HIK) || მაშინ ამცნო მოწაფეთა თვსთა, რადთა არავის უთხრან, ვითარმედ იგი არს ქრისტე (FG). ამ შემთხვევაში FG რედაქციაში მხოლოდ ტერმინი ქრისტე გვაქვს. იგი ბერძნულ ტექსტს მისდევს. ახალი აღთქმის სამოციქულო ნაწილსა და გამოცხადებაში ვხვდებით შესიტყვებას იესო ქრისტე და მისი შებრუნებულ წყობას ქრისტე იესუ ქრისტესა...

თავადი “მე ღვთისას” აღმნიშვნელად სახარებაში გვაქვს ტერმინი თავადი. ამ მნიშვნელობით იგი ენაში არ დამკვიდრებულა. თავადი ნაწარმოები ჩანს თავ სიტყვის ვითარებითი ბრუნვის ფორმისგან. ტერმინი თავადი მე ღვთისას აღმნიშვნელად გვხვდება ცალკეც და ტერმინ იესოსთან ერთად: თავადი იესუ.

ხოლო თავადი ვითარ მიახლებულ იყო სახლსა მას, მიუვლინა ასისტავმან მან მეგობარნი... (FG, HIK) (მ 17, 20). ხოლო თავადმან ჰრქუა მათ... (FG) || ხოლო იესუ ჰრქუა მათ (HIK). (ი 7, 10). ... მაშინ თავადი იესუ აღვიდა არა განცხადებულად, არამედ ფარულად (FG, HIK). ზოგჯერ ტერმინი თავადი მხოლოდ ქართულ ტექსტშია მოცემული, ბერძნულში კი მისი ადეკვატური სიტყვა არ გვხვდება. “თავადი - თავით თვისით” - ს.-ს. ორბელიანი. განმარტებისას იგი მოიხმობს მისგან ნაწარმოებ ფორმებსაც და წერს: “თავი არს კაცთა ქრისტე; თავად ითქმის კაცთა შორის უზეშთაესი: ერისთავი, გუნდისთავი და მისთანანი, გინა საქმითა და სწავლითა უმეტესი”.

მესნელი მესნელი წარმოშობით მიმღეობური ფორ-
 მაა. მიღებულია კსნა ზმნისგან მ- - -ელ აფიქსების დართ-
 ვით. მ- - -ელ, როგორც ცნობილია, აწარმოებს მოქმედებითი
 გვარის მიმღეობას, რომელსაც დროის გაგება არ გააჩნია.
 მიმღეობად ჩამოყალიბებული მესნელი დროთა განმავ-
 ლობაში გასუბსტანტივდა. ტერმინი გვხვდება როგორც
 ძველ აღთქმაში, ისე ახალ აღთქმაში ღვთის ზედწოდების
 აღმნიშვნელად. მესნელი წარმოადგენს კალკს ებრაულიდან
 მომდინარე იესოსი, რაც “მხსნელს” ნიშნავს: “შვეს ძე და
 უწოდიან სახელი მისი იესუ, რამეთუ მან იკსნეს ერი თვისი
 ცოდვათა მათთაგან (მ 1, 21). მესნელი “კსნის მოქმედი-
 ”ს.-ს. ორბელიანი. უშუალოდ ღმერთთან იგი “მესნელს” არ
 აკავშირებს, თუმცა აღნიშნული ტექსტების მიხედვით იგი
 სხვა მნიშვნელობით არ შეგვხვედრია, რადგან, ქრისტიანული
 სარწმუნოების მიხედვით, ადამიანის “მესნელი” შეიძლება
 იყოს ღმერთი და არა ისევ ადამიანი, რომლის ძალისხმევის
 კონცენტრირება უნდა ხდებოდეს ღმერთის გარშემო და
 მისგან მოელოდეს ხსნას. ადამიანი ამ ქვეყნად შეიძლება
 იყოს ღმერთის იდეის გამტარებელი და არა “მესნელი”. ილ.
 აბულაძის “ძველი ქართული ენის ლექსიკონის” მიხედვით,
 “მესნელი” იგივეა, რაც “მაცხოვარი, განმათავისუფლებელი”.

ღმერთ მაღალი მესნელ მათდა არს. 18, 15). ... უფალო
 ძეო ჩემო და მესნელო ჩემო. (ფსალ. 34, 3). არქუ სულსა
 ჩემსა: მესნელი შენი ვარ მე. (ფსალ. 7, 3). ნუ სადა წარიტაცოს
 ვითარცა ლომმან სული ჩემი, არავინ იყოს მესნელ ჩემდა,
 არცა მაცხოვარ. (ფსალ. 39, 18). ... შემწე და მესნელი ჩემი ხარი
 შენ, ღმერთო ჩემო, ნუ ჰყოვნი. (ი 4, 42). ... ეგე არს ჭეშმარიტად
 მესნელი სოფლისაჲ (FG, HIK). (ჰრ. მიმ. 11, 26). ... მოვიდეს
 სიონით მესნელი და მოაქციოს უღმრთოებისაგან იაკობი.
 პირველ მაგალითში “მესნელი” განმარტავს შესიტყვებას

დმერთი მაღალი, მეორეში - ტერმინს უფალი. ბოლო მაგალითში მქსნელი უფლის ზედწოდების აღმნიშვნელია. მქსნელი ეპითეტის ფუნქციით: რომელი მოხუედ მქსნელად სოფლისა... (ი. მინჩხი); ... მიეგებვიან მთავარსა მას ყოვლისა უმთავრესსა სიონისა სიძისა და მეუფესა, სიტყუასა უჯორცოთა მფლობელსა ჯორცითა მომავალსა, წყალობით მქსნელსა სულთა ჩუენტასა (ი. მინჩხი); მქსნელი და მაცხოვარი ჩუენი (ი. მინჩხი); მოწყალო ქრისტე... მქსნელო (ი. მინჩხი). 2) მქსნელი დამოუკიდებელ ტერმინად: საკჯრველ არიან განგებანი სასწაულთა შენთანი, მქსნელო ... (ი. მინჩხი); ოდეს ჯუარსა ზედა სტანჯვიდეს მქსნელსა უვარისმყოფელნი მისნი (ი. მინჩხი); ... შთავვარდი მე წყუდიადისა გულსა. შემიწყალე, მქსნელო (ი. მინჩხი). ქეგლ-ის ერთტომეული “მქსნელს” ასე განმარტავს: “მქსნელი - ვინც იხსნა ვინმე, რამე ან იხსნის ვისმე, რასმე (დაღუპვისაგან, რაიმე გასაჭირიდან). ქვეყნის მხსნელი - მხსნელად მოვევლინა”. ახალ ქართულში მხსნელი პოლისემიური ფუნქციით იხმარება: იგი ადამიანსაც გულისხმობს და დმერთსაც.

მ ე ს ი ა სემიტური ძირის სიტყვაა, როგორც სახარების ტექსტიდან ჩანს, “ცხებულს” (მეფედ კურთხეულს) ნიშნავს. “მაშიჰა ძველ აღთქმაში აგრეთვე ნიშნავს: ქურუმს, მღვდელს, უფალს, მთავარს. მისი თარგმანია ბერძნული ქრისტე, რომელიც იესუს მუდმივ ეპითეტად და შემდგომ საკუთარ სახელად იქნა გააზრებული” [დანელია, 1993, გვ. 139]. სიტყვა მესია მხოლოდ იოვანეს სახარებაში გვხვდება: ვპოვეთ მესია, რომელ არს თარგმანებით “ქრისტე” (HIK) (ი 1, 41). ვიცი რამეთუ მესია მოვალს, რომელსა ჰრქვან ქრისტე (HIK) (ი 4, 25).. სულხან-საბა ტერმინ მესიას ასე განმარტავს: “ცხებული უფლისა”. მესიის ილ. აბულადისეული განმარტებაა ქრისტე. ნ. ჩუბინაშვილის განმარტება: “მესსია ებრაულად ცხებული,

სახელი ისე ეკუთვნის იესუ ქრისტესა” [ჩუბინაშვილი, 1961, გვ. 277]. მესია ქართულში ბერძნულის გზით შემოსული ტერმინია, მაგრამ კ. დანელიას მრავალთავიდან, კერძოდ “ჯუარის გამოჩინების საკითხავიდან,” ამოღებული აქვს ამ სიტყვის აღმოსავლურ სირიული მშია (მშიჰა) [დანელია, 1993, გვ. 139]. მშია ფორმის შესახებ მეცნიერი იმოწმებს ა. შანიძის მოსაზრებას, რომ იგი “ამჟღავნებს ქართული საღვთისმეტყველო ტერმინოლოგიის კავშირს ასურულთან/სირიულთან” [დანელია, 1993, გვ. 139]. ტერმინ მესიას დღეს “მხსნელის” მნიშვნელობით ვხმარობთ და არა “ცხებულისა.”

ემანუელ ემანუელ “ძე ღვთისას” აღმნიშვნელი ტერმინია. ამ სახელის შესახებ ინფორმაციას მათეს სახარებიდან ვიღებთ: “ესე ყოველი იქმნა, რაითა აღესრულოს თქუმილი იგი უფლისა მიერ, წინასწარმეტყველისაგან! აჰა ქალწული მიუდგეს და შვეს ძე და უწოდიან სახელი მისი ემანუელ, რომელ არს თარგმანებით: ჩუენ თანა ღმერთი” (მ 1, 23) (HIK). ამ მუხლის განმარტებას თეოფილაქტე ბულგარელი ასე გვაწვდის: “ებრაელები ამბობენ, რატომ არ იწოდება იგი ემანუელად და რატომ ეწოდება იესო ქრისტე? ამის შესახებ უნდა ითქვას, რომ წინასწარმეტყველი კი არ ამბობს “უწოდებ”, არამედ “უწოდებენ”. ე.ი. თვით საქმეები გვიჩვენებენ, რომ ეს არის ღმერთი, თუმცა ჩვენთან ცხოვრობს” [თ. ბულგარელი, 1989, გვ. 14-15]. ემანუელს, როგორც ღვთის ზედწოდების აღმნიშვნელ სახელს, ვხვდებით იოანე მინჩხის პოეზიაში: სიწმიდით საიდუმლოდ მიდგომილებად შენი ძისა და ღმრთისად, რომლისა სახელი - ემანუელ (ი. მინჩხი). ს.-ს. ორბელიანი ტერმინ ემანუელს განმარტავს “ევმანუელ - ჩვენთანა ღმერთი”. სახელი განმარტებულია ესაიას წინასწარმეტყველების მიხედვით.

სულიწმი(ნ)და სამების ჰიპოსტასებიდან მხოლოდ სულიწმი(ნ)და გვხვდება უცვლელი ფორმით. შესიტყვება სული წმი(ნ)და, ვფიქრობთ, კალკია, მისი ბერძნული შესატყვისია ...იგი არს, რომელმან ნათელ-გცეს სულითა წმიდითა (FG, HIK) (ი 1, 33)..... არღა მოცემულ იყო სული წმიდაჲ, რამეთუ იესუ არღა დიდებულ იყო (FG, HIK) (ი 7, 39).. ყოველმან რომელმან თქვას სიტყუაჲ ძისა მიმართ კაცისა მიეტეოს მას, ხოლო სულისა წმიდისა მგმობარსა არა მიეტეოს... (FG, HIK). სულიწმი(ნ)დის შესახებ კატეხიზმოში ვკითხულობთ, რომ იგი არის “ისეთივე ჭეშმარიტი და ძლიერი ღმერთი, როგორც მამა და ძე. საღმრთო წერილი ამოწმებს სულიწმინდის ღვთაებობას, როცა მიაწერს ღვთიურ თვისებებს: ა) ყოვლად მეცნიერებას; ბ) ღვთიურ სახელს; გ) ღვთიურ მოქმედებას. მაგ.: ქვეყნის შექმნას, განგებულებას, მადლით მეორედ შობას, კაცთა განმართლებას და განწმენდას; დ) მამა ღმერთთან და ძესთან თანასწორობას. ს.-ს. ორბელიანი სულიწმინდას განმარტავს 2 ეზრასა და ლუკას სახარების მიხედვით: “სულიწმიდა, სული ღვთისა, რომელი მოგვეცემის ძისა მიერ აღთქმა იგი მამისა, ხოლო წმიდა სული არს სული ანგელოზი და ყოველთა წმიდანთა სულნი”. საბა განასხვავებს აღნიშნული შესიტყვების მნიშვნელობას წყობის მიხედვით, თუ გვაქვს პოსტპოზიციური წყობა, ე.ი. სული წმიდა, იგი აღნიშნავს სამების მესამე წევრს; თუკი პრეპოზიციური წყობით გვაქვს ე. ი. წმიდა სული, იგი ნიშნავს ანგელოზს ან წმინდანს, ე.ი. ამ შემთხვევაში მსაზღვრელ-საზღვრულის წყობას სიტყვათგანმასხვავებელი ფუნქცია აქვს. ქეგლ-ში სულიწმიდა განმარტებულია როგორც ძველი რელიგიური ტერმინი, “ქრისტიანული რელიგიის მიხედვით წმიდა სამების მესამე ელემენტი”. აქვე მოცემულია ნ- სონორ ჩართული სულიწმინდა.

გამოყენებული ლიტერატურა:

- **აბულაძე, 1973** - ი. აბულაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი, თბ., 1973.
- **გამყრელიძე, მაჭავარიანი, 1965** - თ. გამყრელიძე, გ. მაჭავარიანი, “სონანტთა სისტემა და აბლაუტი ქართველურ ენებში”, თბ., 1965.
- **იმნაიშვილი, 1986** - ი. იმნაიშვილი, ქართული ოთხთავის სიმფონია- ლექსიკონი, თბ., 1986.
- **მელიქიშვილი, 1993** - დ. მელიქიშვილი, ტერმინოლოგიური სიტყვაწარმოების ზოგადი პრინციპები და ფილოსოფიურ ტერმინთა სისტემატიზაცია გელათის სკოლაში, ქსკს, •X, თბ., 1993.
- **ნეიმანი, 1978** - ალ. ნეიმანი, ქართულ სინონიმთა ლექსიკონი, თბ., 1995.
- **ს.-ს. ორბელიანი 1966** - ს.-ს. ორბელიანი, ლექსიკონი ქართული, ტ. 1. თბ., 1966. ს.-ს. ორბელიანი 1993 - ს.-ს. ორბელიანი, ლექსიკონი ქართული, ტ. II, თბ., 1993.
- **როგავა, 1973** - გ. როგავა, ზოგი თავისებური ფონეტიკური პროცესი ქართველურ ენათა კომპოზიტებში, მაცნე, ენისა და ლიტერატურის სერია, 2, 1973.
- **სარჯველაძე, 1995** - ზ. სარჯველაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი, თბ., 1995.
- **ფენრიხი, სარჯველაძე, 1990** - ჰ. ფენრიხი, ზ. სარჯველაძე, ქართველურ ენათა ეტიმოლოგიური ლექსიკონი, თბ., 1990 ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, I-VIII, 1950-1964. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ერთტომეული, 1986.
- **ღლონტი, 1975** - ალ. ღლონტი, სიტყვის კონა, ტ. II, თბ., 1975.
- **შანიძე, 1976** - აკ. შანიძე, ძველი ქართული ენის გრამატიკა, თბ., 1976.
- **შანიძე, 1980**
- **ჩიქობავა, 1942** - არნ. ჩიქობავა, სახელის ფუძის უძველესი აგებულება ქართველურ ენებში, თბ., 1942

- ჩუბინაშვილი, 1961 - ნ. ჩუბინაშვილი, ლექსიკონი ქართული, 1961.
- **ჭაბაშვილი, 1989** - მ. ჭაბაშვილი, უცხო სიტყვათა ლექსიკონი, თბ., 1989.
- **ჭელიძე, 1996** - ე. ჭელიძე, ქართული საღვთისმეტყველო ტერმინოლოგია, თბ., 1996. ჭინჭარაული, სიტყვა ღმერთ-ის წარმომავლობისათვის, ხელნაწერი.

**XII საუკუნის საქართველო და ლექსიკური ერთეულის –
„ვაზირის“ – მხატვრული კონტექსტი „ვეფხისტყაოსანში“**

Abstract: „The Knight in the Panther’s Skin“, although not a realistic work, is not only well known among all the researchers who have undertaken the excellent poetry of the genius of humanity, but also ordinary readers, however, a lot of researchers involuntarily encounter Rustvelian understanding of the historical events of the 12th century. It is obvious that the face of Farsadan and his wife, referred to as a queen, represent artistic convention, although, we think this convention is conditioned by realistic graphics. In particular, in the core of Farsadan’s image political steps against Giorgi III and Prince Demetre-Demna (/Tarieli) is resembled. From this point of view, along with other important passages of „The Knight in the Panther’s Skin“, Nestan’s marriage discussion attracts attention. Within this specific part of the text instead of the term „Vazir“ lexical unit „Khas“ is utilized.

If we examine the study of history, it becomes clear that „I. Javakhishvili and other scholars who have worked on the themes of viziers and viziership undoubtedly consider the existence of several viziers and even vizier councils during the reign of Giorgi III and Tamar“ [Meshkhia 1979: 27]. It is also clear that at the end of the reign of Giorgi III, the title of „Vazir“ was exclusively held

¹ ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი / PhD in Philology, Associate professor at Tbilisi Ivane Javakhishvili State University

by the scribe. He was the only vizier, and the lexical unit „vazir“ was also used in the meaning of „counselor“. It is a fact that in the story of Arabia, the plural form of „vazir‘i“ („vazir‘ta hkadres“: 15, 37) is recorded, in connection with which the scientist concludes: „So, the seating of the viziership and the plurality of viziers do not completely indicate the existence of the viziership as an institution, nor that the king had several official viziers“ [Meshkia 1979: 36]. This discussion is attributed to the institutional structure of the 12th century, the functions of the officials in the state and the title of „Vazir‘i“.

We think that such scientific conclusions provide us with more insight and thought while analysing the episode of Tariel’s summoning in the palace. Who would meet Tariel at dawn in royal castle, if not the king and queen and only three nobles. Neither the scribe, the senior vizier, nor the rest of the country’s most important officials, called members of the „viziership“, appear. According to the relatively late „deal of the ruler’s court“ written in the era of George the Magnificent these officials include: The Senior Vizier, Atabeg, Commander-in-Chief of Army, Royal Treasurer and Chancellor.

In the discussed section of the poem, not mentioning the word „Vazir“ and replacing it with „Khas“ should directly indicate that Farsadan neither invited the royal council nor had the desire to listen to anyone’s advice. This has to be a secret meeting. According to „The Knight in the Panther’s Skin“, Commander-in-Chief of Army sits on a bench, not on a rug. The etiquette of sitting on the rug and below the Senior Vizier when counseling seems to be a traditional article subject to earlier law. Elsewhere in the text, a beloved woman seats the Commander-in-Chief of Army of the country just as the etiquette requires. (and reveals her own attitude

towards the most important official of the country and one of the heirs of India, not to mention the flow of love).

It is clear that there is not a single vizier among the people invited to the royal court for the groom-selection meeting, only some „Khas'i“, so the way for unjust justice has been opened from all four angles – this should indicate the conspiracy against Tariel-Demna. The knight's integrity-honesty in the story of India, gives strong impulses and, in our opinion, points to the tragedy unfolding in Georgia in the second half of the 12th century and to the crooked justice that was first followed by the rebellion of 1177-1178 by the supporters of Demetre-Demna's reign [„There was the army of more than thirty thousand“ - Stefanoz Orbeliani], and then digging up the eyes of Davit Aghmashenebeli's direct hereditary male line and slaying them [„And Demetre was imprisoned in Klde-kari his eyes were cut off, he passed away and was buried in Mtskheta“ - Lasha Giorgi's Chronicle].

Key words: “The Knight in the Panther's Skin,” „Vazir'i“, Semantics and art-historical context



„ვეფხისტყაოსანი“ რეალისტური ნაწარმოები რომ არ არის, ეს არა მხოლოდ ყველა იმ მკვლევარმა კარგად იცის, რომელიც მეტ-ნაკლებად შეჰხეზია კაცობრიობის გენიის პოეტურ სიტყვას, არამედ – რიგითმა მკითხველმაც, მაგრამ პოემას ჩაკირკიტებული ბევრი მაძიებელი თავის დაუნებურად მაინც აწყდება XII საუკუნის ისტორიულ მოვლენათა რუსთველურ გააზრებას. განა სადავოა, რომ ფარსადანისა თუ მისი დედოფლად წოდებული ცოლის სახე მხატვრული პირობითობაა, თუმცა ფაქტობრივ დარწმუნებულნი ვართ, რომ ამ პირობითობას რეალისტური გრაფიკა განაპირობებს,

რადგან ჟამისა და ეპოქის შეგრძნება უკვდავებისათვის „განწირულ“ ადამიანს ჩვენზე ძლიერად უსახლდება სულში. განა შეგვიძლია თუნდაც ქართული ლიტერატურის ისტორიაში ისეთი კლასიკოსის დასახელება, რომელშიც ეპოქა თავის სათქმელს არ ამბობს?! ჩვენ ასეთი არ გვგულებს, ამიტომ მცირე ხნით საისტორიო წყაროებს დავაკვირდებით, გიორგი III-სთან დაკავშირებით სტეფანოზ ორბელიანის ალტერნატიულ თხრობას მოვუსმენთ (მეტი გზა არ დაგვრჩენია „ისტორიანისა და აზმანის“, თამარის მეორე ისტორიკოსისა და ლაშა გიორგისდროინდელი მემკვიდრეების გიორგი III-ის დინასტიური ხაზის მკვეთრი მომხრეობისდა გამო), რადგან სწორედ ორბელთა აჯანყების შემდგომ გადარჩენილ ერთ-ერთ ორბელს გიორგი III-ის მიკერძოებას ვერ დავაბრალებთ, არადა მის მიერ გადმოცემულ ამბებში იგრძნობა ის, რასაც ჩვენ „ვეფხისტყაოსანში“ ვხედავთ (ამ კონკრეტულ შემთხვევაში ფარსადანის, როგორც ფარისევლობის მსოფლხატის, წარმოდგენას ვგულისხმობთ).

წყაროდან ვიგებთ, რომ ვიდრე მცირეწლოვანი დემეტრე უფლისწული იოვანე ამირსპასალართან იზრდებოდა, ქვეყნის მეორე პირს საქართველოს სასიკეთოდ მნიშვნელოვანი სამხედრო ნაბიჯები გადაუდგამს – „იოვანე ... დიდთა საქმეთა აჩვენებდა მეფესა, და იგიცა ამის **ლიქნითა აღამაღლებდა** მას. ხოლო გულსა შინა მარადის ეშინოდა მისგან ყრმისა მისთვის [საუბარია დემნა უფლისწულზე – ი.ს.], რომელი შევედრებულ იყო მისდა და **ეძიებდა ჟამსა მარჯვესა მზაკვარობით ფარულად წინააღმდეგომად ყოვლითა ღონითა**“ [ორბელიანი, 1978: A, 43]. ისტორიული ცნობის ამ კონტექსტში გიორგი III-ის მლიქვნელობა და მზაკვრობა, ეს ორი გზა უკეთური საქმისა, ერთმანეთს შესისხლხორცებული თვისებები მოჩანს და თანაც არა შეძენილი. ერთადერთი, რის გამოც მკვლევარმა

ამ წყაროს დამოწმებისას შეიძლება თავი შეიკავოს, ეს ისტორიული ცნობის ავტორის, სტეფანოზ ორბელის, გიორგი III-ის პიროვნებისა და მისი ქცევებისა თუ პოლიტიკის სიძულვილია, სიძულვილი კი ობიექტურ საფუძველს აცლის ხოლმე აზრის გადმოცემასა და შეფასებებს, დამაჯერებლობას ასუსტებს, მაგრამ სტეფანოზიც ხომ მატიანეა ამბებისა, ოპოზიციურად განწყობილი ქართული საზოგადოების (ეს საზოგადოება კი მცირერიცხოვანი ნამდვილად არ იყო) ერთი გონიერი წარმომადგენელი და მცდელი იმისა, რომ „სხვა“ ისტორია შექმნას, რათა მომავალმა თაობებმა მხოლოდ გიორგი III-ის „ჭეშმარიტება“ არ ირწმუნოს. ისტორია სიყალბეს ვერ იგუებს, რაოდენ მწარეც არ უნდა იყოს ის და, სხვათა შორის, ეს ოპოზიციონერი მეისტორიე გიორგი III-ს სულაც არ უკარგავს დადებით მხარეებს, როცა ამბობს: „დაიყო განმარჯვებული ყოველსა ზედა სიმხნისა საქმეთა და ფრიად ბრძენ“-ო [ორბელიანი 1978: A, 42]. უბრალოდ, მხედრული მხნეობა-მედგრობა ან სიბრძნე არის კი მყარი გარანტია იმისა, რომ საჭიროების შემთხვევაში სიბრძნეს ბოროტებისაკენ არ გადახრი, საკუთარ ზნეობას არ უღალატებ და კარგი მოისარი მშვილდს შენდა სასიკეთოდ არ მომართავ, თანაც საქართველოს გაერთიანება-გაძლიერების პოლიტიკურ ფარს თუ ამოიყენებ მცველად, ყველაფერი ხომ გაცილებით გაიოლდება.

ცნობილია, რომ ქართული ისტორიოგრაფია თავისი შეფასებებისას გიორგი III-ის ძლევამოსილებიდან და საქართველოს ცენტრალიზაციის მოსურნეობიდან ამოდის და შედარებით „მარტივად“ უყურებს დემნა უფლისწულის თავს დატრიალებულ ტრაგედიას, თუმცა ეს სამართლებრივი არეულობა (ფეოდალური სამართლის უპირითადესი მუხლის დარღვევა - მემკვიდრეობის გადაცემა მამიდან უფროს

შვილზე), ვფიქრობთ, რომ მაინც ბევრს აწუხებს, მათ შორის ჩვენთვის უპირველესი ივ. ჯავახიშვილია. ის წერს: „IX საუკ. მოყოლებული ... ყოველთვის განსვენებული მეფის უფროსი ვაჟი-უფლისწული ადიოდა ხოლმე სახელმწიფო ტახტზე. მაშასადამე, წესიერად რომ ყოფილიყო საქმე მოწყობილი, დემეტრე I შემდგომ უნდა მის უხუცესს ძეს დავითს ემეფა, მაგრამ მის მამას სხვანაირად განუსჯია. მომავალი აღმოაჩენს, როდესაც ახალი და საკმაო ცნობები გამოქვეყნდება, ჰქონდა დემეტრე I რაიმე კანონიერი საბუთი, როდესაც თავის უფროსს შვილს მემკვიდრეობის უფლებას ართმევდა, თუ მარტო პირადი გრძნობა და მიკერძოებითი სიყვარული ამოქმედებდა მას?“ [ჯავახიშვილი, 1983: 239]. აშკარაა, რომ ქართველოლოგიის მშობელს მომავლის იმედიღა ჰქონდა, ფიქრობდა, რომ „ახალი და საკმაო ცნობების“ აღმოჩენის შემდგომ ცხადი გახდებოდა ქართული ფეოდალური სამართლის გამრუდების საფუძველი, მაგრამ დრომ ამ საქმის სასარგებლოდ ვერ იმუშავა და მხოლოდ მეცნიერულ თვალსაზრისთა ანაბარა დაგვტოვა. ივ. ჯავახიშვილი დასახელებულ მოვლენას დემეტრე I-ის უფროსი შვილისადმი [დავით V-ისადმი] უყვარულობა-სიძულვილით ხსნის და იქვე დასძენს: „რამდენად ძლიერი უნდა ყოფილიყო მამის სიძულვილი უფროს შვილისადმი ისიც ამტკიცებს, რომ მისის სიკვდილის შემდგომაც მან არ აპატია და მის მაგიერ განსვენებული დავითის მცირეწლოვანი დემეტრე კი არ გამოაცხადა მეფედ, არამედ, როგორც წინათვე გადაწყვეტილი ჰქონდა, ისევ თავისი საყვარელი უმცროსი ძე გიორგი მეფედ და თანამოსაყდრედ დასვა“ [ჯავახიშვილი, 1983: 240]; დასვა და სამეფო ტახტის უპირობო მემკვიდრე განზე დატოვა. ეს დემნა იყო, სრულიად უდანაშაულო უფლისწული – „უბრალო სისხლი“ (ყოველ შემთხვევაში აჯანყებაში მონაწილეობამდე

გაჭირდება მის დანაშაულსა თუ შეცდომაზე საუბარი) – რომელსაც ჯერ დაობლება არგუნეს წილად და შემდეგ არა მარტო სამეფო ტახტის დაკავების ოცნება ჩაუკლეს, არამედ მძევლადაც აიყვანეს იმ შემთხვევაში, თუკი ყოველგვარი წინაპირობის გარეშე გავიზიარებთ სომხურ წყაროს, რომლის მიხედვითაც დავით V-ის გარდაცვალების საქმეში გიორგისთან ერთად იოანე ორბელის ხელიც ერი². რადგან საქმე სომხურ წყაროებზე მიდგა, არა გვგონია, რომ ყურადღებას არ იმსახურებდეს გიორგი III-ისა და თამარის ეპოქის სომეხი ისტორიკოსის, მხითარ გოშის (XII-XIII ს.ს.), მიერ გადმოცემული ისტორიული ცნობა, რომელიც რადიკალურად ცვლის დემნა უფლისწულის მემკვიდრეობასთან დაკავშირებულ საკითხს. კერძოდ, ვიგებთ, რომ **„როდესაც გარდაიცვალა მეფე დემეტრე, მის ნაცვლად გამეფდა მისი შვილი დავითი, კაცი კეთილგონიერი“** [გოში, 1968: 46]. თუკი ეს ისტორიული ფაქტი სინამდვილეს მიესადაგება და დავით V დემეტრე I-ის გარდაცვალების შემდეგ იღებს სამეფო მემკვიდრეობას და არა ისე, როგორც ამავე საკითხთან დაკავშირებულ ფაქტს ქართული წყაროები გადმოგვცემენ (ქართული წყაროების მიხედვით, დემეტრემ თავად გაამეფა გიორგი III), მაშინ ლოგიკურია, რომ ტახტის ერთადერთი სამართლიანი მემკვიდრე არასრულწლოვანი დემნა უფლისწული იქნებოდა (შდრ. „საპატრონოდ მზრდიდეს სრულთა ლაშქართა და ქვეყანათად“: 64, 314). მეტიც, იმავე მხითარ გოშთან იკითხება, რომ რაღაც მიზეზის

2 მ. ლორთქიფანიძე სომეხი ისტორიკოსის, ვარდანის, იმ მნიშვნელოვან ცნობასთან დაკავშირებით, რომლის შესახებ ჩვენ მომდევნო აბზაცებში ვისაუბრებთ, შენიშნავს: „ვარდანი კი გარკვევით ასახელებს დავითის მკვლელებად სუმბატ და ივანე ორბელებს, რომელთაც ეს მკვლელობა გიორგი უფლისწულთან შეთანხმებით ჩაიდინეს“ [ლორთქიფანიძე, 1979: 287].

გამო (ავტორი ასეთ მიზეზად სარწმუნოებრივ საკითხს ასახელებს) ქართველი დიდებულები შურიტ შეპყრობილან, „განსაკუთრებით ორბელიანებად წოდებული გვარი, **დაა-ლევიანს სასიკვდილო საწამლავი და მოკლეს მეფე დავითი.** მძიმე და ხანგრძლივმა სევდამ მოიცვა ქართველთა და სომეხთა ქვეყნები. გაამეფეს მის ნაცვლად მისი ძმა გიორგი“ [გოში, 1968: 47]. ორბელთა და გიორგი III-ის მიერ შეთანხმებულ მოქმედებაზე მოგვითხრობს ვარდანიც, როდესაც დავით V-ის მკვლელობის ფაქტს შეეხება. მემატიაწე წერს: „ზოგი ამბობს, რომ [ის მოკლულ იქნა] **სუმბატ და ივანე ორბელების მზაკვრობის შედეგად...** ისინი შეთანხმებული იყვნენ დავითის ძმა გიორგისთან³, რომ [ის] დანიშნავდა [მათ] მხედართმთავრად“ [ვარდანი, 2002: 145]. სომხურ წყაროებზე დაყრდნობა სულ მინიმუმ გიორგი III-ისა და ქვეყნის ამირსპასალარის ალიანსს წარმოგვადგენინებს, რაც ბევრად მწვავესა და მტკივნეულს ხდის დემეტრე უფლისწულისადმი ჩადენილ მკვეთრად უსამართლო ქმედებებს. ქართული ისტორიოგრაფია კარგად იცნობს ჩვენი მეზობელი ქვეყნის მემატიაწეთა ცნობებს, რომელთა მიხედვით დავით V კეთილგონიერ კაცად [„კაცი კეთილგონიერი“ - გოში] ან ჭკვიან და კეთილ მეფედ სახელდება [„ჭკვიანმა და კეთილმა დავითმა“- ვარდანი] და რომელთა მიხედვითაც დემეტრე I-ის პირშო დავითი მხოლოდ მამის გარდაცვალების შემდგომ იკავებს სამეფო ტახტს, თუმცა მაინც ძირითადად ქართული წყაროების მონაცემებს ეყრდნობა და წერს: „როგორც ცნობილია, დემეტრე მეფე უპირატესობას ანიჭებდა თავის უმცროს ვაჟს გიორგის. მიზეზი ამ გარემოებისა უცნობია“ [ლორთქიფანიძე, 1979: 286]. მ. ლორთქიფანიძის ფრაზა, რომ „მიზეზი ამ გარემოებისა უცნობია“, ჩვენი აზრით, არის ის, რაც

3 სომხურ წყაროებში ხაზგასმული სიტყვები ჩვენია - ი.ს.

გაცილებით მეტ ეჭვს აღძრავს იმის თაობაზე, რომ ეპოქაში მიმდინარე მოვლენებს სამართლებრივი მიმართულება არ უნდა ჰქონოდა, თორემ ქართულ წყაროთა შემდგენელნი გიორგის ქმედებათა გასასამართლებლად აუცილებლად გამოიყენებდნენ სათანადო არგუმენტებს. ეს ის შემთხვევაა, როცა ქართველ მემკვიდრეთა უტყუობა ერთგვარი არგუმენტია. „თითქოს ეჭვს არ უნდა იწვევდეს ცნობა დავითის მოკვლის შესახებ“ო,- იქვე დასძენს მკვლევარი. აშკარაა, რომ სომხურ წყაროებში მითითებული ცნობა – დემეტრე I-ის სიკვდილის შემდეგ დავით V-ის გამეფებისა – ქართულ მეცნიერებაში გაუზიარებელი ფაქტი აღმოჩნდა, ხოლო გიორგი III-ისა და ორბელთა შეთანხმებული მკვლელობა ამავე დავითისა – გაზიარებული. საბოლოოდ ვიტყვით იმას, რომ ისტორიის მეცნიერებაში ეს საკმაოდ ბუნდოვანი საკითხია. მემკვიდრეობის ხაზის გადახრა-დარღვევის თვალსაზრისით სახარბიელოდ რომ არ უნდა ყოფილიყო საქმე, ამას 1178 წლის დემნა-ორბელთა აჯანყება და მ. ლორთქიფანიძის შემდეგი შეფასებაც დაადასტურებს – „გიორგის ტახტი ფაქტიურად ბრძოლით და არც მთლად კანონიერად ჰქონდა მოპოვებული, რადგან დავითს დარჩა ვაჟი დემეტრე“ [ლორთქიფანიძე, 1979: 287]. ამგვარად, თუ სომხურ წყაროთა მონაცემებს გავითვალისწინებთ (ამ ნაწილში ქართულ ცნობათა ნაკლულეევანების გამო), მამის მკვლელები (გიორგი III და იოანე ორბელი) ერთდროულად ეპატრონებიან დავით V-ის ვაჟის მომავალს, ერთდროულად ადევნებენ თვალს მის გაზრდა-დავაჟკაცებას და ცოლადაც მამის მკვლელობაში ხელგასვრილი ამირსპასალარ იოვანე ორბელის ქალიშვილს მოაყვანიდნენ და არა – რომელიმე მოკავშირე ქვეყნის მონარქისას, რითიც სამეფო ტახტისაკენ მისასვლელ გზაზე გადაულახავ ბარიერს უქმნიან. „ვეფხისტყაოსანში“ ამ

ისტორიული კონტექსტის [/ალიანსის] მხატვრული ინტერპრეტაცია, ვფიქრობთ, რომ არ იკითხება. სანაცვლოდ, ფარსადანის რუსთველურ ბირთვში, ალბათ, შესამჩნევია გიორგი III-ის გრაფიკა. შეიძლება რიგ შემთხვევებში სომხური წყაროები მართლაც ამჟღავნებდნენ მიკერძოებულ დამოკიდებულებას, თუმცა მათ მიერ გადმოცემული მშრალი ფაქტები (თუნდაც ის, რომ „დააღვინეს სასიკვდილო საწამლავი და მოკლეს მეფე დავითი“ – ვარდანი), არა გვგონია, მტკნარი სიცრუე იყოს.

კიდევ ერთხელ აღვნიშნავთ იმას, რომ ჩვენი მიზანი არ ყოფილა, ღრმად შევჭრილიყავით ისტორიის მეცნიერებაში, უბრალოდ, ისტორიული რაკურსებით განსჯა „ვეფხისტყაოსნის“ ქრონოსის, მისი ლანდშაფტისა და იმ რელიეფის შეცნობაში გვეხმარება, რომლებიც პოემის მაგისტრალს გზადაგზა მიუყვება და რომელთა გაუთვალისწინებლობა, ჩვენი აზრით, ნაკლულევანს გახდის მისსავე გააზრებას.

„როგორც ჩვენმა მკვლევარებმაც შენიშნეს, ფარსადანი – ნესტანის მამა – სასტიკი მმართველია და დადებითი თვისებებით არ გამოირჩევა“, – შენიშნავს თ. ჭილაძე [ჭილაძე, 1914: 171]; ხოლო დ. წერედიანი იტყვის: „ფარსადანის პროტოტიპად კი ვინ შეიძლება წარმოვიდგინოთ, დღესავით ნათელია. თანამედროვეებს ნამდვილად არ გაუძნელდებოდათ ამის ამოცნობა, კაენური ცოდვის მაგალითი იქვე, ხელისგულზე ედოთ, შორს წასვლა არ დასჭირდებოდათ“ [წერედიანი, 1914: 21]. ამ კონტექსტით ყურადღებას ტარიელის წინააღმდეგ მიმართულ შეთქმულებაზე გადავიტანთ.

სცენური მოქმედება ასე იშლება – ტარიელი სამეფო დარბაზში მიიჩქარის, შესაძლებელია მსუბუქად ჩაცმული მხედრულად და მსუბუქადვე აღჭურვილი. ასხმული რკი-

ნა, სავარაუდოდ, ჩხერის ხმას გამოსცემს, რადგან ძნელი წარმოსადგენელია უიარლო ამირსპასალარი, განსაკუთრებით ხმალ-ქარქაშის გარეშე⁴. ის-ის არის გათენდა და ღამის მწუხრი დღის ნათელმა მიაძინა [„დილასა ადრე სრას მიხმეს, დღე რა ქმნა მწუხრმან ჟამითა“ (ვფხ., 1966: 104, 500)], ასეთ ჟამს კი მხოლოდ საგანგებო სიტუაცია თუ იქნება მისი ხმოვის მიზეზი და განა რა უნდა იყოს საგანგებო სიტუაცია ამირსპასალარისთვის, თუ არა საომარ-საბრძოლველი წუთების მოახლოება. აშკარაა, რომ ტარიელს მისთვის უცნობი ამბის გაგება ეჩქარება [„ავდეგ, ვცნა მათი ამბავი, წასვლა მქმენ მითვე წამითა“ (ვფხ., 1966: 104, 500)], წამსაც არ აყოვნებს. ჯერ კიდევ ვერაფერს ხვდება, რადგან არც ის შეუნიშნავს, როგორ აკვირდებოდნენ მას გამარჯვების აღსანიშნ წვეულებაზე და არც ის გაუაზრებია, „საკვირველმა ძლევამ“ როგორ გააღიზიანა და გააშმაგა „მამობილი“. როგორც ჩანს, „მოყვარე მტერზე“ [„მოყვარე მტერი ყოვლისა მტრისაგან უფრო მტერია“ (ვფხ., 1966: 228, 1199)] რაღაც კი გაუგია, მაგრამ „მოყვარე მშობელზე“ ამის წარმოდგენა უჭირს. გონების სინათლეს წრფელი გული ეღობება, გული კი ყოველთვის მოქმედებათა ეპიცენტრშია,

4 მეფედ კურთხევის ცერემონიალისა და დადგენილი წესების შესახებ შემონახულ ერთადერთ დოკუმენტში [XIII ს.] ქვეყნის კათალიკოსის ფუნქციათა – გვირგვინით, სკიპტრით და სხვ. შემოსოს მომავალი მონარქი – ჩამოთვლის შემდგომ ამირსპასალარის ჯერი დგება. ტექსტში ვკითხულობთ: „და ვითარ ჩამოვიდნენ საკურთხეველის კარით, ამირსპასალარმან კრმალი შეარტყას და წარმოემართნენ მითვე სახით“ [გარიგება, 1965: 53]; ან „ხელმწიფის კარის გარიგების“ ერთ ადგილას, რომელშიც ავტორი ამირსპასალარის სახელის დახასიათებას ეხება, იტყვის: „ლაშქრობად და ლაშქრობის ვეზირობა ამირ-სპასალარის კელთ არის. მას წინათ არავინ იტყვს, რად ვეზირობა იყოს“ [გარიგება, 1965: 86]. უეჭველი ფაქტი მოჩანს, რომ როგორც თამარის, ისე – წინა და მომდევნო ეპოქებში ამირსპასალარი ხმლით შემოსილი გადაადგილდება და მეტიც, არა მხოლოდ ის, არამედ ამირსპასალარს დაქვემდებარებული ამილახორიც ხმალშემორტყმული შედის სამეფო დარბაზში: „კმალი ამილახორსა არტყია დარბაზობასა ზედა“ [გარიგება, 1965: 81].

როცა მისი ფიალა მხოლოდ სიყვარულს გადმოადინებს. „უგონოდ ქმნული“ ტარიელი სამეფო დარბაზში შედის, იქ კი მეფე-დედოფალი და სამი „ხასი“ (/დიდებული) ხვდება:

„ვნახე, ორნივე ერთგან სხდეს ხასითა ოდენ სამითა,
რა მივე, მითხრეს დაჯდომა, წინაშე დავჯე სკამითა“
(ვფხ., 1966: 104, 500).

ესარის „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის ის ნაწილი, რომელიც ეჭვის გამოთქმის საფუძველს გვაძლევს. უპირველესად – რა ესაქმება დედოფალს „საგანგებო“ თათბირზე, როცა საქმეთა რჩევა სამეფო დარბაზის პრეროგატივაა? ვხედავთ, რომ სასიძოს შერჩევის საკითხზე ხმობილთა შორის მხოლოდ სამი დიდებული იმყოფება, სავაზიროს მოწვევის შემთხვევაში კი რუსთველს ლექსიკური ერთეული „ვაზირი“ უნდა გამოეყენებინა და არა – „ხასი“.

„ი. ჯავახიშვილი და სხვა მკვლევარებიც, ვინც კი ვაზირებსა და სავაზიროს შეჰხებია, უეჭველად მიიჩნევენ რამდენიმე ვაზირისა და თვით სავაზიროს არსებობას გიორგი III-ისა და თამარის დროს“, – წერს შ. მესხია [მესხია, 1979: 27]. ქართულ საისტორიო წყაროებზე დაყრდნობით იკვეთება, რომ გიორგი III-ის მეფობის დასასრულს ვაზირის ტიტული მხოლოდ მწიგნობართუხუცეს ჰქონდა. ის ერთადერთი ვაზირი იყო და ლექსიკური ერთეული „ვაზირი“ „მრჩეველის“ მნიშვნელობითაც გამოიყენებოდა [მესხია, 1979: 29; 33]. ფაქტია, რომ არაბეთის ამბავში ვაზირის მრავლობითი რიცხვის ფორმა („ვაზირთა ჰკადრეს“ (ვფხ., 1966: 15, 37) დაფიქსირებული, რასთან დაკავშირებითაც მეცნიერი ასკვნის: „ასე რომ, „ვეფხისტყაოსნის“ „სავაზიროდ დაჯდომა“ და ვაზირთა მრავლობითობა სრულებით არ ნიშნავს სავაზიროს, როგორც დაწესებულების არსებობაზე მითითებას და არც იმას, რომ მეფეს რამდენიმე მოხელე ვაზირი ჰყავდა“ [მესხია,

1979: 36]. ეს მსჯელობა XII საუკუნის ინსტიტუციურ მოწყობას, სახელმწიფოში მოქმედ მოხელეთა ფუნქციებსა და უშუალოდ „ვაზირის“ ტიტულს შეეხება. ვფიქრობთ, რომ ამგვარი სამეცნიერო დასკვნები მეტი დაფიქრებისაკენ მოგვიწოდებს, როცა ტარიელის სასახლეში ხმოვის ეპიზოდს განვიხილავთ. ვინ ხვდება სრაში გამთენიისას ნახმოვ ტარიელს, თუ არა მეფე-დედოფალი და „ოდენ“ სამი ხასი? არც ის ერთადერთი მწიგნობართუხუცესი ვაზირი მოჩანს და არც – ქვეყნის დანარჩენი უმთავრესი მოხელენი, რომელნიც შედარებით გვიანდელი, კერძოდ, გიორგი ბრწყინვალის ეპოქაში დაწერილი „ხელმწიფის კარის გარიგების“ მიხედვით, „ვეზირობის“ წევრებად იწოდებიან. ესენი არიან: მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდელი, ათაბაგი, ამირსპასალარი, მეჭურჭლეთუხუცესი და მსახურთუხუცესი, ხოლო დარბაზობა-ვეზირობის ჟამს „ჭყონდიდელს ქვემოთ ნოხთა ზედა ათაბაგი და ამირსპასალარი დასხდენ“ [გარიგება, 1965: 95]. პოემის განსახილველ მონაკვეთში სიტყვა „ვაზირის“ იგნორირება და მისი „ხასით“ ჩანაცვლება პირდაპირ უნდა მიგვანიშნებდეს იმაზე, რომ ფარსადანს არც დარბაზობა მოუწვევია და არც ვინმეს რჩევა-დარიგების მოსმენა უსურვებია. ეს კულთარული შეხვედრა მოჩანს. თანაც, „ვეფხისტყაოსანში“ ამირსპასალარი ნოხზე კი არა, სკამზეჯდება. დარბაზობისას „ნოხთა ზედა“ (ჭყონდიდელს ქვემოთ) ჯდომის წესი, როგორც ჩანს, ადრინდელ სამართალს დაქვემდებარებული ტრადიციული მუხლია. ვფიქრობთ, რომ „გარიგების“ ავტორს ის დიდად არ უნდა შეეცვალა, რადგან კარგად თუ დავაკვირდებით გამიჯნურების შემდგომ ასმათისა და ტარიელის ერთ შეხვედრას, ქვეყნის ამირსპასალარი, სწორედაც რომ, ნოხგადაფარებულ ტახტზე ზის, ხოლო ასმათს, როგორც ყმას, სავარაუდოდ, ამ ნოხთან შეხების უფლებაც არა აქვს — „შევე, დავჯე ტახტსა ზედა; ქალი მოდგა

ნოხთა პირსა“ (ვფხ., 1966: 73, 366). არც ტარიელისა და ნესტანის პირისპირ შეყრის ეპიზოდია ამ თვალსაზრისით უმნიშვნელო: ახლა ტარიელი დგება საკუთარი მიჯნურის, ინდოეთის ერთ-ერთი მემკვიდრის, ნოხის წინ [„შევე, წავდეგ ნოხთა პირსა“ (ვფხ., 1966: 83, 402)] და ფარსადანისაგან განსხვავებულად მოქმედებს – ასმათს უბრძანებს, დაჯდესო ამირბარი და ისიც ბალიშს ქვემოთ, ანუ „დამართებით“, უდებს ტარიელს [„უბრძანა, თუ: „მოახსენე, ასმათ, დაჯდეს ამირბარსა!“/ მან ბალიში დამართებით დადვა მას მზედ საქებარსა“ (ვფხ., 1966: 84, 403)]. ნესტანი საკუთარ მიჯნურს პატივისცემითა და თანამდებობრივი სარგოს მიხედვით ეპყრობა. ვფიქრობთ, აუცილებლად შევცდებით, ასეთი დეტალები ამბის მხოლოდ გააღმოსავლურება-„გასპარსულებას“ რომ მივაწეროთ და აზრს გასაქანი არ მივცეთ. როგორც ჩანს, პოემაში ნოხთა „ფრიალი“ თანამდებობრივი თუ წოდებრივი ტიტულის პატივისცემისა და დაფიქსირების საშუალებაა. მიჯნური ქალი ქვეყნის ამირბარ-ამირსპასალარს სწორედ ისე სვამს, როგორც ამას წესი მოითხოვს და საკუთარ დამოკიდებულებას ამჟღავნებს ქვეყნის უმნიშვნელოვანესი მოხელისა და ინდოეთის ერთ-ერთი მემკვიდრის მიმართ, სიყვარულის დინებაზე რომ აღარაფერი ვთქვათ.

ამრიგად, ნესტანის გათხოვების თათბირზე, სავარაუდოდ, „სამი ხასისა“ და არა - ვაზირის, ხსენება ნაკლებ უნდა მივაწეროთ შემთხვევითობას. განა შეიძლება დავუშვათ, რომ სამეფო კართან მჭიდროდ დაკავშირებულმა შოთამ ვაზირობა-დარბაზობისა არაფერი იცოდა და კალამი „წასცდა“? ასეთი „სიმცდარე-სიყალბე“ მას არაბეთის ამბავში ხომ არ დაუშვია?

„მეფემან იხმნა ვაზირნი, თვით ზის ლაღი და წყნარია,
გვერდსა დაისხნა, დაუწყო მათ ამო საუბნარია“ (ვფხ., 1966: 14, 34).

როგორც სჩანს, სამეფო სასახლეში არცერთი ვაზირი, ანუ დარბაზის ერიდან თუ დარბაისელთაგან არვინ იმყოფება, მხოლოდ ვიღაც „ხასები“, ამიტომ უსამართლო სამართალს გზა ოთხივ კუთხით აქვს გახსნილი – საქმე ტარიელ-დემნას წინააღმდეგ მიმართულ შეთქმულებასთან უნდა გვქონდეს.

ამირბარი მეფე-დედოფლის წინ ჯდება. ვფიქრობთ, რომ დასაჯდომი ადგილიც მათ მიუთითეს. ამ მხატვრულ პასაჟში სიტყვები „წინაშე დავჯე სკამითა“ პოეტის სათქმელის მცირე დეტალია, თუმცა რუსთველთან განა არსებობს რაიმე, რასაც შეიძლება მცირე ეწოდოს? ჩანს, რომ ფარსადანს ტარიელის არა მხოლოდ თითოეული მოძრაობის გაკონტროლება სურს, არამედ – შინაგანი მდგომარეობისაც [„დავიწყეთ რჩევა საქმისა, გული მიც, თუცა მელია“ (ვფხ., 1966: 105, 504)]; სკამზე ჯდომა კი იმ პატივის აყრა უნდა გამოხატავდეს, რომელიც მას თანამდებობრივად ეკუთვნის, სხვა შემთხვევაში მას „ნოხთა ზედა“ უნდა ვხედავდეთ. აშკარაა, რომ სამეფო ტახტის დაკავებასთან ერთად საფრთხე ამირსპასალარობასაც ემუქრება. ნუთუ ჯერ კიდევ მიუხვედრელობის ნისლით დაბურულს ვუცქერთ ისედაც ათი ათასი დანით დაჭრილი ყმის ცნობა-გონებას [„გული უფრორე დამიჭრა ათიათასმან დანამან“ (ვფხ., 1966: 71, 351)]?.. თან როგორ ნელ-ნელა აპარებენ ტარიელს მეფე და დედოფალი თავიანთ სათქმელს ისე, რომ თვალებში უნამუსოდაც უყურებენ: ჯერ „ქალისა ჩვენისათვის ქმარი გვინდა, სად მოვნახოთ“-ო (ვფხ., 1966: 104, 502) და, როცა ფარსადანი ამირბარის გულისცემას გრძნობს, საკუთარ წინადადებას შუბლში ახლის:

„მეფემან ბრძანა: „ხვარაზმშა, ხელმწიფე ხვარაზმელია, თუ მოგვცემს შვილსა სასიძოდ, მისებრი არ-რომელია“ (ვფხ., 1966: 105, 504).

დიახ, ინდოთ მეფემ ამირბარს პირდაპირ აჯახა სათქმელი, სათქმელი და თანაც როგორი?!. „მისებრი არ-რო-მელია“-ო,- უთხრა ხვარაზმელ უფლისწულზე მაშინ, როცა ქველ რაინდსა და ინდოეთის ტახტის ერთ-ერთ მემკვიდრეს ხედვას უსწორებდა და, შემთხვევით, იმ თვალებს ხომ არ აკვირდებოდა, რომელთათვისაც ცხელი შანთები ჰქონდა გამზადებული? [„და დემეტრე კლდე-კართა დასუეს, უკანის თულნი დასწუნეს და მოკუდა და მცხეთას დამარხეს“ – ლაშა გიორგის მატიანე, 1955: 367]. ეს, თავის მხრივ, ხომ იმაზე მეტი შეურაცხყოფა იყო, ვიდრე რამაზ მეფემ აკადრა ტარიელს ინდოხატაელთა ბრძოლის წინ. ხატაელი მონარქი სამეფო ტახტს მაინც არ შესცილებია უბადლო მოყმეს და თან ამის გამო მწარედაც დაისაჯა. რა უნდა მოუხერხდეს ფარსადანს, ოდესღაც მამობილს და ახლა კი მტრად ქვეულ მშობელს?.. ტარიელი თათბირზე გონს ვერ იკრებს. ერთადერთი, რასაც ახერხებს, ის არის, რომ საკუთარი თავი გაამხნევოს და გულში თქვას: „ვთქვი: „ჩემგან დაშლა ამისი არ ითქმის, „არ-საქმნელია!“ (ვფხ., 1966: 105, 504). ყველაფერი გაცხადდა, ამირსპასალარისა და ინდოეთის ერთ-ერთი მემკვიდრის მიმართ შეთქმულება უკვე ხილული იყო. ტარიელი მიწას დაენარცხა. რაინდის კეთილსინდისიერება-პატიოსნება ინდოეთის სიუჟეტში, კერძოდ, ამირბარსიელ თხრობაში ძლიერ იმპულსებს იძლევა და, ჩვენი აზრით, XII საუკუნის II ნახევრის საქართველოში დატრიალებულ ტრაგედიასა და იმ მრუდე სამართალზე მიგვანიშნებს, რომელსაც ჯერ დემეტრედემნას გამეფებას მომხრეთა აღშფოთება-აჯანყება [„სპანი იყვნეს რიცხვით უფროს ოცდაათი ათასისა“ [ორბელიანი, 1978: A, 46], შემდეგ კი დავით აღმაშენებლის პირდაპირი სამემკვიდრეო მამრობითი ხაზის თვალთა დათხრა და დასაჭურისება მოჰყვა.

გამოყენებული ლიტერატურა:

- **გარიგება, 1965:** „გარიგება ხელმწიფის კარისა“, ქართული სამართლის ძეგლები, II [ი. დოლიძის გამოცემა], გვ. 80-97, გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, 1965.
- **გოში, 1968:** გოში მხ., ალბანეთის ქრონიკა [თარგმანი ლ. დავლიანიძისა], ქართული წყაროთმცოდნეობა, II, გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, 1968.
- **ვარდანი 2002:** ვარდან არეველი, მსოფლიო ისტორია [სომხურიდან თარგმნეს ნ. შოშიაშვილმა და ე. კვაჭანტირაძემ], საქართველოს ისტორიის უცხოური წყაროები XXXIX, გამომცემლობა „არტანუჯი“, თბილისი, 2002.
- **ვეფხისტყაოსანი 1966:** რუსთაველი შ., „ვეფხისტყაოსანი“ [მიძღვნილი შოთა რუსთაველის დაბადებიდან 800 წლის-თავისადმი], გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, თბილისი, 1966.
- **ლაშა გიორგის მემკვიდრე 1955:** ლაშა გიორგის-დროინდელი მემკ-ტიანე, „ქართლის ცხოვრება“ [ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ], I, გვ. 364-371, გამომცემლობა „სახელგამი“, თბილისი, 1955.
- **ლორთქიფანიძე 1979:** ლორთქიფანიძე მ., საქართველოს საგარეო და შინაპოლიტიკური ვითარება XII ს. მეორე მეოთხედიდან 80-იანი წლების დასაწყისამდე, საქართველოს ისტორიის ნარკვევები, III, გვ. 263-295, გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, თბილისი, 1979.
- **მესხია 1979:** მესხია შ., საშინაო პოლიტიკური ვითარება და სამოხელეო წყობა XII საუკუნის საქართველოში, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 1979.
- **ორბელიანი 1978:** სტეფანოზ ორბელიანის „ცხოვრება ორბელიანთა“-ს ძველი ქართული თარგმანები, საქართველოს ისტორიის წყაროები, IV [ე. ცაგარეიშვილის გამოცემა], გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, 1978.

- **ქეგლ 1955:** ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, რვატომეული [გამოცემული არნ. ჩიქობავას საერთო რედაქციით], IV, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, თბილისი, 1955.
- **ქეგლ 1964:** ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, რვატომეული [გამოცემული არნ. ჩიქობავას საერთო რედაქციით], VIII, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, თბილისი, 1964.
- **წერედიანი 2014:** წერედიანი დ., „ესე ამბავი სპარსული“ კრებულში: „ანარეკლი“, გვ. 7-27, ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა, თბილისი, 2014.
- **ჭილაძე 2014:** ჭილაძე თ., „ვარდის ფურცლობის ნიშანი“ კრებულში: „უკვდავების ათინათი“ [წერილები, ესეები], რედ. ზ. კვარაცხელია, გვ. 42-201, გამომცემლობა „ინტელექტი“, თბილისი, 2014.
- **ჯავახიშვილი 1983:** ჯავახიშვილი ივ., ქართველი ერის ისტორია, თხზულებანი 12 ტომად, II, გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, 1983.

სოსლან სურმანიძე / Soslan Surmanidze¹

გიული ბერიძე / Giuli Beridze²

(ბათუმი, საქართველო / Batumi, Georgia)

სხალთის თემის, სოფელ კვატიის რამდენიმე ტოპონიმის გააზრებისთვის

აბსტრაქტი: ხულოს რაინოს სოფელი კვატია დიდი ისტორიისა და წარსულის მქონე სოფელია, თვითონ სახელი კვატია საინტერესო წარმომავლობისაა, სოფელში არის XIII საუკუნით დათარიღებული ნასაყდრალი, მის ზემოთ მიმდებარე დასახლებას კი სადრიყელი (საყდრისყელი) ქვია დღესაც, სოფლის შესასვლელში არის ქედი, რომელიც ამავდროულად მეზობელი სოფლის საზღვარიცაა, აღნიშნულ ქედს თარანგროს (მთავარანგელოზის) ქედი ქვია, ადრე აქ მთავარანგელოზის სახელობის ტაძარი უნდა ყოფილიყო. რომელიც სტრატეგიული ობიექტიც ყოფილა.

ჩვენს სტატიაში, მომივიხილავთ სოფლისა და მისი რამდენიმე ტოპონიმის შესახებ არსებულ ლიტერატურას, გავაჯერებთ მას ზეპირსიტყვიერი გადმოცემებით და შევეცდებით დავდოთ თანამედროვე, სრულყოფილი დასკვნები სოფლისა და მისი ცალკეული ტერიტორიების შესახებ.

საკვანძო სიტყვები: თარანგელო, საყდრისყელი, ნაჯამვარები, კვატია, საყდარი.

1 ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი / PhD in Philology

2 ფილოლოგიის მაგისტრი / Master in Philology

To Understand Some Toponyms of the Skhalta Community, Kvatia Village

Abstract: Khulo municipality village Kvatia is a village with a long history and past, the name Kvatia itself has an interesting origin, there is a nasaqdral dating back to the 13th century in the village, and the nearby settlement above it is still called Sadrikeli (Saqdrisqeli) today, there is a ridge at the entrance of the village, which at the same time is the border of the neighboring village. the mentioned ridge is called Tarangrlo (Archangel's) ridge, there must have been a temple named after Archangel here. which was also a strategic object. In our article, we will review the existing literature on the village and some of its toponyms, supplement it with oral traditions, and try to make modern, comprehensive conclusions about the village and its individual territories.

Key words: Tarangelo, Sakdrisqeli, Najamvari, Kwatia, Sakdari.



სოფელი კვატია ხულოს მუნიციპალიტეტის, სხალთის თემის ერთ-ერთი ძველი და დიდი ისტორიის მქონე სოფელია, იგი მდინარე აჭარისწყლის ზამლეთი-ხიხძირის მონაკვეთზე, ზამლეთიდან დაახლოებით 20 კმ-ში მდებარეობს ზღვის დონიდან 980-1150 მ. სოფილს კუთვნილი სათიბები და საძოვრები 1500-2000 მეტრამდეა. სოფლად ამჟამად 65-ამდე ოჯახია, სოფელში ფუნქციონირებს სამ საფეხურიანი საჯარო სკოლა.

სოფლის ისტორიის შესახებ სხვადასხვა ცნობილ მკვლევარს აქვს დაფიქსირებული მონაცემები თავიანთ ნაშრომებში: მე-19 ცნობილი მოგზაური, - ზაქარია ჭიჭინაძე სოფელში ითვლის 20 კომლს, სოფლის მცხოვრებლები

ადრე განთქმული მეთოფე-მედამზაჩეები ყოფილან, ეხლა ეს ხელობა დავიწყებას მიცემიაო.

სოფელი ცნობილია ცივი წყლით, სოფლის ცენტრში გადმოდის ანკარა წყარო, რომელიც წელიწადის ყველა სეზონზე ცივი და გემრიელია, მოცემულ ფაქტს ადასტურებს გიორგი ყაზბეგი თავის ნაშრომში „სამი თვე თურქეთის საქართველოში“.

სოფელზე გადიოდა მოკლე აბრეშუმის საქარავნე გზა, ბათუმიდან შავშეთისა და არდაგანის მიმართულებით. უფრო ადრეული ცნობების შესახებ ინფორმაცია მოგვეპოვება 1578 წლით დათარიღებულ ცნობილ „აჭარის ლივის ვრცელ და მოკლე დავთარებში“ სადაც ჩამონათვალში, სხვა სამეზობლო სოფლებთან ერთად სოფელი კვატიაც არის ნახსენები სადაც 4 კომლი ცხოვრობს, რომლებიც დავთირს მიხედვით გადასახადს იხდიან 12000 თურქული ფულის ერთეულს (აჩხა), ნახსენებია წყლის წისქვილი, რაც ადასტურებს იმ დროისათვის წისქვილის არსებობას. დღის მდგომარეობით, იგივე ადგილას დგას 3 წყლის წისქვილი.

ხელთგვაქვს „აჭარალივისვრცელიდამოკლედავთრები“, რომლის მიხედვითაც, კვატია ზემო აჭარის სოფელია, ცხოვრობს 4 მოსახლე, მონაცემების მიხედვით 2 წყვილი მამა-შვილი უნდა იყვნენ. ასევე მოცემულია კონკრეტული შემოსავლები და გადასახადები. აღნიშნული მონაცემები უტყუარია, რადგან თვით თურქების მიერ არის შედგენილი, როდესაც ისინი შემოვიდნენ აჭარაში. ბუნებრივია თურქები არ დააკლებდნენ მოსახლეს ან შემოსავალს სოფელს, რადგან ეს მათი ბიუჯეტი იყო, მათი შემოსავლის წყარო. საინტერესოა, მოსახლობა უფრო მეტი იყო და ვინც მაჰმადიანობა არ მიიღო დახოცეს, თუ ნამდვილად 4 კომლი ცხოვრობდა. მეტი ალბათობით ბევრი მოსახლე უნდა ყოფილიყო, უმეტესობამ

არ დათმო თავდაპირველი რელიგია და მსხვერპლად შეეწირა ქრისტეს რჯულს. ეს ფაქტი ზოგადად აჭარის საერთო პრობლემა და გამოწვევა იყო. ვინც მიიღი მაჰმადიანობა დარჩა ქართველად, შეინარჩუნა ენა და ქართული კულტურა, არ ასიმილირდა სხვა ერში. 1877-1878 წ.წ. რუსეთ თურქეთის ომის შედეგად კი აჭარა დედასამშობლოს დაუბრუნდა და გარდა იშვიათი, უვიცობით გამოწვეული გამონაკლისებისა არ ყოფილა ურთიერთობის ბარიერები ქართველებს შორის.

(შაშიკაძე, მახარაძე, 2011:64).

სამწუხაროდ სოფლის შესახებ უფრო ადრეული ცნობები არ მოგვეპოვება, მეტი ალბათობით განადგურდა თურქთა 300 წლიანი ბატონობის დროს.

სოფლის ცენტრიდან დაახლოებით 200 მეტრში არის ნაეკლესიარი, ნასაყდრალი, რომელიც XI-XIII საუკუნეებით თარიღდება, რაც ადასტურებს იმას, რომ სოფელი კვატია ძირძველი, დიდი ისტორიის მქონე სოფელია, რომელსაც ჩვენი დაკვირვებით თამარის დროიდან სტრატეგიული მნიშვნელობაც უნდა ქონოდა.

მოცემულ სტატიაში ჩვენ გვინდა თქვენი ყურადღება გავავმახვილოთ სოფლის რამდენიმე ტოპონიმის შესახებ:

საინტერესოა, თვით სოფლის სახელის შესახებ არსებული ვარიაციები, ერთი ვარიანტის მიხედვით: სანამ სოფელი დასახლდებოდა, მონადირეები გადმოსულან შუბნის მხრიდან, მოსულან ზედა უბანში, თანამედროვე მეჩეთის მიმდებარე ტერიტორიაზე, სადაც ტბა ყოფილა. ერთი მონადირე უკან ყოფილა, პირველად ტბასთან მისულს ფრინველი დახვედრია ტბაში, უკანას დაუძახია ბატია თუ კვატია, აქიდან სოფელს შერქმევია სახელი „კვატია“, მეორე ვარიანტის მიხედვით, რადგან სოფელი ძირითადად ქვა და ტყეა,

15. სოფელი კვატია, ექვემდებარება ზემო აჭარას.

სიმონ ძე მამაგელის
სელმან ძე მისი
არაქელ ძე თოროზისა
გოგიჩა ძე მისი

ჯამი - 12000

ისფენჯი - 4 კაცი, 100
ხორბალი - ქილა 500, ღირებულება 5000
ქერი - ქილა 500, ღირებულება 4000
ფეტვი - ქილა 25, ღირებულება 200
კაკალი - ქილა 5, ღირებულება 100
შირა - მანი 50, ღირებულება 300
გამოსაღები ხილზე 200
გამოსაღები იონჯასა და თივაზე 350
გამოსაღები ბოსტანზე 150
გამოსაღები კანაფზე 130
გამოსაღები თაფუსა და დეშთიბანზე - 350
გამოსაღები ღორზე 150
გამოსაღები ფუტკარზე 250
გამოსაღები იალალზე 150
წისქვილი ერთი თვალი 6 თვით 30
გამოსაღები მურახხასიე 8
ბადჰავა და საქორწინო გამოსაღები 462

ინფორმაცია სოფელის შესახებ, „აჭარა ლივის“ მონაცემების
მიხედვით

ქვატყიანია, აქიდან მიგვიღია ტოპონიმი „კვატია“, თუმცა ჩვენ პირველი ვერსია უფრო სარწმუნოდ მიგვაჩნია.

ქალაქიდან მომავალთ, სოფლის შემოსასვლელში შეგხვდებათ ქედი, რომელიც თავის მხვრივ სოფელ კვატიისა და სოფელ წაბლანის საზღვარიცაა, აღნიშნულ ქედს ქვია თარანგელო. ტერმინი თარანგელო მთავარანგელოზთან ასოცირდება და ბევრგან გვხვდება ქრიტიანულ ცნობიერებაში, (მაგალითად დიდაჭარაში ადგილს, რომელსაც უწოდებენ წმ. ანდრია მოციქულის ნატაძრალს ქვია თარანგელო).

ჩვენი წინაპრების გადმოცემით, თარაგელოს სერზე, სავალი გზის ცოტა ზემოთ, სადაც მცირედი დავაკება ახლაც შეინიშნება, იყო ზარების საკიდი. სავარაუდოა, რომ ამ ადგილას მთავარანგელოზის ტაძარი უნდა ყოფილიყო. თარანგელოს სტრატეგიული დანიშნულება უნდა ქონოდა, რადგან მისი შემადგენელი ადგილმდებარეობიდან გამომდინარე, პირდაპირ უყურებს კვატიის ნასაყდრალს, ასევე შეიძლება ზარის ხმას (ცეცხლის შუქს) მიეღწია ვერნების ნაეკლესიარამდე. უეჭველი ფაქტია, რომ თარანგელო სტრატეგიული ჯაჭვის, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი რგოლი იყო. აქვე დადასტურებულია, რომ მტრის შემოსევის დროს, ძირითადად ამბის გავცელების ძირითადი წყარო იყო კოშკურებზე ცეცხლის დანთება, მაგრამ ცუდი ამინდის (წვიმა, ნისლი) შემთხვევაში ხშირი ზარების რეკვით გამოხატავდნენ განგაშს. ასე რომ ჩვენი ვარაუდით, თარანგელო უნდა ყოფილიყო ერთ-ერთი ძირითადი რგოლი ცნობილ სტრატეგიულ კოშკურების ჯაჭვში.

როგორც აღვნიშნეთ, სოფლის ცენტრიდან 200 მეტრში, წყაროსთავზე არის ნაეკლესიარი, მოსახლეობა ამ ადგილს საყდარს უწოდებს, ნასაყდრალი თარიღდება XI-XIII საუკუნეებით, ხალხის ცნობით, ტაძრის კედლები

XX საუკუნის 60-იან წლებამდე ყოფილა, შემდეგ ზოგი დანგრეულა, ზოგიც დაუშლიათ მიმზიდველი ჩუქურთმების გამო და თავის მშენებლობებზე გამოუყენებიათ, (თუმცა ახლო-მახლო სახლებსა და მშენებლობებზე მსგავსი ფაქტები არ დასტურდება).

ნაეკლესიარის შესახებ ინტერნეტ სივრცეში არსებული ინფორმაციის მიხედვით ნაეკლესიარს ქვია საყდრისყელი „კვატიის ნაეკლესიარი - მდებარეობს აჭარაში, ხულოს მუნიციპალიტეტის სოფელ კვატიაში, სოფლის ცენტრიდან 200 მეტრის დაშორებით, შემალლებულ გორაზე, რომელსაც ადგილობრივები საყდრიყელს უწოდებს“ <https://georgiantravelguide.com/ka/kvatias-naeklesiari>, რაც შეცდომაა, „სადრიყელი“ ქვია ნაეკლესიარის ზემოთ, მიმდებარე ფერდობზე დასახლებულ უბანს, სადაც 7-8 მოსახლე ცხოვრობს ამჟამად. ტერმინი სადრიყელი უნდო იყოს „საყდრისყელის“ ფორმაცვალებადობის შედეგი.

ადრესოფლისცენტრიდაახლოებითიმტბისმიმდებარედ ყოფილა, რომლმაც სოფელის სახელდებაში დიდი როლი ითამაშა. აქ გადიოდა ზედა სოფლებთან დამაკავშირებელი ცენტრალური გზა, აქვე ყოფილა ოთხკლასიანი დაწყებითი სკოლა, რომელიც 1929 წელს გახსნილა, ყოფილა მეჩეთი, ჯამე. მეჩეთი შემდგომ ცოტა ქვევით გადმოუტანიათ, თუმცა ადგილს დღესაც ნაჯამვარების ეწოდება, რაც მეჩეთის, ჯამის ყოფილ ადგილსამყოფელს ნიშნავს.

სოფელში კიდევ ბევრი საინტერესო ტოპონიმია შესასწავლი, რაც შემდგომი კვლევების საგანია.

კვატია, თავისი ღირშესანიშანობებით, ისტორიული წარსულითა და გულთბილი მოსახლეობით ხიბლავს და იწვევს ტურისტებს, როგორც ადგილობრივი, ასევე სხვადასხვა ქვეყნებიდან.

გამოყენებული ლიტერატურა და წყაროები

- **ყაზბეგი, 1995:** - ყაზბეგი გ., „სამი თვე თურქეთის საქართველოში“, ბათუმი, აჭარა, 1995.
- **შაშიკაძე, მახარაძე, 2011:** - შაშიკაძე ზ, მახარაძე მ., „აჭარის ლივის ვრცელი და მოკლე დავთრები“, თსუ-ს გამომცემლობა, თბილისი 2011.
- **ჭიჭნაძე, 1913:** - ჭიჭნაძე ზ., „მუსლიმანი ქართველები და მათი სოფლები აჭარაში“, თბილისი 1913.
- **იმოგზაურე საქართველოში**, კვატიას ნაეკლესიარის შესახებ.
<https://georgiantravelguide.com/ka/kvatias-naeklesiari>

მამია ვარშანიძის „პოეტური აღმოთქმა“

აბსტრაქტი: მხატვრული შემოქმედების ნიმუში სხვადასხვაგვარი ხედვის, შეგრძნებისა და გააზრების საშუალებას იძლევა. ამ მხრივ გამორჩეული და სახასიათოა მამია ვარშანიძის პოეზია, მისი გულშიჩამწვდომი, ემოციური, ძარღვიანისიტყვით, თქმის სიმძაფრით. ის განსაკუთრებული ხელწერის პოეტია და მისი ნაფიქრ-ნააზრევის გაცნობა, შეძლებისდაგვარად გათავისება, ყოველთვის სიახლის მომცემია.

მამია ვარშანიძის სულის ლირიკული მატიანეა მისი ლექსები. ამ ლირიკულ მატიანეზე თვალის გადავლება, კიდევ ერთხელ შეგვახსენებს იმ „პოეტურ აღმოთქმას“, რასაც ტაო-კლარჯეთის, სამხრეთ საქართველოს ტკივილი ჰქვია. ლექსის თითოეული პწკარედის წაკითხვისას, პოეტის ერთად მის ფიქრთა მდინარებას მიჰყვები. მისი პოეტური აღმოთქმა უდიდესი ესთეტიკური ზემოქმედების მომხდენია. თანაზიარი ხდები მისი შემოქმედებისა და ამ თემაზე შექმნილი ლექსების ყოველი ახალი წაკითხვისას, ისევ ძლიერი ემოციით იმსჭვალევი, ტკივილი ცოცხლდება, გიათკეცდება. მკითხველსაც ჩაესმის ტაოს, ბანას, არტანუჯის, ოშკის, ხახულის თხოვნა-ვედრება, საშველად ხმოვა. ტკივილიანი ტაო-კლარჯეთის თემა მისი პოეზიის მთავარი ძარღვია.

1 ფილოლოგიის დოქტორი, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტი, მთავარი მეცნიერთანამშრომელი / PhD in Philology, Chief scientific Researcher, Niko Berdzenishvili Institute of Batumi Shota Rustaveli State University

ნაშრომში, სწორედ, მისი თემატური მრავალფეროვნებით გამორჩეული პოეზიის ამ ტკივილიან საკითხზეა საუბარი.

საკვანძო სიტყვები: პოეზია, ტაო-კლარჯეთი, ესთეტიკური ზემოქმედება.

Mamia Varshanidze's "Poetic Utterance"

Abstract: The pattern of artistic creation allows for different kinds of vision, feeling and understanding. In this regard, Mamia Varshanidze's poetry is distinctive and characteristic, with her heart-touching, emotional, veined words, with the might of the words. He is a poet of exceptional style and it is always refreshing to get to know his thoughts, to absorb as much as possible.

Mamia Varshanidze's poems are the lyric chronicle of his soul. Glancing at this lyrical chronicle will once again remind us of the "poetic utterance" that is called the pain of Tao-Klarjeti, South Georgia. As you read each line of the poem, you follow the poet's flow of thought. His poetic expression has a great aesthetic impact. You become a participant of his creative works with each new reading of his poems on this topic, you are filled with strong emotions again, the pain comes alive, which is ten times sharper. The reader will also hear pleas and cries of Tao, Bana, Artanuji, Oshki, Khakhuli's asking for help. The theme of painful Tao-Klarjeti is the main vein of his poetry. The represented work is about this painful issue of poetry, distinguished by its thematic diversity.

Key words: poetry, Tao-Klarjeti, aesthetic impact



ქართული მუზათა საუფლოს ერთ-ერთი გამორჩეული ხმაა მამია ვარშანიძის პოეზია. გულშიჩამწვდომი და თბილი, სათუთი და ტკივილიანი, სიყვარულითა და მზიანი გულით

ნასაზრდოები ლექსის პწკარედები ემოციურ რკალში ახვევენ მკითხველს. ერთგან პოეტი წერდა: „ჭემმარიტი პოეტის ნატვრა უნდა იყოს, შექმნას ისეთი წიგნი, კაცს მისი წაკითხვა რომ ესაიმოვნება, ეიმედება, შეაყვარებს ადამიანს, ბუნებას, სამშობლოს, ვაჟკაცობას, სიკეთეს, მშვენიერებას“ დამართლაც, ასეთი გრძნობებით მდიდარი პოეზია დაგვიტოვა პოეტმა, ალალმართალი და მარღვიანი; პოეზია, რომელიც მისი საფიცარ-სათაყვანებელი, მისი წმინდა ტაძრის-პატარა, მაგრამ მძლავრი, ქედუხრელი მამულის, სამშობლოს უსაზღვრო სიყვარულით საზრდოობს და წარსულ ტკივილებსაც აცოცხლებს: „ალალ იყოს შენთვის ჩემი სიცოცხლე და ჩემი საგალობლები, ხან სევდიანი და ხან აღტაცებული გულით ღოცვასავით თავდავიწყებით და ჩურჩულით აღმონათქვამი“ - ეჩურჩულ-ეფიცებოდა პოეტი თავის სამშობლოს და ეს არის ის აღმოთქმა, რომელიც ტკივილითაა გაჟღენთილი, იმ გაუსაძლისი, ზღვარდაუდებელი ტაო-კლარჯული ტკივილით, რომელიც ამოძახილის ხმასვე ახშობს. ამიტომ შემთხვევითი არც ისაა, რომ გიორგი ლეონიძემ მას სულის პოეტი, აჭარის მოუშუშებელი ტკივილების მგოსანი უწოდა, ხოლო შემოქმედებას - აჭარის საგალობლები (ვარშანიძე, 1989:28).

მ. ვარშანიძის პოეზიაზე საუბრისას იპოლიტე ვართაგავა აღნიშნავდა: „არავინ ისე მგზნებარედ, მთელი მისი არსებით და განცდებით არ შეუპყრია... მარად ცეცხლოვან გრძნობას, რომელსაც სამშობლოს სიყვარულს უწოდებენ, როგორც მამია ვარშანიძე“ (ვართაგავა, 1991:13). ამ გრძნობას კი, უფრო მეტად ამძაფრებდა სამხრეთ საქართველოს ისტორიული ავბედითობა.

დიახ, მამია ვარშანიძის პოეზიის ერთ-ერთი მთავარი მარღვია სამხრეთ საქართველოს, ტაო-კლარჯეთის თემა.

ერთგან პოეტი წერდა: „სიშმაგე მიპყრობს, როცა სამხრეთის საზღვართან შევჩერდები“ და სწორედ, ეს გაშმაგებული სატკივარი ყოველ პწკარედში იკითხება.

ეს თემა განსაკუთრებით მგრძნობიარე, სათუთი ნერვი თუ ატოკებაა ჩვენი კუთხის შემოქმედთათვის. ბუნებრივია, გულგრილი ვერც მ. ვარშანიძე დარჩებოდა. მისი შემოქმედება დაყურსულია ამ თემაზე შექმნილი ლექსებით. მისი ლექსების ერთიან კონაში ტაო-კლარჯეთის, სამხრეთ საქართველოს თემაა მთავარი. როგორც თავად წერდა: „ვიღაც ორჭოფულად ჩამძახის,- შენი მუზა თავს დასტრიალებს მხოლოდ სამხრეთ საქართველოს. ამ შენიშვნაში სიმართლის მარცვალიცაა. ზოგიერთი (არა მარტო პოეტი) ძალიან გაგვიტაცა სამხრეთ საქართველოს ტრაგიკულმა წარსულმა... ამ უზომო ლტოლვამ შექმნა აგრეთვე ჩვენს შემოქმედებით სამყაროში ერთფეროვნებაც... შემოქმედს უკვდავებას ნიჭი ანიჭებს და არა თემა... ნებისმიერი მოტივი ან თემა საერთოა, საყოველთაოა ყველა შემოქმედისათვის და არა ერთი რომელიმეს „საკუთრება“...ერთსა და იმავე თემაზე შეიძლება დაიწეროს ასი ლექსი, მოთხრობა, ნოველა ასი სხვადასხვა ხელწერის ავტორის მიერ და თითოეული მათგანი ქებათქების ღირსი იყოს. ყველაფრად ღირს მაღალადამიანური, გულწრფელი, უანგარო სიტყვა და არც უნდა მოვანატროთ ეს ადამიანს... და ვაჟა ფშაველას არ იყოს: „ნუ შეგაშინებთ, არ გავნებსთ, მთიდან ყვირილი ირმისა“.

დიახ, პოეტის ფიქრთა მდინარება მიყვება ტაო-კლარჯეთის თემას და მისი პოეტური აღმოთქმა უდიდესი ესთეტიკური ზემოქმედების მომხდენია მკითხველზე. ჟრუანტელს გგვრის, გიპყრობს, თანაზიარი ხდები შემოქმედებისა და თითქოს, პოეტის სულის ღირიკულმატიანეს ფურცლავ. და ჩვენც გავყვეთ ამ პოეტურ აღმოთქმას,

რამეთუ „ის, რასაც ჭეშმარიტი პოეზია ჰქვია, შუამავალს არ საჭიროებს. კრიტიკოსი მხოლოდ ხელს უშლის ინტიმურ დიალოგს პოეტსა და მკითხველს შორის, წყვეტს იმ იდუმალ ძაფს, ხელოვნების უნატიფეს ქმნილებასა და მკითხველს შორის რომ იბმება... ლირიკული ლექსი მთელი არსებით უნდა შეიგრძნო, შეიტკბო, გაითავისო...“ (მახაჭაძე, 2019 : 269).

დიახ, შეიგრძნობ, შეიტკბობ პოეტის ლირიკულ მუსაიფს და რწმუნდები, რომ პოეტის გული იტევს დიდ ტკივილს, მწუხარებას, დაკარგული კუთხეების გოდების ზარი რეკავს მის სულში. იმავდროულად, იმედის, სიყვარულისაა მისი გული; გული, რომელიც სამშობლოს მიუძღვნა და მშობელ მხარეს ანაცვალა. აკი კიდეც ამბობს: „ მე მიხარია, რომ აჭარა არის ტაძარი და გული ჩემი ამ ტაძარში ანთია ლამპრად“. დიახ, ლამპარია მისი გული. გული, რომელიც ლამპრად დაუნთო მთელ საქართველოს, ლამპრად დაუნთო „დედის ალერსსა და მოფერებას მონატრებლი“, ბავშვობიდანვე ობლად აქვითინებული გული ჩვენს სამხრეთ საქართველოს. ჯავრიანია მისი გული, განა პატარაა ეს ჯავრი?! ჯავრი მზის ჩასვენების ტოლფასია, რამეთუ:

„გამოდმა ჩემი მარადიდია,
და გალმა შენი მარადიდია,
და სიყვარულიც მარად დიდია...

ჩემი საწუთროს მდინარეები
მიდიან... მიდიან... მიდიან...“ (ვარშანიძე, 1986: 22).

აი, რატომაა სევდიანი ჭოროხი, აი, რა დარდები მოაქვს გალმა კუთხიდან აქ ჩვენთან ჭოროხს, აი, რატომ მოიჩქარის ჭოროხი აქეთ და რას ბუტბუტებს:

„ ნეტავ ჭოროხი, რას ბუტბუტებს?!
შენი დარდები გამოაყოლე?!
ვერ ჩაგიხუტებ, ვერ ჩამიხუტებ,

რა ვქნა?! ის შავი ლოდი გვაყოვნებს...” (ვარშანიძე, 1986: 22).

ასეთი ფიქრებითაა პოეტის გული ცხელი. მისი ლექსის პწკარედები სწორედ ასეთი ცხელგულიანი ამოძახილია, ტკივილიანი გულით ამონაკვნესი. მხატვრული ხერხებიც ეს ტკივილია, სხვა ფუნჯი არ სჭირდება პოეტს. თუმცა ამაყია, რომ სამხრეთ საქართველო, ტაო-კლარჯეთის მიწა დიდი მადლითაა გაჟღენთილი:

„ შავთელი და ოპიზარი, ვიცი, გაგეგონება,
ჩვენი მიწის, ჩვენი ცის ფერთა სიმთა მზაძველნი,
აჭარისკენ ქვა რომ გადმოგორდება,
იქ კლარჯეთში კანკალებენ ტაძრები,
ტაძრები თუ მათი ფერფლი მიწაში,
ვინ წაშალა, ვინ წაშლის?!“ (ვარშანიძე, 1986:24).

უკეთ თქმა შეუძლებელია. კანკალებენ ტაძრები, კანკალებენ ქართული სიტყვის ნატრულები, კანკალებენ ქართული ლოცვის გალობის ჰანგს დანატრულები, კანკალებენ ქართული ლოცვის მადლს მოწყურებულები, ქართული ლოცვის მადლით გაუცხოებულ-მშვიდნი, მაგრამ ეს აკანკალებული ტაძრები, თუნდაც მათი ნაფერფლიც კი მიწაში, ხომ დიდი ისტორიაა, როგორც პოეტი იტყოდა, ჩვენი დედულ-მამულისა. რა წაშლის ხანძთელის, მტბევართა, ოპიზართა, შავშეთელთა, ბანელთა... ნაკვალევ-ნატერფალს. მათი ფერფლიც კი მეტყველია და ხშიანდება დიდი ისტორიის ნაწილი.

ღელავს პოეტის გული, როგორ შეძლებდა მშვიდი ყოფილიყო. ძახილი, ჩვენი დაკარგული კუთხეების ძახილი მოსვენებას აკარგვინებს, ამ ძახილის ექო ხშიანდება პოეტის მთრთოლვარე სულსა და გულში:

„ ზღვაო, შენ მეძახი, შენ მეძახი, სარფო?
აგერ კლარჯეთი და აგერ ჩემი ტაო...
თქვენ შთამბერეთ სული, მე რა მოგიტანოთ?

ჰგოდებს ჟამთ სიავით დარბეული კოშკი...

ხმაა თითქოს ოშკის თუ ხახულის აჯა?!“ (ვარშანიძე, 1986: 77).

დროის მდინარებას თან მიჰყვება ტაო-კლარჯული დარდი. ამ დარდმა პოეტი დაადნო და მის მიერ აჟღერებული სალამურიც ამ დარდიან სიმღერას დაკვნეს. თვალგამამდარს, ლამაზი ჩუქურთმების მზერით გამთბარ პოეტს სევდით ჩაჩურჩულებს ჩუქურთმები. თუ რას ეჩურჩულებიან, რა მუსაიფ-ბაასი გაუბამთ პოეტთან, არაა მნელი ამოსაცნობი. მათ ხვაშიადს უზიარებენ და ხელს უქნევენ. მათი მონახულების მწყურვალ პოეტის სიტყვებით რომ ვთქვათ:

„ჩამოვუქროლო ბანას და ხახულს,
და ვეამბორო ტაძრებს მიწადქმნილს,
ჩუქურთმებს დადლილს და გადანახულს,
ჩემი სულისა ხატად ვიწამებ“ (ვარშანიძე, 1986: 118).

ასეთი კრძალვით ეფერება პოეტი ჩვენს სააკვნეს. დაობლებული, მშობლიურ სუნთქვა-სურნელებას მოწყვეტილი ტაო-კლარჯეთი, შავშეთ-ლაზეთი მხოლოდ შორიდან საალერსოდდაგვრჩენია. ვერადავერჩაიკლავს დარდიპოეტმა. ისღა დარჩენია, ძირძველ ქართულ მიწას, შორს დარჩენილ ქართულ ცას, გაღმა დარჩენილ საქართველოს გულს თავი ანაცვალოს. პოეტის სულში უკვე ჩათესლილა დიდი ტკივილი. უტაოკლარჯეთოდ გულმკერდმოგლეჯილია საქართველო. მგლოვიარეა ქართლის დედა. შვილდაკარგული დგას და ობლად დარჩენილი შვილების დაბრუნებისა და გულში ჩაკვრის მოლოდინშია და ისევ პოეტს მივაყურადოთ:

„დედავ, იცი ვინ ვარ, და რად დავაყოვნე,
აჭარიდან მოველ, შავშეთიდან მოველ, ლაზეთიდან
მოველ,
კლარჯეთიდან მოველ და ტაოდან მოველ.

მე უდედოდ ვიყავ, დედავ, ძლივსლა გპოვე,
დედავ, ჩამიხუტე, მე ტანჯული მოველ.
შენ მეხვევი, მკოცნი, მეფერები ტკბილად:
-შვილო ჩემო, მითხარ, ჭრილობა კვლავ გტკივა?!
-მტკივა დედავ, მტკივა, მაგრამ გამძლე კი ვარ,
-მომეხუტე შვილო, სულსაც დავთმობ შენდა!-
ვებვევი და ვკოცნი ჩემს დიდ ქართლის დედას“
(ვარშანიძე, 1986:139).

პოეტი ფიქრით, გულით ისევ სამხრეთ საქართველოს
დატრიალებს. მისი თვალსაწიერია ბანა, ხახული, ოშკი,
არტანუჯი... თავად ტაო-კლარჯეთის ნაწილია, ტაო-
კლარჯული სისხლი დუღს მასში, სუნთქვაა შავშეთისა და
ჭანეთის. ტაო-კლარჯეთზე მოტრფიალე და მშფოთვარე მისი
გული გმინავს, რადგან ტაძრებმა ემბაზები ვერ მოასხურა და
ვაითუ, ქართველმა ვეღარ გაახაროს ძველი მესხურით:

„აქეთ შენ ხარ აჭარავ, იქით-ოთხი შენი ძმა,
შავშეთ-ტაო-კლარჯეთი და ლაზიკა ნაღვლიან,
გვიცქერიან, გვიხმობენ...
ეს ხმა მომდის გაღმიდან?!
როგორ მომნატრებია, ძმის გულისკენ გზა მინდა,
გულში ჩახუტება და სიყვარულის ზღვა მინდა“
(ვარშანიძე, 1986:141).

ხელაპყრობით სამშობლოსათვის მლოცველ პოეტს ტკივა
სიმუხთლით წელში გადაჭრილი კუთხეების სატკივარი, ტკივა
მამულ-დედულის ტკივილი, რამეთუ ქართული იავნანათი
ნარწევი აკვნის მიწაა შუა გაპოზილ-დაქუცმაცებული. გულს
უკლავს სევდა ნაჭრილობევი ქვეყნისა, მალამოს დაემეხს,
უყოყმანოდ თავსაც გასწირავს: „ერთკაკალა გული მაქვს და
მოვკვდე თუ არ შემოგწირო“ - შეგვახსენებს პოეტი.

სურვილი - ტაოს, ბანას, არტანუჯსა თუ სხვა ტაძრების ბზარი გაამრთელოს, მხოლოდ სურვილია. დრო-ჟამით დარბეული ტაძრების წუხილი ტანჯვას უათკეცებს და ლამის ჰგოდებს პოეტი. მუდამ ჩაესმის ყურში ოშკისა და ხახულის თხოვნა-ვედრება, საშველად იხმოზენ. მთელი გულისყური სამშობლო ქვეყნის მაჯისცემისათვის მიუყურადებია: „ქვეყანავ ჩემო, შენი ნერვების მეათასედი რხევანიც მესმისო“ და ყველაზე ძლიერი რხევა ნერვებისა ისევ და ისევ ტაო-კლარჯეთია. სულის მალამოდ ისღა დარჩენია, რომ „ჩაღმა ჩაყრილ ვენახების დიდი დედა აჭარა“, „ხორუმის და განდაგანას მოცეკვავე“ აჭარა დედასამშობლოს ჩაუკრავს გულში:

„შავშეთი რომ გაღმა დარჩა,
მაგიერი აჭარა ვარ,
ტაო ჩვენი გაღმა დამრჩა,
მაგიერი აჭარა ვარ,
კლარჯეთი რომ გაღმა დამრჩა,
მაგიერი აჭარა ვარ,
ლაზეთი რომ გაღმა დამრჩა,
მაგიერი აჭარა ვარ.
გულში ასჯერ ნატყვიარი,
ქედუხრელი აჭარა ვარ,
ქართულისთვის რომ მაწამეს,
ის ტანჯული აჭარა ვარ“ (ვარშანიძე, 1986: 27).

შიდიღება თამამად ითქვას, რომ მამია ვარშანიძის სულის ლირიკული მატიანეა მისი ლექსები. ტაო-კლარჯეთის სევდა-ტკივილი ამ ლირიკული მატიანეს ყველაზე მძაფრი, სულისშემძვრელი პოეტური აღმოთქმა.

მამია ვარშანიძის პოეზიის კითხვისას ყოველთვის გვახსენდება ერთი თქმულება: ჩონგურზე დამკვრელი სიმღერისაგან დაიწვება, დაიფერფლება. მისი გულისწორი

დასტირის და თმები შეეხება ფერფლში ჩარჩენილ ნაკვერცხალს, ააღდება და ისიც დაიწვება. სწორედ ასეთი თანაზიარობის, აალებისა თუ დაწვის ძალისაა მამია ვარშანიძის პოეზია, როცა ის ჩვენს მოუშუშებელ ტკივილზე გვესაუბრება.

გამოყენებული ლიტერატურა:

- **ვართაგავა, 1991:** - ვართაგავა ი., „სული, გული, შეგნება და მხნეობა მამა-პაპური“; იხ. წიგნი, მ. ვარშანიძე, „პოეტის წუთისოფელი“, აჭარის ჟურნალ-გაზეთების გამომცემლობა, ბათუმი, 1991.
- **ვარშანიძე, 1986:** - ვარშანიძე მ., „ჩემს ტაძარში“, გამომცემლობა „საბჭოთა აჭარა“, ბათუმი, 1986.
- **ვარშანიძე, 1989:** - ვარშანიძე მ., მე შავშელი ვარ, გამომცემლობა აჭარა, ბათუმი, 1989.
- **მახაჭაძე, 2019:** - მახაჭაძე შორენა, „ტაო-კლარჯეთის ბოკვერი ვარ ბღეზი ბეწვებით...“ (ფიქრები ზურაბ გორგილაძის პოეზიაზე), პირველად იყო სიტყვა, გამომცემლობა „ივერიონი“, ბათუმი, 2019.

ანნა ყურშუბაძე / Anna Kurshubadze¹

ალექსანდრე ქარცივაძე / Aleksandre Kartsivadze²

(ბათუმი, საქართველო / Batumi, Georgia)

საკმევლის სამკურნალო თვისებებთან დაკავშირებული საკითხის გააზრებისათვის

აბსტრაქტი: ნაშრომში ყურადღებაა გამახვილებული საკმევლის სამკურნალო თვისებებზე. მის გენეზისზე, რამეთუ მის გამოყენების არტეფაქტებს ჯერ კიდევ წარმართულ რელიგიაშიც ვხდებით. ყოველივე კი ცხადყოფს, რომ მედიცინა ჯერ კიდევ უხსოვარი დროიდან იყენებდა საკმევლს, გუნდრუკს, სამედიცინო დანიშნულებით.

ასევე განხილულია მისი გამოყენების ისტორია რელიგიათა განვითარების საფეხურებზე, რამეთუ მას წარმართული რწმენა-წარმოდგენებიდან მოყოლებული თითქმის ყველა რელიგია იყენებდა თავისი ინტერესებისათვის, რომელსაც ადასტურებს წმინდა წერილები თუ ისტორიული წყაროები.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, საკმევლის, როგორც სამკურნალო ნივთიერების გამოყენების საკითხი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი თემაა, რომელიც აქტუალობას არცერთ ეპოქაში არ დაკარგავს. შესაბამისად, საკმევლთან დაკავშირებული თემა მკითხველთათვისაც საინტერესოა და ჩვენი საკვლევი თემაც სწორედ ესაა.

საკვანძო სიტყვები: საკმევლი, ძველი აღთქმა, ბიბლია, მედიცინა, სამკურნალო თვისებები.

1 ბაუ ბათუმის საერთაშორისო უნივერსიტეტი / BAU International University Batumi

2 ბაუ ბათუმის საერთაშორისო უნივერსიტეტი / BAU International University Batumi

Relating to the Issue Linked to the Healing Properties of Incense

Abstract: The paper aims to highlight the healing properties of incense. on its genesis, for we find artifacts of its use even in pagan religion. Based on all the information we gathered medicine has been using incense, gundruk, for medical purposes since time immemorial.

The history of its use in the stages of the development of religions is also discussed, since it was used by almost all religions for their own interests, starting from pagan beliefs, which is confirmed by scriptures and historical sources.

Based on the above, the issue of using incense as a medicinal substance is one of the important topics that will not lose its relevance in any era. Accordingly, the topic related to incense is interesting for readers as well, and this is our research topic.

Key words: Incense, Old Testament, Bible, medicine, healing properties.



კმევის, მსხვერპლთშეწირვის, მნიშვნელობასა და დანიშნულებაზე ჯერ კიდევ საუბარია „წიგნნი ძუელისა აღთქუმისან“-ში, სადაც მოთხრობილია უფლის რჩეულის ნოეს გადარჩენის ამბავი წარღვნისას. მაშინ, როდესაც უფლის რჩეული, ნოე წარღვნას გადაურჩა, უფლის დანარიგები პირნათლად შეასრულა და დარწმუნდა იმაში, რომ წარღვნა დამთავრებული იყო... „ნათესაობისაებრ მათისა გამოვიდეს კიდობნისაგან და აღუშენა ნოე საკურთხეველი ღმერთსა და მოიღო ყოველთაგან საცხოვართა წმიდათა და ყოვალთაგან მფრინველთა წმიდათა და ყოველთაგან ფრინველთა წმიდათა და შეწირნა იგინი ყოვლათ ნაყოფებად საკურთხეველსა ზედა. და იყნოსა უფალმან ღმერთმან სული სურნელებისა

და თქუა უფალმან ღმერთმან: შევინანე, არღარა შევსძინო მერმედ წყევად ქუეყანისა საქმეთათჳს კაცთასა, რამეთუ შეყოფილ არს მომგონებლობა კაცისა მოსწრაფებით ბოროტთა და სიჭაბუკითგან მისით” (წიგნნი ძუელისა აღთქუმისანი, ნაკვეთი I შესაქმისაი გამოსვლათაი გამომცემლობა მეცნიერება, 1989: 82). არსებული წყარო დასტურია, იმისა რომ ამ მცენარეებისაგან დამზადებულ ნივთიერებებს უფალი შეიწირავს, მათ ღვთის მადლი და კურთხევა გადმოაქვთ ადამიანებზე. მასალათა მიმოხილვამ ერთხელ კიდევ ცხადყო, რომ საკმეველი ოდითგანვე გამოიყენებოდა, როგორც რელიგიური ხედვით, ასევე კურნების, მკურნალობის თვალსაზრისითაც.

საღვთო წიგნის, ბიბლიაში არსებული წყაროების - მათეს სახარების მიხედვით, „როცა იუდეის ბეთლემში დაიბადა იესო ქრისტე, ჰეროდის მეფობის ჟამს აღმოსავლეთიდან მოვიდნენ მოგვები, რომლებმაც თქვეს: სად არის იუდეველთა ახალშობილი მეფე? ვინაიდან ვიხილეთ მისი ვარსკვლავი აღმოსავლეთში და მოვედით, რათა თაყვანი ვსცეთ მას... და როდესაც შევიდნენ სახლში, იხილეს ყმა მარიამთან თავის დედასთან ერთად, და დაემხნენ თაყვანი სცეს მას და გახსნეს თავიანთი საუნჯე და მიართვეს მას ძღვენი: ოქრო, გუნდრუკი და მური.” (მათეს სახარება 2 – 2,3,11. ბიბლია საქართველოს საპატრიარქოს გამოცემა 1989, გვ. 953-960) ის ძვირფასი საჩუქრები, რომელიც მოგვებმა მიართვეს იესოს, ჯერ კიდე ჩვენ წელთა აღრიცხვამდე პალესტინაში ითვლებოდა წმინდა მცენარეებად, ისინი ამ მცენარეებისაგან ამზადებდნენ, სპეციალურ ნივთიერებებს, რომლებიც ღვთის სადიდებელ რიტუალების აღსანიშნავად გამოიყენებოდა. „ბიბლიაში მცენარეულობის მრავალნაირი სახეობაა ნახსენები... ეს მცენარეები გამოიყენებოდა, როგორც სამკურნალოდ და

საკვებად, ანდა, როგორც საკმეველი ღვთისმსახურების დროს, რომელიც სავანესა და ტაძარში სრულდებოდა (ბიბლიის ენციკლოპედია, 2003 : 14-15).

არსებული წყაროების მიხედვით, გუნდრუკი ფისია, რომელსაც გუნდრუკის ხისაგან იღებენ. ის გახურების ან დაწვისას სასიამოვნო სურნელებას გამოსცემს. ბიბლიურ ხანაში მას იყენებდნენ, როგორც საკმეველს(გამ. 30:34-38;ლევ.2:1, 15-16; მ. 2:11) რაც შეეხება მურს (სმირნა) ღია ყვითელი ფისია ბუჩქნარისა, რომელიც იზრდება სომალში, ეთიოპიასა და არაბეთში.

„საკმეველი, საკმელი, (ძვ. ბერძნ. λήδαιον, λάδαιον - ლადანონი) — სურნელოვანი ფისი, რომელიც გამოიყოფა ბურსერსებრთა ოჯახის მცენარის ბოსველიას (Boswellia carterii) ანუ საკმლის ხის დასერილი ქერქიდან. ხე იზრდება აღმოსავლეთ აფრიკასა და არაბეთის ნახევარკუნძულზე. საკმეველი შეიცავს გუმფისს, ეთეროვან ზეთებს, მწვანე ნივთიერებებს. ნაწილობრივ იხსნება წყალსა და ორგანულ გამხსნელებში <https://ka.wikipedia.org/wiki/%E1>. დღეს საყოველთაოდ ცნობილია, რომ გუნდრუკი, საკმეველი ქრისტიანულ რელიგიაში გამოიყენება ღვთისმსახურების აღსრულების დროს. მას უდიდესი სიმბოლური დატვირთვა გააჩნია.

„საკმევის კეთილსურნელება ბოროტი ძალებისთვის მომაკვდინებელია. ძველი აღთქმის დროს არსებობდა ორი სახის მსხვერპლშეწირვა - სისხლიანი და უსისხლო. სისხლიანი მსხვერპლშეწირვის დროს ხბოს, ცხვარს ან რომელიმე სხვა ცხოველს სწირავდნენ, დადგენილი იყო გვრიტის ან მტრედის ორი ხუნდის შეწირვაც, მაგრამ თუკი ადამიანს სისხლიანი მსხვერპლის შეწირვის საშუალება არ ჰქონდა, შეეძლო შეეწირა უსისხლო მსხვერპლი - ზეთი, ფქვილი და საკმეველი. ასევე იწირებოდა ზღვის წყალში მოზედილი უფუარი პურიც.

უსისხლო მსხვერპლშეწირვის დროს მღვდელმსახური საკმეველს, ერთ მუჭა ფქვილთან და ზეთიანი ჰურის ნატეხებთან ერთად, სამსხვერპლო ყუთზე წვავდა. გარდა ამისა, ძველი აღთქმის მოძრავ ტაძარში, სხვა საღვთისმსახურო ნივთებთან ერთად, ფსიადები ანუ სასაკმევლეებიც გვხვდება. კრეტსაბმელის გვერდით კი იდგა მოოქრული საკურთხეველი - ულპობი ხის უძირო ყუთი საკმევლისთვის. ე. ი. საკმევლი ძველი აღთქმის დროსაც იკმეოდა. წმინდამამათაგანმარტებით, სასანთლეს და საკურთხეველი საკმევლისთვის მოასწავებდა უფალ იესო ქრისტეს, “რომელიც იწოდა ნათლად სოფლისა...”
<http://karibche.ambebi.ge/qristianuli-ckhovreba/interviu-modzghvarthan/1097-sakmevlis-kethilsurneleba-boroti-dzalebisth-vis momakvdinebelia.html> შორენა მერკვილაძე, დამოწმებულია 01.05.2023წ.

საკმეველს მედიცინაში დაავადებული ადამიანის განსაკურნებლად, რომ იყენებდნენ ამას ცხადყოფს მეცნიერთა კვლევები, რომლებიც არქეოლოგიური გათხრებმა დაადასტურა. მაგ: „საკმევლის ჩხირები (საკმეველი), არმატის ჩხირების თვისებები, რომათერაპია ჰოროსკოპებში რომათერაპიის უძველეს მეცნიერებას აქვს ცოდნა იმის შესახებ, თუ როგორ მოქმედებს არმატები ადამიანის მდგომარეობაზე: ფსიქოლოგიურ და ფიზიკურად. უძველესი ცივილიზაციების გათხრების დროს საკმევლის ჭურჭელი აღმოაჩინეს მიზეზის გამო - საკმეველს აფასებდნენ ეგვიპტელები, რომაელები და ბერძნები, როგორც ოქრო და სანელებლები. შუა საუკუნეებში კი, როდესაც ჭირი ადამიანებს განურჩევლად თიშავდა, მას ეფექტურად ებრძოდნენ ჰაერის ფუმინაციის დახმარებით. სურნელოვანი ფიჭვის ცეცხლი მთელ ქალაქში ენთო და მძაფრი კვამლი გამოსდიოდა. ჭირის საწინააღმდეგოდ იყენებდნენ იმ დროს ცნობილ ნებისმიერ

არომატულ მცენარეს, რადგან ისინი იმ დროისთვის ხელ-
მისაწვდომი საუკეთესო ანტისეპტიკები იყო <https://minikar.ru/ka/its-interesting/blagovoniya-palochki-vred-i-polza-kogda-mozhno-i-kogda-nelzya-zhech/>.

ამ ყოველივეს იყენებდნენ მაშინ, როცა ცივილიზაცია არც ისე იყო განვითარებული. არ იყო ბუნება ეკოლოგიურად დაბინძურებული, არ იყო მსგავსი დავადებები, რომლებიც დღეს მთელ მსოფლიოს აბრკოლებს. საკმარისია, გავიხსენოთ ბოლო წლებში განვითარებული მოვლენები. კოვიდვირუსი, პანდემია, რომლებმაც უამრავი ადამიანი იმსხვერპლა. რწმენა, ფსიქოლოგიური მზაობა დიდად მნიშვნელოვანია ადამიანის ცხოვრებაში და ამასთან ერთად მცენარეული არომატებისა და ეთერზეთების გამოყენება გარკვეულ როლს ასრულებს მათ გადარჩენაში.

დღეს, მსოფლიო გლობალიზაციამ შეცვალა სოციუმის ცხოვრების წესი. და მართლაც, „თანამედროვე ცივილიზაცია გვაძლევს ყოველდღიურ ფუმიგაციას ორთქლითა და ქიმიკატებით, ხოლო თანამედროვე ცხოვრების წესი გვაძლევს სტრესს და აჩქარებას მოძრაობის ნაკლებობასა და ცუდ კვებასთან ერთად. შედეგად ვიღებთ აგრეთვე დაავადებებს, სიმსუქნეს, ორგანიზმში ტოქსიკური ნივთიერებების დაგროვებას და მძიმე ქრონიკული დაავადებების განვითარების რეალურ შესაძლებლობას. არომათერაპია შესაძლებელს ხდის ამ პროცესის შენელებას. არომატები სწრაფად შემოდის სისხლის მიმოქცევის სისტემაში, აუმჯობესებს სისხლის მიმოქცევას, ახდენს ადამიანის მდგომარეობის ნორმალიზებას და ორგანიზმში მიმდინარე პროცესების დაბალანსებას, რითაც ზრდის მავნე გარე გავლენისადმი წინააღმდეგობას. არომათერაპიის გამოყენების მრავალი მეთოდი არსებობს, მაგრამ საკმევლის ჩხირები ერთ-ერთ

ყველაზე პოპულარულად ითვლება. საკმევლის ჩხირები (საკმეველი) არის იაფი და ძალიან მარტივი გამოსაყენებელი <https://minikar.ru/ka/its-interesting/blagovoniya-palochki-vred-i-polza-kogda-mozhno-i-kogda-nelzya-zhech/>.

ყურადსაღებია, „შუახვეის რაიონის სოფელ ქიძინიძეების მოსახლეობის ცნობიერებაში დაცული ინფორმაცია საკმევლის დამზადებასთან დაკავშირებით. რომელიც ასევე ურთხელის ხეს უკავშირდება. ის „წმინდა ხეთა“ ჯგუფში მოიაზრებოდა. ურთხელის//მადის, ნაყოფს სხვა დანიშნულებათა პარალელურად, საკმევლის დასამზადებლად იყენებდნენ. მისი მოჭრა, დაწვა, განადგურება ტაბუირებული იყო (მიქელაძე 2017:7). ასევე საგულისხმოა ისიც, რომ მათ განსაკუთრებული პატივით ეპყრობოდნენ და მის გარშემო საწესჩვეულებო დღესასწაულსაც მართავდნენ. ალბათ მადლიერების თვალსაზრისით. კერძოდ, „ხეთა თაყვანისცემა და მასთან დაკავშირებული უძველესი რწმენა-წარმოდგენები შენარჩუნებული იყო აჭარაშიც. 1950-1960-იან წლებში ხელვაჩაურის რაიონის სოფელ ზედა ჩხუტუნეთში, კახიძეების საკარმიდამო ნაკვეთში საკრალური ურთხელის ასწლოვანი ხე იდგა. წმინდა ხესთან მოხუცები, დედაკაცები, ბავშვები იკრიბებოდნენ. და რელიგიურ რიტუალს ადასრულებდნენ (მიქელაძე, 2015: 339-345).

აღსანიშნავია, ისიც, რომ ზემო აჭარაში ურთხელს, რომლის მარცვლისაგან საკმევლს ამზადებდნენ არ წვავენ, შეშად არ გამოიყენებენ. მაგ: „შუახვეის რაიონის მოსახლეობის ცნობიერებაში ურთხელის ხე „წმინდა ხეთა“ ჯგუფში მოიაზრებოდა. ურთხელის//მადის, ნაყოფს სხვა დანიშნულებათა პარალელურად, საკმევლის დასამზადებლად იყენებდნენ. მისი მოჭრა, დაწვა, განადგურება ტაბუირებული იყო.

საინტერესოა ხალხურ მედიცინაში შემონახული რეცეპტი საკმევლისა, რომელსაც ოჯახში აკმევდნენ (აფუტებდნენ//

ახრჩოლებდნენ). შუახევის რაიონის, სოფელ ქიძინიძეებში მცხოვრები, უხუცესი ქალბატონის ქეთევან (ხენიფე)// გოგიტიძე//ივანაძისა საკმეილს ოჯახის საჯანმრთელოდ იყენებდა და მას შემდეგნაირად ამზადებდა: „1. ურთხელის მარცვალი, 2. შხამას კაკალი, 3. თაფლის სანთელი, 4. პურის ფქვილი (შეიძლება მჯადის ფქვილიც), 5. კარაქი (იალი), 6. ფისი (სასურველია კატრისა, შეიძლება ნაძვის და სხვა), 7. ნახშირი (ნაკვერცხალი). ყოველივე ზემოთ აღნიშნულს ნაკვერცხლებზე დააყრიდნენ და უკმევდნენ. ინფორმატორთა გადმოცემით მას სხვადასხვადანიშნულებისთვის იყენებდნენ. ურთხელის მარცვლისგან საკმევლის დამზადებაზე საუბრობს ქობულეთის სოფელ ზენითის მკვიდრი გ. ქათამაძე: „ალამბრისციხის//კატისციხის ნანგრევების მიდამოების სავსეა ურთხელის მრავალწლოვან ხეებით. აქ ვხდებით, როგორც მდედრ, ასევე მამრ ურთხელს. საკმევლის გასაკეთებლად, ძირითადად, მდედრი ურთხელის ნაყოფს იყენებდნენ. მას ჯუმათის (გურია) დედათა მონასტერში, დღესაც იყენებენ. მისი ნაყოფი სურნელოვანიცაა და თავისებურ არომატიზებულ ფისსაც შეიცავს (მიქელაძე 2017:15).

ამდენად, „საკმეველი არის სურნელოვანი ფისი, რომელიც ძირითადად საკმევლის ხის დასერილი ქერქიდან მიიღება. სხვათა შორის, საკმევლის ხე საქართველოშიც გვხვდება – საგარეჯოსა და ვაშლოვანში... საკმევლის უმცირეს ნაწილაკებს, რომლებიც ჩვენს ორგანიზმში სასუნთქი გზების გავლით ხვდება, ძლიერი გამაჯანსაღებელი ეფექტი აქვს. საკმევლის კვამლი შეიცავს ისეთ ნივთიერებებს, რომლებიც გვეხმარება **სტრესის, ნერვული აღზნებადობის, პანიკური შემოტევებისა და უძილობის დამარცხებაში**. საკმეველს ბოროტი ძალების, ეშმაკების განსადევნადაც ვაკმევთ – ე. ი. კმევს დროს ნაკმევი ადგილი ბოროტისგან განიწმინდება,

რადგან ბოროტი ძალებისთვის საკმევლის კეთილსურნელება მომკვდინებელია <https://old.primetime.ge/metsnierebi-askvniarom-sakmeveli-skheulshi-baqteriebs-anadgurebs-da-dzlieri-imu-nostimulatoria>.

საკმევლი არა მარტო კურნავს ადამიანებს, არამედ აჯანსაღებს მას. „ის ხელს უშლის მიკრობების გამრავლებას ჰაერში, წყალსა და რაც მთავარია ორგანიზმში“.

ბიბლიაშინათქვამია, რომსაკმევლისდამზადებისრეცეპტი თავად უფალმა უკარნახა მოსეს: „უთხრა უფალმა მოსეს: აილე სურნელებანი: შტახსი, ონიქსი, სურნელოვანი ხელბანა და სუფთა ლებონა, თანაბრად. დაამზადე მისგან სასაკმევლე ნაზავი მენელსაცხებელთა ხელოვნებით აზელილი, სუფთა, წმიდა.“ სუფთა **ლებონა** - სწორედ ეს არის გუნდუკი, ფისი ძალიან იშვიათი ხის, Boswellia-სი, რომელიც არაბეთში იზრდება. **შტახსი** მურის ხის სურნელოვანი ნივთიერებაა. სურნელოვანი **ხელბანა** - ქოლგისებრთა ოჯახის მცენარის რძისებრი წვეწვანის შედედებული გრანულებია, რომელსაც გააჩნია ტკივილგამაყუჩებელი, სპაზმოლიტური და შარდმდენი თვისებები. **ონიქსი** - წითელ ზღვაში ბინადარი, განსაკუთრებული ტიპის მოლუსკის ნიჟარის სარქველია, რომელიც დაფქვილ მდგომარეობაში უძველესი დროიდან გამოიყენებოდა მედიცინაში. უმცირესი ნაწილაკები ფილტვებიდან ორგანიზმში შეღწევისას, ახდენს წარმოუდგენელ გამაჯანსაღებელ ეფექტს! საკმევლის კვამლი შეიცავს ნივთიერებებს, რომლებიც ამარცხებს სტრესს, ნერვოზს, პანიკურ შეტევებსა და უძილობას.“ <https://intermedia.ge/%E1>.

ამდენად, საკმევლი ერთობ მნიშვნელოვანი სურნელოვანი ფისია, რომელიც გამოიყენებოდა ოდითგანვე. მას იყენებდნენ როგორც წარმართული რელიგიის მსახურები, ქურუმები, ასევე ქრისტიანული რელიგიის მსახურნი, მღვდელნი - ღვთისმსახურების დროს.

გამოყენებული ლიტერატურა:

- **ბიბლია 1989:** ბიბლია, საქართველოს საპატრიარქოს გამოცემა. მათეს სახარება 2 – 2,3,11. – 1989.
- **ბიბლიის ენციკლოპედია, 2003:** ბიბლიის ენციკლოპედია. გაერთიანებული ბიბლიური საზოგადოებები საქართველოს წარმომადგენლობა თბილისი 2003.
- **მიქელაძე 2015:** მიქელაძე ნ., ხის (ურთხელის) კულტი აჭარის ფოლკლორში, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს(ისტორია, არქეოლოგია, ეთნოლოგია) საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები, გამ. „უნივერსალი“, თბ.
- **მიქელაძე 2017:** მიქელაძე ნ., საკმეველის დამზადებასთან დაკავშირებული გადმოცემები ქართულ ფოლკლორში (გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის კონფერენცია)
- წიგნი ძველისა აღთქუმისანი ნაკვეთი 1 შესაქმისაი გამოსლვათაი. ყველა არსებული ხელნაწერის მიხედვით გამოსაცემად მოამზადეს ბაქარ გიგინეიშვილმა დაც ცოტნე კიკვიძემ, გამოკვლევა ბაქარ გიგინეიშვილისა. „მეცნიერება“ 1989.
- <https://ka.wikipedia.org/wiki/%E1>დამოწმებულია 01.05.2023წ.
- <http://karibche.ambebi.ge/qristianuli-ckhovreba/interviu-modzghvarthan/1097-sakmevlis-kethilsurneleba-boroti-dzalebisthvis-momakvdinebelia.html> შორენა მერკვილაძე, დამოწმებულია 01.05.2023წ.
- <https://minikar.ru/ka/its-interesting/blagovoniya-palochki-vred-i-polza-kogda-mozhno-i-kogda-nelzya-zhech/>.დამოწმებულია 01.05.2023წ.
- <https://old.primetime.ge/metsnierebi-askvni-rom-sakmeveli-skheulshi-baqteries-anadgurebs-da-dzlieri-imunostimulatoria>და მოწმებულია 01.05.2023წ.
- <https://intermedia.ge/%E1>. დამოწმებულია 01.05.2023წ.

ვახტანგ ორბელიანის რელიგიური ლირიკა

აბსტრაქტი: ვახტანგ ორბელიანის ლირიკაში უპირველესად გვხვბლავს პატრიოტიზმი, რომელიც ქრისტიანული რწმენის გარეშე არ მოიაზრება. არ არსებობს მის შემოქმედებაში ნაწარმოები, რომელშიც პოეტი თავის ქვეყანას არ ეფერება და არ აღწერს მის ბუნებას, რომელიც წმინდა სისხლით არის მორწყული.

ვახტანგ ორბელიანის ცნობილ ლექსში „იმედი“ მოთხრობილია საქართველოს ისტორია ქრისტიანულ რელიგიასთან კავშირში. ლექსში ამაღლეზვებლადაა წარმოჩენილი საქართველოს წარსული - მირიან მეფის დროს ქალწული ნინოს მიერ ქვეყნის მოქცევა და მუდმივი ბრძოლა სარწმუნოებისათვის. ამ ბრძოლაში პოეტი განსაკუთრებით ერეკლე მეფეს გამოჰყოფს, აღწერს ასპინძისა და კრწანისის ბრძოლებს, რომელთა მნიშვნელობასაც, მისი აზრით, ვერ აცნობიერებს ახალი თაობა, რადგან დაბნელებული აქვს თვალი. ვახტანგ ორბელიანის პოლიტიკური ხედვა მკვეთრად წარმოჩნდება ევროპისადმი მის თამამად გამოთქმულ საყვედურში.

ვახტანგ ორბელიანი ქართველ ჰაგიოგრაფთა მსგავსად თვლის, რომ საქართველო, როგორც „ყურეში“ მყოფი ქვეყანა, თავისთავზე იღებდა მაჰმადიანთა შემოსევებს და ამით იცავდა საქრისტიანოს ცენტრს, ევროპა ტაშს უკრავდა ერეკლეს,

1 ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი / PhD in Philology, Associate professor at Tbilisi Ivane Javakhishvili State University

ქებას უძღვნიდა, მაგრამ რეალურად არ ეხმარებოდა. ვახტანგ ორბელიანი პასუხს ითხოვს ამგვარი უგულობისთვის.

ლექსში ვახტან ორბელიანი ეხება რწმენის საკითხს, რომელსაც მხოლოდ ის კითხვა აყენებს ჩრდილს, რომ, თუ ღმერთი არსებობს, „მაშ საქართველო ასე მწარედ რისთვის დაემხო?“ ამ სიტყვებს მოჰყვება პოეტის სინანული ღვთის განციცხვის გამო. ლექსის ეს მონაკვეთი უთუოდ შთაგონებულია დავით გურამიშვილის „დავითიანით“.

ვახტანგ ორბელიანის პოლიტიკური მრწამსი, ვფიქრობთ, ნათლად აისახება იმ ლექსებში, რომელთა პერსონაჟიც მეფე ერეკლეა. ის ზეცამ მოუვლინა ქართველებს ქრისტიანების მტრების წინააღმდეგ საბრძოლველად, ის ხმალით უმდერის ქრისტიანობას, მისი ვალია წმინდა ტაძართა დაცვა უწმინდურთაგან. პოეტი ირაკლის „შინაურ ტრაგედიასაც“ აღიარებს და ამით ხსნის მის არჩევანსაც.

ვახტანგ ორბელიანი უკმაყოფილოა საქართველოს დამოუკიდებლობის დაკარგვით. მთელ თავის შემოქმედებაში პოეტი ძველი საქართველოს მომღერალია, მაგრამ ერეკლეს ნაბიჯი - რუსეთისაკენ ორიენტაციის აღება და მის მიერ დადებული 1783 წლის გეორგიევსკის ტრაქტატი- პოეტი-სათვის მისაღებია, რადგან ამ ნაბიჯითაც ერეკლემ დაიცვა ქრისტიანობა.

დავით წინასწარმეტყველის 24-ე ფსალმუნი უდევს საფუძვლად ვახტანგ ორბელიანის ლექსს - „ორი სიზმარი“. უფლის წმინდა მთაზე ასვლა ორივე სიზმარში საქართველოს ორგვარ ხილვას უკავშირდება - ივერიის ფიზიკურ სიკვდილს და ივერიის სულიერ განახლებას.

უცნაურია, მაგრამ ლექსში „ჯვარი ვაზისა“ ვახტან ორბელიანი, საქართველოს ისტორიის კარგი მცოდნე, აღწერს წმინდა ნინოს შემოსვლას ზღვით. ხომალდის დასანთქავად

აღმდგარ ტალღებთან მეგრძოლ ნავში მჯდომი მგზავრის აუღელვებლობა და სიმშვიდე აღუზიაა ქრისტეს სიმშვიდისა აბოხოქრებულ ზღვაში (მათე 8-26);

შოთა რუსთაველის ბიოგრაფიის ორბელიანისეულ ვერსიას წარმოადგენს ლექსი „ობოლი“, რომელშიც ნათლად იკვეთება ვახტანგ ორბელიანის ხედვა პოეტური პროცესის მიმართ: შთაგონება შეიძლება მიეცეს კონკრეტულ პიროვნებას, მაგრამ ლექსისქმნადობა ღვთიურ ნებაზეა დამოკიდებული, ზეციდან იმართება.

ვახტანგ ორბელიანის ლირიკა უაღრესად რელიგიურია; ყველა საკითხს პოეტი რელიგიური კუთხით აფასებს. ახალგაზრდებს მოუწოდებს სწავლისკენ, რადგან „სწავლა არს მაღლი ღვთაებისა“, სწავლას აჰყავს ადამიანის გონება იმ სიმაღლემდე, რომ განსჭვრიტოს და მისწვდეს „დიდ განგებას.“ ვახტანგ ორბელიანისათვის კაცობაც და ქალობაც ღვთისმოშიშობით განისაზღვრება („კაცი ის არის“, „ქალი ის არის“); თუმცა სიტყვისა და აზრის თავისუფლება მისთვის უპირველესია, რადგან ამაში მჟღავნდება ადამიანის თავისუფალი ნება („გალია“).

ეგზისტენციალური საკითხია წარმოჩენილი ვახტანგ ორბელიანის ლექსში „გავჩნდით რისთვისა“. მთელი ლექსი პასუხებია დასმულ კითხვაზე. გარდა მორალურ-ზნეობრივი პათოსისა, ლექსში თვალსაჩინოა სახარებისეული ხატი-სიმბოლო - „დაბნელებული თვალი“, რომელიც ადამიანის ურწმუნოების მანიშნებელია. ნაწარმოების მიხედვით, ადამიანის სიცოცხლის აზრი რწმენითი ცხოვრებაა. თვალსაჩინოა, რომ ვახტანგ ორბელიანის რელიგიური თვალთახედვა დიდაქტიკურ-მორალისტურ ფუნქციას ითავსებს.

ვახტანგ ორბელიანს ლოცვითი ჟანრის ლექსიც აქვს შექმნილი სათაურით „დიდმარხვის ლოცვა“. მის ლოცვას

დოგმატური უფრო შეიძლება ეწოდოს, ვიდრე მხატვრული. ორბელიანი აღწერს იმ სულიერ პროცესს, რომელსაც განიცდის მორწმუნე ღვთიური მადლის გადმოსვლამდე და მას შემდეგ, რაც განწმენდის პროცესი ხორციელდება. მისი აზრით, ლოცვა არის პოეტის „მსხვერპლი უფლისადმი“. ამ აღწერაში არ ჩანს ის ინდივიდუალური მიმართება უფალთან, რითაც გვხიზლავს ბარათაშვილის „ლოცვა“. მართებულად შენიშნავს გერონტი ქიქოძე: „თუ ნიკოლოზ ბარათაშვილის ლირიკაში ფილოსოფიურმა აზროვნებამ ზომიერი ინდივიდუალისტური განხრა მიიღო, ვახტანგ ორბელიანის შემოქმედებაში იდეალიზმმა რელიგიური განხრა მიიღო“.

საკვანძო სიტყვები: ვახტანგ ორბელიანი, ქრისტიანობა, ლირიკა

Vakhtang Orbelian's Religious Lyrics

Abstract: Vakhtang Orbeliani's lyrics, primarily fascinates us by patriotism, which cannot be thought of without Christian Faith. There is no literary work by Vakhtang Orbeliani, in which the poet does not admire his country and does not describe its nature, which has been “irrigated” by holy blood.

In his famous poem The Hope, Vakhtang Orbeliani tells about the history of Georgia in connection with the Christian Religion. The poem captivantly presents the past of Georgia - the conversion of the country by Saint Nino during the reign of King Mirian and the constant fight for the faith. In this fight, the poet emphasizes the merit by King Erekle, describes the Battles of Aspindza and Krtsanisi, the importance of which, in his opinion, is not relevantly realized by the new generation, because their eyes are blurred.

Vakhtang Orbelian's political vision is clearly shown in his bold rebuke of Europe.

Like Georgian hagiographers, Vakhtang Orbeliani believes that Georgia, as a country of the “Gulf”, took upon itself the invasions by Muslims and thus protected the center of Christianity. While Europe applauded and praised King Erekle, actually no real help was provided to him. Vakhtang Orbeliani demands an answer for such indifference.

In the poem, Vakhtang Orbeliani touches on the issue of faith, which is overshadowed only by one question – If God exists, then “why did Georgia fall so bitterly?” These words are followed by the poet's regret because of God's judgment. This part of the poem is undoubtedly inspired by Davit Guramishvili's Davitiani.

We believe, Vakhtang Orbeliani's political viewpoints are clearly reflected in the poems, the main character of which is King Erekle. the hero of which is King Heraclius. He was sent from Heaven to Georgians, to fight against the enemies of Christians; with his Sword he “sings” to Christianity; his duty is to protect the Holy Temples from the evil. The poet also recognizes Erekle's “domestic tragedy, thus explaining his choice too.

Vakhtang Orbeliani is dissatisfied with the loss of Georgia's independence. In all his creations, the poet praises old Georgia, but Erekle's step - orientation towards Russia and signing of the 1783 Treaty of Georgievsk - is acceptable to the poet, as, by this decision also, Erekle has defended Christianity.

Vakhtang Orbeliani's poem Two Dreams is based on the 24th Psalm by Prophet David. In both dreams, the ascent of the Lord to the Holy Mountain, is connected with two visions of Georgia - the physical death of Iveria and Iveria's spiritual renewal.

It is strange, but in the poem *The Cross of Vine*, Vakhtan Orbeliani, a good connoisseur of Georgian history, describes the arrival of St. Nino to Georgia, by the sea. The peacefulness and calmness of the passenger sitting in the boat struggling with the rising waves is an allusion to Christ's calmness in the raging sea (Matthew 8-26);

The poem *Orphan*, is Orbeliani's version of the biography of Shota Rustaveli. The poem clearly reveals Vakhtang Orbeliani's vision of the poetic process: inspiration can be given to a specific person, but the creation of a poem depends on the Lord's Will; it is dictated from Heaven.

Vakhtang Orbeliani's lyrics are highly religious; the poet considers all issues from a religious point of view. He urges young people to learn, because "learning is the grace of God", learning takes the human mind to a height where it is possible to perceive and reach "greatest fate." For Vakhtang Orbeliani, both manhood and womanhood are defined by fear of God ("Man is He", "Woman is She"); however, the freedom of speech and thought is primary for him, as it reveals the free will of a person (the Cage).

Existential issue is presented in Vakhtang Orbeliani's poem *What have we been born for*. The whole poem gives answers to the Question. In addition to the moral pathos, the poem clearly shows the Gospel icon-symbol - "blurred eye", which is an indication of human faithlessness. According to the poem, the meaning of human life is the life of Faith. It is obvious that Vakhtang Orbeliani's religious vision has a didactic-moralistic function too.

Vakhtang Orbeliani has also created a poem of the prayer genre titled – *The Prayer of the Great Lent*. His prayer is more dogmatic than creative and literary. Orbeliani describes the spiritual process experienced by the believer before the appearance of the Divine Grace; after the realization of the purification process.

He believes that prayer is poet's "sacrifice to the Lord". This description does not show an individual relationship to the Lord, seen in Baratashvili's fascinating *The Prayer*. Geronty Kikodze rightly remarks: "If philosophical thinking in Nikoloz Baratashvili's lyrics took on a moderate individualistic aspect, then idealism in Vakh-tang Orbeliani's works inclined more to the religious direction."

Key words: Vakhtang Orbeliani, Christianity, Lyrics



ვახტანგ ორბელიანი თვით თანამედროვეთა მიერ რომანტიკოსად აღიარებული პოეტია, ხოლო ილია ჭავჭავაძის თქმით, „ერთადერთი ქართველი რომანტიკოსი“. საინტერესო ფაქტია, რატომ უწოდა ქართული ლიტერატურის ჭეშმარიტმა შემფასებელმა და თავად ვახტანგ ორბელიანის პირველმა ბიოგრაფმა, ილია ჭავჭავაძემ, მას „ერთადერთი რომანტიკოსი“. ამის უკეთ გასააზრებლად საჭიროა ვახტანგ ორბელიანის როგორც ცხოვრებიდან, ასევე მისი შემოქმედებიდან ზოგიერთი მომენტის გათვალისწინება.

ვახტანგ ორბელიანი იზრდებოდა მამის ოჯახში დედის მეთვალყურეობის ქვეშ. ილია ჭავჭავაძე ამ ფაქტს საგანგებოდ უსვამს ხაზს, რადგან „ასეთი გულწრფელი ტრფიალი თავის სამშობლო ქვეყნისა“ ილიას მისი დედის დამსახურებად მიაჩნია: „ყოველი ამისი სათავე უნდა ვეძიოთ იმ გარემოებაში, რომ თ. ვახტანგი იმისთანა ოჯახში გაიზარდა, საცა ბრძანებლობდა საყვარელი ასული მეფის ერეკლისა, იმ დიდებულ მეფისა, რომლის შუქი დღესაც კი გვინათებს, და მაშინ უფრო ხომ ცხოველი იქმნებოდა, ნამეტნავად მის საყვარელ და ჭკვიან ასულისათვის. ამისთანა დედა, როგორიც იყო თეკლე ბატონიშვილი, რა თქმა უნდა, ბევრს რასმე სანადვლელს და სანატრელს სახელოვანის წარსულისას

ჩააგონებდა თავის შვილს და გაუთბობდა გულს სამშობლო ქვეყნის სიყვარულითა და წარსულის ღრმა პატივისცემითა“ (ჭავჭავაძე 1991 : 566).

ცხრამეტი წლის ვახტანგ ორბელიანი არა მხოლოდ მონაწილეობას იღებს 1832 წლის შეთქმულებაში, არამედ მისი ერთ-ერთი აქტიური წევრია თავის ძმასთან ერთად, რის გამოც დააპატიმრეს და კალუგაში გადაასახლეს. ამ ფაქტის შესახებ უფრო დაწვრილებით მონათხრობს დიმიტრი ყიფიანის მემუარებში ვხვდებით. ყიფიანი დაწვრილებით აღწერს, ვის რა ბედი ეწვია გამოძიების შემდეგ. უმაღლესი სასჯელი მიეცა 6 კაცს, მათ შორის ალექსანდრე და ვახტანგ ორბელიანებს. (ყიფიანი 1990 : 154). უფრო დაწვრილებით ის მოგვითხრობს ვახტან ორბელიანზე, როგორც შეთქმულების ერთ-ერთ მთავარ მონაწილეზე. ყიფიანის მოგონებებიდან ჩანს, რომ ვახტანგ ორბელიანი აქტიური მონაწილეა შეთქმულების, ჩართულია საზოგადოებრივ-კულტურულ საქმიანობაში, თარგმნის ვოდევილს ქართული საშინაო სცენისათვის (თეატრი ჯერ კიდევ დაარსებული არ არის) და ეჭვი ეპარება თავისი მოქმედების (შეთქმულების გეგმის განხორციელების) სისწორეში. იონა მეუნარგია თეატრის დაარსების ისტორიის თხრობისას აღნიშნავს, რომ გ. ერისთავის „დავაში“, რომელიც მეორე წარმოდგენა იყო ახლად დაარსებული ქართული თეატრისა, ბეგლარის როლში ვახტანგ ორბელიანი თამაშობდა, თავად ონოფრეს როლს პლატონ იოსელიანი ასრულებდა, იაია ჭიორელისას კი - დიმიტრი ყიფიანი (მეუნარგია 2010 : 411).

სწორად მიუთითებს ილია ჭავჭავაძე, რომ ვახტანგ ორბელიანის საზოგადოებრივ და სამწერლობო ასპარეზზე გამოსვლის პერიოდი დაემთხვა იმ დროს, როცა მაშინდელი საზოგადოების საუკეთესო ნაწილს „განცხოველებული“ ჰქონდა ქვეყნის სიყვარული, „გულმტკივნეული ზრუნვა

ქვეყნისათვის უკვე დაძვრულიყო“ (ჭავჭავაძე 1991 : 567). ქვეყნის სიყვარულმა შეკრა იმ „გონებაგახსნილ“ ყმაწვილკაცთა წრე, რომლებმაც „სახელოვნადიჩინეს თავი ზოგმალი ტერატურაში, ზოგმა საზოგადო და სახელმწიფო სარბიელზე. ამ წრის წმიდათაწმიდა იყო სამშობლოს სიყვარული, რომელმაც ბოლოს თავდადებულ ტრფიალებამდე გაიწია მათდა სასახელოდ“ (ჭავჭავაძე 1991 : 568). ამ წრეში კი უპირველესი ადგილი ეკავა წარსულის მოგონებას. ილია, რომლის დევიზია - „მოვიკლათ წარსულ დროებზედ დარდი...“, სწორედ წარსულის გახსენებას მიიჩნევს იმ დროისათვის ყველაზე დიდ საქმედ, რადგან „ამისთანა (როგორიც ვახტანგ ორბელიანია) ერთგული მოყვარეც წარსულისა საჭიროა იქ, საცა იგი დავიწყებულია“ (ჭავჭავაძე 1991 : 555). ილიას აფორიზმად ქცეული ცნობილი სიტყვები - „ერის დაცემა იწყება იქიდან, სადაც თავდება წარსულის ხსოვნა,“ - სწორედ ვახტანგ ორბელიანის ღვაწლის წარმოსაჩენადაა ნათქვამი. ილიამ კარგად იცის, რომ ამ პერიოდში სხვა პოეტებმაც უმდერეს წარსულს, ვახტანგ ორბელიანზე უწინ გრიგოლ ორბელიანმა „მიგვახედა წარსულისაკენ“, მაგრამ „ისე სულით და გულით არავინ მისცემია ამ წარსულის ნატვრას და სიყვარულს, როგორც თ. ვახ. ორბელიანი“ (ჭავჭავაძე 1991 : 555); „ამ გზაზედ ისე გადუხვევლად, ისე სისწვრივ ჩვენში არც ერთ პოეტს არ უვლია, როგორც თ. ვახტანგ ორბელიანს. მან თითქმის მთელი თავისი პოეტური ძალ-ღონე სულ ამ საგანს ამსახურა და თვისი უკეთესი ლექსები ამ საგანს უმღვნა და შესწირა“ (ჭავჭავაძე 1991 : 572). რეალისტმა ილიამ ვახტანგ ორბელიანის წარსულისადმი უაღრესად დიდ ლტოლვაში სწორედ ის მიიჩნია მნიშვნელოვნად და პოეტის სწორედ იმ ფრაზას ჩაეჭიდა, რომელშიც წარსული წარმოჩნდება, როგორც მომავლის საძირკველი - „დიდ წარსულს დიდი

მომავალიც ექმნება“. ილიამ ვიქტორ ჰიუგოს დიდი გავლენაც დაინახა ვახტანგ ორბელიანის ლირიკაში და ამიტომაც მისი შემოქმედება რომანტიზმის „შეურეველ და აუჭრელბელ“ მაგალითად დაასახელა.

ვახტანგ ორბელიანის ლირიკაში უპირველესად გვხვბლავს პატრიოტიზმი, რომელიც ქრისტიანული რწმენის გარეშე არ მოიაზრება. არ არსებობს მის შემოქმედებაში ნაწარმოები, რომელშიც პოეტი თავის ქვეყანას არ ეფერება და არ აღწერს მის ბუნებას, რომელიც წმინდა სისხლით არის მორწყული.

ვახტანგ ორბელიანის ცნობილ ლექსში „იმედი“ მოთხრობილიასქართველოსისტორიაქრისტიანულრელიგიასთანკავშირში. პოეტისათვის ისტორია საშუალებაა, რომ მიიღოს მოვლენილი ასულისაგან (რომლის არსი მისთვის უცნობია), სასურველი პასუხი - ქრისტეს ჯვრისათვის წამებული ერი გადარჩება და აღდგება. ლექსში ამაღლელებლადაა მოთხრობილი საქართველოს წარსული - მირიან მეფის დროს ქალწული ნინოს მიერ ქვეყნის მოქცევა და მუდმივი ბრძოლა სარწმუნოებისათვის. ამ ბრძოლაში პოეტი განსაკუთრებით ერეკლე მეფეს გამოჰყოფს, აღწერს ასპინძისა და კრწანისის ბრძოლებს, რომელთა მნიშვნელობასაც, მისი აზრით, ვერ აცნობიერებს ახალი თაობა, რადგან დაბნელებული აქვს ხედვა. ვახტანგ ორბელიანის პოლიტიკური ხედვა მკვეთრად წარმოიჩნდება ევროპისადმი მის თამამად გამოთქმულ საყვედურში:

„და დასავლეთის ქრისტეს ერნო, თქვენ რას შვრებოდით, როცა ქრისტესთვის თქვენ თვალ-წინა, თქვენს კარს კწყდებოდით?“

ვახტანგ ორბელიანი ქართველ ჰაგიოგრაფთა მსგავსად თვლის, რომ საქართველო, როგორც „ყურეში“ მყოფი ქვეყანა,

თავისთავზე იღებდა მაჰმადიანთა შემოსევებს და ამით იცავდა საქრისტიანოს ცენტრს, ევროპა ტაშს უკრავდა ერეკლეს, ქებას უძღვნიდა, მაგრამ რეალურად არ ეხმარებოდა. ვახტანგ ორბელიანი პასუხს ითხოვს ამგვარი უგულობისთვის:

„მართლმადიდებელთ წმინდა სისხლი კისერს გედებათ, მაგრამ მოგკითხვენ, მაგიერი როსმე გეგებათ!..“

ლექსში ვახტანგ ორბელიანი ეხება რწმენის საკითხს, რომელსაც მხოლოდ ის კითხვა აყენებს ჩრდილს, რომ, თუ ღმერთი არსებობს, „მაშ საქართველო ასე მწარედ რისთვის დაემხო?“ თუმცა პოეტი იქვე დასძენს, რომ ეს მისი მხრიდან ღვთის გამობაა, რომელიც არასდროს გაუვლია გულში პატარა კახს. ამას მოჰყვება მისი სინანული ღვთის განკიცხვის გამო, გოდება, მიტევების თხოვნა და შემდეგ მიტევება. ლექსის ეს მონაკვეთი უთუოდ შთაგონებულია დავით გურამიშვილის „დავითიანით“ - დავითის მიერ ღვთის გამობით კიტრების დაკარგვის გამო, მისი სინანულით და შემდგომ ღვთისგან მისი მიტევებით.

ვახტანგ ორბელიანის პოლიტიკური მრწამსი, ვფიქრობთ, ნათლად აისახება იმ ლექსებში, რომელთა პერსონაჟიც მეფე ერეკლეა. ნიჭიერმა და რელიგიურად მოაზროვნე პოეტმა ორი ლექსი მიუძღვნა თავის დიდ პაპას - „ირაკლი და იმისი დრო“ და „ირაკლი და კოხტა ბელადი“. ორივე ნაწარმოებში ირაკლი რჯულისათვის მებრძოლ გმირად არის წარმოჩენილი. ის ზეცამ მოუვლინა ქართველებს ქრისტიანების მტრების წინააღმდეგ საბრძოლველად, ის ხმალით უმდერის ქრისტიანობას, მისი ვალია წმინდა ტაძართა დაცვა უწმინდურთაგან. პოეტი ირაკლის „შინაურ ტრაგედიასაც“ აღიარებს - რომ მეფეს არავინ ეგულებოდა თავისი შემცვლელი - და ამით ხსნის მის არჩევანსაც.

ვახტანგ ორბელიანი უკმაყოფილოა საქართველოს დამოუკიდებლობის დაკარგვით. მთელ თავის შემოქმედებაში პოეტი ძველი საქართველოს მომდერალია, მაგრამ ერეკლეს ნაბიჯი - რუსეთისაკენ ორიენტაციის აღება და მის მიერ დადებული 1783 წლის გეორგიევსკის ტრაქტატი-პოეტისათვის მისაღებია, რადგან ამ ნაბიჯითაც ერეკლემ დაიცვა ქრისტიანობა და „გადაგვარჩინა“, მისი ღვაწლი სამშობლოსაგან ძეგლის დადგმის ღირსია.

დავით წინასწარმეტყველის 24-ე ფსალმუნი უდევს საფუძვლად ვახტანგ ორბელიანის ლექსს - „ორი სიზმარი“. უფლის წმინდა მთაზე ასვლა ორივე სიზმარში საქართველოს ორგვარ ხილვას უკავშირდება - ივერიის ფიზიკურ სიკვდილს („სიცოცხლის ცეცხლი გამქრალიყო მის წიაღს შინა“) და ივერიის სულიერ განახლებას („სიცოცხლის წყაროს გაელვძინა მის წიაღს შინა“).

უცნაურია, მაგრამ ლექსში „ჯვარი ვაზისა“ ვახტანგ ორბელიანი, საქართველოს ისტორიის კარგი მცოდნე, აღწერს წმინდა ნინოს შემოსვლას ზღვით. ხომალდის დასანთქავად აღმდგარ ტალღებთან მეზრძოლ ნავში მჯდომი მგზავრის აუღელვებლობა და სიმშვიდე აღუზიარა ქრისტეს სიმშვიდისა აბოზოქრებულ ზღვაში და მისი რწმენის გამო ქარიშხლის ჩადგომისა (მათე 8-26);

შოთა რუსთაველის ბიოგრაფიის ორბელიანისეულ ვერსიას წარმოადგენს ლექსი „ოზოლი“. რუსთაველი ოზოლია, ამიტომაც მფარველობს მას ზეცა. ის მიემგზავრება საბერძნეთში, „ელინთ მამულში“, „განათლების აკვანში“, ნასწავლი ბრუნდება სამშობლოში და „დამწველ ლექსებს“ უძღვნის თამარს. მისი სიბრძნე აკვირვებს მეფეს და ხვდება, რომ ამ ლექსების შთამაგონებელი თვითონ კი არა, ზეცაა. ამ აზრში ნათლად იკვეთება ვახტანგ ორბელიანის

ხედვა პოეტური პროცესის მიმართ: შთაგონება შეუძლია კონკრეტულ პიროვნებას, მაგრამ ლექსისქმნადობა ღვთიურ ნიჭზეა დამოკიდებული, ზეციდან იმართება.

ვახტანგ ორბელიანის ლირიკა უაღრესად რელიგიურია; ყველა საკითხს პოეტი რელიგიური კუთხით აფასებს. ახალგაზრდებს მოუწოდებს სწავლისკენ, რადგან „სწავლა არს მადლი ღვთაებისა, ცხოველი მარად“; სწავლას აჰყავს ადამიანის გონება იმ სიმაღლემდე, რომ განსჭვრიტოს და მისწვდეს „დიდ განგებას.“ ვახტანგ ორბელიანისათვის კაცობაც და ქალობაც ღვთისმოშიშობით განისაზღვრება („კაცი ის არის“, „ქალი ის არის“); თუმცა სიტყვისა და აზრის თავისუფლება მისთვის უპირველესია, რადგან ამაში მჟღავნდება ადამიანის თავისუფალი ნება:

„ნუ დაუტყვევებთ კაცს აზრსა, თუმც იყოს არა მცნებისა;
დეე, მაღლა თქვას, წარმოთქვას, - მაშია ყოფა ნებისა“
(„გალია“ / ორბელიანი 1992 :: 518).

პოეტურ პროცესსაც მხოლოდ მაშინ მიიჩნევს ჭეშმა-რიტად, როცა პოეტის „გულ-სულში“ ციდან აღიგზნება პოეზიის ნაპერწკალი, ხოლო თუ პოეტი „იქ მაღლა ცაში“ „მფრინავი აზრით“ ვერ ამაღლდება, ჩვეულებრივი კაცია და არა პოეტი („ბაქარ ქართლელს“).

ვახტანგ ორბელიანის საზოგადოებრივ-ლიტერატურული აზროვნების წარმოსაჩენად უაღრესად საინტერესო პოემაა - „განკითხვა“. ნაწარმოების პირველი ნაწილი წარმოადგენს შავი მერანის ქროლვას და ბრძოლას მდინარის ზვირთებთან. თავგანწირულია მხედრის ლტოლვაც. ის დასაღუპავად იმეტებს თავს, არ ეპუება ზვირთებს, წინ უამრავი დაბრკოლება ეღობება, მაგრამ, თუ ბარათაშვილის მერნისა და მხედრის მიზანი უაღრესად დიდია კაცობრიობისათვის - ბედის საზღვრის გადალახვაა, ვახტანგ ორბელიანის

მხედრის ოცნება ტურფა ასულის ხელში ჩაგდება, მისი მოტაცებაა, რომელიც სრულდება სისხლისღვრით. ყმაწვილი მოკლავს ქალის დადევნებულ მამას და დიდ ცოდვაში ვარდება. ვახტანგ ორბელიანი პოემაში აქსოვს საქართველოს თვალწარმტაცი ბუნების აღწერას, მის დიდებულ წარსულს და თანამედროვეთა ურწმუნოებას („აწინდელ შენს ძეს არ სჯერს, არა სწამს!“) გრიგოლ ორბელიანის მსგავსად, ვახტანგ ორბელიანიც იმავე აზრს ავითარებს, რომ ქვეყნის მომავალი ქართველის რწმენაზეა დამოკიდებული, ხოლო ცოდვის გამოსყიდვის ერთადერთი გზა მამულისათვის თავგანწირვაა. მეფე, უმაღლესი მსაჯული, არ სჯის მხედარს, ის შეიწყალებს მას, როგორც ობოლსა და მამულისათვის საჭირო მეომარს, ავალებს ქვეყნისათვის თავგანწირვას, რათა ღმერთმა შეიწყალოს მისი სული:

„და შეიწყალებს ღმერთიც შენს სულსა,

თუ რომ შესწირავ თავს შენს მამულსა!“ (იქვე)

ქალის ცოდვა მშობლის ნების შეურაცხყოფაა. ვახტანგ ორბელიანის აზრით, ქალი დამნაშავეა. თუმცა სიყვარული თანაგრძნობას იმსახურებს, მაგრამ პოეტი ვერ ამართლებს მის საქციელს, მამის ნების წინააღმდეგ წასვლას. ცოდვის გამოსყიდვა მონასტერში ხდება, სადაც წმინდა დედანი წმინდა ლამპრებით ხელში დგანან. ეს სახარებისეული სახე-ხატი წმინდა ლამპრისა მიგვანიშნებს, რომ ცოდვილთათვის ნუგეში მხოლოდ ღვთის სიყვარულია. ვახტანგ ორბელიანი ადამიანის არსებობის არსსა და მოვალეობას რელიგიურ აზროვნებაში ხედავს.

ეგზისტენციალური საკითხია წარმოჩენილი ვახტანგ ორბელიანის ლექსში „გავჩნდით რისთვისა“. მთელი ლექსი პასუხებია დასმულ კითხვაზე. ისინი რიტორიკული შეკითხვების სახითაა მოცემული: ნუთუ იმისთვის გავჩნდით,

რომ არ ვიკმაროთ ის, რაც ღმერთმა მოგვცა და „დაბნელებული თვალით“ ვიაროთ?! ნუთუ იმისთვის, რომ ვერ იგრძნოს კაცმა „ამ ღვთის ქმნილს ქვეყნად რისთვის მოსულა?“ ნუთუ იმისთვის, რომ ძმამ ძმას უმტროს? ძმის ქონებაზედ თვალი ეჭიროს? ღვთის ერმა სხვა ერს დაუნგრიოს მამული და დანგრეულ სახლ-კარში მშვიერი დატოვოს? გარდა მორალურ-ზნეობრივი პასუხებისა, ლექსში თვალსაჩინოა სახარებისეული ხატი-სიმბოლო - „დაბნელებული თვალი“, რომელიც ადამიანის ურწმუნოების მანიშნებელია. ნაწარმოების მიხედვით, ადამიანის სიცოცხლის აზრი რწმენითი ცხოვრებაა. თვალსაჩინოა, რომ ვახტანგ ორბელიანის რელიგიური თვალთახედვა დიდაქტიკურ-მორალისტურ ფუნქციას ითავსებს.

ლექსში „ნანგრევთა შუა ლამპარი“ აღწერილია ივერიის ძის ცხოვრება ქვეყნის დიდებული წარსულის ნანგრევებში; ჩანს ივერიის ძის უიმედობაც, რაც მისი ურწმუნოების მაჩვენებელია. უიმედობა გამოწვეულია თამარის დღეთა დავიწყებით, წარსულზე უარის თქმით. თუ გრიგოლ ორბელიანის ლექსში „თამარის სახე ბეთანიის ეკლესიაში“ ივერიის ძის ეჭვით აღვსილი სახე მიზეზია ქვეყნის სულიერი დაცემისა, ვახტანგ ორბელიანისათვის ქართველი სულით მაინც არ არის მკვდარი, რადგან მას უნათებს ლამპარი, რომელიც შვიდი საუკუნის წინ აანთო მისთვის დიდმა შოთამ. ცხადია, რომ აქ სწავლის ლამპარი იგულისხმება და არა რწმენის. ავტორს იმედი აქვს, რომ ამ ლამპრის მადლს ევროპაც ეზიარება. ლექსში კონცეპტუალურად არ არის გააზრებული ლამპრის სახე და ივერიის ძის უიმედობით გამოწვეული შედეგი, ამიტომაც ნაწარმოების ანალიზი მხოლოდ კონკრეტულ თემატიკას - სწავლა-განათლების -

საკითხს უკავშირდება და ფილოსოფიურ განზოგადებაში არ გადადის.

ვახტანგ ორბელიანს ლოცვითი ჟანრის ლექსიც აქვს შექმნილი სათაურით „დიდმარხვის ლოცვა“. მის ლოცვას დოგმატური უფრო შეიძლება ეწოდოს, ვიდრე მხატვრული. ორბელიანი აღწერს იმ სულიერ პროცესს, რომელსაც განიცდის მორწმუნე ღვთიური მადლის გადმოსვლამდე და მას შემდეგ: პოეტის გულს შორდება ძმათა განკითხვის სურვილი, წმინდა ნათლით უცხოველდება გული, სული ცისკენ აღმართება, იპყრობს სიხარული და „უცნობი სიტკბოება“, „ტკბილი ცრემლი“ მოედინება თვალთაგან, შორდება ამ სოფლის ვაება და მისი ლოცვა საკმეველივით წარემართება უფლისკენ. ის არის პოეტის „მსხვერპლი უფლისადმი“. ამ აღწერაში არ ჩანს ის ინდივიდუალური მიმართება უფალთან, რითაც გვხიზლავს ბარათაშვილის „ლოცვა“. თუ ბარათაშვილი ლოცვის უმთავრესს არსს დუმილით სწვდება და ამით მაღლდება „წმინდა ლოცვამდე“, ორბელიანი სიტყვებით ევედრება ღმერთს: „მომისმინე, მომისმინე, უფალო!“ („დიდმარხვის ლოცვა“). მართებულად შენიშნავს გერონტი ქიქოძე: „თუ ნიკოლოზ ბარათაშვილის ლირიკაში ფილოსოფიურმა აზროვნებამ ზომიერი ინდივიდუალისტური განხრა მიიღო, ვახტანგ ორბელიანის შემოქმედებაში იდეალიზმმა რელიგიური განხრა მიიღო, ხოლო ინდივიდუალიზმის ადგილი სოციალურმა მორალმა დაიჭირა (ქიქოძე 1965 : 213).

და ბოლოს, ილია ჭავჭავაძემ ვახტანგ ორბელიანი მიიჩნია ერთადერთ რომანტიკოსად. ამას განაპირებს რამდენიმე მიზეზი: წარსულის იდეალიზაცია, ბუნების თემის წინ წამოწევა, სოციალური შეხედულებები და ქრისტიანული მორალი, პოეტის მეტყველების მაღალფარდოვნება და პოეზიის ელიტარულობის აღიარება, აღმოსავლურ

ტრადიციათა უარყოფა, მის შემოქმედებაზე ვიქტორ ჰიუგოს გავლენა. სხვა რომანტიკოსთა შემოქმედებაში ზემოთ დასახელებულ ნიშნებს უფრო ზომიერი ინდივიდუალისტური გამოხატულება აქვს და იდეალიზაცია რელიგიურ მორალში არ გადადის.

გამოყენებული ლიტერატურა:

- **მეუნარგია 2010:** – მეუნარგია ი., თხზულებანი, გამომცემლობა „არტანუჯი“, თბილისი, 2010.
- **ორბელიანი 1992:** – ორბელიანი ვ., წიგნიდან „ქართული მწერლობა“, ტ.9., გამომცემლობა „ნაკადული, თბილისი, 1992.
- **ქიქოძე 1965:** – ქიქოძე გ., რჩეული თხზულებანი, ტ.3, გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, თბილისი, 1965.
- **ყიფიანი 1990:** – ყიფიანი დ., მემუარები, სერიიდან „ქართული მემუარული ლიტერატურა“, გამომცემლობა „საქართველო“, თბილისი 1990.
- **ჭავჭავაძე 1991:** – ჭავჭავაძე ი., თხზულებათა სრული კრებული ოც ტომად, ტ.5, გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, 1991.

**ყოვლადწმინდა ღვთისმშობელი
ქართულ ხალხურ სასულიერო-რელიგიურ პოეზიაში**

აბსტრაქტი: ქართული ხალხური სასულიერო-რელიგიური პოეზია უდიდესი მოწიწებითა და სიყვარულით გადმოსცემს ჩვენი ერის შემწისა და მეოხის - ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ვერბალურ ხატს.

მართალია, ქართული ხალხური სასულიერო-რელიგიური ლირიკის პირველწყარო ბიბლია და აპოკრიფული მწერლობაა, მაგრამ ის მაინც ზოგადქართული მოვლენაა, რომელიც ნათელ წარმოდგენას გვიქმნის ქართველთა ზნეობრივ-რელიგიური ცნობიერების ევოლუციასა და გამოვლენის სპეციფიკაზე; იმავდროულად ფოლკლორული შემოქმედების ეს უბანი, რომელიც წმინდა ღვთისმშობლისადმი მიძღვნილი, გვეხმარება, თვალი გავადევნოთ ზნეობრივ-მორალური ტრადიციისადმი ჩვენი სოციუმის სამართალმემკვიდრეობის პრობლემასაც.

ქართული სასულიერო-რელიგიური ზეპირსიტყვიერება და, ბუნებრივია, ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის თემატიკის პოეზია, იგივე ხალხური ბიბლიაა, რომლის მაღალ-მოქალაქეობრივი სენტენციები თაობათა ზნეობრივი მოძღვარია და მაგალითია იმისა, რომ კაცობრიობის არსებობის მანძილზე რელიგიური იდეოლოგიათა ელემენტები და ხალხის მიერ ცხოვრებაზე უშუალო დაკვირვებით შემუშავებულ

¹ ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი / PhD in history, Professor at Batumi Shota Rustaveli State University

ეთიკურ ღირებულებებზე დაფუძნებული ფოლკლორული შემოქმედება ერთმანეთს ავსებდნენ, ერთობლივად იდგნენ და დგანან ჩვენი ერის, მამულისა და სარწმუნოების სამსახურში.

საკვანძო სიტყვები: სასულიერო-რელიგიური პოეზია, ადგილის დედა, დიდი დედა, მაცხოვარი, აპოკრიფი, ცოდვილი, ხატი, ჯვარცმა, სიმბოლო, ტრადიცია.

The Holy Mother of God in Georgian Folk and Religious Poetry

Abstract: Georgian folk sacred-religious poetry conveys with great awe and love the verbal icon of the Mother of God - the All-Holy Mother of God.

It is true that the primary sources of Georgian folk religious lyrics are the Bible and apocryphal writings, but it is still a general Georgian phenomenon that gives us a clear idea of the evolution and specificity of the Georgian moral-religious knowledge; At the same time, this area of national folklore creation, which is dedicated to the Holy Mother of God, helps us to keep an eye on the problems of our society's inheritance of moral traditions.

Georgian sacred-religious orality and, naturally, poetry on the theme of the Most Holy Mother of God, is the same as the folk Bible, whose highly civic sentences are the moral teacher of generations and an example of the fact that throughout the existence of mankind, the elements of religious ideologies and folklore creations based on ethical values developed by people through direct observation of life complemented each other. They stood together in the service of the nation, estate and faith.

Key words: Sacred religious poetry, Mother of God, St. Mary, Great Mother, Mother of Place, Savior, Apocrypha, Bible, Sinner, Icon, Crucifixion, Symbol, Tradition.



მსოფლიოს ყველა ხალხის ზნეობრივი მრწამსის უმთავრესი წყაროა სასულიერო-რელიგიური ხასიათის ფოლკლორი, რომლის გენეზისიც ბიბლიასა და აპოკრიფულ ლიტერატურაში და თავად ხალხის ჯანსაღ სულიერ წიაღშია დასაძებნი.

ქართული სასულიერო-რელიგიური ფოლკლორის ღირებულება განუსაზღვრელია როგორც ისტორიული, ისე თანადროულობის თვალსაზრისით, რამეთუ ზნეობრივად ჯანსაღი თაობების აღზრდას ემსახურება; იგი არის ძვირფასი საუნჯე ერის კულტურის გამოსაკვებად.

ქართული ხალხური სასულიერო-რელიგიური პოეზია უდიდესი მოწიწებითა და სიყვარულით გადმოსცემს წმინდა ღვთისმშობლის ვერბალურ ხატს. ჯერ კიდევ იოანე ბატონიშვილის მიერ ქართლელი მესტვირისაგან ჩაწერილ ლექსში „ყოვლად წმინდა“ ღვთისმშობელი მარიამი მიჩნეულია ქვეყნის აღმშენებლად, დემიურგად; ამავე დროს მას ამინდის მართვის ფუნქციაც მიეწერება:

ყოვლადწმინდა ღვთისმშობელმან
ქვეყნის შენება ინება,
ცასა უბოძა ღრუბელი,
წვიმასა - ჩამოდინება,
დედამიწასა - ბალახი,
ქვევიდამ ამოდინება...
(ქ. ხ. პ., 1973: 135)

ყოვლადწმინდა ღვთისმშობლისადმი ამგვარი რწმენა-წარმოდგენების შემუშავება შემთხვევითი როდია. წმინდა მარიამის სახე ჩაენაცვლა წარმართობისდროინდელ ხთონურ ღვთაებათა ტრიადას, უფროც - საერთოქართული და

საერთოკავკასიური დიდი დედისა და ადგილის დედის კულტებს. როგორც მკვლევარი ქეთევან სიხარულიძე მიუთითებს, “ხალხის ცნობიერებაში ეს ორი სახე ერთმანეთს შერწყა. ამიტომ ფშავ-ხევსურეთში ზოგან ასეც იხსენიება - ადგილის დედა ღვთისმშობელი. მას ასე მიმართავენ: „- ადგილის დედა ხთიშობელო, ადგილის მცველო და მფარველო დედავ, დედაო ხთიშობელო...” (სიხარულიძე, 2006: 89).

პეტრე უმიკაშვილის მიერ ხევში ჩაწერილი ლექსის - “ყოვლად წმინდა ღვთისმშობელი” თანახმად, ქართველი ხალხის კოლექტიურ ცნობიერებას ღვთისმშობელი გლეხი კაცის მოსარჩლედ დაუსახავს. ქართველ მშრომელს, რომელსაც იმავდროულად სოციალური პროტესტიც ამოძრავებს, მაცხოვრის მშობელი ესახება საიმედო დასაყრდენად, მის კალთას ამოფარებულად მიაჩნია თავი, როცა ყოველი მხრიდან სასოწარკვეთილია და მისი ადგილი აღარსად მოჩანს:

ყოვლად წმინდა ღვთისმშობელი
მაღალი ღვთის ოლარია,
წინ უდგას ოქროსა ტახტი,
გლეხი კაცის მშველელია...(ქ.
ხ. პ., 1973: 135-136)

ღვთისმშობლის მოხსენიება ხალხის მფარველად, განსაკუთრებით კი - ცოდვილთა შემწყალედ ფართოდ გავრცელებული მოტივია ქრისტიანულ სამყაროში და, ბუნებრივია, ქართულმა ხალხურმა სასულიერო ლირიკამ კიდევ უფრო მაღალ რეგისტრში აიყვანა და უდიდესი ნდობით, სიყვარულითა და მოწიწებით შექმნა მისი ვერბალური ხატება. ამ თემაზე შექმნილ ზეპირსიტყვიერებას დიდად შეუწყო ხელი საქრისტიანო ქვეყნებში იმთავითვე გავრცელებულმა და ქართულ მწერლობაში მე-13 საუკუნის

ხელნაწერით შემონახულმა აპოკრიფულ-ესქატოლოგიურმა ძეგლმა “ღვთისმშობლის მიმოსვლა” (“მიმოსვლა ღვთისმშობლისა ადგილთა ტანჯვისათა”), ანუ “წმიდისა ღმრთის მშობელისაგან კაცთა ცოდვილთა სატანჯველთა ხილვაი” (ძვ. ქ. ლიტ. ქრესტ., 1946: 15-19), რომელშიც ასახულია წმინდა მარიამის მიერ ანგელოზთა თანხლებით ჯოჯოხეთის დათვალიერება და იქ ცოდვილთა საშინელი სატანჯველის ხილვა. ღვთისმშობელი უფალს სთხოვს, დაეხმაროს ჯოჯოხეთში მყოფთ, მაგრამ უარს მიიღებს სახარებისეული სიტყვების დამოწმებით: “უკუეთუ ვინმე იყოს ბოროტი, არა მიიღოს კეთილი”. ნაწარმოები მთავრდება სინანულის სიტყვებით, რაც გამოწვეულია ადამიანთა უმადურობით, რის გამოც ისინი სასჯელს იმსახურებენ. საბოლოოდ კი ღმერთი უსასოდ მაინც არ ტოვებს “ხატად მისად” შექმნილთ და პირობას აძლევს, რომ „დღესა წმიდასა” გაათავისუფლებს მათ, რათა ადიდონ სამება.

ქართული ხალხური სასულიერო პოეზიის მიხედვით, წმინდა მარიამს ცოდვილთა დამსჯელი ფუნქციაც მიეწერება:

ვარძიისა ღვთისმშობელმან

ქმარი ავად გამიხადა,

არც მოკლა, არც დაარჩინა,

საექიმოდ გამიხადა.

(ქ. ხ. პ., 1973: 137)

მესხეთ-ჯავახეთში გავრცელებული ლექსის - “ვარძიას წაველ” - მიხედვით, ზიფათს გადარჩენილი მხედარი ღვთისმშობლის ხატს სწირავს მადლობას და სანთელს უნთებს:

ხატსა სანთელი აუნთე,

მიშველე, წმინდა დედაო!

პირჯვარიც გამოვისახე,

ლოცვა ვსთქვი ზედი-ზედაო.

(ქ. ხ. პ., 1973: 136)

სვანურ საფერხულო ლექსში “დიდება უშგულის მარიამს” თავდამსხმელ ოსებთან მეგრძოლ სვან მეომრებს შემწედ ესახებათ ზღუდეოქროიანი სალოცავი წმ. მარიამისა და მიმართავენ:

ზღუდე გარტყია ოქროსი,
შესაწირი გინდოდა დიდი.
ოსეთს დაიძრა ლაშქარი...
ღვთისმშობელო, სად ბრძანდები!..
(ქ. ხ. პ., 1973: 137)

იესოს ჯვარცმის ტრაგედიას ეხმიანება და წმინდა მარიამის უდიდეს მწუხარებას გამოხატავს თედო რაზიკა-შვილის მიერ ქართლში ჩაწერილი ლექსი “ქვეყანა იძრა”:

ქვეყანა იძრა, კლდე გასქდა,
ტირის მარიამ დედაო:
– შენზედა დამოკიდებულს
თვალით როგორა მხედავო.
(ქ. ხ. პ., 1973: 168)

ხალხს სჯერა, რომ ღვთისმშობელი ბოლომდე არ გაწირავს ადამიანს. ქართულ ზეპირსიტყვიერებაში მრავალ ვარიანტად გავრცელებული “ხორველას ლექსის” თანახმად, წმ. მარიამი ეხვეწება იესოს, არ გაწყვიტოს ქრისტიანობა, შეუწდოს ჩადენილი ცოდვები:

- ჰეი, შვილო, ტკბილო ძეო,
რას მიპირობ დედაშენსა!
რისთვის მიწყვეტ სამთელ-საკმელს,
სეფისკვერსა, ზედაშესა!
თუ ქრისტიანენტ გამიწყვეტ,
შვილო, მე რა დამარჩენსა!
(უმიკაშვილი, 1964: 228)

ღვთისმშობლისადმი ქართველი ხალხის განუზომელი სიყვარულისა და თაყვანისცემის დასტურია მისი სადიებელი ლექსი “ანბანთ ქება” (უმიკაშვილი, 1964, 191). მასში ცოდვილი ადამიანი შესთხოვს წმინდა მარიამს, არ მისცეს მისი ცოდვილი სული ბილწ ეშმაკს”, შეავედროს მაცხოვარს და არ განიკითხოს შეცოდებათა გამო; “ტკბილი დედის” მოიმედე ცოდვილი ევედრება ყოვლადწმინდა ღვთისმშობელს, წყალობის კარი გაუღოს მის ამქვეყნიურ ცოდვებს და ზეცის ხილვა აღირსოს:

აღვსილხარ, ყოვლად წმინდაო, ყოვლის მადლითა უფლისა,
ბაღჩა ხარ აყვავებული, სადგომი სულის წმინდისა.
გაბრიელის ხარებითა მოგვევლინა ძალი მღვთისა,
დედა ხარ იესო ქრისტესი, ქალ ზეციერი მამისა.
ემანუილ შენგან იშვა, მიზეზი ჩვენის დახსნისა,
ვარდი ხარ მეტად ლამაზი, მოსაწონარი უფლისა,
ზიხარ მუდამ შენ ძესთანა მეოხად ცოდვილებისა.

ცოდვილი ადამიანი ევედრება მაცხოვრის დედას, მეოხი იყოს, დაამღვინოს მტერი, შეავედროს მის შვილს - იესო ქრისტეს:

კურთხეული ხარ, მარიამ, მუდამ ყოვლისა გვარისა,
ლამპარი ხარ ნათლოვანი და ვარსკვლავი ცისკარისა.
მარიამ მიმადლებულო, სიტყვა გაქვს ანგელოზისა,
ნეტარედი ხარ, მარიამ, კარი განგვიღე ზეცისა,
ორნი გზანი მიგვაჩნია, გვიწინამძღვრე სამოთხესა,
პირწსა ეშმაკსა ნუ მიმცემ, შემავედრე მაცხოვარსა!

ლექსში დალოცვილია ის დღე, როდესაც მარიამი ღვთის დედად იქცა; უიშვიათესი მხატვრული სახეებით არის შემკობილი ქართველთა მეოხი ღვთისმშობელი:

ჟამი იგი დაილოცოს, რომ შენ იქენ დედა ღვთისა,
რა ღირსი ვარ, რომ შენ გაქო, თუ შენ არ მომცემ იმედსა!
სანთელი ხარ ნათლოვანი, გამნათებელი ბნელისა,
ტურფა რამე ფრინველი ხარ, მიმსგავსებული მტრედისა,

ქვეყნისა ანგელოზი ხარ და ვარსკვლავები ზეცისა,
ღრუბელი ხარ უწვიმარი, წვიმა ხარ შვიდ მაისისა,
ყოვლისფრად შემკობილი ხარ, ტაძარი სოლომონისა.
წყალობის კარი განგვიღე, წყალობა მოეც სოფელსა,
ქეშმარიტად ღვთის დედა ხარ, უბრწნელი ქალწულებისა,
ხე ცხოვრებისა იწოდე, ხილი გაქვს უკვდავებისა,
ჯოჯოხეთისგან დამიხსენ, მუდამ შენ მიზამ კეთილსა,
ჰოი, რა ტკბილი დედა ხარ, მაღირსე ხილვა ზეცისა!

ლექსი საინტერესოა ღვთისმშობლის სახის სიმბოლიკის თვალსაზრისითაც. ამ პრობლემას საყურადღებო ნაშრომი უძღვნა მკვლევარმა ბელა მოსიამ (მოსია, 2006: 65–80); ხალხურ ლექსში ასახული წმინდა მარიამის სიმბოლურ სახეთა (დიდი დედა, კარი, ცისკრის ვარსკვლავი, ცა, სულიწმინდის სადგომი, აყვავებული ბაღჩა, ვარდი, ცოდვილთა მეოხი, ნათლოვანი სანთელი, ზეცის კარის გასაღები, ანგელოზთა სიტყვის მფლობელი, უბრწნელი სამოსი, სოლომონის ტაძარი, მტრედი, შვიდმაისის წვიმა და სხვა) მრავალფეროვნება, რასაც პარალელები ეძებნება საღვთისმეტყველო ლიტერატურულ ძეგლებსა და უძველეს მითოსურ აზროვნებაში, გამოხატულებაა ქართველი ხალხის უდიდესი სიყვარულისა და მოკრძალებისა მაცხოვრის მშობლის მიმართ.

ღვთისმშობლისადმი მიძღვნილ ქართული ხალხური სასულიერო პოეზიის ყოველ ნიმუშში წმინდა მარიამი

უაღრესად ეროვნული იერსახით არის წარმოჩენილი და მისი წილხვდომილი ერის უპირველესი მფარველი და მეოხია. თამამად შიძლება ითქვას, რომ, მიუხედავად იმისა, რომ ქართული ხალხური სასულიერო-რელიგიური პოეზიის პირველწყარო ბიბლია და აპოკრიფული მწერლობაა, იგი მაინც ზოგადქართული მოვლენაა; მისი შესწავლა შესაძლებელს ხდის, საფუძვლიანად ჩავწვდეთ ჩვენს ეროვნულ სინამდვილეში ზნეობრივი და რელიგიური ცნობიერების ევოლუციისა და გამოვლენის სპეციფიკას და, ამავე დროს, თვალი მივადევნოთ ზნეობრივ-მორალური ტრადიციებისადმი ჩვენი თანამედროვე, ღირებულებათა გადაფასების უსასტიკეს წნეხში მოქცეული, სოციუმის სამართალმემკვიდრეობის პრობლემებსაც.

სასულიერო-რელიგიური ზეპირსიტყვიერება და, ბუნებრივია, ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის სადიდებელი ხალხური პოეზია იგივე ხალხური ბიბლიაა, რომლის მაღალმოქალაქეობრივი სენტენციები თაობების ზნეობრივი მოძღვარია და ნათელი მაგალითია იმისა, რომ კაცობრიობის არსებობის მანძილზე რელიგიურ იდეოლოგიათა ელემენტები და ხალხის მიერ ცხოვრებაზე უშუალო დაკვირვებით გამომუშავებული ზნეობრივ-ეთიკურ ღირებულებებზე დაფუძნებული ფოლკლორული შემოქმედება ერთმანეთს ავსებდნენ, ერთობლივად იდგნენ ჩვენი ერისა და სახელმწიფოებრიობის სამსახურში.

ბიბლიოგრაფია:

- **მოსია, 2006:** - ბელა მოსია, “ქართული ფოლკლორის სახისმეტყველება”, თბილისი;
- **სიხარულიძე, 2006:** - ქეთევან სიხარულიძე, “კავკასიური მითოლოგია”, თბილისი;
- **უმიკაშვილი, 1964:** - პეტრე უმიკაშვილი, “ხალხური სიტყვიერება”, ტ. I, თბილისი;
- **უმიკაშვილი, 1964:** - პეტრე უმიკაშვილი, “ხალხური სიტყვიერება”, ტ. II, თბილისი;
- **ქ. ხ. პ., 1973:** - “ქართული ხალხური პოეზია” 12 ტომად, ტ. II, თბილისი;
- **შიოშვილი, 2004:** - თინა შიოშვილი, “ქართული ხალხური სასულიერო პოეზიის ზნეობრივი კრედო”. - წიგნში: “ქართული ფოლკლორის ზნეობრივი სამყარო”, წ. II, ბათუმი;
- **შიოშვილი, 2009:** - თინა შიოშვილი, “ღვთისმშობელი ქართულ ფოლკლორში”. - “ჩვენი სულიერების ბალავარი”, ტ. I, სამეცნიერო კონფერენციის მასალები, ბათუმი;
- **ძვ. ქ. ლიტ. ქრესტ., 1946:** - “ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია”, ტ. I, შედგენილი სოლ. ყუბანეიშვილის მიერ, თბილისი.

დიდაჭარის ტრადიციული კულტურის შესწავლის ზოგიერთი ასპექტისათვის

აბსტრაქტი: არქეოლოგიური კვლევებით დასტურდება, რომ დიდაჭარა ნეოლითური ხანიდანაა დასახლებული და შედიოდა კოლხური კულტურის გავრცელების არეალში. იგი როგორც აჭარის განუყოფელი ნაწილი, აქტიურად მონაწილეობდა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს მოსახლეობასთან ერთად კოლხური კულტურის ფორმირებაში, კოლხეთის სამეფოს გაერთიანებაში.

დიდაჭარის ცხოვრებაში განსაკუთრებული ეტაპია პირველი საუკუნე, რადგან ქრისტეს მოწაფეებმა – ანდრია პირველწოდებულმა, მატათამ, სვიმეონ კანანელმა და სხვებმა მისიონერული მოღვაწეობა ზემო აჭარიდან - დიდაჭარიდან დაიწყეს.

დიდაჭარის როგორც სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს მნიშვნელოვან სტრატეგიულ როლზე უნდა მიგვანიშნებდეს იქ ციხე-სიმაგრის არსებობაც, რასაც ადასტურებს მოსახლეობაში დაცული ონომასტიკური მასალა და, ასევე, მხატვარ ვ. ილიუშინის მიერ ერთგვარი დოკუმენტური სიზუსტითა და ნათელი კომპოზიციური სტრუქტურით გამორჩეული ნახატები, რომლებიც რეალისტურ გამომსახველობას ანიჭებენ

¹ ისტორიის დოქტორი, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის ეთნოლოგიისა და სოციოლოგიური კვლევის განყოფილების უფროსი მეცნიერი თანამშრომელი; / PhD in history, Senior Researcher of Department of Ethnology and Sociological Research, Niko Berdzenishvili Institute, Batumi Shota Rustaveli State University

ავტორის მიერ შესრულებულ ძველ ციხე-სიმაგრეთა კოლო-
რიტულ ნანგრევებს.

საკვანძო სიტყვები: დიდაქარა, ილუშინი, ციხე-სიმაგრე,
ონომასტიკა

For Some Aspects of the Study of Traditional Culture of Didachara

Abstract: Archeological studies prove that Didachara has been in-
habited since Neolithic times and was included in the area of spread
of Kolkhi culture. As an inseparable part of Ajara, it actively par-
ticipated in the formation of the Colchian culture, in the unifica-
tion of the Kingdom of Colchis, together with the population of
southwestern Georgia.

The first century is a special stage in the life of Didachara, be-
cause the disciples of Andrew the Apostle, Matata, Simeon Kanane-
li and others started their missionary work from Upper Ajara – Di-
dachara.

The important strategic role of Didachara as the southwestern
part of Georgia should be indicated by the existence of a fortress
there, which is confirmed by the onomastic material preserved
among the population and also by the artist V. Ilyushin's paintings
are distinguished by a kind of documentary accuracy and a clear
compositional structure, which give a realistic expression to the
colorful ruins of ancient fortresses made by the author.

Key words: Didachara, Ilushini, castle, onomastucy



დიდაჭარა საქართველოში, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ხულოს მუნიციპალიტეტში მდებარე სოფელია, რომლის თემი მოიცავს შემდეგ სოფლებს: დიდაჭარა, ბოლაური, ირემამეები. იგი მდებარეობს მესხეთის ქედის სამხრეთ კალთაზე, მდინარე აჭარისწყლის მარჯვენა მხარეს, ზღვის დონიდან 800 მეტრზე. მდიდარი ისტორიული წარსულის მქონე დიდაჭარის ფიზიკურ-გეოგრაფიული და კლიმატური პირობების მრავალგვარობამ განაპირობა არა მარტო სამეურნეო ყოფის, არამედ ტრადიციული კულტურის თავისებურებაც.

დიდაჭარა, როგორც აჭარის განუყოფელი ნაწილი, აქტიურად მონაწილეობდა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს მოსახლეობასთან ერთად კოლხური კულტურის ფორმირებაში, კოლხეთის სამეფოს გაერთიანებაში. მისი მდიდარი სამეურნეო ტრადიციების ამსახველია 1964 წელს მოძიებული არქეოლოგიური მასალები, ბრინჯაოს კოლხური ცულების განძი, ე.წ. „დიდაჭარის განძი“, რომელიც დაცულია ხარიტონ ახვლედიანის სახელობის აჭარის სახელმწიფო მუზეუმში. ეს არის 20 კოლხური ცული, რომელიც ხელით გამოძერწილ თიხის ჭურჭელში იყო ჩალაგებული. მათი უმრავლესობა ადგილობრივ ნამზადად არის მიჩნეული და ძვ.წ. XIV-XI-II სს. უნდა მიეკუთვნებოდეს (ინაიშვილი, 1975:16, 19, 47). ამის საფუძველზე აშკარაა, რაც შემდგომი კვლევებითაც დასტურდება, რომ დიდაჭარა ნეოლითური ხანიდან ყოფილა დასახლებული და შედიოდა კოლხური კულტურის გავრცელების არეალში (ებრალიძე ტ., 2008:37-39; წულუკიძე თ., 2008:93-94).

დიდაჭარის ცხოვრებაში განსაკუთრებული ეტაპია პირველი საუკუნე, რადგან ქრისტეს მოწაფეებმა – ანდრია

პირველწოდებულმა, მატათამ, სვიმეონ კანანელმა და სხვებმა მისიონერული მოღვაწეობა ზემო აჭარიდან - დიდაჭარიდან დაიწყეს, რასაც მთელ საქართველოში თანდათან მოჰყვა ქართული მწიგნობრობის განვითარება-აღმავლობის პროცესი.

ადრეულ პერიოდში დიდაჭარა უფრო ვრცელ არეალში ლოკალიზდებოდა. თუ უფრო ადრე არა, გარკვეულ პერიოდში დიდაჭარის სახელწოდება უნდა ყოფილიყო დედოფარა ანუ დედააჭარა, რაც ზემო აჭარის მოსახლეობაში დღემდე ნათლადაა შემონახული და ამას ხსნიან ამ მხარის რელიგიურ-კულტურული, პოლიტიკურ-ადმინისტრაციული დატვირთვითაც (ბაქრაძე, 1987:64; შავიანიძე, 2009:164; ჩელებაძე, 2021:32). საგულისხმოა ის გარემოებაც, რომ ოსმალთა ბატონობის დროს, დაახლოებით მე-16 საუკუნის შუა პერიოდში, ოსმალური აღწერის მიხედვით ზემო აჭარის სოფლების ჩამონათვალში სოფელი დიდაჭარა 34-ე ნომრად იწოდება როგორც დიდი აჭარა, სადაც იმ დროისთვის მხოლოდ 6 კომლი ცხოვრობდა (ზემო აჭარის..., 2011:16; 52). აღნიშნულთან დაკავშირებით საყურადღებოა მკვლევარ ა. ინაიშვილის მიერ გაზიარებული აკად. ნ. ბერძენიშვილის შემდეგი ვარაუდი, რომ „დიდაჭარა და მისი შემოგარენი მეურნეობრივად და სოციალურად მოწინავე რაიონად უნდა წარმოვიდგინოთ და ერთგვარად დასაბუთება მოვუძებნოთ ისტორიულ-გეოგრაფიულ სახელს - „დიდაჭარას“, როგორც ფეოდალური ხანის აჭარის „ქვეყნის“ თავდაპირველ ცენტრს (ინაიშვილი, 1975:48-49).

როგორც ცნობილია, საუკუნეების მანძილზე ხულოს რაიონის ტერიტორია აჭარის საერისთაოს შემადგენლობაში იყო დამასთან ერთად წარმოადგენდა ქართულის სახელმწიფოს სამხრეთი ნაწილის თავდაცვით ზოლს. ხულოს რაიონში

არის შუა საუკუნეების თაღვანი ხიდები, ციხე-სიმაგრეები, ქრისტიანულ სალოცავთა ნაშთები, სხალთის დიდებული ტაძარი, რომლის აგებას მოსახლეობა ძირითადად თამარ მეფის სახელს უკავშირებს.

ქართული კულტურის - ზეპირსიტყვიერების, მატერიალური თუ არამატერიალური ძეგლების, მუსიკალური ფოლკლორის, ხალხური დღესასწაულების მრავალი ელემენტი თუ ხსოვნა მათ შესახებ, საკმაოდ ნათლადაა შემონახული არაერთ საისტორიო წყაროსა თუ სხვადასხვა სახის ფონდებში. ამ მხრივ გამორჩეულია დ. ბაქრაძის, გ. ყაზბეგის, თ. სახოკიას (ბაქრაძე, 1987, ყაზბეგი, 1960, სახოკია, 1985) და სხვა მოგზაურ-მკვლევართა ნაშრომები, აჭარის ხ. ახვლედიანის მხარეთმცოდნეობით მუზეუმში, ბსუ-ს ნიკო ბერძენიშვილის კვლევით ინსტიტუტში დაცული ფონდები. ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესოა XIX საუკუნეში აჭარაში მოგზაურ-მკვლევართა მეტად ღირებული ცნობები დიდაქარის ეთნოკულტურული მდგომარეობის შესახებ.

აჭარისწყლის ხეობასა და მდინარე ღორჯომისწყლის შესართავთან ამაღლებულ ბორცვზე განფენილ და დარაჯად გადმომდგარ დიდაქარას აჭარის თავდაცვით სისტემაში გამორჩეული ადგილი უნდა ჰქონოდა. რა თქმა უნდა, გამაგრებული სამოსახლოები მრავლად იყო ხულოში (პაქსაძეები, ხიხაძირი, ვარდციხე და ა.შ.), რისი დასტურიცაა დღემდე შემორჩენილი კალოთას, ვერნების, ხიხანის, საციხურის (ჯვართნის) და შუა საუკუნეების სხვა ციხე-სიმაგრეები (კახიძე, 1993:5). ყოველივე ეს გვაფიქრებინებს, რომ ეკონომიკურად და კულტურულად დაწინაურებულ ისეთ სტრატეგიულ ადგილას, როგორიც დიდაქარაა, აუცილებლად უნდა ყოფილიყო თავდაცვითი ნაგებობა. ამ ვარაუდის დასტურად მიგვაჩნია რამდენიმე ფაქტორი,

უწინარესად კი მხატვარ ვ. ილუშინის მიერ ერთგვარი დოკუმენტური სიზუსტითა და ნათელი კომპოზიციური სტრუქტურით შესრულებული ნახატი დიდაქარის ციხე-სიმაგრისა - „**დანგრეული ციხე დიდაქარაში**“.

სამწუხაროდ, ციხე-სიმაგრის ნაშთები დღეს უკვე აღარ გვხვდება. ნახატში სოფლის საერთო ხედი ჩანს, ანუ იგი სხვა სოფლიდანაა აღქმული და ტილოზე გადატანილი. თუმცა ვერ გამოვრიცხავთ იმ გარემოებასაც, რომ გარკვეულ პერიოდში დიდაქარა ბევრად დიდ ტერიტორიაზე ლოკალიზდებოდა, რითაც შესაძლოა დიდაქარისწყლის ხეობაში მდებარე რომელიმე ციხე მხატვრის მიერ დიდაქარის ციხე-სიმაგრედ ყოფილიყო აღქმული. ვ. ილუშინის დაინტერესება ციხე-სიმაგრეების მიმართ აისახა ზემო აჭარაში შესრულებულ არაერთ ნახატში - **ყანასერის ციხე, დარჩიძეების ციხე და ტაკიძეების ციხე**. ვ. ილუშინის მიერ შექმნილი ტილოები პროფესიონალი მხატვრის მიერ რომაა შესრულებული და ახლოს რომ იცნობდა აჭარელთა ყოფა-ცხოვრებასა და კულტურას, ეს კარგად ჩანს მხატვრის ბიოგრაფიიდანაც. მხატვარი ვ. ილიუშინი (1888-1979) ბათუმში ცხოვრობდა 1907 – 1942 წლებში და მთელი ამ ხნის მანძილზე ნაყოფიერ შემოქმედებით, პედაგოგიურ, საზოგადოებრივ მოღვაწეობას ეწეოდა. ვ. ილიუშინი 1907 წ. ბათუმში ჩამოვიდა და ვაჟთა გიმნაზიაში ხატვისა და ფერწერის მასწავლებლად დაიწყო მუშაობა. 1918 წელს ბათუმის ვაჟთა გიმნაზიაში მუშაობდნენ შემდეგი პირები: ვალერიან თედორეს ძე ილიუშინი, ზიგმუნდ დე-მეზერი, ელენე აბრაამის ასული იმინოვი, ვიაჩესლავ ადოლფის ძე კოუზა, კონსტანტინე ალექსანდრეს ძე ვეტოშნიკოვი, სტეფანე ვასილიევი, ნიკიტა ეფრემოვი, მიხეილ ბირიტოვიჩი, ივანე ფიმინჩიკი და ემელიანე ლიტვინეცკი. ილიუშინი მოლბერტით დადიოდა ქალაქში

და აკეთებდა პატარა ქალაქის ეტიუდებს. 1910 წ. იქვე, გიმნაზიის მასწავლებელზე დაქორწინდა. 1917 წ. მან ბათუმის რეალობაში პირველი პერსონალური გამოფენა მოაწყო. 1922-1923 წლებში დააარსა ბათუმის სახალხო სამხატვრო სტუდია და ხელოვნების მოღვაწეთა საზოგადოება. 1939 წ. კი სათავეში ჩაუდგა აჭარის მხატვართა განყოფილებას. 1936 წ. ბათუმში გაიხსნა სამხატვრო სასწავლებელი, რომლის დირექტორად ილუშინი წლების განმავლობაში მუშაობდა. 1939 წ. ის საქართველოს მხატვართა კავშირის აჭარის განყოფილებას ჩაუდგა სათავეში. მეორე მსოფლიო ომის პერიოდში ილუშინი მეუღლესთან ერთად სამარყანდში გაემგზავრა, 1945 წ. კი კურგანში გადასახლდა, სადაც 1979 წ. გარდაიცვალა. საინტერესოა ვ. ილუშინის ეთნოგრაფიული ხასიათის სურათები, რომლებიც მაღალმთიანი აჭარის მკვიდრთა ყოფაცხოვრებას, ისტორიას ასახავენ. იგი ხშირად მოგზაურობდა აჭარის მთიანეთში, გადადიოდა სოფლიდან სოფელში, სწავლობდა აჭარლების ადათ-წესებს, ზნე-ჩვეულებებს, ჩაცმულობას. მხატვარი დამაჯერებლად გადმოსცემს მთიელთა ინდივიდუალურ, სახასიათო პორტრეტებს, ტიპაჟებს, ძველ ციხე-სიმაგრეთა კოლორიტულ ნანგრევებს, საცხოვრებელ სახლებს და ა.შ. ეს აკვარელური სურათები (იგი აკვარელით ადრე იტალიაში ყოფნის პერიოდში დაინტერესდა), ხასიათდება ერთგვარი დოკუმენტური სიზუსტით, ნათელი კომპოზიციური სტრუქტურით, ფერადოვნებით...რაც რეალისტურ გამომსახველობას ანიჭებს. იგი მეორე მსოფლიო ომის პერიოდში მეუღლესთან ერთად კურგანში გადასახლდა, სადაც 1979 წ. გარდაიცვალა (ჩიბურდანიძე, 2016:42-43). აღსანიშნავია, რომ ვ. ილუშინს ერთ-ერთ პირველს მიეკუთვნა აჭარის ასსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის საპატიო



ვ. ილუშინი „დანგრეული ციხე დიდაჭარაში“.

წოდება. ამჟამად აჭარის მუზეუმებში ვ. ილუშინის 200-მდე ფერწერული და გრაფიკული ნამუშევარია დაცული.

როგორც აღვნიშნეთ, **ვ. ილუშინის** ნახატზე გამოსახული დიდაჭარის ციხე-სიმაგრის ნაშთები დღეს აღარაა შემორჩენილი, თუმცა მის არსებობაზე უნდა მიგვანიშნებდეს დიდაჭარის მოსახლეობის მეხსიერებაში დაუნჯებული ონომასტიკური მასალა, კერძოდ, ციხე-სიმაგრე **ყვერთას** სახელწოდების შემონახულობა.

დიდაჭარაში ციხე-სიმაგრის არსებობაზე საინტერესო მინიშნებას ვხედავთ პირველი პროფესიონალი ისტორიკოსის, დიმიტრი ბაქრაძის ჩანაწერებში, რაც კარგადაა ცნობილი საისტორიო ლიტერატურაშიც. მასში ნათქვამია, რომ 1829 წლის ივნისში **ჩაოელი მემედ-აღა**, რომელიც შერვაშიძეთა გვარს ეკუთვნოდა, იყო ხიმშიაშვილების ოჯახის ძველი და ყველაზე ერთგული მსახური, რომელსაც სამსახური

სელიმ-ფაშას დროს დაუწყია. ირკვევა, რომ ახმედ-ალა ხიმშიაშვილის დროს მემედ-ალა მისი ხაზინადარი ყოფილა და 1829 წლის აგვისტოში უშუალოდ მონაწილეობდა ზემო აჭარაში ბარონ ოსტენ-საკენის რაზმის წინააღმდეგ წარმოებულ ცხარე შეტაკებებში, რომლის დროსაც ამ კუთხის ზოგიერთი სოფელი და მათ შორის დიდაჭარა, თვით მემედ-ალას რომ ეკუთვნოდა, გადაუწვავთ (ბაქრაძე, 1987:62-63; Ушаков, 1836:194-195; 245-246). ანალოგიურ ინფორმაციას იძლევა თ. სახოკია, რომლის ცნობითაც მძიმე ტექნიკით შეიარაღებული რუსის ჯარი ხულოსა და ღორჯომს შორის (ნ.ჩ - სწორედ ამ ზოლში მდებარეობს დიდაჭარა), ჯამესთან დაბანაკებულა. „მარიამობისთვეში ჟამი მძვინვარებდა აჭარაში და მცხოვრებნი ტყეებში იყვნენ დახიზნულნი. აჭარლები ახმედ-ფაშას მეთაურობით სომლიისაკენ მიმავალ ჯარს დაედევნა. აჭარლები მთებზე გადმომდგარნი, ზევიდან ქვებს აგორებდნენ და ჯარს საქმეს უბრკოლებდნენ. 22 მარიამობისთვის-1829 წ. საღამოზე საქულაფერდის ქედს მოექცა და მეორე დღეს გურიის საზღვრიდან ... დაჰყვა ახალციხისაკენ“ (სახოკია, 1985:186-187). საფიქრებელია, რომ გადამწვარი დიდაჭარა იმდენად დაზარალდა, რომ ახმედ ხიმშიაშვილი იქ უსაფრთხოდ თავს ვეღარ იგრძნობდა და თავი იპყრო სწორედ მაშინ გადასახლებულა (ბაქრაძე, 1987:64).

ამრიგად, დიდაჭარის მნიშვნელოვან სტრატეგიულ როლზე უნდა მიგვანიშნებდეს იქ ციხე-სიმაგრის არსებობა, რასაც ადასტურებს მხატვარ გ. ილუშინის მიერ შესრულებული დიდაჭარის ციხე-სიმაგრის ნახატი, ასევე, მოსახლეობაში დაცული ონომასტიკური მასალა და ის რეალური ისტორია, რომლის შედეგადაც წაიშალა დიდაჭარის წარსული ისტორიის ამსახველი ერთი ნათელი ფურცელი.

გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა:

- **ბაქრაძე დ.** არქეოლოგიური მოგზაურობა გურიასა და აჭარაში, ბათუმი, 1987.
- **ებრალიძე ტ.,** სოფელ დიდაჭარის ისტორიიდან, სამეცნიერო კონფერენცია, „წმიდა ანდრია პირველწოდებულის გზით“, 2-4 მაისი, 2008.
- **ინაიშვილი ა.,** დიდაჭარის განძი და კოლხური ნივთიერი კულტურის ისტორიის ზოგიერთი საკითხი/სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ძეგლები, V, თბ., გამომც. „მეცნიერება“, 1975.
- **სახოკია თ.,** მოგზაურობანი. ბათუმი. 1985.
- **ყაზბეგი, გ.,** გიორგი ყაზბეგი აჭარის შესახებ: სამი თვე თურქეთის საქართველოში. ბათუმი, 1960.
- **შავიანიძე დ., 2009** წლის ეთნოგრაფიული ექსპედიცია დიდაჭარაში, ტბელობა, 2009. საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია, ოქტომბერი-ნოემბერი, თბილისი, გამომც. „სეზანი“, 2009.
- **ჩელეშაძე ნ.,** მარიამ ღვთისმშობელი დიდაჭარელთა მეხსიერებაში, წილხვდომილობის დღესასწაული// კონფერენციის მასალები. ბათუმის კულტურის ცენტრი, 2021.
- **ჩიბურდანიძე რ., ვალერიან ილიუშინი** - მხატვარი, პედაგოგი, საზოგადო მოღვაწე. ხელოვნებათმცოდნეობითი ეტიუდები, VII, ხელოვნების უნივერსიტეტის გამომცემლობა, ბათუმი, 2016.
- **წულუკიძე თ., დიდაჭარა** - შორეული წარსულიდან ვიდრე საქართველოს სახელმწიფოებრიობის დაკარგვამდე (1801 წლამდე), სამეცნიერო კონფერენცია, „წმიდა ანდრია პირველწოდებულის გზით“, 2-4 მაისი, 2008
- **Ушаков, Николай Иванович (-1861).** История военных действий в Азиатской Турции в 1828 и 1829. Ч. 2. Издательство: Санктпетербургъ, 1836

კონცეპტი “სინდისი” ქართულ ანდაზებში

აბსტრაქტი: ღირებულებათა გადაფასების ეპოქაში მსოფლიოს მასშტაბით აქტუალურია კონცეპტ სინდისის კვლევა. ქართული დისკურსი მეტად საინტერესო სურათს იძლევა.

ანდაზების ფონდში ჩანს, რომ სინდის-ნამუსი ქართველისთვის არის ა) **ყველაზე სასურველი საქონელი, ქონება, რომელიც შეიძლება ადამიანს ჰქონდეს: ნამუსი კაი საქონელია;** ბ) ყველაზე კარგი **მწყემსი/დარაჯი/ დამცველი:** ლამაზი ქალის მწყემსი – მისი სინდისიაო; გ) **წმიდათაწმინდარამ, რომლის გარეცხვაც შეუძლებელია:** ნამუსი არ ირეცხება: წყალი ყველაფერს გარეცხს ნამუსის გარდა; დ) **ნამუსის ქუდი** სირცხვილისგან იცავს ადამიანს: ქუდი სიცხე-სიცივისთვის კი არ მხურავს, არამედ ნამუსისთვისო; ე) **ადამიანი ვერასდროს გაექცევა საკუთარ სინდისს: სინდისი კომბალზე უარესია// კეტზე მაგარიაო.**

ქართულ პოლიტიკურ დისკურსში ყველაზე ხშირად აპელირებენ ანდაზით: **სინდისი კაი საქონელიაო.** არსებობს მისი ვარიანტებიც: **ნამუსიც კაი საქონელიაო, სინდის-ნამუსიც კაი საქონელიაო.**

ხშირად ჩნდება კითხვა: **სინდისი, მართლაც, კაი საქონელია?**

რეზო შატაკიშვილის სტატიაში: „**სინდისის ძროხა და ხადურის ციკანი**“ აღწერილია თანამედროვე პოლიტიკური

¹ ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოც. პროფესორი / PhD in Philology, Associate Professor at Batumi Shota Rustaveli State University

მდგომარეობა: „სინდისიც კარგი საქონელია“ ასეა ტრანსფორმირებული: **ნამუსიც კარგი ციკანია და ნამუსიც კარგი ძროხაა. შუბლზე ძარღვის გაწყვეტის’ გვერდით გაჩნდა იდიომი: უსინდისობით შუბლის გასქელება’**

სულიერი სიმდიდრის დაკნინება, მატერიალიზება, ღირებუ-ლების გადაფასება ფრიად საყურადღებო ნეგატიური მოვლენაა.

საკვანძო სიტყვები: ქართული, კონცეპტი, სინდისი, ანდაზა, პოლიტიკურსი.

The Concept of Conscience’ in Georgian Proverbs

Abstract: In the era of re-evaluation of values, research on the concept of Conscience’ is relevant worldwide. Georgian discourse gives a very interesting picture.

In the proverb fund, it can be seen that for a Georgian, honor is a) the most desirable commodity, property that a person can have: honor is a commodity; b) the best shepherd/watchman/defender: the shepherd of a beautiful woman is her conscience; c) Holy things that cannot be washed: honor cannot be washed: water will wash everything except honor; d) A hat of honor protects a person from shame: a hat is not worn for heat and cold, but for honor; e) A person can never escape from his conscience: conscience is worse// cooler than a whisk.

In the Georgian political discourse, the proverb is most often used: conscience is a commodity. There are also its variants: “honor is also a commodity”, “conscience is also a commodity”.

The question often arises: “Is conscience really a commodity”?

Rezo Shatakishvili’s article: “The cow of conscience and the ”Lamb of Khaduri” describes the modern political situation: “Con-

science is also a good commodity” is transformed like this: honor is also a good lamb and honor is also a good cow. Next to cutting a vein on the forehead, an idiom appeared: botoxing the forehead with dishonesty.

Declining, materializing, revaluing spiritual wealth is a very noteworthy negative event.

Key words: Georgian, concept, conscience, proverb, political discourse.



სინდისს, როგორც უმაღლეს მორალურ კატეგორიასა დააზოგადსაკაცობრიო სატკივარს, საგანგებო ადგილი ეთმობა მსოფლიო კულტურაში. გლობალიზაციის, ღირებულებათა გადაფასების ეპოქაში, მსოფლიოს მასშტაბით აქტუალურია კონცეპტ **სინდისის** კვლევა ანდაზებში. სინდისიერება-უსინდისობის თემა საქართველოშიც არასოდეს კარგავს აქტუალურობას. საკითხი ინტერდისციპლინური შესწავლის საგანია: ის აინტერესებთ ლინგვისტებს, ფოლკლორისტებს, კულტუროლოგებს, ლინგვოპოლი-ტოლოგებს და ა. შ.

ქართული დისკურსის სტრუქტურაში უმნიშვნელოვანეს ადგილს იკავებს ქართველთა კონფესიასთან დაკავშირებული პრეცედენტული მოვლენები. პრეცედენტები ფართო გაგებით მოიცავს ანდაზებსა და აფორიზმებს, ენობრივ კლიშეებსა და შტამებს, სტერეოტიპებს, ფრეიმებს და მისთ. ერთეულებს. ომიამე, ონათქვამებს განეკუთვნება საკუთრივ ციტატა (ტექსტის ფრაგმენტი), ნაწარმოების სათაური, ერთი ან რამდენიმე გამო-ნათქვამით აღდგენილი ტექსტი და საკითხი კიდევ უფრო აქტუალურია ქართულ სინამდვილეში, მეტადრე პოლიტიკურ დისკურსში, რომელიც მრავალქანობრივი მოვლენაა. მისი საბაზისო ინტენციაა ძალაუფლებისათვის

ბრძოლა და მისი შენარჩუნება. სტატიაში წარმოჩნდება, როგორ აისახება პოლიტიკურ დისკურსში კულტურის ერთ-ერთ კომპონენტთან - **სინდისთან** დაკავშირებული ანდაზები, რადგან მისი ინტერპრეტაცია დაკავშირებულია ნაციონალური მენტალიტეტის სპეციფიკასთან. ყურადღება გამახვილდება მანიპულაციის ამ საშუალების პრაგმატიკულ, სტილისტიკურსა და კოგნიტურ ფუნქციებზე.

სინდისი კანონების დაწერამდე არსებული ბუნებრივი კანონია, რომლითაც ადამიანი ხელმძღვანელობს. ყველა კულტურაში ის განსხვავებულია.

საბას განმარტებით, ვიაკინთი (+ კვალად სინდისი არს ტ რ ი ხ ა კ ტ ო ნ ი Cb) Cab. ვიაკინთე Cq. ნამუსი ([ყაირათი] E.) ქართულად პირის-წყალია (+ და A) არაბულად შჯული ZAB. სჯული, რჯული. სინდისი არს გონებაჲ მამხილებელი” (ადამიანის მიერ საკუთარი აზრების და მოქმედების შეფასების და შემდეგ თვით ამ შეფასების უნარი).

ქალაქური ლექსიკონის მიხედვით სინდისი, პატიოსნება და თავმოყვარეობაა (გრიშაშვილი, 1997:304).

სუფთა სინდისი მუდმივი დღესასწაულია“- წერს ილია II. უსინდისობის გამომხატველ გამონათქვამთა: იდიომთა და ანდაზათა გამოყენების სიხშირე მორალურ-ეთიკურ კრიზისზე მიანიშნებს.

როცა შევისწავლეთ სინდისის გამომხატველი ფრაზეოლოგიზმები, კვლევის პერსპექტივად დავსახეთ საკითხის შესწავლა ანდაზების მიხედვითაც, მხოლოდ მიღებული შედეგების გამთლიანებით გახდება შესაძლებელი სრული წარმოდგენის შექმნა კონცეპტ **სინდისის** შესახებ ქართველი ხალხის მენტალიტეტში.

ეს კონცეპტი ქართულ ფრაზეოლოგიაში უკავშირდება შემდეგ კომპონენტებს: **სინდის-ნამუსს, სახელს, ულვაშს,**

ქუდს, მანდილს, ლეჩაქს, კალთას და ფარდასაც (ცეცხლაძე, ნახუტაიშვილი, ლავგილაშვილი, 2023).

ლოგოეპისტემებია ქართული ფრაზეოლოგიზმები: **თავზე ლაფის დასხმა, პირზე მურის ცხება, ცხვირის მოჭრა, კალთის მოჭრა, ვირზე უკუდმა შესმა.**

უსინდისობის გამომხატველ ფრაზეოლოგიზმებში **ზმნურ კომპონენტთაგან** დომინირებს **გატება** (სახელის გატება), **წახდენა // გაფუჭება** (სახელის/ნამუსის წახდენა), **დაკარგვა** (სირცხვილ-ნამუსდაკარგული), **მოჭრა** (ულვაშის// თავის// ცხვირის/ კალთის) **გმოზა ანუ ხელის აღება** (ნამუსზე ხელის აღება), **გარეცხვა** (სინდის// ნამუსგარეცხილი), **დასველება, წყალში ჩაგდება** (სახელის, ქეჩის), **დახევა, დაფლეთა, გაწყვეტა** (სირცხვილის ფარდაგის); **ჩაფურთხება** (ულვაშში, თვალბში), **აწევა, ახდა** (სირცხვილის ფარდაგის).

ნამუსის დაკარგვა უკავშირდება დასველებას, გარეცხვას (სინდისი, ნამუსი) თუ სიმბოლოს პირვანდელი სახე მშრალია (სახელი) გაშრობას – თუ სველია (პირის წყალი გაუშრა) (ქართ.) და დაცლასაც (სირცხვილისგან დაცლა) (იქვე, 30).

პოლიტიკურ დისკურსში ყველაზე კარგად ჩანს სინდისის მიმართ დამოკიდებულება და მისი ტრანსფორმაცია. ნაშრომში პასუხი გაეცემა შემდეგ საკვლევ კითხვებს: რა არის სინდისი ქართულ პარემიებში? იგი ერთგული მეგობარია ადამიანისა, რომელიც ზნეობრივი ცხოვრების ძნელ გზაზე წინამძღვრობს მას, ურჩევს, რა არის კარგი და რა- ცუდი, თუ მტერია, რომელიც ართულებს ცხოვრებას? როგორ ახასიათებს ხალხი სინდისს? როგორი უნდა იყოს მისი ბუნება?

ხალხური სიბრძნის მიხედვით, სინდის-ნამუსის მახასიათებლები არის შემდეგი:

ა) ყველაზე სასურველი საქონელი/ქონება, აუწონავი, ფასდაუდებელი სიმდიდრე, რომელიც შეიძლება ადამიანს

ჰქონდეს: ყველაზე ძვირფასი მზითვეი ქალისთვის: „ნამუსი კაი საქონელია“; „ქალის ყველაზე დიდი მზითვეი სიწმინდე და ნამუსია“ „დედამიწა და სინდის-ნამუსი აწონეს და სინდის-ნამუსი მეტი გამოდგაო“ (შდრ. „ადამიანი სინდისია, სინდისის გარდა, რაც არ უნდა წაართვა, მაინც ადამიანი იქნება (ოთარ ჭილაძე)).

ბ) ყველაზე კარგი მწყემსი/დარაჯი/ დამცველია: „ლამა-ზი ქალის მწყემსი მისი სინდისიაო.“

სინდისი ადამიანს ცოდვებისგან იცავს. ღვთისმეტყველი ასე განმარტავს მას: „დაუდუმებელი, მიუკერძოებელი მეთვალყურე და მოკარნახე ცოდვათაგან განშორე-ბისა და საკუთარი სულის დაცვისა არის სინდისი“ (წმ. ეგნატე ბრიანჩანიშვი). „ყურადღებით იყავი სინდისის მიმართ, რომ ის შენი მცველი იყოს და ყოველ ჯერზე გიჩვენებდეს შენს დაცემას“ (წმ. ეფრემ ასური).

გ) ნამუსი წმიდათაწმინდა რამაა, მას მოფრთხილება სჭირდება, მისი გარეცხვა შეუძლებელია: ნამუსი არ ირეცხება: წყალი ყველაფერს გარეცხს ნამუსის გარდა; შდრ. ნამუსგარეცხილი;

დ) ნამუსის ქუდი აქსესუარი არაა. არსებობს ასეთი იდიომი: **ნამუსის ქუდი ხურავს:** ის ქუდი სიცხე-სიცივისთვის კი არ უნდა ეხუროს კაცს, არამედ ნამუსისთვისო.

ე) ნამუსი ყველაზე დიდი მტერია: ჩემი მტერი - ჩემი სინიდიდიაო; ყველაზე დიდი მტერი სვინდისიაო. „სინდისის მოტყუება გონების მოტყუებაზე ძნელია. ხიბლში ჩავარდნილ გონებას, რომელსაც ცოდვისმოყვარე ნებაც ეხმარება, ყველაზე მეტხანს სინდისი იბრძვის“ (დანელია, 2012).

ვ) ნამუსი მკაცრია, სასტიკი მან დასჯა იცის: ადამიანი ვერასდროს გაექცევა საკუთარ სინდისს, მან იცის დარტყმა და კბენა, ანუ ადამიანისთვის ტკივილის მიყენება შეუძლია:..

სინდისი კომბალზე უარესიაო (შდრ: სირცხვილი ადამიანს აყენებს ისეთ ტკივილს, როგორსაც კომბლის დარტყმა: სირცხვილიც დიდი კომბალია; სინდის-ნამუსი კეტზე მაგარიაო

სინდისი იკბინებაო, სვინდისს კბილები კი არა აქვს, მაგრამ კბენა კი იცისო;. არსებობს იდიომი: სინდისის ქენჯნა, რაც ნიშნავს ცემას.

ზ) სინდისი სიცოცხლის საზომია, მაცოცხლებელია, მაცხოვნებელია: „უსინდისო ადამიანი გვამია“, „გვამს“ ნამუსი არა აქვს“.

თ) სინდისი ადამიანურობის საზომია: ადამიანი სინდისიერებით განსხვავდება ცხოველებისგან: „უსინდისო ადამიანი ძაღლიაო“, „ეკლესიის კარი ღია იყო - ძაღლს ნამუსი არ ჰქონდაო“. შდრ: ძაღლის ნამუსი;

ი) სინდისი საყრდენია პატიოსან კაცთა ურთიერთობაში, მათი მოციქული, შუამავალია: პატიოსან კაცთა შორის ნამუსია მოციქული. ილიას მიხედვით, თვით პატიოსან მტრებს შორისაც კი მოციქულობს: „პატიოსანთ მტერთა შორის მოციქული ნამუსია“;

კ) ნამუსი უკვდავია: ნამუსი არ არის, მეფის ირაკლის სიტყვა აღარ იცით? - ასე ეტყვის ჩერქეზი ჩერქეზს, როდესაც ის მას ვერ დაარწმუნებს რაღაცაში.

ნებისთი ცოდვებს შეუძლია სინდისის გატეხა, გარეცხვა, დაფლეთა. ყოველი მოუწანიებელი ცოდვა აისახება სინდისზე, თუმცა ვერცერთი მათგანი ვერ კლავს მას. სიკვდილის მერეც ადამიანისგან მარტო სინდისი რჩება. სინდისი იგივე სულია ადამიანისა, ანუ სული იგივე სინდისია. თუ კი რამე ყოფილა, სინდისი ყოფილა უკვდავი (ოთარ ჭილაძე).

მოკლედ, ცოდვები ამახინჯებს სინდისს, თუმცა მისი მოკვლა შეუძლებელია. იგი ქრისტეს საშინელ სამსჯავრომდე

გაჰყვება ადამიანს და იქ ამხელს ურჩობის მსხვერპლს.

რა არის სინდის-ნამუსის მტერი?

ა) **თრობა სინდისის მტერია:**

„ღვინოს დაუმეგობრდები, ნამუსს დაემშვიდობები“.

ბ) ძალაუფლება სინდისის მტერია: „ჩვენს ბატონს გაუვიდაო და ნამუსი წაუვიდაო“.

გ) მოგება პატიოსნების მტერია: „პატიოსნებასა და მოგებას ერთ ტომარაში ვერ ჩაატევო.“

რაც შეეხება უსინდისობას, სინდის-ნამუსის დაკარგვას, რომელსაც შერცხვენა მო-ჰყვება, საგანგებო ადგილი ეთმობა ქართული ანდაზების ფონდში.

ბ) **შერცხვენა, სახელის გატეხა ფიზიკურ ტკივილზე უარესია:**

სახელის გატეხას თავის გატეხა სჯობიაო; ავად სახელის დავარდნას თვალის დავარდნა ამჯობინესო; სახელი სჯობს ქონებასა და უფლება - მონებასა. თავის გატეხა და მით უფრო, თვალის ამოვარდნა, საფრთხეს უქმნის ადამიანის სიცოცხლეს, საშიშია, მაგრამ შერცხვენას მაინც სჯობია.

გ) **შერცხვენა, მორალური სიკვდილი ფიზიკური სიკვდილის თანასწორია და სიკვდილზე უარესიცაა: სირცხვილი – სიკვდილიაო;**

დ) უფრო მეტიც, შერცხვენა (მორალური კვდომა) ფიზიკურ სიკვდილზე უარესია:

ნუ გეშინია სიკვდილისა, გეშინოდეს სირცხვილისა; **სირცხვილი მოგადგა, სიკვდილი დაივიწყეო.**

ვ) მორალური და ფიზიკური სიკვდილი ჯოჯოხეთს უმზადებს ადამიანს: „სირცხვილს სიკვდილი სჯობია და ორივე ერთად კი ჯოჯოხეთიაო“.

როგორია უსინდისო ადამიანი? ენა ყველაფერს იტყვის, კაცს კი სინდისი უნდა ჰქონდეს; უნამუსო ვირზე შესვეს და

აცე, ვიროო, - დაიძახა; უსინდისო და წამგლეჯი არც ნათესავი უქნია ღმერთს და არც მეზობელო, უსინდისო სტუმარი - მასპინძლის მტერიაო.

სად ემუქრება ყველაზე დიდი საფრთხე სინდისს? ცნობილია ასეთი გამოთქმა: პოლიტიკა ბინძურიაო. შესაბამისად, ყველაზე საინტერესოა პოლიტიკური დისკურსის განხილვა ამ კუთხით. მიუთითებენ, რომ პოლიტიკოსები პარემიებს იყენებენ სიტუაციის დრამატიზების, ოპონენტების ნეგატიურად წარმოჩენის, დისკრედიტაციის და საზოგადოების მიმხრობის, საკუთარი უპირატესობების ხაზგასმის მიზნით (ჯღარკავა, 2023:96).

ქართულ პოლიტიკურ დისკურსში ყველაზე ხშირად აპელირებენ ანდაზით: **სინდისი კაი საქონელიაო** [დაახლ.11 500 შედეგი (0,20 წამი)<https://www.google.com/search>]

ნამუსი და სინდისიც კარგი საქონელია - სამირა ბაი-რამოვას აქცია-პერფორმანსი მარნეულის მერიის წინ აქცია გაიმართა (27.01.2023 <https://marneulifm.ge/ka/mar-neuli/article/68733>);

ირაკლი ქადაგიშვილი - გიორგი გახარას განცხადებაზე შეიძლება ითქვას „ნამუსიც კარგი საქონელია“, რადგან გვახსოვს მისი ჩატარებული ოპერაციები (07.07.2021 <https://newsreport.ge>);— [ევროპალიგა] **...როცა ნამუსიც კარგი საქონელია!**; 25 სექ. 2020;

მეც მაბრალევენ, რომ მეც ვარ ანტივაქსერი. კარგით რა, ნამუსიც კარგი საქონელია – გიორგი ფხაკაძე 02/04/2021;

ნამუსიც კაი საქონელია, შაჰინ!; 22.03.2011. <https://sportall.ge/fexburti/uckhouri-fekhburthi/germania/10796>

დაჩი ცაგურია: ნამუსიც კარგი საქონელია, უტიფრებო! 26.06.2015; <https://reportiori.ge/old/?menuid=3&id=70295>;

ქიბარ ხალვაში ფინანსთა სამინისტროს მიმართავს akhal-itaoba.ge. სამართლიანობა აღადგინეთ და არ დაივიწყოთ, რომ „ნამუსიც კარგი საქონელია“, კარგი კომპლექსები არ აწუხებს, მაგრამ „ნამუსიც კარგი საქონელიაო“ ნათქვამია! 2.10.2013. <https://intermedia.ge/>; ნიკა გვარამია „ნიჭიერის“ პროდუსერს: ნამუსიც კარგი საქონელია, წახვედით, წაიღეთ ფორმატები, გადაიბირეთ ვიდეოები. დრონი.ჯი --07.08.2017; კარგი, არ ვემზრობი ... ნამუსიც კარგი საქონელია“ - თავო ჩარკვიანი ზურაბ ჯაფარიძეს ... „აქამდე რას შვრებოდით, ტელევიზია იყავით თუ ბოსელი 28 ოქტ. 2022. Odishinews <https://odishinews.ge> › aqamde-ras-shvrebodith-tel

ნიკა გვარამია ტელეკომპანია „იმედს“ და მის ყოფილ თანამშრომელს გიორგი ხაბურძანიას: „აქამდე ბოსელი იყავით? ნამუსიც კარგისაქონელია <https://gurianews.com/gvaramia-imeds-da-khaburdzaniashakamde-boseli-iqavit-namusits-kargi-sakonelia/>

ნათქვამია, ნამუსიც კარგი საქონელიაო, რას ელოდება კოლუაშვილი ამის შემდეგ? 25.05/2016.<https://geworld.ge/ge/8201/>; სინდისიც კაი საქონელიაო, ანტიეროვნული ნაციონალებო! <https://forum.ge/index.php?showtopic=34855646>; სინდისი, მართლაც, კაი საქონელია? ირაკლი ლომოური, 24.11 2012, <https://liberali.ge/blogs/view/5588/ortoliberalis-blogi-sindisi-martlats-kai-saqonelia>.

აქ ჩანს დაქცევა, რომ სინდისი, შესაძლებელია, არ იყოს კაი საქონელი.

რეზო შატაკიშვილის სტატიაში: „სინდისის ძროხა და ხადურის ციკანი“ აღწერილია თანამედროვე მდგომარეობა: „სინდისიც კარგი საქონელია“- ეს ირიბი მინიშნებაა გაყიდულ სინდისზე. „საქონელში“ მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი მოიაზრება. დიახ, სინდისი იყიდება... სწორედ ის არის

ყველაზე კარგად გაყიდვადი საქონელი. ვაჭრობა ორმხრივია (ყიდვა- გაყიდვა), სინდისით ვაჭრობა საქართველოში ცალმხრივია: სინდისს ჩვენთან არავინ ყიდულობს, ყველა ყიდის.

ეს ერთგვარი დაკნინებაა, საქონელში იგულისხმება სულიერი სიმდიდრე და არა მატერიალური. საქართველოში არსებული მდგომარეობა აისახა ახლადშექმნილ ფრაზეოლოგიზმებსა (სინდისის ძროხა, ხადურის ციკანი) და ანდაზებში: „ნამუსიც კარგი ძროხაა“, „ნამუსიც კაი ციკანია“.

კახა ბენდუქიძის მიხედვით, ყველაფრის გაყიდვა სინდისიერი, სინდისის გაყიდვის გარდა. საქართველოში კი სწორედ სინდისს ელევიან ყველაზე იოლად, უშურველად; ყიდიან ყველაზე დაუნანებლად და სარფიანად. სწორედ სინდისია ყველაზე კარგი საქონელი სავაჭროდ აქ, ამ ქვეყანაში. სინდისს კი ისე ყიდიან, **ნამუსზე ხელს ისე იღებენ და შუბლზე ძარღვს ისე იწყვეტენ**, თვალს არ ახამხამებენ და **არც შუბლს ატოკებენ - გეგონება, დაბოტოქსებული ჰქონდეთ...** დიახ, **უსინდისობით აქვთ დაბოტოქსებული.... ნამუსიც კარგი ციკანია**, მართლა და მართლა! <https://qronika-plus.ge>.

ამრიგად, ქართული ენის ანდაზების ფონდის მიხედვით ნამუსი არის წმინდათაწმინდა, უფლის მიერ ადამიანში ჩანერგილი უკვდავი ფასეულობა, ადამიანურობის და სიცოცხლის საზომი, ყველაზე მნიშვნელოვანი ღირებულება. ნამუსიან ადამიანთან, თვით მტერთანაც კი ადვილია ურთიერთობა, სინდისი კარგი მეგზური და მცველია, რომ ადამიანი არ ასცდეს ღვთის გზას. თუ ცოდვამ სძლია მას, შეიძლება ყველანაირი პასუხისმგებლობა აიცილოს თავიდან, მაგრამ მას არ ასცდება სინდისის ქენჯნა.

საქართველოში არსებული სულიერი კრიზისი აისახა

ახლადშექმნილ ფრაზეოლოგიზმებსა (სინდისის ძროხა, ხადურის ციკანი) და ანდაზებში: „ნამუსიც კარგი ძროხაა“, „ნამუსიც კაი ციკანია“. სულიერი სიმდიდრე, დაკნინებულია, მატერიალიზებულია, ღირებულება გადაფასებულია, რაც ფრიად საყურადღებო ნეგატიური მოვლენაა.

გამოყენებული ლიტერატურა:

- **გრიშაშვილი, 1997:** - გრიშაშვილი ი., ქალაქური ლექსიკონი: (საარქივო მასალა)/[გამოსაც. მოამზადა რუსუდან კუსრაშვილმა]. – თბ.: სამშობლო, 1997. 304გვ.
- **დანელია, 2012:** - დანელია დ., „სინდისი“, ამბიონი, საზოგადოებრივ-რელიგიური ინტერნეტჟურნალი, 04.07.2012 <http://www.ambioni.ge/sindisi>
- **ნეიმანი, 1978:** - ნეიმანი, ალ.. ქართულ სინონიმთა ლექსიკონი. მე-3 გამოც. განათლება, თბილისი, 1978. 559გვ.
- **ომიაძე, 2006:** - ომიაძე ს., ქართული დისკურსის ლინგვო-კულტურულ შემადგენელთა სტრუქტურა-სემანტიკა და ფუნქციონირება (10.02.01 - ქართული ენა) სადისერტაციო ნაშრომი ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად თბილისი, 2006;
- **ქართული ხალხური ანდაზები**, შეკრებილი დ. თურდოსპირელის და ემელ. გაბრიჩიძის მიერ 1935 წლის გამოცემის მიხედვით <https://www.aura.ge/103-saskolo/11651-qartuli-xalxuri-andazebi.html>
- **შატაკიშვილი რ.**, „სინდისის ძროხა და ხადურის ციკანი“ <https://qronikaplus.ge>.
- **ცეცხლაძე, 2014:** ცეცხლაძე ნ., ფრაზეოლოგიზმთა კვლევის ასპექტები, ISBN 978-9941-8-0262-1 (278 გვ.) გამომცემლობა „ივერიონი“, თბ. 2018;

• **ცეცხლაძე, ხახუტაიშვილი, ლავგილავა, 2023-** ცეცხლაძე ნ., ხახუტაიშვილი მ., ლავგილავა ც., კონცეპტი სინდისი' ქართულსა და თურქულ ფრაზეოლოგიზმებში (ლინგვოკულტუროლოგიური ანალიზი) გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, ფილოლოგიური კვლევები, VI. 2023

• **ჯღარკავა, 2023:** ჯღარკავა გ., ქართველურ ენათა ანდაზების ლინგვისტური კვლევის საკითხები, გამომცემლობა „უნივერსალი“, თბ. 2023.

<http://www.sciencejournals.ge/index.php/NJ/article/view/323>

<https://openscience.ge/bitstream/1/2554/1/Gvantsa%20Gogiberidze%20Samagistro.pdf>

ჭილაძე ოთარ, <https://metronome.ge/story/55870>.

<https://idioms.tsu.ge/?cat=3290>

<https://ka.wikiquote.org/wiki/>

ლევან ხალვაში / Levan Khalvashi¹

სესილი ხალვაში / Sesili Khalvashi²

(ბათუმი, საქართველო / Batumi, Georgia)

მიზაძვა როგორც შემოქმედების ხერხი პლატონისა და არისტოტელეს მიხედვით

Abstract: Imitation is the creation of beauty and the recognition of reality in the works of Plato and Aristotle. Human relations with the world are not direct and transparent. It is important to take this into account in order to understand both the nature of the universe and the nature of man. Imitation is one of the ways of knowing oneself and the world, which was paid attention to by ancient philosophers. The imitation of Plato and Aristotle is given different epistemological significance.



„მიზაძვა“ ხელოვნების კლასტერის კომპონენტია, ამას ადასტურებს ხელოვნების გენეზისის ფაქტი. მხატვრული შემოქმედება ადამიანმა დაიწყო უძველეს პერიოდში გამოქვაბულის კედლებზე სხვდასხვა სულიერი და უსულო საგნის გამოსახვით. ქვაზე ამოკვეთილი ფიგურები, პეტროგლიფები, შესრულებულია მსგავსების გადმოცემის პრინციპით. აღნიშნული მოითხოვდა შემსრულებლისგან პირველ რიგში წარ-

1 ფილოლოგიის დოქტორი, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი / PhD in Philology, Associate Professor at Batumi Shota Rustaveli State University

2 ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტი / Students at Batumi Shota Rustaveli State University

მოსახვის უნარს. არ არის შემთხვევითი, რომ სიტყვები „წარმოსახვა“ და „გამოსახვა“ მონათესავე არიან, ისინი შეიცავენ ერთსა და იმავე ძირს: „სახე“. რეალური საგნებისგან მიღებულ შთაბეჭდილებებს ხელოვანი გამოხატავს სახეთა მეშვეობით. ხელოვნებას აქვს მრავალი დარგი, რომლებიც განსხვავდებიან ერთმანეთისაგან შექმნილის მასალით, სენსორული ზემოქმედებით, ფორმით და ა.შ., მაგრამ ყველა შემთხვევაში ტრადიციული ხელოვნება არის სახეთა შექმნის შემოქმედება, ესე იგი სახისმეტყველება. ყოველ არტეფაქტს აქვს საკუთარი ტექსტი. სრულყოფილი ნიმუშის ამოკითხვის დროს ხელოვნება ასრულებს თავის დანიშნულებას - გვამცნობს ჭეშმარიტებას სამყაროს შესახებ. ინფორმაციის შემცველი სახე, სემიოტიკური თვალსაზრისით, ნიშანია. ობიექტთან მსგავსებით დაკავშირებულ ნიშნებს ჩ.პირსმა უწოდა „იკონები“ (პირსი, 2009:91). ამგვარი ნიშნები მხატვრული სახეებიცაა და ფსიქიკურიც ანუ ალქმის წარმოდგენები. ეს უკანასკნელნი ჩნდებიან გონებაში სპონტანურად. სამყაროს მეცნიერული შეცნობა ეფუძნება ალქმას და არა წარმოსახვას, რადგან „ალქმა მხოლოდ იმას ასახავს, რაც ფიზიკურად აღიზიანებს ჩვენს რეცეპტორებს“ (ნათაძე, 1983:197). ფსიქოლოგიური თვალსაზრისით, მხატვრული შემოქმედება მდგომარეობს იმაში, რომ ხელოვანი ალქმის წარმოდგენებს წარმოსახვის საშუალებით გარდაქმნის მხატვრულ სახეებად და ამით წარმოქმნის მეორეულ, ხელოვნურ სინამდვილეს. ამიტომ პირობითობა საერთო მახასიათებელია ყველა მხატვრული ქმნილების. პირობითია როგორც მოდერნისტული, ისე ყველაზე რეალისტური ნაწარმოებიც. მიმზადებლობა და პირობითობა მხატვრული შემოქმედების ურთიერთდაკავშირებული პრინციპებია. მოდერნისტები ცდილობენ უპირატესობა მიანიჭონ პირობი-

თობას, რეალისტები - პირიქით, მაგრამ ამ ორი პრინციპის ერთმანეთისაგან გათიშვა სინამდვილეში არის შეუძლებელი, რადგან მიმზადველობა შეიცავს თავის თავში პირობითობას (მიზაძვით შექმნილი მეორე, ასლი, არ შეიძლება იყოს პირველის, ორიგინალის, იგივე), ხოლო პირობითობა შეიძლება მხოლოდ სხვასთან, არაპირობითთან, ნამდვილთან მიმართებაში. მხატვრული შემოქმედების ამ ორი პრინციპის განუყოფელობა კარგად დაინახა ი.კანტმა: „ხელოვნებას მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება დაერქვას მშვენიერი, თუკი ჩვენ ვხვდებით, რომ ის ხელოვნურია და მიუხედავად ამისა, იგი გვეჩვენება ბუნებრივად“ (კანტი, 1966:321-322).

მხატვრული შემოქმედების გარდა მიზაძვას ვხვდებით ადამიანთა პრაქტიკულ მოქმედებებსა და ქცევებში, რაც იძლევა საფუძველს ვილაპარაკოთ მიმზადველობის ეთიკურ, დიდაქტიკურ, პედაგოგიკურ დანიშნულებაზე. მიმზადველობის აღნიშნული ასპექტები დაკავშირებული არიან ერთმანეთთან, ამიტომ ანტიკური მოაზროვნეები გვთავაზობენ განსახილველი მოვლენის კომპლექსურ: სოციოლოგიურ-პოეტიკურ ანალიზს. დემოკრიტეს აზრით, სხვადასხვა პროფესიული საქმიანობა ადამიანებმა ვისწავლეთ ცხოველებისგან, სახელდობრ, „ობობასგან - რთვა და კერვა; მერცხლებისგან - საცხოვრებელი ადგილის კეთება; მგალობელი ფრინველებისგან - მღერა-გალობა“. (მეამ, 1962:86).

მიზაძვა შეიძლება მხოლოდ მიმზადველისა და მისაბაძის არსებობის პირობით. მიმართება მიმზადველსა და მისაბაძს შორის იერარქიულია: მისაბაძი ეტალონია მიმზადველისთვის. დემოკრიტესთან ყურადღებას იქცევს ის ფაქტი, რომ სოციალური ქცევისთვის ნიმუშად მოყვანილია ბუნებრივი ქცევა. ანტიკურ ფილოსოფიურ მსოფლმხედვას ახასიათებს კოსმოლოგიური იერარქია: მარადიული ბუნებრივი ----

სოციალური. ამ ფილოსოფიური პრინციპით იხელმძღვანელა პლატონმა ნაშრომში „სახელმწიფო“, რომელშიც იგი წარმოგვიდგენს იდეალური სახელმწიფოს პროექტს. პლატონისთვის ყოველივე ფიზიკურის სათავე სულიერი და მარადიულია, ამიტომ დასახელებულ ნაშრომში ყველაზე მთავარი კანონები ეხება არა სახელმწიფო სტრუქტურებსა და მათს ფუნქციებს, არამედ ღმერთებს: „პირველი კანონი: ღმერთი ყველაფრის მიზეზი კი არ არის, არამედ მხოლოდ სიკეთისა; მეორე კანონი: ყოველი ღმერთი უმშვენიერესი და უსრულქმნილესია...“ (პლატონი, 2003:79,82). პლატონი კატეგორიულია: სახელმწიფოს სულიერი საწყისი უნდა იყოს წმინდა და მიუწვდომელი შებღალვისთვის, რადგან სულიერი სიწმინდე და მისგან წარმოქმნილი ბუნებრიობა საფუძველია ქვეყნის. იმისთვის, რომ იცხოვრონ ბედნიერად, მოქალაქეებმა უნდა შეასრულონ მხოლოდ ის ერთი საქმე, რომელიც შეესაბამება თითოეულის ბუნებრივ ნიჭსა და უნარს (პლატონი, 2003:64).

ღვთაებრივი სიწმინდის დამცველი და ბუნებრივად მოქმედი ადამიანები „ყველაზე მაღლა უნდა აყენებდნენ ჭეშმარიტებას“ (პლატონი, 2003:89). ტყუილის თქმას პლატონი დაუშვებს ორად-ორ შემთხვევაში: საბავშვო ზღაპრებსა და ქვეყნის მმართველის თქმაში, თუ იგი ემსახურება სახელმწიფოს კეთილდღეობას. სიცრუე და სიმართლე ადამიანთა სამეტყველო ქცევის სფეროა, რომელიც, პლატონის შეფასებით, საჭიროებს მოწესრიგებასა და კონტროლს. ამ მიზნით პირველ რიგში ერთმანეთს უნდა გაემიჯნოს ჰესიოდეს, ჰომეროსისა და სხვა ნამდვილი პოეტის ქმნილებები და მათზე უხეირო მიბაძვით წარმოქმნილი უამრავი ყალბი ლათაები, რომლებიც „უგვანი სიტყვით უარყოფითად წარმოგვიჩენენ ღმერთებს თუ გმირებს“

(პლატონი, 2003:75). ამგვარი ტექსტების შექმნას პლატონი მიიჩნევს სახელმწიფოს წინააღმდეგ ჩადენილ დანაშაულად. „ღმერთებისთვის უცხოა ცრუ პოეტი“ (პლატონი, 2003:82), - განაცხადებს „სახელმწიფოს“ ავტორი და საჭიროდ მიიჩნევს პოეტიკაში დააწესოს შემოქმედების მისაბაძი ნიმუშები. ეს გადაწყვეტილება უპირისპირდება იდეალური სახელმწიფოს სხვა პრინციპს: „ადამიანი თავისუფალი უნდა იყოს და სიკვდილზე უფრო უფროსოდეს მონობას“ (პლატონი, 2003:86), თუ „თავისუფლებას“ გავიგებთ ფართოდ და არა როგორც მონობაში არყოფნას.

მხატვრული ტექსტის ანალიზი მიიყვანს პლატონს აღმოჩენამდე, რომ მიმბაძველობას იყენებენ არა მხოლოდ ყალბი ლათაიების შემთხვევები, არამედ სანიმუშო ნაწარმოებების შემქმნელებიც, როდესაც ცდილობენ თავისი სიტყვა რაც შეიძლება უფრო მეტად მიაღწიონ ადწერილ პერსონაჟთა მეტყველებას, „ამ შემთხვევაში ჰომეროსიცა და სხვა პოეტებიც მიბაძვის მეშვეობით წარმართავენ თხრობას“ (პლატონი, 2003:96). ტრაგედიებსა და კომედიებში პერსონაჟების მიღმა იმალება ავტორი, მაშინ როდესაც დითირამებში ავტორი მეტყველებს თავისი პირით. ეპოსსა და სიტყვიერების ნაწარმოებებში მეტყველება შერეულია. ამასთან, პლატონის ნაშრომის მთავრი მიზანი სრულყოფილი სახელმწიფოს პროექტის შექმნაა და არა მხატვრული შემოქმედების ანალიზი; მიმბაძველობაც ავტორს აინტერესებს უფრო ფართო, სოციალური, დანიშნულებით, კერძოდ, იგი შენიშნავს, რომ ხანგრძლივი მიბაძვა იქცევა ჩვეულებად. პლატონი ურჩევს მოქალაქეებს მიბაძონ იმას, რაც შესძენს მათ ღვთისმოსაობას, სიმამაცეს, თავისუფლების სიყვარულს (პლატონი, 2003:99).

როგორც თავში აღვნიშნეთ, მიზანძა ადამიანთა ზოგადი უნარია, რომელიც თავს იჩენს სხვადასხვა სოციალურ სფეროში. ამიტომ არ არის გასაკვირი, რომ ნაშრომში, რომელიც ეძღვნება სოციალურ პრობლემას, პლატონი განიხილავს მიმზადველობის ფაქტორს პოეტიკაში. სხვა ვითარება გვაქვს არისტოტელესთან, რომელიც „პოეტიკაში“ იშველიებს მიმზადველობის სოციალურ ფაქტებს, რადგან „მიზანძა გვჩვენებს ადამიანებს ბუნებით“ (არისტოტელე, 1984:649). არისტოტელე გამოყოფს მიზანძის ორ ფუნქციას: 1. შემეცნებით: მიმზადველობით ადამიანები, განსაკუთრებით ბავშვობაში, იძენენ პრაქტიკულ ცოდნას, 2.ესთეტიკურს: მიზანძით გამოსახული უსახურიც გვანიჭებს სიამოვნებას. არისტოტელეს აზრით, ამ ორმა ბუნებრივმა მიზეზმა წარმოქმნა პოეტური ხელოვნება (არისტოტელე, 1984:648), *mimesis* (მიმზადველობა) საფუძველია ყოველგვარი ხელოვნების. მოხდა ეს ასე: ნიჭიერ ადამიანთა იმპროვიზაციაში მიმზადველობამ შეიძინა ჰარმონია და რიტმი და იქცა პოეზიად, ამ უკანასკნელ ტერმინს არისტოტელე პლატონივით იყენებს ფართოდ პოეტიკის მნიშვნელობით. პოეტების ნაწილი ჰზანძა ადამიანებში გმირულს, ამაღლებულს, რის შედეგადაც ჩამოყალიბდა ეპიკური და ტრაგიკული ტექსტები. პოეტების ნაწილმა მიზანძა ცუდ ადამიანებს, მაგრამ არა მათსადიდებლად, არამედ დასაცინად, რამაც მოგვცა იამბიკური (განმკიცხავი) ტექსტები, რის საფუძველზეც ჩამოყალიბდა კომედია. ტრაგედიისაგან განსხვავებით კომედიაში უსახური და დამახინჯებული ნაჩვენებია ისე, რომ არ იწვევს ტკივილს. რადგან იამბი ყველაზე უფრო გავრცელებულია სასაუბრო მეტყველებაში, დროთა განმავლობაში იგი დამკვიდრდა ტრაგედიაშიც. უნდა აღვნიშნოთ, რომ პოეტიკურ ჟანრთაგან არისტოტელეს

ნაშრომში მთავარი ადგილი ეთმობა ტრაგედიას, რომლის მრავალგვარ განმარტებაში გვარეობით ცნებად ავტორს აქვს გამოყენებული „მიმბაძველობა“: „ტრაგედია არის, მიბაძვა არა პასიური ადამიანებისთვის, არამედ მოქმედებისთვის“, რადგან „ბედნიერებაცა და უბედურებაც წარმოადგენენ მოქმედებას“ (არისტოტელე, 1984:652). შევადაროთ უფრო სრული განმარტება: „ტრაგედია არის მიბაძვა არა მხოლოდ დასრულებული მოქმედებისთვის, არამედ მოქმედებისთვის, რომელიც ჩაგვაგონებს თანაგანცდასა და შიშს“ (არისტოტელე, 1984:656).

სრულყოფილი სახელმწიფოს პროექტის შექმნას პლატონი შეეცდება ფილოსოფიური პრინციპებით, არისტოტელეს „პოეტიკაც“ უნიკალურია იმით, რომ მასში მხატვრული შემოქმედება განხილულია სამყაროს გაგებასთან კავშირში. მაგრამ არსებობს მსოფლმხედველობრივი განსხვავება აკადემიის დამაარსებელსა და მის ყველაზე გამოჩენილ მოსწავლეს შორის. პლატონის შემეცნება მიმართულია ზეციური ჭეშმარიტებისკენ - მარადიული იდეებისკენ, რომლებიც ქმნიან თავის მსგავს ფიზიკურ საგნებს. განუწყვეტილ ცვალებადი საგნები არ წარმოადგენენ სამყაროს არსებს. ფიზიკური სამყარო არ არის ნამდვილი, უფრო მეტიც, ფიზიკური სამყარო არის „ის, რაც მარად იბადება და არასოდეს არსებობს“ (პლატონი, 1994:288). პლატონის თანახმად, სულიერ და უსულო საგნებზე მიბაძვით ვერ ვიგებთ სამყაროს. მიბაძვა არ არის გზა კედელზე მოციაგე აჩრდილებით გამოქვაბულიდან (პლატონი, 2003:252).

არისტოტელეს თანახმად, მარადიული იდეები მოცემული არიან ადამიანთა გონებასა და ფიზიკურ საგნებში ფორმათა სახით. ამიტომ ფიზიკური საგნები ნამდვილია და შემეცნებადი. საგნებისკენ მიმართული მიბაძვა უწყობს ხელს

მათს შესწავლას. ამიტომაც პლატონისაგან განსხვავებით არისტოტელემ შექმნა “პოეტიკა”, რომელიც გვამცნობს ზოგად ხედვას და ამით არის უფრო ფილოსოფიური, ვიდრე ისტორია, რომელიც განიხილავს ცალკეულ ფაქტებს (არისტოტელე, 1984:655). ამასთან, მიბადვის საფუძველზე წარმოქმნილი სახეები არ არიან საკმარისი საგანთა შესასწავლად. სამყაროს შემეცნების საფუძველია არისტოტელესთან აღქმის წარმოდგენები და იდეები (პირველსაწყისები, ცნებები), რომლებსაც განიხილავს „პირველი ფილოსოფია“ (შემდგომში მეტაფიზიკა) ლოგიკით.

გამოყენებული ლიტერატურა:

- **არისტოტელე, 1984** - Аристотель, Соч. В 4т., т.4., Мысль, М.
- **კანტი, 1966** - И.Кант, Соч. В 6т., т.5, Мысль, М.
- **ნათაძე, 1983** - რ. ნათაძე, ფსიქოლოგიის მოკლე კურსი, თსუ, თბ.
- **მეაძ, 1962** - Памятники мировой эстетической мысли, М.
- **პირსი, 2009** - Ч.С.Пирс что такое знак? Вестник Томского гос. университета, N=3, Томск.
- **პლატონი, 1994** - პლატონი, ტიმეოსი, “ირმისა”, თბ.
- **პლატონი, 2003** - პლატონი, სახელმწიფო, “ნეკერი”, თბ.

XIII საუკუნის გელათური ჰიმნოგრაფიული კრებულების (K-22, A-85) შედგენილობა

აბსტრაქტი: სტატიაში განხილულია XIII საუკუნის ორი გელათური ჰიმნოგრაფიული კრებულ: ხელნაწერი K-22, შედგენილი კირილე გელათელის მიერ და ხელნაწერი A-85, შედგენილი ტბელ აბუსერისძის მიერ. ორივე კრებული შედგენილობით ახლოს დგას ერთმანეთთან. მათში წარმოდგენილია ძლიპირთა კრებულები (heirmologion), სტიქარონები (sticheron), საგალობელთა ციკლები და სასწავლო მასალა, ასევე, ორიგინალური ქართული ტექსტები. როგორც კირილე გელათელი, ისე ტბელ აბუსერისძე, გელათის ლიტერატურულ სკოლას წარმოადგენენ და ერთ პერიოდში ქმნიან ახალი ტიპის სასწავლო-ლიტურგიკულ კრებულებს (K-22, A-85), რომელთაგან პირველი – K-22 ხელნაწერი მაგალობელთა სახელმძღვანელო წიგნის ფუნქციასაც ითავსებს, ხოლო მეორე – A-85 კრებული უფრო მეტადაა ორიენტირებული სამეცნიერო-პედაგოგიურ მიზნებსა და ლიტურგიკული მასალის სისტემატიზაცია-შევსებაზე.

Compilation of Collections (K-22, A-85) of the 13th Century Gelatian Hymnography

Abstract: the paper aims to highlight two Gelatian hymnographic collections of the 13th century: manuscript K-22, compiled by Kir-

1 ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი / PhD in Philology, Professor at Batumi Shota Rustaveli State University

ile Gelateli and manuscript A-85, compiled by Tbel Abuserisdze. Both collections are close to each other. They include heirmology, sticheron, hymnal cycles and teaching materials, as well as original Georgian texts. Both Kirile Gelateli and Tbel Abuserisdze represent the literary school of Gelati and at the same period created a new type of educational and liturgical collections (K-22, A-85), the first of which is the K-22 handwritten manual of chanters. It also accommodates the function, and the second - A-85 collection is more focused on scientific-pedagogical aims and systematization-completion of liturgical materials.



K-22 ხელნაწერი ტბელ აბუსერისძის გელათში მოღვაწეობის პირდაპირი დასტურია და შედგენილობითაც ენათესავება მისივე რედაქტორობით შედგენილ A-85 კრებულს, უპირველეს ყოვლისა იმით, რომ იწყება ტბელ აბუსერისძის საგალობლით „გალობანი სამთა იოვანეთანი“ (1r-2v). K-22 წარმოადგენს „გალობანი სამთა იოვანეთანის“ დამოუკიდებელ ნუსხას, რომელიც არ მომდინარეობს A-85 ხელნაწერიდან (ხალვაში 1992: 77). ამკარაა, რომ გადამწერი ავტორისეული პროტოგრაფით სარგებლობს²

A-85 და K-22 ხელნაწერები ერთი და იმავე დანიშნულების (სასწავლო-ლიტურგიკული) კრებულებია, რომლებშიც საერთო მასალის მოცულობა საკმაოდ დიდია:

2 ტბელ აბუსერისძის ჰიმნოგრაფიული კანონი არ არის შეტანილი K-22 ხელნაწერის ზანდუკში, რაც იმაზე მეტყველებს, რომ საგალობლის შემცველი ფურცლები გვიან დაურთეს კრებულს, არა უგვიანეს XVIII საუკუნისა, როცა K-22 კრებულის ასლი K-94 ხელნაწერი იქმნებოდა. ერთი რამ ცხადია, მწიგნობარი, რომელმაც აღნიშნული ორი ფურცელი K-22 ხელნაწერთან გააერთიანა, მათ შორის თვისობრივ კავშირს ხედავდა და არ არის გამორიცხული, ამ საგალობელს K-22 ხელნაწერშიც (A-85 ხელნაწერის მსგავსად) ორიენტირისა და მარკერის ფუნქციას აკისრებდა.

1) ორივე ხელნაწერში წარმოდგენილია ძლისპირთა და ღმრთისმშობლისათა ორი კომპლექტი (K-22, 3r-73r; A-85, 1r-49v, 64r-100v), რომლებსაც K-22 კრებულის ზანდუკში ამგვარი განმარტებები ახლავს: [ა] „ძლისპირნი გალობათანი ჴ-თავე ჳმათა ზედა მათითა ღმრთისმშობლისადათა – სრულად და დაუკლებელად რომელნი საჳმარ არიან; და ახალთა თუჴ-პარაკრიტორთა შინა მოიცლენ“; [ბ] „ძლისპირნი „უფალო ღაღატყავისნი“ ჴ-თავე ჳმათა ზედა, ვითა უნდან, სამ-სამითა გერთთა დაუკლებელად“ (237v);

2) ირმოლოგიონის შემდეგ K-22 ხელნაწერში შეტანილია „ათორმეტნი სამნივე: პარასკევისანი, ქრისტეშობისანი, განცხადებისანი“ (73r-75r); სამივე ათორმეტნი გვაქვს A-85 ხელნაწერშიც (100v-103r);

3) K-22 ხელნაწერში ცალკე სეგმენტს ქმნის მგალობელთათვის გამიზნული სასწავლო მასალა, რომელიც A-85 ხელნაწერში არ არის შეტანილი:

ა) „წარდგომანი აღდგომისანი ჴ ჳმანი“ (76v-77r);

ბ) „მოსართავნი საკჳრადსძლონი“ (77r-79r);

გ) „დასდებელნი საჳიქენი ვისიცა გინდენ და სწავლაცა შეგეძლოს“ (79r-81v);

დ) „წარდგომის დიდებანი“ (107v);

ე) „აღსავალნი“ (107v-111v);

ვ) „საქცევნი“ (111v-113v)...

4) „გერი რვა ჳმად“ (K-22, 82r-83r) – ხელნაწერის ზანდუკში ამგვარი განმარტება ახლავს: „[რ]ვა ჳმანი სამნივე: ფერისცვალებისანი, მარიამობისანი, თავისკუჭთისანი“. სამივე „რვა ჳმანი“ შეტანილია A-85 ხელნაწერში (110r-112r);

5) ორივე ხელნაწერშია შეტანილი: იბაკონი აღდგომისანი (K-22, 83r-84v; A-85, 107v-109v) და ოხითანი აღდგომისანი (K-22, 85r-86r; A-85, 106r-107v);

6) K-22 ხელნაწერის მომდევნო სეგმენტია საბაწმიდურ (შიო-მღვიმის) ტიპიკონზე დაყრდნობით დაწერილი მოკლე სათვეო სვინაქსარი – „ოხითანი საწელიწდონი სულმცირითა სვინაქსართა“ (86r-99r), „იბაკონი საწელიწდონი“ (114r-123v) და „სტიქარონნი საწელიწდონი“ (151v-205r), რომლებიც A-85 ხელნაწერში გაერთიანებულია ერთ კრებულად და ეწოდება „სტიქარონნი საწელიწდონი საუფლოთა დღესასწაულთანი და საჩინოთა წმიდათანი, სტიქარონნი ინდიკტიონისანი, ყოველივე სრულებით, ოხითაებითა, ჯელსუნაქსრითურთ“ (112r-166r; შდრ.: აღწერილობა 1953: 102-103).

კალენდარულ ნაწილს ორივე კრებულში თანაბარი მნიშვნელობა ენიჭება. ორივე ხელნაწერში მოკლე, პირველადი, რედაქციის სახითაა წარმოდგენილი იოანე პეტრიწის და მისი ძმის – პავლეს მიერ გალექსილი კალენდარი „გალობანი ყოველთა წმიდათანი“ (K-22, 125r-126v, A-85, 51r-52v). სექტემბერ-მაისის იამბიკური სვინაქსარი კი, რომელიც იოანე პეტრიწსა და არსენ ბულმაისიმისძეს ეკუთვნის, მხოლოდ A-85 ხელნაწერშია შეტანილი (197v-213v, 224r-236r);

7) ორივე ხელნაწერშია: ოხითანი მარხვათანი (K-22, 99r-100v; A-85, 215r-216r); იბაკონი მარხვათანი (K-22, 100v-104r; A-85, 213v-215r); გამოავლინენი სამარადისონი (K-22, 113v-114r; A-85, 216r-219r);

8) ორივე ხელნაწერში ერთმანეთის მსგავსი შედგენილობა აქვს საუფლო დღესასწაულებისა და დიდი შვიდეულის ციკლებს: K-22 – გალობანი ბაიაობისანი, სამფსალმუნნი დიდისა ორშაბათისანი, ორფსალმუნნი დიდისა სამშაბათისანი, სამფსალმუნნი დიდისა ოთხშაბათისანი, გალობანი წმიდისა და დიდისა ოთხშაბათისანი, სამფსალმუნნი დიდისა პარასკევისანი, გალობანი გოდებისანი ღმრთისმშობელისაგან დაფლვასა ზედა ღმრთივგუამოვანთა

ჯორცთა უფლისა ჩუენისა იესო ქრისტესთა, ფსალმუნნი დიდისა შაბათისანი, მოსართავნი საუფლოთა დღესასწაულთანი, აქებდითსა დიდებასა ზედა სათქუმელნი (139r-151r); შდრ.: A-85 – გალობანი ზოზობისანი; დიდსა ორშაბათსა, ცისკრად, ხუედრნი, გალობად კმაჲ ა; [დიდსა] სამშაბათსა, ხუედრნი, კმაჲ ბ. გალობად ჴ; დიდსა ოთხშაბათსა, ცისკრად, ხუედრნი, გალობად გ, კმაჲ ბ; გალობანი დიდისა ხუთშაბათისანი; სამფსალმუნნი დიდისა პარასკევისნი; გალობანი დიდისა შაბათისნი (A-85, 53r-61r);

9) ღამისთევათა ციკლის ჰიმნოგრაფიული კანონები უფრო სრულად არის სტრუქტურირებული A-85 ხელნაწერში, რომელშიც საგალობლები ამგვარი თანმიმდევრო-ბითაა დალაგებული: გალობანი ტაძრად მიყვანებისათჳს; გალობანი ქრისტეს შობისანი; გალობანი წმიდისა ბასილისნი; გალობანი განცხადებისანი; გალობანი მიგებებისანი; გალობანი ხარებისანი; გალობანი მარიამობისანი; გალობანი თავისკუეთისანი; გალობანი ფერისცვალებისანი (172r-185r); K-22 ხელნაწერში მათგან მხოლოდ „გალობანი ქრისტეს შობისანია“ წარმოდგენილი (K-22, 205r-207v);

10) მარხვანისა და ზატიკნის ციკლის საგალობლები მხოლოდ A-85 ხელნაწერშია წარმოდგენილი (236r-276v);

11) ორიგინალური ქართული საგალობლებიდან K-22 ხელნაწერში შეტანილია იოანე შავთელის „გალობანი ვარძიისა ღმრთისმშობელისანი“ (209v-212v) და დავით აღმაშენებლის „გალობანი სინანულისანი“ (212v-215r). ეს უკანასკნელი წარმოდგენილია A-85 ხელნაწერშიც, სადაც ორიგინალური თხზულებების ხვედრითი წილი გაცილებით დიდია. მასში შედის ხელთუქმნელი ხატის ჰიმნოგრაფიული ციკლი (ავტორები – არსენ ბულმაისიმისძე და საბა სვინგელოსი),

ტბელ აბუსერისძის ხუთი ნაწარმოები, იოანე შავთელის „განგება-იამბიკონი“ და სხვა.

12) სასწავლო-შემეცნებითი მასალა K-22 ხელნაწერის ბოლოსაა თავმოყრილი. მასში შედის ეფრემ მცირისა და იოანე პეტრიწის თარგმანები: წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩუენისა გრიგოლი ღმრთისმეტყუელისა მუკლები იამბიკოდ სასწავლოდსა წილ წარმართთადასა, რომლისაგან განაყვნა ქრისტიანენი ივლიანეგანდგომილმან; ამფილოქეს იამბიკონნი სელევკოსის მიმართ; გრიგოლი ღმრთისმეტყუელისა და განუზომელთაგან სიტყუათა; ძრვისა და ქუხილისათჳს; თუეთა სათვალავი მსახიობად თორმეტ თუჴ; „ქრონიკონი მცირე“; კალანდად თქმული ეზრა წინამსწარმეტყუელისა (217r-237r). A-85 ხელნაწერში ეს სეგმენტიც უფრო ვრცელია და გამდიდრებულია ორიგინალური პასქალური სახელმძღვანელოებით, რომელთა ავტორები არიან ტბელ აბუსერისძე და იოანე შავთელი. თუმცა უნდა ითქვას, რომ ორივე ხელნაწერში წარმოდგენილ ჰიმნოგრაფიულ კომპლექტებსაც სასწავლო ფუნქცია აქვს, რაც საგანგებოდაა აღნიშნული K-22 ხელნაწერის ზანდუკში: „დასდებელნი საჭიქენი თუ სწავლად ოდენ შეგეძლოს, კმა იყვენ“ (237v); „ესე ყოველი ვითა აქა ზანდუკსა სწერია[ნ], ესევე რიგად მოიძიე და ჰპოო... და თქუენცა გევედრები, რ[ომელსა]ცა გენებოს სწავლის, ესე რაიცა აქა სწერია დაისწავლე და სხუასა ნუღარა [იძიე?]" (238r).

ვფიქრობთ, ცხადია, რომ A-85 და K-22 ხელნაწერები ერთ გარემოში – გელათის სავანეში ყალიბდება, რაშიც ტბელ აბუსერისძესთან ერთად მონაწილეობას იღებს ამავე სკოლის წარმომადგენელი – დღემდე უცნობი მოღვაწე კირილე გელათელი, K-22 ხელნაწერის შემდგენელი და რედაქტორი, რომელიც ამავე კრებულის ზანდუკში იხსენიება: „გევედრები

თქუნ, წმიდანო ღმრთისანო, ვინცა ამა[ს] წიგნსა მიემთხვნეთ მღდელნი, გინა თუ დიაკონნი ჩემ ცოდვილისა კვრილესთჳს ლოცვა [ჰ]ყავთ და ღმერთმან თქუნცა მოგიტევნეს ყოველნი ბრალნი თქუნნი“ (K-22, 238r).

როგორც კირილე, ისე ტბელ აბუსერისძე, გელათის ლიტერატურულ სკოლას წარმოადგენენ და ერთ პერიოდში ქმნიან ახალი ტიპის სასწავლო-ლიტურგიკულ კრებულებს (K-22, A-85), რომელთაგან პირველი – K-22 ხელნაწერი მაგლობელთა სახელმძღვანელო წიგნის ფუნქციასაც ითავსებს, ხოლო მეორე – A-85 კრებული უფრო მეტადაა ორიენტირებული სამეცნიერო-პედაგოგიურ მიზნებსა და ლიტურგიკული მასალის სისტემატიზაცია-შევსებაზე.

გამოყენებული ლიტერატურა:

- ადწერილობა 1953: ქუთაისის სახელმწიფო ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის ხელნაწერთა ადწერილობა, შეადგინა ე. ნიკოლაძემ, კ. კეკელიძის რედაქციით, I, ქუთ., 1953
- ადწერილობა 1973: ქართულ ხელნაწერთა ადწერილობა (A კოლექცია), ელ. მეტრეველით რედაქციით, II, თბ., 1973
- ხალვაში 1992: ტბელ აბუსერისძე, გალობანი სამთა იოვანეთანი, რ. ხალვაშის გამოცემა, ბათ., 1992
- A-85 (1233 წ.) – ხელნაწერი ინახება კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში
- K-22 (XIII საუკუნის 1-ელი მეოთხედი) – ხელნაწერი ინახება ქუთაისის სახელმწიფო ისტორიული მუზეუმის ხელნაწერთა განყოფილებაში

